



**50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო,
სანამ ცოცხალი ხარ**

წიგნი 30

გამომცემლობა პალიტრა L
თბილისი, 2012

UDC (უპაკ)821.112.2—31
ბ-692

„50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“

ეს პროექტი მსოფლიოს არაერთ ქვეყანაშია პოპულარული.


სხვადასხვა გამოკითხვის საშუალებით, მკითხველი ირჩევს 50 საუკეთესო წიგნს მსოფლიო ლიტერატურის საგანძურიდან. საქართველოში „კვირის პალიტრის“ ამ პროექტს მრავალი ათასი ადამიანი გამოეხმაურა. სწორედ მათი დადგენილია იმ რჩეული წიგნების ნუსხა, რომელიც „პალიტრამედიაში“ რეალურ ბიბლიოთეკად აქცია.

ეს წიგნი მსოფლიო ლიტერატურის ამ უნიკალური ბიბლიოთეკის ნაწილია.

Originally published in German under the title

„Ansichten eines Clowns“ by Heinrich Böll

©1963, 2004 by Verlag Kiepenheuer & Witsch GmbH & Co. KG,
Cologne/Germany

თარგმანზე უფლება მიღებულია საქართველოს ავტორთა
საზოგადოებისგან www.sas.ge 

© გამომცემლობა პალიტრა L, 2012

ყველა საავტორო უფლება დაცულია.

ISSN 1987-9628

ISBN 978-9941-19-343-9

ჰაინრიხ ბიოლი

კლოუნის
თვალთახედვა

ნელი ამაშუკელის თარგმანი

რომელთა არ მიეთხრა მისთვის, იხილონ და, რომელთა არა ესმა, გულისხმა-ყონ.

1

ბონში რომ ჩამოვედი, ღამდებოდა. თავს ძალა დავატანე, რომ მე-მოქმედა იმ ავტომატიზმის გარეშე, ხუთი წლის გაუთავებელი მოგ-ზაურობის შედეგად რომ გამოიმძეავდა: ბაქნიდან ჩადი კიბეზე, ადი მოპირდაპირე კიბეზე, ძირს დადე სამგზავრო ჩანთა, პალტოს ჯიბი-დან ამოიღე სამგზავრო ბილეთი, მერე ისევ ჩანთას დაავლე ხელი, ჩააბარე ბილეთი კონტროლიორს, წადი გაზეთის ჯიხურისაკენ, იყი-დე საღამოს გაზეთები, გადი ქუჩაში და ხელით უხმე ტაქსის. ხუთი წლის განმავლობაში თითქმის ყოველდღე საიდანღაც მივემგზავრები და სადღაც ჩავდივარ. დილაობით ზევით-ქვევით მიფუყვები რკინიგზის სადგურის კიბეს, ნაშუადღევს კი ჯერ ქვევით ვეშვები, შემდეგ ზევით ავდივარ, ხელით ვუხმობ ტაქსის, პიჯაკის ჯიბეში ვეძებ მძღოლის გასასტუმრებელ ფულს, ჯიხურებში ვყიდულობ საღამოს გაზეთებს და გულის სიღრმეში ვტკბები — ეს ისე გამიჯდა ძვალ-რბილში, არაფერს დაგიდევთ.

მას შემდეგ, რაც მარიმ მიმატოვა, რათა იმ კათოლიკე ციუპფენერს გაჰყოლოდა ცოლად, ეს პროცესი კიდევ უფრო მექანიკური გახდა და კვლავაც არაფერს დაგიდევთ. მანძილს სადგურიდან სასტუმრომდე და სასტუმროდან სადგურამდე მხოლოდ ერთი რამ ზომავს — ტაქ-სის მრიცხველი. სადგურიდან მრიცხველი წერდა ხან ორ, ხან სამ, ხანაც ოთხ-ნახევარ მარკას. მაგრამ მას შემდეგ, რაც მარი გამშორ-და, ეს ჩვეული რიტმი ზოგჯერ ირღვევა ხოლმე — სასტუმრო და სადგური ერთმანეთში მერევა, მატარებლის ბილეთს ფაციფუცით ვე-ძებ პორტიეს დახლთან, ბაქნის გასასვლელში გაჩერებულ კონტრო-ლიორს კი ჩემი ოთახის ნომერს ვეკითხები. ეტყობა, რაღაცა, რასაც ალბათ ბედი ჰქვია, მაიძულებს, გავიხსენო ჩემი პროფესია და ისიც,

თუ რა შავ დღეში აღმოვჩნდი. კლოუნი გახლავართ, ოფიციალურად პროფესიონალი კომიკოსი მსახიობი მქვია, არც ერთ ეკლესიას არ ვუხდი ხარკს, ვარ ოცდაშვიდი წლის და ერთ-ერთ ჩემს ნომერს „ჩამოსვლა და გამგზავრება“ უწოდება. ამ უსაშველოდ გაჭიანურებულ პანტომიმაში მაყურებელმა ბოლო წუთამდე არ იცის, ჩამოვედი თუ გავემგზავრე. ამ ნომერს ხშირად კიდევ ერთხელ ვიმეორებ მატარებელში (ნომერი შედგება ექვსასზე მეტი მოძრაობისაგან და მთელი ქორეოგრაფია სისხლში უნდა მქონდეს გამჯდარი). ამიტომ, რა გასაკვირია, თუ ზოგჯერ საკუთარი ფანტაზიის მსხვერპლი ვხდები. შევრბივარ სასტუმროში, თვალთ ვეძებ მატარებლის მიმოსვლის განრიგს, ვპოულობ კიდევ და, იმის მაგივრად, რომ ჩემს ოთახში ავიდე და წარმოდგენისათვის მოვემზადო, ავრბივარ და ჩავრბივარ კიბეზე, რათა მატარებელს მივუსწრო. საბედნიეროდ, თითქმის ყველა სასტუმროში მიცნობენ: ხუთი წლის განმავლობაში გარკვეული რიტმი გამომიმუშავდა და ვარიანტებიც აქ გაცილებით ნაკლებია, ვიდრე თავიდან გგონია. გარდა ამისა, ჩემი აგენტი კარგად იცნობს ჩემს ხასიათს და ყოველნაირად ცდილობს, საქმეები მომიგვაროს. ამით იგი პატივს სცემს და ხარკს უხდის იმას, რასაც „ხელოვანის მგრძობიარე სულს“ უწოდებს და ჩემს ოთახში ყოველთვის „კარგი განწყობილების აურა“ მხვდება. ლამაზ ლარნაკში ყვავილება და, როგორც კი პალტოს საყარძელზე მივაგდებ, ხოლო ფეხსაცმელს კუთხისაკენ მოვისვრი (მძულს ფეხსაცმელი), ლამაზ მოსამსახურე გოგოს უკვე მოაქვს ჩემთვის ყავა და კონიაკი და მიმზადებს აბაზანას. მწვანე ესენცია წყალს სურნელებას ანიჭებს და ნერვებს მიმშვიდებს. ვწვარ აბაზანაში, ვკითხულობ მხოლოდ არასერიოზულ გაზეთებს, ექვსს თუ არა, სამს მაინც და დაბალ ხმაზე ვდიდინებ მხოლოდ ლიტურგიულ საგალობლებს, ქორალებს, ჰიმნებს, სეკვენციებს, რომლებიც სკოლის მერხიდან ჩამრჩა მეხსიერებაში. ჩემი მშობლები, მართლმორწმუნე პროტესტანტები ომის შემდეგ გავრცელებულ რჯულმემწყნარებლობის მოდას აჰყვნენ და კათოლიკურ სასწავლებელში მიმაბარეს. პირადად მე რელიგიას ზურგი ვაქციე, ეკლესიაშიც კი არ დავდივარ და ლიტურგიულ ტექსტებსა და მელოდიებს სამკურნალო მიზნით ვიყენებ: საგალობლები ყველაფერზე მეტად მეხმარებიან, მოვერიო იმ ორ სენს, რომლებითაც ბუნებამ დამაჯილდოვა — მელანქოლიასა და თავის ტკივილს. მას შემდეგ, რაც მარი კათოლიკეებთან

გადაბარგდა (მარი თვითონაც კათოლიკეა, მაგრამ ასეთი გამოთქმა მაინც მართებულად მიმაჩნია), ორივე სენი უფრო გამიმწვადა და *Tantum Ergo*¹ და „ლიტანია ლაურეტანა“², აქამდე რომ ყველაზე მეტად მიქარვებდნენ ტეივილს, ახლა ძლივსღა მშველიან. არსებობს სხვა წამალიც — ალკოპოლი, რომელიც დროებით მშველის. ჩემი საბოლოო განკურნება მარის შეეძლო, მაგრამ, სამწუხაროდ, მარიმ მიმატოვა. კლოუნი რომ სმას დაიწყებს, უფრო სწრაფად დაემეება ძირს, ვიდრე მთვრალი მეთუნუქე გადავარდება სახურავიდან.

როცა სცენაზე მთვრალი გავდივარ, ზუსტად ვეღარ ვასრულებ მოძრაობებს, რომელთა გამართლება მხოლოდ სიხუსტეს შეუძლია, და ზოგჯერ ისეთ შეცდომას ვუშვებ, კლოუნისათვის თავის მოჭრას რომ უდრის: მეცინება საკუთარ ოხუნჯობაზე. ამაზე დამამცირებელი არაფერია. როცა ფხიზელი ვარ, სცენაზე გასვლამდე სულ უფრო და უფრო მიპყრობს შიში (ხშირად ხელის კვრითაც კი მაგდებენ სცენაზე) და ის, რასაც ზოგიერთი კრიტიკოსი „ფიქნარეუ კრიტიკულ მხიარულებას“ უწოდებდა, „რომლის მიღმაც გულის ძეგრა ისმის“, სხვა არაფერი იყო, თუ არა გამოთოშავი სასოწარკვეთილება, რომელიც ხელს მიწყობდა მარიონეტად გადაქცეულიყავი. ცუდ დღეში მაშინ ვვარდებოდი, როცა ძაფი წყდებოდა და საკუთარი თავის ამარა ვრჩებოდი. ალბათ, რაღაც ამდაგვარს განიცდის ბერი მისტიკური განჭვრეტის დროს. მარი ყოველთვის თან დაათრევდა ათასგვარ მისტიკურ ლიტერატურას და, რამდენადაც მახსოვს, ამ წიგნებში ხშირად წაეწყდომივარ სიტყვებს „ამაო“ და „არარა“.

სამი კვირა ყოველდღე მთვრალი ვიყავი და სცენაზე გასვლისას მაცდუნებელი თავდაჯერებულობა მეუფლებოდა. შედეგმაც უფრო მალე იჩინა თავი, ვიდრე ეს ზარმაც მოწაფეს ემართება. იგი ხომ ნიშნების ფურცლის მიღებამდე ილუზიებით იმშვიდებს თავს — ნახევარი წელი საკმაოდ დიდი დროა საოცნებოდ. სამი კვირის შემდეგ ჩემს ოთახში ყვაილები აღარ იდგა, მეორე თვის შუა რიცხვებში აბაზანიანი ნომერი აღარ მღირსებია, მესამე თვის დამდეგს კი სადგურიდან უკვე შვიდი მარკის მანძილზე ვცხოვრობდი, ხოლო

¹ *Tantum Ergo* (ლათ.) — „რამდენადაც ასეა“ — კათოლიკური ლოცვის, წმინდა კვამის ჰიმნის „აჟღერდი, ენა“ მე-5 სტროფის დასაწყისი.

² „ლიტანია ლაურეტანა“ — ლოცვა ლორეტოს ნეტარი ქალწული მარიამისი.

ჩემი გასამრჯელო ერთ მესამედზე შემცირდა. ვარიეტეს კარი მომიხურეს. სადღა იყო კონიაკი — არაყს მასმევედნენ. წარმოდგენას ვმართავდი უღიმღამოდ განათებულ სცენაზე, ჩაბნელებულ დარბაზებში, სადაც ყოფილად უცნაური კავშირები სხდომებს ატარებდნენ. ვინღა ფიქრობდა არაზუსტ მოძრაობებზე, ლამის ვპამპულობდი და ასე ვართობდი იუბილარებს: რკინიგზელებს, ფოსტისა და საბაჟოს მოხელეებს, კათოლიკე დიასახლისებს, ვენაგელისტ მედიცინის დებს, ბუნდესვერის ოფიცრებს, რომლებიც სასწავლებლის დამთავრებას ლუდის სმით აღნიშნავდნენ და ზეიმის დასამშვენებლად მე მიწვევდნენ, თუმცა ხეირიანად ისიც კი არ იცოდნენ, ჰქონდათ თუ არა სიცილის უფლება, როცა ჩემი ერთ-ერთი ძველი პანტომიმის, „თავდაცვის საბჭოს“, გაცვეთილ ნარჩენებს უჭყვენებდი. გუშინ კი ბოხუმში ახალგაზრდების წინაშე მომიხდა გამოსვლა. ჩაპლინს ვბაძავდი, უეცრად ფეხი დამიცდა, ადგომა ვეღარ შეუძელი. არავის დაუსტვენია, მაყურებლები თანაგრძნობით ჩურჩულებდნენ. ბოლოს, როცა ფარდა ჩამოუშვეს, კოჭლობით გავედი სცენიდან, მთელ ჩემს ბარგი-ბარზანას თავი მოუყვარე და ისე მივაშურე პანსიონატს, რომ გრიმიც კი არ მომიცილებია. პანსიონატში ერთი აურზაური ატყდა: ჩემმა დიასახლისმა მძღოლის გასასტუმრებელი ფული არ მასესხა და გაავებული მძღოლი იმით დავაშოშმინე, რომ ელექტროსამართებელი გირაოდ კი არა, გასამრჯელოდ მივეცი. საბედნიეროდ, წესიერი კაცი აღმოჩნდა და ხურდად სიგარეტის გახსნილი კოლოფი და ორი მარკა დამიბრუნა. ტანგაუხდელი მივეგდე გაუშლელ საწოლზე, ბოთლში ჩარჩენილი არაყი გამოვწრუპე და ამ ბოლო თვეებში პირველად ვიგრძენი, რომ აღარც მეღანქოვია მაწუხებდა და აღარც თავის ტკივილი. მთვრალი, წუმპეში ამოგანგლულივით, სწორედ ისე ვეგდე საწოლზე, როგორც ბევრჯერ მინატრია, ნეტავი ასე დავლიო დღე-მეთქი. ერთი პეშვი არყისთვის უკანასკნელ პერანგს გაეიმეტებდი, მაგრამ იმდენი ლაპარაკის თავი არ მქონდა, ასეთ გარიგებას რომ სჭირდება ხოლმე. მხოლოდ ამან ამაღებინა ხელი განზრახვაზე. მეძინა შესანიშნავად, მაგრამ დამესიზმრა, თითქოს სცენის მძიმე ფარდა რბილ, სქელ სუდარასავით გადამეფარა, როგორც დაბინდული მადლი, მაგრამ ბურანში წასულმა ძილშივე ვიგრძენი, როგორ შემიპყრო გაღვიძების შიშმა. სახე გრიმით მაქვს მოთხუპნილი, მარჯვენა მუხლი გამისივდა,

პლასტმასის ლანგარზე ისეთი საუზმე დევს, პირს ვერ დააკარებ, ყავადანთან კი ჩემი აგენტის დეპეშა გდია: „კობლენცმა და მაინცმა უარი შემოთვალეს. სალამოს ბონში დაგირეკავთ. ცონერერი“. მცირე ხნის შემდეგ დამირეკა იმ კაცმა, ვინც სალამოს მართავდა. მხოლოდ ახლა გავიგე მისგან, თურმე ქრისტიანთა განათლების საქმეს ხელმძღვანელობდა.

— ქოსთერთი გახლავართ, — მომესმა მლიქვნელური, მსუსხავი ხმა. — თქვენი გასამრჯელოს საკითხი ხომ უნდა გავარკვიოთ.

— კეთილი, ამას წინ რა უდგას, — ვუპასუხე მე.

— ვითომ? — მკითხა მან.

მე ვლუმდი. კაცმა ლაპარაკი განაგრძო. ახლა მის უფერულ, მსუსხავ ხმაში სადისტური ბგერები აჟღერდა.

— ადრე შევთანხმდით, რომ გასამრჯელოდ ას მარკას გადაუხდით კლოუნს, რომელიც იმ დროს ორასი მაინც ღირდა.

ამ სიტყვებს დუმილი მოჰყვა, ალბათ იმისათვის, რომ გავქელებინე, მაგრამ მე კრინტი არ დამიძრავს. თავი ვეღარ შეიკავა და ჩვეული თავხელობით განაგრძო:

— მე საზოგადოებრივად სასარგებლო კავშირს ვხელმძღვანელობ და სინდისი ნებას არ მაძლევს, ასი მარკა გადაუხადო კლოუნს, ვისთვისაც ოცი მარკაც კი ბევრია. ჩვენი მხრივ, ესეც ღიდი ხელგამლილობაა.

არავითარი საბაბი არ მქონდა, დუმილი დამერღვია. ამიტომ სიგარეტს მოუკიდე, წყალწყალა ყავა დავისხი და მის ქოშინს მივაყურადე.

— თუ მისმენთ მაინც? — მკითხა მან.

— დიახ, გისმენთ, — ვუპასუხე და კვლავ ჩავიკმინდე ხმა.

დუმილი კარგი იარაღია. სკოლაში, როცა დირექტორთან ან კოლეგიაზე მიბარებდნენ, ყოველთვის ჯიუტად ვლუმდი. არა უშავს, გაიწუროს ოფლში ტელეფონის ხაზის მეორე ბოლოში ჩამოკიდებული ქრისტიანი ბატონი ქოსთერთი. ასეთ გულნამცეცა კაცუნას, აბა, როგორ შევეცოდებოდი. სამაგიეროდ, საკუთარი თავის შეცოდება შეძლო და ბოლოს ჩაიბურტყუნა:

— რამეს ხომ არ მეტყვიოთ, ბატონო შნირ?

ახლა კი ამოვიღე ხმა.

— კარგად დამიგდეთ ყური, ბატონო ქოსთერთო. აი, რას გეტყვიოთ: ჩაბრძანდით ტაქსიში, მიდით სადგურზე, მიყიდეთ პირველი კლა-

სის ბილეთი ბონამდე, მიყიდეთ ერთი ბოთლი არაყი, მობრძანდით სასტუმროში, გადაიხადეთ ჩემი დანახარჯი, მოახლის გასამრჯელოს ჩათვლით, დამიტოვეთ კონვერტით იმდენი ფული, რაც ტაქსით სადგურამდე მისვლა ღირს და, გარდა ამისა, გაფიცვებთ თქვენს ქრისტიანულ სინდისს, გამიგზავნეთ თქვენი ხარჯით ბარგი ბონში. თანახმა ხართ?

ქოსთერთმა თავისთვის რაღაც იანგარიშა, ჩაახველა და მითხრა:

— ორმოცდაათ მარკაზე მეტის გადახდას არ ვაპირებდი.

— კეთილი, — ვუთხარი მე, — მაშინ ტრამვით იმგზავრეთ და ეს ყველაფერი ორმოცდაათ მარკაზე ნაკლები დაგიჯდებათ. თანახმა ხართ?

მან კვლავ რაღაც დაიანგარიშა და მითხრა:

— არ შეგიძლიათ ბარგი ტაქსით წაიღოთ?

— არა, ვუპასუხე მე, — ფეხი ვიტკინე და ბარგის თრევის თავი არა მაქვს.

ეტყობა, ქოსთერთმა ქრისტიანული სინდისის ძლიერი ქენჯნა იგრძნო.

— ბატონო შნირ, — მითხრა ღმობიერად, — ვწუხვარ, რომ მე...

— როგორ გეკადრებათ, ბატონო ქოსთერთ, — ვუთხარი მე, — ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია დაგაზოგვინოთ ქრისტიანული საქმისათვის ორმოცდაათობმეტი თუ ორმოცდათექვსმეტი მარკა.

ბერკეტს ხელი დაუჭირე და ყურმილი აპარატის გვერდით დავდე — ქოსთერთი ისეთი ტიპი იყო, შეედლო კიდევ ერთხელ დაერეკა და კარგა ხანს ეყბედა. სჯობს, მარტო დარჩენილმა საკუთარ სინდისში მოაფათუროს ხელი.

ცუდად ვიყავი. დამავიწყდა მეთქვა, რომ მარტო მელანქოლია და თავის ტკივილი კი არა, კიდევ ერთი, თითქმის მისტიკური თვისებაც მაწუხებს: ტელეფონის მეშვეობით სუნსაც აღვიქვამ, ქოსთერთს კი აბების მოტკბო სუნი ასდიოდა. იძულებული ვაგზდი, წამომდგარიყავი და კბილები გამეხეხა. ფსკერზე დარჩენილი არყის წვეთები პირში გამოვიფლე, გრიმი გაჭირვებით მოვიცილე, ისევ ლოგინში ჩავწექი და დავიწყე ფიქრი მარიზე, პროტესტანტებზე და კათოლიკეებზე. წარმოვიდგინე მომაჯალი, ვფიქრობდი იმ წუმპაზეც, რომელმაც ოდესმე აუცილებლად აღმოვჩნდებოდი. როცა კლოუნი ორმოცდაათ

წელს მიატანს, მისთვის მხოლოდ ორი გზა არსებობს: ან წუმპე, ან სასახლე. სასახლეზე არ მიოცნებია, რადგან ორმოცდაათ წლამდე ოცდამდე წელზე მეტი მაქვს სათრევი.

კობლენცმა და მაინცმა რომ უარი შემომითვალეს, ცონერერი ამას „პირველ საგანგაშო“ საფეხურს დაარქმევდა. ჩემთვის კი მისწრება იყო, — დამავიწყდა მეთქვა, რომ კიდევ ერთი თვისება მაქვს: გულგრილობა. წუმპე ბონშიც ბევრია, თანაც განა ვინმემ დამიწესა, მაინცდამაინც ორმოცდაათ წლამდე მოიცადეო? მომაგონდა მარი, მისი ხმა, მკერდი, ხელები, თმა, მისი მოძრაობები და ყველაფერი ის, რასაც ერთად ვაკეთებდით. მომაგონდა ციუპფენერი, რომელსაც მარი ცოლად უნდა გაჰყოლოდა. ბავშვობაში ჩვენ საკმაოდ კარგად ვიცნობდით ერთმანეთს, ისე კარგად, რომ, როცა დავაჟკაცებულნი კვლავ შევხვდით, არც კი ვიცოდით, შენობით გველაპარაკა თუ თქვენობით. ორივე მიმართვა უხერხული გვეჩვენებოდა და, როცა ერთმანეთს ვხვდებოდით, უხერხულად ვგრძნობდით თავს. ვერ გამიგია, რაღა მაინცდამაინც მას მიეტმასნა მარი, მაგრამ, იქნებ, მართლაც არასოდეს „მესმოდა“ მარისი?

გავცოფდი, რაღა სწორედ ქოსთურთი გამოტყვერა და გამომარკვია ფიქრისგან. ძაღლივით ფხაჭნიდა კარს და ბოლოს მითხრა:

— მომისმინეთ, ბატონო შნირ, ექიმს ხომ არ გამოუძახო?

— მომწყდით თავიდან, — ვუყვირე მე, — შემოაცოცეთ კონვერტი კარის ქვეშ და წაბრძანდით სახლში.

როცა ქოსთურთმა კონვერტი კარის ქვეშ შემოაცოცა, საწოლიდან წამოვდექი, კონვერტი ავიღე და გავხსენი. კონვერტში აღმოჩნდა მეორე კლასის ბილეთი ბონაშიდან ბონამდე და ზუსტად ნანგარიშები ტაქსის ფული: ექვსი მარკა და ორმოცდაათი პფენიგი. იმედი მქონდა, ათ მარკამდე მაინც დაამრგვალებდა, და ვვარაუდობდი, რამდენი დამრჩებოდა, როცა პირველი კლასის ბილეთს ფასდაკლებით ჩავაბარებდი სალაროში და მეორე კლასის ბილეთს ვიყიდდი. ჩემი ანგარიშით ხუთ მარკას მაინც მოვიგებდი.

— ყველაფერი რიგზეა? — მომესმა გარედან.

— დიახ, — ვუპასუხე მე, — წაეთრიეთ აქედან, ბინძური ქრისტიანიო ჭიალუავ!

— როგორ გეკადრებათ? — შემომძახა მან.

— წაეთრიეთ! — ავღრიალდი მე.

სიჩუმე ერთ წამს თუ გაგრძელდა. შემდეგ გავიგონე, როგორ დაემ-
კა კიბეზე.

მიწის შვილები ზეცის შვილებთან შედარებით მარტო ჭკვიანები
კი არა, უფრო ადამიანურნიც და სულგრძელნიც არიან. არყისა და
სიგარეთისათვის რომ ცოტაოდენი ფული დამეზოგა, სადგურამდე
ტრამვაით წავედი. პანსიონატის დიასახლისმა იმ დეპეშის თანხაც
მიანგარიშა, წინა საღამოს მონიკა ზილესს რომ გავუგზავნე ბონში
— ქოსთერთმა არ ისურვა ამ დანახარჯის გადახდა. ასე რომ, სადგუ-
რამდე ტაქსისთვის მაინც არ მეყოფოდა ფული. დეპეშა მანამდე გა-
ვგზავნე, სანამ გავიგებდი, რომ კობლენცმა მიწვევაზე უარი მითხრა.
უარის თქმას მე თვითონ ვაპირებდი, მაგრამ იმათ დამასწრეს. ცოტა-
თი ესეც მაღიზიანებდა. აჯობებდა, მე თვითონ შემეთვალა დეპეშით
უარი: „მუხლი მაქვს მძიმედ დაშვებული. წარმოდგენას ვერ გავმარ-
თავ“. კიდევ კარგი, რომ მონიკას დეპეშა გავუგზავნე: „ზვალისათვის
დამახვედრეთ დალაგებული ბინა. გულითადი საღამო. პანსი“.

2

ბონში ყოველთვის ყველაფერი სხვაგვარად ხდებოდა. ამ ქალაქში
არასოდეს გამოვსულვარ სცენაზე. ბონში უბრალოდ ვცხოვრობდი
და ტაქსის რომ დავიჭერდი, სასტუმროში კი არა, საკუთარ ბინაში
მივყავდი. ჯობდა მეთქვა: ჩვენ მივყავდით, მარი და მე. ჩვენს სახლს
პორტიე არ ჰყავს, რომ სადგურის კონტროლიორში ამერიოს. მიუხე-
დავად ამისა, საკუთარი ჭერი, სადაც წელიწადში მხოლოდ სამი-
ოთხი კვირა თუ გამიტარებია, ჩემთვის ყველა სასტუმროზე უცხოა.
ბონში ჩასულმა ძლივს შევიკავე თავი, რომ ტაქსი არ მომეხმო. ეს
ჟესტი ისე მქონდა შესისხლხორცებული, რომ კინაღამ უხერხულ
მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ჯიბეში ერთი მარკალა მედო. გარეთ კი-
ბეზე გავჩერდი და ჯიბეები მოვიქექე, თუ მაქვს-მეთქი თან გასაღე-
ბები: სადარბაზოსი, ბინისა, საწერი მაგიდის უჯრისა, სადაც ველო-
სიპედის გასაღები დევს. დიდი ხანია ვფიქრობ, შევქმნა პანტომიმა
გასაღებებზე: ყინულის გასაღებების მთელი აცმა წარმოდგენის მს-
კვლელობაში თანდათან დნება.

ტაქსის ფული სწორედ მაშინ არ მქონდა, როცა ცხოვრებაში პირ-
ველად მართლა მჭირდებოდა ტაქსი. მუხლი გამისივდა. სადგურის
მოედანი გაჭირვებით გადავჭერი კოჭლობით და ფოსთითრასეზე შე-

ვუხვიე. ჩვენი ბინა სადგურიდან ორი წუთის სავალზეა, მაგრამ ახლა გზა უსასრულო მომეჩვენა. მცირე ხნით სიგარეტის ავტომატს მივეყრდენი და თვალი შევავლე იმ სახლს, რომელშიც ბაბუაჩემმა ბინა მაჩუქა. კოხტა ბინებს ლამაზად შეფერილი, მოპირკეთებული აივნები ამშვენებს. სახლი ხუთსართულიანია და ხუთივე სართულს ერთმანეთისაგან განსხვავებული აივნები აქვს, ღია ან მუქი ფერისა. მეხუთე სართულზე, სადაც ყველაფერი ჟანგისფერია, მე ვცხოვრობ.

შეიძლება, იმ წუთში სწორედ ჩემი ახალი პანტომიმა წარმოვიდგინე? გასაღები სადარბაზოს კარის ბუდეში შევაცურე და სულაც არ გამკვირვებია, რომ არ დადნა. შემდეგ ლიფტის კარი გავადე, მეხუთე ლილაკს თითი დავაჭირე და ოდნავ ხმაურით ზვეითკენ დავიძარი. ლიფტის ვიწრო ფანჯრიდან ვხედავდი დერეფნის ერთ ნაწილს, ხოლო დერეფნის ფანჯრიდან — მზით განათებული ძეგლის ზურგს, მოედანს და ეკლესიას, შემდეგ ისევ შავი მონაკვეთი და ბეტონის იატაკი მოჩანდა, ხოლო ცოტა მოგვიანებით, ოდნავ შეცვლილ რაკურსში, ისევ მზით განათებული ძეგლის ზურგი, მოედანი და ეკლესია გამოჩნდა. ასე განმეორდა სამჯერ, მეოთხე სართულიდან მხოლოდ მოედანი და ეკლესია ჩანდა, მეხუთე სართულზე ასულმა კი საკუთარი ბინის კარი გავადე და სულ არ გამკვირვებია, რომ კარი ადვილად გაიღო.

ჩემს ბინაში ყველაფერი ძალიან ჟანგისფერია: კარები, კაფელი, განჯინები. აქაურობას ძალიან მოუხდებოდა შავ ტახტზე წამოწოლილი მოჟანგისფრო-წითელ ხალათში გახვეული ქალი. შეიძლება, ასეთი ქალის ხელში ჩაგდება არც გამჭირვებოდა, მაგრამ მე მხოლოდ მელანქოლია, თავის ტკივილი, გულგრილობა და ტელეფონით სუნის აღქმის მისტიკური უნარი კი არა, ერთი საშინელი სენიც მაწუხებს — მონოგამიისადმი მიდრეკილება. ამქვეყნად არსებობს ერთადერთი ქალი, ვისთანაც შემიძლია იმის გაკეთება, რასაც მამაკაცები ქალებთან აკეთებენ. ეს ქალი არის მარი და მას შემდეგ, რაც მან მიმატოვა, ბერივით ვცხოვრობ. ეს კია: ბერი არა ვარ. ერთხელ აზრად მომივიდა, სოფელში წავსულიყავი და ჩემი ძველი სკოლის ერთ-ერთი მღვდლისათვის რჩევა მეკითხა, მაგრამ ყველა მღვდელს ადამიანი პოლიგამიურ არსებად მიაჩნია, ამიტომაც ექონდაგებიან ასე გულმოდგინედ ერთცოლიანობას. მე მათ აღბათ ურჩხული ვგონები და მათი რჩევა სხვა არაფერი იქნება, თუ არა ქარაგმული მითითება იმ სავანეზე, სადაც, როგორც ფიქრობენ, სიყვარული იყიდება. პრო-

ტესტანტებისაგან ჯერ კიდევ მოველი რაღაც საკვირველს — ქოსთერთმა მართლაც მოახერხა ჩემი გაცემა, მაგრამ კათოლიკეები ველარაფრით გამაკვირვებენ. ერთ დროს კათოლიციზმის მიმართ დიდი სიმპათიით ვიყავი განწყობილი, მაშინაც, ამ ოთხი წლის წინ მარიმ პირველად რომ მიმიყვანა „პროგრესულ კათოლიკეთა წრეში“. მარის გულით უნდოდა, გაეცნო ჩემთვის ინტელიგენტი კათოლიკეები. ცხადია, ფარული აზრიც ამოძრავებდა, იქნებ ერთ მშვენიერ დღეს რჯული შეიცვალოსო (ასეთი ფარული აზრი ყველა კათოლიკეს უტრიალებს თავში). ამ წრეში გატარებული პირველივე წუთები სამინელი იყო. მაშინ ოცდაორი წლისაც კი არ ვიყავი, კლოუნის ხელობას ვეუფლებოდი და შავი დღე მადგა — დილიდან დაღამებამდე ვვარჯიშობდი. იმ საღამოს დიდი სიხარულით ველოდი, ვარჯიშისაგან ქანცგაწყვეტილს იმედი მქონდა, რომ მხიარულად გვატარებდი დროს, მივეძალებოდი კარგ ღვინოს, შევექცეოდი გემრიელ კერძებს, შეიძლება, მეცეკვა კიდევ (ჩვენ ისე ხელმოკლედ ვცხოვრობდით, ღვინოც გვენატრებოდა და გემრიელი საჭმელიც), მაგრამ ყველაფერი სულ სხვანაირად მოხდა — ღვინო არ დაილეოდა, ხოლო საღამო... აბა, როგორ გითხრათ, დაახლოებით ასე წარმომიდგენია უნიათო პროფესორის სემინარი სოციოლოგიაში. ეს ყველაფერი არათუ დამქანცველი, ზედმეტად და არაბუნებრივად დამქანცველიც კი იყო. ჯერ ერთად ილოცეს, მე კი ამ დროს არ ვიცოდი, სად წამელო ხელები და როგორ დამემალა სახე. ჩემი აზრით, ურწმუნო კაცი ასეთ მდგომარეობაში არ უნდა ჩააყენო. მათ რომ მხოლოდ ჩვეულებრივი ლოცვა „მამაო ჩვენო“ ან „Ave Maria“ წამოეწყოთ, ჩემთვის ესეც საკმაოდ საჩოთირო იქნებოდა, რადგან პროტესტანტულად აღმზარდეს და მივეჩვიე, მარტო ვილოცო, როცა და სადაც მომეხასიათება. ისინი კი კითხულობდნენ კინკელის მიერ შეთხზულ პროგრამულ ტექსტს „და ჩვენ გვედრებით შენ, მოგვეც ძალა, რათა განურჩევლად მიეუზღოთ საკადრისი დამკვიდრებულსაც და აღმჯალსაც“ და ასე შემდეგ. ბოლოს გადავიდნენ საღამოს თემაზე „სიღატაკე იმ საზოგადოებაში, სადაც ვცხოვრობთ“. ასეთი საშინელი საღამო ჩემს ცხოვრებაში იშვიათად მქონია. ვერ გამიგია, რატომ უნდა იყოს რელიგიურ თემაზე საუბარი ასე დამქანცველი. ვიცი, ძნელია ირწმუნო ასეთი რელიგია, მკვდრეთით აღდგომა და მარადიული არსებობა. ყოველივე ეს ძნელი დასაჯერებელი უნდა იყოს. მარი ხშირად მიკი-

თხავდა ბიბლიას. მოგვიანებით კიერკვეორის კითხვაც კი დავიწყე (დამწყები კლოუნისათვის სასარგებლო საკითხავია). მართალია გამიძნელდა, მაგრამ არ დაუქანცულვარ. არ ვიცი, იქნებ, არიან ადამიანები, რომლებიც პიკასოს ან კლექს სურათებს პაწია სუფრებზე ქარგავენ, მაგრამ იმ საღამოს ისე მომეჩვენა, თითქოს ეს პროგრესული კათოლიკეები თომა აქვინელის, ფრანცისკ ასიზელის, ბონავენტურას და პაპი ლეო XIII-ის ნააზრევისაგან იქსოვდნენ თეძოებზე შემოსახვევ ზვრებს, რაც, ცხადია, მათ სიშიშვლეს ვერ ფარავდა, რადგან (ჩემ გარდა) დამსწრეთაგან არავის ჰქონდა ათას ხუთას მარკაზე ნაკლები თვითური შემოსავალი. თვითონაც ისე უხერხულად გრძნობდნენ თავს, რომ ბოლოს ცინიზმსა და სნობიზმს ამოეფარნენ. გამონაკლისს მხოლოდ ციუპფენერი წარმოადგენდა; იგი ისე გააწამა მთელმა ამ ამბავმა, რომ სიგარეტიც კი მთხოვა. მის ცხოვრებაში ეს იყო პირველი სიგარეტი, რომელსაც უძწეოდ აბოლებდა და მე შევამჩნიე, რომ უხაროდა, როცა კვამლი სახეს უფარავდა. მარის მდგომარეობა მაწუხებდა, რადგან გაფითრებული იჯდა და თრთოდა, ხოლო კინკელი ამ დროს ანეკდოტს ჰყვებოდა: ერთი კაცი თურმე თვეში ხუთას მარკას იღებდა და არა უშავდა რა, თავი გაჰქონდა. ცოტა ხნის შემდეგ ათასი მარკა დაუნიშნეს. შეამჩნია, რომ ცხოვრება გაუჭირდა. ხოლო როცა მისმა შემოსავალმა ჯერ ორი ათას მარკას მიაღწია, ბოლოს კი სამი ათასამდე ავიდა, ისევ აწყო ცხოვრება. კინკელმა თავისი ბრძნული გამოცდილება შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „თუ თვეში ხუთას მარკამდე იღებ, არაფერი გიჭირს, ხუთასიდან სამი ათას მარკამდე კი დიდ სიღუბნურს განიცდი“. კინკელმა ვერც კი შეამჩნია, რა ჩაიდინა: ბევრს ლაყობდა, წეოდა მსხვილ სიგარას, ხშირად მიჰქონდა პირთან ღვინით სავსე ჭიქა, სანსლაჟდა ყველიან კვერებს და ყოველივე ამას ოლიმპიური სიმშვიდით აკეთებდა. ბოლოს მისმა საქციელმა წრის სულიერი მოძღვარი პრელატი ზომერვილდიც კი შეამფოთა. იგი შეეცადა საუბრის თემა შეეცვალა. ზომერვილდმა, მგონი, ხელჩასაჭიდი სიტყვა „რუაქცია“ შეაპარა და კინკელი მაშინვე წამოვეო ანკესზე. აიწყვიტა, გაცოფდა, გაახურა მოხსენება იმაზე, რომ თორმეტი ათასად ღირებული ავტომანქანა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ოთხათასხუთასიანი და შუა ლაპარაკში გაჩუმდა. ამჯერად მისმა ცოლმაც კი, რომელიც ქმარს აღმერთებდა და უნაკლოდ მიაჩნდა, შვებით ამოისუნთქა.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა საკუთარ ბინაში თავი თითქმის კარგად ვიგრძენი. აქ სითბო და სისუფთავე სუფევდა. როცა პალტო საკიდზე დაკიდე და გიტარა კუთხეში მივაყუდე, გავიფიქრე, ბინა იქნებ ცოტა მეტს ნიშნავს, ვიდრე თავის მოტყუება-მეთქი. ერთ ადგილას ფეხის მოკიდება მიჭირს. ეს, ალბათ, ასე იქნება ყოველთვის. ამ მხრით მარი ჩემზე უარესია, მაგრამ მაინც არჩია, საბოლოოდ სხვის ბუდეში მოკალათებულიყო. არადა, ისეთი დროც მახსოვს, თუ ერთ კვირაზე მეტხანს მიწვედა რომელიმე ქალაქში გამოსვლა, მარი აწრიალდებოდა ხოლმე.

მონიკა ზილვსს ახლაც ისეთი გულისხმიერება გამოეჩინა, როგორც ყოველთვის, როცა კი დეპეშას ვუგზავნიდით: საზღმმართველისათვის გასაღები გამოერთმია, ყველაფერი დაესუფთაებინა, საერთო ოთახში ყვავილები დაედგა, მაცვიარი ნაირ-ნაირი სურსათ-სანოვაგით გამოვესო, სამზარეულოს მაგიდაზე დაფქული ყავით საესე კოლოფი იდო, მის გვერდით — კონიაკის გაუნსნელი ბოთლი. საერთო ოთახში სიგარეტები დამხვდა მაგიდაზე, ხოლო ყვავილების გვერდით ანთებული სანთელი იღვენთებოდა. მონიკა ზოგჯერ უჩვეულოდ მგრძნობიარეა, შეუძლია სენტიმენტალურიც კი იყოს და ამის გამო ხანდახან გემოვნება დალატობს. მაგიდაზე დადგმულ სანთელს ხელოვნური ნაღვენთი ჰქონდა, რაც, ცხადია, ვერ დააკმაყოფილებდა „კარგი გემოვნების დამცველი კათოლიკური წრის მოთხოვნებს“. ეტყობა, ამ ფაციფუცში სხვა სანთელს ვერ მიაგნო ან ძვირი, გემოვნებით შერჩეული სანთლის საყიდლად ფული არ ეყო. უეცრად ვიგრძენი, რომ სწორედ ამ უგემოვნო სანთლის გამო ჩემი სინაზე მონიკა ზილვსისადმი იმ ზღვარს უახლოვდებოდა, რომლის გადალახვის საშუალებას არ მაძლევს ჩემი აზბედითი მიდრეკილება მონოგამიისადმი. კათოლიკური წრის სხვა წევრები ვერასოდეს გაბედადნენ, უგემოვნობა ან ზედმეტი მგრძნობიარობა გამოეჩინათ. დიახ, ისინი თავიანთ სისუსტეს არასოდეს გამოამჟღავნებენ და თუ რამე შეეშლებათ, ურჩევნიათ ზნეობის სფეროში შეცდნენ, ვიდრე უგემოვნონი აღმოჩნდნენ. ჩემს ბინაში ჯერ კიდევ იდგა მონიკას სუნამოს სურნელება, მისთვის მეტისმეტად მძაფრი და მოღური. ამ ნაზავს მგონი „ტაიგა“ ჰქვია.

მონიკას ნაყიდი სიგარეტი მონიკას სანთელზე მოეუკიდე, სამზა-

რეულოდან კონიაკი გამოვიტანე, წინკარიდან კი ტელეფონის წიგნი და ყურმილი ავიღე. მონიკამ იმაზეც იზრუნა, რომ ტელეფონი ჩართული ყოფილიყო. ზუმერის წკრიალი უსასღვროდ ფართო გულის ძგერად მომეჩვენა. იმწამს ეს ხმა უფრო მიყვარდა, ვიდრე ზღვის დელვა, ქარიშხლის სუნთქვა ან ლომის ბრდღვინვა. ამ მკვეთრ ბგერებში ჩატეულიყო მარის ხმაც, ლეოს ხმაც და მონიკას ხმაც. ყურმილი ნელა დავდე. ეს ერთადერთი იარაღიდა დამრჩა და მალე გამოვიყენებდი კიდევ. შარვლის მარჯვენა ტოტი ავიკეცე და დაშავებული მუხლი შევათვალიერე. მუხლი მსუბუქად მქონდა დაბეჭილი, ოდნავ შეშუპებულიყო. კონიაკი დიდ ჭიქაში ჩავასხი, ნახევრამდე დავცალე და დანარჩენი მტკივან მუხლზე დავისხი. შემდეგ კოჭლობით გავფიქრი საშხარეულოში და კონიაკი მაცვიარში შევდგი. მხოლოდ ახლა გამახსენდა, რომ ქოსთერთმა მაინც არ მომიტანა დათქმული არაყი. ალბათ, იფიქრა, პედაგოგიური თვალსაზრისით, ასე აჯობებსო, და ამით პროტესტანტულ ეკლესიას შვიდი მარკა დაუზოგა. გადავწყვიტე, დამერეკა მისთვის და ამ თანხის გამოგზავნა მომეთხოვა. ძაღლის ნაშობი ასე იოლად არ უნდა დამძროძოდა ხელიდან. ესეც რომ არა, ფული მჭირდებოდა. ხუთი წლის განმავლობაში გაცილებით მეტ ფულს ვშოულობდი, ვიდრე უნდა დამხარჯოდა და მაინც შემომეღია. ცხადია, როგორც კი მუხლი მომიჩხვებდა, ისე როგორ წაუხდები, პამპულაობაში ოცდაათი-ორმოცდაათი მარკა არ მომცენ. ჩემთვის სულერთია, სად მომიწევს გამოსვლა — უხეირო დარბაზებში მაყურებელი უფრო სიმპათიურიც კია, ვიდრე ვარიეტეტებში. მაგრამ დღეში ოცდაათი-ორმოცდაათი მარკა მეტისმეტად ცოტაა, ხოლო იაფფასიანი სასტუმროების ოთახები — მეტისმეტად პატარა. რეპეტიციის დროს მაგიდებსა და კარადებს ვეჯახები. თანაც, მე თუ მკითხავთ, არც აბაზანაა ფუფუნება და ტაქსიც არ არის მფლანგველობა ისეთი კაცისათვის, ხუთ ჩემოდანს რომ დაათრევს თან.

მაცივრიდან კონიაკი გამოვიღე და ერთი ყლუპი პირდაპირ ბოთლიდან მოვსვი. ლოთი არა ვარ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მარიმ მიმატოვა, ალკოჰოლი შევბას მგვრის. გარდა ამისა, უფულობასაც გადავეჩვიე და ის ამბავი, რომ ჯიბეში ერთი მარკა მედო და უახლოეს მომავალში ამ თანხის მნიშვნელოვნად გაზრდის არავითარი იმედი არ მქონდა, ამკარად მანერვიულებდა. ერთადერთი ნივთი, რომლის გაყიდვაც შემიძლო, ველოსიპედი იყო, მაგრამ თუ მოხეტიალე ჯამ-

ბაზობას მოვკიდებდი ხელს, ველოსიპედი ძალიან გამომადგებოდა, მიხსნიდა ტაქსისა და მატარებლის ხარჯისაგან. ბინის მფლობელიც იმ პირობით ვიყავი, რომ მისი არც გაყიდვა შეემძლო და არც გაქირავება. თავს ძალა დავატანე, კონიაკი რომ არ დამეღია, საერთო ოთახში გავედი და ტელეფონის წიგნი გადავშალე.

4

დავიბადე ბონში. ამ ქალაქში უამრავ ხალხს ვიცნობ. მათ შორის არიან ნათესაუბი, ნაცნობები, სკოლის ამხანაგები. აქვე ცხოვრობენ ჩემი მშობლები და ჩემი ძმა ლეო, რომელმაც ციუპფენერის ზეგავლენით რჯული შეიცვალა, გაკათოლიკდა და ახლა თეოლოგიას სწავლობს. აუცილებლად უნდა მოვინახულო მშობლები, თუნდაც იმისათვის, რომ ჩემი ფინანსური საქმეები მოვაგვარო. თუმცა ამ საქმის მოგვარება შემიძლია ვეჭილს დავავალო. ეს საკითხი ჯერ კიდევ გადასაწყვეტია. მას შემდეგ, რაც ჩემი და ჰენრიეთე დაიღუპა, მშობლები ჩემთვის აღარ არსებობენ. ჰენრიეთეს სიკვდილის დღიდან ჩვიდმეტი წელი გავიდა. ომი ის-ის იყო მთავრდებოდა. ჰენრიეთე, მშვენიერი, ქერა გოგონა, მაშინ თექვსმეტი წლისა იყო და ბონსა და რემაგენში ჩოგბურთის საუკეთესო მოთამაშედ ითვლებოდა. იმ დროს ახალგაზრდა ქალიშვილებს მოუწოდებდნენ, ნებაყოფლობით ჩაწერილიყვნენ საზენიტო სამხედრო ნაწილებში და ჰენრიეთეც ჩაწერა. ეს მოხდა 1945 წლის თებერვალში. ყველაფერი ისე სწრაფად და დაუბრკოლებლად მოგვარდა, რომ მე ვერაფერს მივხვდი. სკოლიდან მომავალი, კიოლნის ქუჩაზე გადავედი და უეცრად ბონისაკენ დაძრულ ტრამვაიში ჰენრიეთე დავინახე. მან გამიცინა და ხელი დამიქნია. მეც გაუუცინე. ჰენრიეთეს ზურგზე ჩანთა ეკიდა, თავზე ლამაზი, მუქი ლურჯი ქუდი ეხურა და თბილი, საყელოზე ბეწვშემოგლებული ზამთრის პალტო ეცვა. არასოდეს მინახავს, ჰენრიეთეს რომ თავზე რამე ხურებოდა, ქუდის დაზურვავზე ყოველთვის უარს ამბობდა. ქუდმა ძალიან შეცვალა, ახალგაზრდა ქალს ჰგავდა. ექსკურსიაზე თუ მიდის, გავიფიქრე ჩემთვის, თუმცა ექსკურსიისათვის აშკარად შეუფერებელი დრო იყო. მაგრამ მაშინდელი სკოლებისაგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. მასწავლებლები თავშესაფარშიც კი ცდილობდნენ შეესწავლებინათ ჩვენთვის არითმეტიკის სამთა წესი იმ დროს, როცა ჩვენს სმენამდე ქვემეხების სროლის ხმა აღწევდა, ხოლო მასწავლე-

ბელი ბრიული გვამღერებდა, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „სათნოებით სავსე ეროვნულ სიმღერებს“ და ასეთებად მიაჩნდა „გიმზერს დიდებით მოსილი სახლი“ და „აღმოსავლეთით ვხედავ განთიადს“. დამდამობით, როცა ნახევარი საათით სიჩუმე დაისადგურებდა, იტალიელი სამხედრო ტყვეების (სკოლაში აგვისხნეს, ახლა რატომ აღარ იყვნენ იტალიელები ჩვენი მოკავშირეები და რატომ ვაძუშავებდით დატყვევებულებს, მაგრამ დღემდე ვერ გამოგია, რატომ), რუსი ტყვეების, ტყვე ქალებისა და გერმანელი ჯარისკაცების ფეხის ხმა მესმოდა. მთელი ღამე ისმოდა მწყობრი ნაბიჯების ხმა. დანამდვილებით არაუინ იცოდა, რა ხდებოდა.

მე მართლაც ისე მომეჩვენა, თითქოს ჰენრიეთე სკოლიდან ექსკურსიაზე მიჰყავდათ. მათგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. ზოგჯერ, როცა განგამიდან განგამამდე საკლასო ოთახებში ვისხედით და ფანჯრიდან თოფის სროლის ხმა მკაფიოდ გვესმოდა, თუ შეშინებულნი ფანჯრისაკენ მივაბრუნებდით თავს, მასწავლებელი ბრიული გვეკითხებოდა, თუ იცით, ეს რას ნიშნავსო. ჩვენ ეს რახანია ვიცოდით, ზევით, ტყეში კვლავ ხვრეტდნენ დეზერტირებს.

— ეს დღე ელის ყველას, ვინც გაბედავს და უარს იტყვის წმიდათაწმიდა გერმანული მიწის დაცვაზე ებრაელი იანკებისაგან, — გვეუბნებოდა ბრიული (ამას წინათ კიდევ ერთხელ შევხვდი უკვე დაბერებულ, გაჭადარავებულ ბრიულს, რომელიც ახლა პედაგოგიური აკადემიის წევრია და იცნობენ, როგორც „უმწიკვლო პოლიტიკური წარსულის მქონე პირს“, აქაოდა, არასოდეს ყოფილა ნაცისტური პარტიის წევრიო).

კიდევ ერთხელ დავუქნიე ხელი მიმავალ ტრამვაის, რომელშიც ჰენრიეთე იჯდა და ჩვენი პარკის გაუღით სახლისაკენ გაეწიე. ჩემი მშობლები და ლეო მაგიდას შემოსხდომოდნენ. სადილად ორი კერძი გვქონდა: წვნიანი და კარტოფილი საწებლით, ხოლო დესერტად თითო ვაშლი. მხოლოდ დესერტის დროს ვკითხე დედას, ჰენრიეთეს სკოლამ ექსკურსიაზე საით გასწია-მეთქი? დედას გაეცინა და მითხრა:

— ექსკურსია? რა სისულელეს ამბობ: ჰენრიეთე იმისათვის წავიდა ბონში, რომ საზენიტო სამხედრო ნაწილში ჩაეწეროს. ასე სქლად ნუ თლი ვაშლს. შემომხედე, ჩემო ბიჭიკო! — მან ჩემი თეფშიდან ნათალი აიღო, მოციცქნა და თავისი ხელმომჭირნეობის ნაყოფი, ვაშ-

ლის სიფრიფანა ნაჭრები პირისკენ წაიღო. მე მამას შევხედე, მაგრამ მამა თეფშს დასწერებოდა და ხმას არ იღებდა. ლეოც ჩუმი იჯდა. მხერა ისევ დელაზე გადავიტანე და მაშინ მან ლმობიერი, ნაზი ხმით მოთხრა:

— ერთი რამ უნდა გესმოდეს: იმისათვის, რომ გერმანიის წმინდა მიწიდან ებრაელი იანკები განვდევნოთ, თავისი ვალი ყველამ უნდა მოიხადოს.

დედამ ისე გადმომხედა, ელდა მეცა, ხოლო როცა ლეოსაც ასევე შეხედა, მომეჩვენა, სადაცაა ჩვენც უყოყმანოდ გაგვგზავნის-მეთქი ბრძოლის ველზე ებრაელი იანკების წინააღმდეგ საბრძოლველად.

— ჩვენი წმინდა გერმანული მიწა, — დასძინა მან, — ისინი უკვე ეიფელის შუაგულში შემოიჭრნენ.

სიცილის გუნებაზე დაუდექი, მაგრამ უნებურად ცრემლი წამსკდა. ხილის დანა მოვისროლე და ჩემს ოთახში გავიქეცი. შიშმა შემიპყრო. ისიც ვიცოდი, რისიც მეშინოდა, მაგრამ ამის გამოხატვას ვერ ვახერხებდი და როცა ის წყეული ვაშლის ნათალი მაგონდებოდა, ბოლმა მახრჩობდა. გავცქეროდი ჩვენი ბაღის ჭუჭყიანი თოვლით დაფარულ გერმანულ მიწას, რაინს, მტირალა ტირიფების მიღმა აღმართულ შვიდ მთას და მთელი ეს დეკორაცია საშინელ უაზრობად მეჩვენებოდა. ერთხელ მეც კი ვნახე რამდენიმე „ებრაელი იანკი“, ვენუს-ბერგიდან საბარგო მანქანებით ქვევით ჩამოიყვანეს ბონის შესაკრებ პუნქტში: გათოშილი, შეშინებული ახალგაზრდები საცოდავად გამოიყურებოდნენ. თუკი საერთოდ რაიმე ასოციაციას იწვევდა ჩემში ებრაელი, უფრო იტალიელებს ვამსგავსებდი, ისინი ამერიკელებთან შედარებით იმდენად უფრო გათოშილნი და დაღლილნი ჩანდნენ, რომ შიშის თავიც კი აღარ ჰქონდათ. ჩემი საწოლის გვერდით მდგარ სკამს ფეხი ვკარი და რადგან არ წაიქცა, კიდევ ერთხელ ვუთავაზე წიხლი. ბოლოს, როგორც იქნა, სკამი წაიქცა და პატარა მაგიდის შუშა გატეხა. ლურჯქუდიანი და ზურგჩანთიანი ჰენრიეთე აღარ დაბრუნებულა და ჩვენ დღემდე არ ვიცით, სად არის დამარხული. როცა ომი დამთავრდა, ჩვენთან ვილაც მოვიდა და გვითხრა: „ლევერკუზენტან ბრძოლაში დაეცა“.

როცა წარმოვიდგენ, რომ მურა ნახშირის მომპოვებელი საზოგადოების აქციების დიდი ნაწილი ჩვენი ოჯახის ორი თაობის ხელშია, წმინდა გერმანული მიწისათვის დრტვინვა სასაცილო მეჩვენება.

აგერ უკვე სამოცდაათი წელია, რაც შნირები ქვანახშირს იღებენ, ხელს ითბობენ, წმინდა გერმანული მიწა კი იძულებულია, ეს მოითმინოს. სოფლები, ტყეები, ციხე-დარბაზები ექსკავატორებისაგან ისე ინგრევა, როგორც იერიქონის კედლები.

მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გავიგე, ვის შეეძლო ჰქონოდა „ებრაელ იანკებზე“ საავტორო უფლების პრეტენზია — ჰერბერთ ქალიკს, თორმეტი წლის ლაწირაკს, ჩემს ფიურერს იუნგფოლკში. დედაჩემმა მას სულგრძელად დაუთმო ჩვენი პარკი, სადაც ყველას უნდა შეგვესწავლა ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული ხელყუმბარების ხმარება. ყუმბარის სროლას ჩემი რვა წლის ძმა ლეოც სწავლობდა. ერთხელ იმასაც მოკვარი თვალი, როგორ მიაბიჯებდა ჩოგბურთის მოედნის გასწვრივ მხარზე გადებული სასწავლო ხელყუმბარით. ამ დროს ისეთი სერიოზული სახე ჰქონდა, როგორიც მხოლოდ ბავშვებს შეიძლება ჰქონდეთ. გავაჩერე და ვკითხე:

— აქ რას აკეთებ?

ლეომ მომაკვდინებელი სერიოზულობით მიპასუხა:

— მინდა ვერვოლფი გავხდე, შენ არა?

— როგორ არა, — ვუპასუხე და მასთან ერთად გავემართე ტირი-საკენ, სადაც ჰერბერთ ქალიკი სწორედ იმ დროს ჰყვებოდა, როგორ მიიღო ერთმა ათი წლის ბიჭმა პირველი ხარისხის რკინის ჯვარი შორეულ სილენიაში, სადაც მან ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარებით სამი რუსული ტანკი მოსპო. ერთ-ერთმა ბიჭმა ჰკითხა, რა ერქვაო იმ გმირს და უეცრად მე წამოვიძახე:

— რიუბეცალი!¹

ბრაზისაგან სახეგაფითრებულმა ჰერბერთ ქალიკმა მიყვირა:

— ბინძურო დეზერტირო!

მე დავიხარე და ჰერბერთს სახეში მთელი მუჭა ნაცარი შევავარე. ყველა მე მეცა, მხოლოდ ლეო იდგა განზე, ტიროდა და არ მეხმარებოდა. შეშინებულმა, ჰერბერთს პირში მივახალე:

— ნაცისტო ღორო!

ეს სიტყვები რკინიგზის გადასასვლელთან წავიკითხე, შლაგბაუმზე. ზუსტად არ მესმოდა, რას ნიშნავდა, მაგრამ იმწამს ისეთი გრძნობა მქონდა, რომ დროულად გამოვიყენე. ჰერბერთ ქალიკმა თანამ-

¹ რიუბეცალი (გერმ. მით.) — მთის სული, ჯუჯებისა და ქვესკნელის მუფფე.

დებობა შეიშნო, ცემა-ტყეპას ბოლო მოუღო, მე დამაპატიმრა და სანამ ჩემს შშობლებს, მასწავლებელ ბრიულსა და პარტიის ერთ-ერთ წარმომადგენელს მოიყვანდა, ტირის ფარდულში ჩამკეტა, სადაც სამიზნეები და საჩვენებელი ჯოხები ყვარა. სიმწრისაგან ვღმუოდი, სამიზნეებს ფეხით ვთელავდი და გარეთ ყარაულად დაყენებულ ბიჭებს გაუძახოდი: „ნაცისტო ღორებო!“ ერთი საათის შემდეგ ჩვენს სახლში შემათრიეს და დაკითხვა დამიწყეს. მასწავლებელ ბრიულს ძლივს აკაუებდნენ:

— მოუსპოთ, გააცამტვეროთ!

დღემდე არ ვიცი, იგი ჩემს ფიზიკურ მოსპობას გულისხმობდა, თუ ზნეობრივად გაცამტვერებას. ისტორიული ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, ერთ მშვენიერ დღეს წერილს მივწერ პედაგოგიურ აკადემიას და ვთხოვ, ეს საკითხი განმიმარტოს. უფრო გონივრულად იქცეოდა პარტიის წარმომადგენელი, ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მოადგილე ლიოვენიჰი, რომელიც ყველას ეუბნებოდა:

— ანგარიში გაუწიეთ იმას, რომ ბიჭი ჯერ თერთმეტი წლისაც არ არის.

მისმა ქცევამ იმდენად დამამშვიდა, რომ პასუხიც კი გავეცი კითხვაზე, საიდან იცი ეს საშინელი სიტყვებიო.

— ანაბერგერშერშორასესთან რომ შლაგბაუმი, იმაზე წავიკითხე.

— იქნებ, ვინმემ გასწავლა? — მკითხა მან, — იმის თქმა მინდა, ვინმეს პირიდან ზომ არ გაიგონე?

— არა, — ვუპასუხე მე.

— ბიჭმა არც კი იცის, რას ამბობს, — თქვა მამამ და მხარზე ხელი დამადო. ბრიულმა ჯერ ბოროტად შეხედა მამას, შემდეგ კი დამფრთხალმა გადახედა ჰერბერთ ქალიკს — მამას ქცევა ჩემდამი მხარდაჭერად მიიჩნია. ატირებულმა დედაჩემმა კი თავისი ნაზი, სულელური ხმით თქვა:

— თვითონ არ იცის, რას სჩადის, მართლა არ იცის, თორემ ნამდვილად ხელს ავიღებდი მასზე.

— ნეტავ, მართლა აიღებდა ხელს? — ვთქვი მე.

მთელი ეს ამბავი ხდებოდა ვეებერთელა საერთო ოთახში, სადაც დგას შეფერილი მუხის ავეჯი, მძიმე, სარკეებიანი წიგნის კარადები, მუხის პანელით მოპირკეთებული კედლების გასწვრივ დამაგრებულ

თაროზე ბაბუაჩემის სამონადირეო ნადავლი და თასები ალაგია. ეი-ფელიდან, რომელიც ოციოდე კილომეტრითაა დაშორებული ჩვენგან, ქვემეხების სროლის ხმა და შიგადაშიგ ტყვიამფრქვევების კაკანიც მესმოდა. ქერა, გაფითრებული ჰერბერთ ქალიკი, რომელსაც სახეზე ფანატიზმი ქწერა, პროკურორის მოვალეობას ასრულებდა, მოკაკულ თითებს გაუჩერებლად აკაკუნებდა სერვანტზე და მოითხოვდა:

— სიმკაცრე, სიმკაცრე, უღმობელი სიმკაცრეა საჭირო!

განაჩენი ასეთი გამომიტანეს: ჰერბერთის ზედამხედველობით პარკში ტანკსაწინააღმდეგო სანგარი უნდა გამეთხარა. შნირების ტრადიციული სადილის შემდეგ გერმანული მიწის თხრას შეეუდექი, თუმცა საკუთარი ხელით მიწის თხრა შნირების ტრადიციას ეწინააღმდეგებოდა. სანგარს ვთხრიდი ბაბუაჩემის საყვარელი ვარდის ბუჩქების გარდიგარდმო, აპოლონ ბელვედერელის ქანდაკების ასლის მიმართულებით და წინასწარ მახარებდა ის წამი, როცა ჩემს გულმოდგინე თხრას მარმარილოს ქანდაკება მსხვერპლად შეეწირებოდა. მაგრამ ჩემი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. იგი შეიწირა პატარა, ჭორფლიანმა ბიჭუნამ, რომელსაც გეორგს ეძახდნენ — შემთხვევით ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა ხელში გაუსკდა, თვითონაც აფეთქდა და აპოლონიც ააფეთქა. ჰერბერთ ქალიკმა ეს უბედური შემთხვევა ლაკონიურად განმარტა:

— საბედნიეროდ, გეორგი ობოლი იყო.

5

ტელეფონის წიგნიდან იმ ხალხის ნომრები ამოვიწერე, ვისთანაც დარეკვა მომიწევდა: მარცხნივ ჩამოვწერე იმათი გვარები, ვისგანაც შემემძლო ფული მესესხა: კარლ ემონდსი, ჰაინრიჰ ბელენი. ორივე ჩემი სკოლის ამხანაგია, ერთი ოდესღაც თეოლოგიას სწავლობდა და ახლა გიმნაზიის მასწავლებელია, ხოლო მეორე — კაპელანი. მათ შემდეგ მოდიოდა ბელა ბროზენი, მამაჩემის საყვარელი. მარჯვენა მხარეს ჩამოვწერე იმათი სია, ვისაც უკიდურეს შემთხვევაში ვთხოვდი ფულს: ჩემი მშობლები, ლეო (ლეოსათვის ყოველთვის შემემძლო მეთხოვა ფული, მაგრამ არასოდეს აქვს, რადგან თუ რამე აბადია, ყველას ურიგებს), კათოლიკური წრის წევრები: კინკელი, ფრედებოილი, ბლოთერტი, ზომერვილდი. ამ ორ სვეტს შორის ჩა-

ვწერე მონიკა ზილვსი და მისი სახელი ლამაზ მარყუქში ჩავსვი. კარლ ემონდისათვის დეპეშმა უნდა გამეგზავნა და მეთხოვა, თვითონ დაერეკა ჩემთან, რადგან ტელეფონი არა აქვს. ყველაზე ადრე სიამოვნებით დაუურეკავდი მონიკას, მაგრამ იძულებული ვარ, ყველაზე ბოლოს დაუურეკო, ჩვენი ურთიერთობა ისეთ სტადიაშია, როცა ადამიანის არად ჩაგდება ფიზიკურადაც და მეტაფიზიკურადაც უზრდელობად ითვლება. ამ მხრივ მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდი. მას შემდეგ, რაც მარი „მეტაფიზიკურმა შიშმა“ შეიპყრო (ეს მისი სიტყვებია) და გამექცა, ჩემდა უნებურად, ბერივით ვცხოვრობ, რადგან ჩემს მონოგამურ ბუნებას ვერაფერი მოუხერხე. გულწრფელად რომ ვთქვა, ბოხუში განგებ წავიფორხილე და მუხლით დავეცი, მინდოდა დაწყებული ტურნე შემეწყვიტა და ბონში ჩამოვსულიყავი. არაადამიანურად მტანჯავდა ის, რასაც მარის რელიგიურ წიგნებში შეცდომით „ხორციელი ჟინი“ ჰქვია. მონიკა ისე ძალიან მიყვარდა, არაფრით შემეძლო მომეკლა მასთან სხვა ქალის ნდომით გამოწვეული ჟინი. უხეში გამოთქმა იქნებოდა, რელიგიურ წიგნებში რომ დაეწერათ „ნდომა ქალისა“, მაგრამ „ხორციელ ჟინს“ ბევრად აჯობებდა. არ ვიცი, რას ვუწოდო ხორცი, თუ არა იმას, საყასბოში რომ კიდა, თუმცა მთლად ხორცი არც ის არის. საკმარისია წარმოვიდგინო, მარი იმასვე აკეთებს ციუპფენერთან, რაც მხოლოდ ჩემთან უნდა გაეკეთებინა, და მელანქოლიას სასოწარკვეთილებამდე მივყავარ.

დიდხანს ვყოყმანობდი, მომეძებნა თუ არა ციუპფენერის ტელეფონის ნომერი, მაგრამ ბოლოს მაინც ვიპოვე და იმათთან ჩავწერე, ვისგანაც ფულის სესხებას არ ვაპირებდი. მარი ფულს მაშინვე მომცემდა, მომცემდა ყველაფერს, რაც კი გააჩნდა. მით უმეტეს, თუ გაიგებდა, რომ ამ ხნის განმავლობაში ხელი მეცარებოდა, ცხადია, მოვიდოდა და დამეჭმარებოდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ მარტო არ მოვიდოდა. ექვსი წელი დროის დიდი მონაკვეთია. არა, მარის არაფერი ესაქმება ციუპფენერის სახლში და მის ლოგინში. რატომ უნდა საუზმობდნენ ერთად, ერთ სუფრასთან? ერთი პირობა ისიც კი გადაუწყვიტე, მარისათვის მებრძოლა, მაგრამ ეს სიტყვა ჩემთვის რაღაც ფიზიკურთანაა დაკავშირებული — სასაცილო იქნებოდა ციუპფენერისათვის ჩხუბი გამემართა. მარი ჯერ კიდევ არ იყო ჩემთვის მკვლარი. აი, დედაჩემი კი ნამდვილად მკვლარი იყო. მწამს, ზო-

გიერთი ცოცხალი მკვდარია, ზოგიერთი მკვდარი კი ცოცხალი, მაგრამ არა იმ აზრით, როგორც ეს პროტესტანტებსა და კათოლიკეებს სწამთ. ჩემთვის ის ბიჭი, გეორგი რომ ერქვა და ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარასთან ერთად აფეთქდა, უფრო ცოცხალია, ვიდრე დედაჩემი. აპოლონის ქანდაკების წინ გაშლილ მდელიოზე ცხადად ვხედავ ჭორფლიან, მოუქნელ ბიჭს, რომელსაც ჰერბერთ ქალიკი უყვირის: „ასე კი არა, აი, ასე“... მესმის ყუმბარის აფეთქების ხმა, აქა-იქ წამოკივლება, უმეტესობას არც წამოუკივლია, მერე კი ქალიკის შენიშვნა: „საბედნიეროდ, გეორგი ობოლი იყო“. მესმის ის სიტყვებიც, ნახევარი საათის შემდეგ, სავანშმოდ გაწყობილ სუფრასთან დედამ ლეოს რომ უთხრა:

— შვილო, შენ ამ იარაღს იმ ჩერჩეტ ბიჭზე უკეთ ხომ მოიხმარ!

ლეომ თავი დაუქნია. მამამ მე გადმომხედა, მაგრამ თავისი ათი წლის ვაჟის თვალბში სანუგეშო ვერაფერი იპოვა.

მას შემდეგ გავიდა დრო, დედაჩემი აკერ უკვე რამდენი წელია „რასობრივ წინააღმდეგობათა მომრიგებელი საზოგადოებების“ ცენტრალურ კომიტეტს თავმჯდომარეობს. ზოგჯერ ანა ფრანკის სახლში მიემგზავრება, ხოლო თუ შემთხვევა მიეცა — ამერიკაშიც, სადაც ქალთა კლუბებში სიტყვას წარმოთქვამს გერმანელი ახალგაზრდობის ცოდვების მონანიებაზე იმ თავისი ნაზი, უწყინარი ხმით, რომლითაც ალბათ გამომშვიდობებისას ჰენრიეთს უთხრა: „ყოჩაღად იყავი, შვილო“. დედაჩემის ხმა ყოველთვის შემძლია მოვისმინო ტელეფონის ყურმილში, მაგრამ ჰენრიეთს ხმას ვეღარასოდეს მოვისმენ. ჰენრიეთს უჩვეულოდ დაბალი ხმა ჰქონდა და წკრიალა სიცილი იცოდა. ერთხელ, ჩოგბურთის თამაშის დროს, ჩოგანი ხელიდან გაუვარდა, მოედანზე გაშემდა და ოცნებამორეული მიაჩერდა ცას. მეორედ, სადილობისას, კოფი წვნიანში ჩაუვარდა. დედა აკივლდა, აწუწუნდა, კაბა დაგილაქავდა, სუფრა დაისვარაო, მაგრამ ჰენრიეთს არაფერი გაუგონია, ხოლო როცა გონს მოგეო, კოფი წვნიანიდან ამოიღო, ხელსახოცით გაწმინდა და ჭამა განაგრძო. მესამედ, როცა ბუნართან კარტის თამაშის დროს ჰენრიეთს კიდევ დაემართა რაღაც ამდაგვარი, დედაჩემი სერიოზულად გაბრაზდა და უყვირა:

— ისევ იმ წყეულმა ოცნებამ შეგიპყრო!

— მერე რა მოხდა, მომბეზრდა კარტის თამაში.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ჰენრიეთემ კარტი, რომელიც ჯერ კიდევ ხელში ეჭირა, ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლში ჩაყარა.

დედამ თითები კი დაიწვა, მაგრამ კარტი, გარდა გულის შვიდიანისა, რომელიც ცოტათი შეიტრუსა, უვნებლად გამოსტაცა ცეცხლს. მას შემდეგ ჩვენს ოჯახში კარტის თამაში ყოველთვის ჰენრიეთეს გვაგონებდა. თუმცა დედა ცდილობდა, თავი ისე დაეჭირა, თითქოს არაფერი მომხდარა. დედა სრულებით არ არის ბოროტი ქალი, უბრალოდ, წარმოუდგენლად სულელი და მომჭირნეა. ახალი კარტი არ გვაყიდვინა და მგონი დღესაც იმ შერუჯული გულის შვიდიანით თამაშობენ. დედაჩემს ალბათ არაფერი აგონდება, როცა პასიანსს შლის და ეს შვიდიანი ხელში ხვდება. დიდი სიამოვნებით დაველაპარაკებოდი ტელეფონით ჰენრიეთეს, მაგრამ თეოლოგებს ჯერ არ გამოუგონიათ აპარატი ამგვარი ლაპარაკისათვის. ჩემი მშობლების ტელეფონის ნომერი ყოველთვის მაგიწყდება და ამიტომ ტელეფონის წიგნში მოუნახე: „შნირ ალფონსი, საპატიო დოქტორი, გენერალური დირექტორი“. ჩემთვის სიახლე საპატიო დოქტორი იყო. სანამ ნომერს ავკრეფდი, ფიქრებში სახლისაკენ გავწიე, ჩაყვები კობლენცის ქუჩას, გავედი ებერთალეზე და მარცხნივ, რაინისაკენ გავუხვიე. ფეხით თითქმის ერთი საათის სავალია. ამ დროს ტელეფონისტი გოგოს ხმა მომესმა:

- დოქტორ შნირის ბინა გახლავთ.
- ქალბატონ შნირთან დალაპარაკება მსურს.
- ვინ ბრძანდებით?
- შნირი, — ვუპასუხე მე, — ზემოხსენებული ქალბატონის ღვიძლი შვილი, ჰანსი.

ტელეფონისტმა ნერწყვი გადაყლაპა, შემდეგ ერთი წამით დაფიქრდა და მე ექვსი კილომეტრის მანძილზე ვიგრძენი, რომ დაიბნა. სუნი სასიამოვნო ასდიოდა, საპნისა და ფრჩხილებზე ახალწასმული ლაქის. ეტყობა, იცოდა, რომ ამქვეყნად ვარსებობ, მაგრამ როგორ მოქცეულიყო, არავის დაურიგებია. ცხადია, ჩემ შესახებ საეჭვო ჭორები ჩააწვეთეს ყურში — გარეწარი, ამრევ-დამრევიაო.

— ვინაა იმის თავდები, რომ არ მქუშობენ? — მკითხა მან ბოლოს.

- დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, — ვუპასუხე მე, — თუ საჭი-

როა, შემიძლია ჩამოგიტვალთ დედაჩემის განსაკუთრებული ნიშნები. მარცხნივ, ტუჩებს ქვემოთ, ხალი აქვს, მეჭეჭი კი...

— კმარა, — მითხრა სიცილით გოგომ და ტელეფონი გადართო.

ჩვენს სახლში რთული სატელეფონო სისტემაა. მარტო მამაჩემს სამი სხვადასხვა ხაზი აქვს: წითელი — მურა ნახშირისათვის, შავი — ბირჟისათვის, ხოლო თეთრი — კერძო საუბრებისათვის. დედას განკარგულებაში მხოლოდ ორი ტელეფონია; შავი — რასობრივ წინააღმდეგობათა მომრიგებელი საზოგადოებების ცენტრალური კომიტეტისათვის და თეთრი — კერძო საუბრებისათვის. თუმცა დედას პირად ანგარიშზე ბანკში, იმ გრაფაში, სადაც „საღლო“ წერია, ექვსნიშნა ციფრია ჩასმული, სატელეფონო ან ამსტერდამსა და სხვა ქალაქებში მოგზაურობის ხარჯებს ცენტრალური კომიტეტი უნაზღაურებს.

ტელეფონისტმა შეცდომით შავი ტელეფონი ჩართო. დედაჩემმა ყურმილი აიღო და საქმიანად მიპასუხა:

— გისმენთ რასობრივ წინააღმდეგობათა მომრიგებელი საზოგადოებების ცენტრალური კომიტეტი.

ენა ჩამივარდა. მას რომ ეთქვა, ქალბატონი შნირი გახლავართო, ალბათ, ვეტყოდი, ჰანსი ვარ, დედა, როგორ ხარ-მეთქი, მაგრამ ამის ნაცვლად ვუთხარი:

— ებრაელი იანკების ცენტრალური კომიტეტის დელეგატი გელაპარაკებთ. ბონში ვარ გავლით, თუ შეიძლება დამაკავშირეთ თქვენს ქალიშვილთან.

მევე შემაშინა იმან, რაც ვთქვი. დედამ ჯერ წამოიყვირა, შემდეგ მძიმედ ამოიოხრა და მივხვდი, როგორ დაბერებულია.

— შენ ამას, ალბათ, არასოდეს დაივიწყებ, არა? — მითხრა მან.

თავდაც ძლივს შევიკავე ცრემლი და ჩუმად ვუთხარი:

— საჭირო კია ამის დაივიწყება, დედა?

იგი ერთხანს დუმდა და უეცრად მომესმა ჩემთვის ესოდენ თავნარდამცემი დედაბრული ტირილი. დედა ხუთი წელი არ მენახა და ახლა იგი სამოცს იქნებოდა მიტანებული. ერთი წუთით ისიც კი დავიჯერე, თითქოს დედას მართლაც შეეძლო ტელეფონი გადაერთო და ჰენრიეთუსთან დავეკავშირებინე. აკი, ყოველთვის ამბობდა: „თუ მოვინდომე, ზეცასაც დაუკავშირდები ტელეფონით“. ცხადია, ხუმრობდა — დღეს ხომ საკუთარ ტელეფონზე ყველა ასე

ლაპარაკობს: მე, ჩემო კარგო, პირდაპირი ხაზი მაქვს პარტიასთან, უნივერსიტეტთან, ტელესტუდიასთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთანო.

როგორ მინდოდა ჰენრიეთეს ხმა გამეგონა, თუნდაც მარტო „არაფერი“ ან „ნებვი“ ეთქვა. ამ სიტყვას ისე იტყოდა ხოლმე, სულაც არ ჟღერდა უხამსად. საკმარისი იყო შნიცლერს ჰენრიეთეს „მისტიკურ ნიჭზე“ ჩამოეგდო ლაპარაკი და ჰენრიეთე მაშინვე მიახლიდა: „ნებვი“. და ეს სიტყვა ისე ლამაზად ჟღერდა, როგორც „ნერვი“ (შნიცლერი მწერალი იყო, ერთ-ერთი იმ მუქთახორათაგანი, ომის დროს ჩვენს ოჯახში რომ ცხოვრობდნენ). როცა ჰენრიეთეს „თავისი მოუვლიდა“, შნიცლერი ყოველთვის მისტიკურ ნიჭზე ჩამოაგებდა სიტყვას. ამის თქმა და ჰენრიეთეს პასუხი „ნებვი“ ერთი იყო. ჰენრიეთეს სხვა რამეც შეეძლო ეთქვა: „ის სულელი ფოლენახი დღეს ისე დაუმარცხე“ ანდა რომელიმე ფრანგული ფრაზა: „La condition du Monsieur le comte est parfaite“¹. ზოგჯერ ჰენრიეთე გაკვეთილების მომზადებაში მქებარებოდა. ყველას სიცილს ჰგვრიდა ის ამბავი, რომ სხვების გაკვეთილები კარგად იცოდა, თავისი კი — ცუდად. მაგრამ ჰენრიეთეს ხმის მაგივრად დედაჩემის დედაბრული ტირილი მესმოდა და ამიტომ ვკითხე:

— როგორაა მამა?

— აჰ, მამა მოხუცდა, მოხუცდა და დაბრძენდა, — მითხრა მან.

— ლეო?

— ო, ლეო ბეჯითია, მეტიხმეტად ბეჯითი და მას დიდ მოძაგალს უწინასწარმეტყველებენ თეოლოგიაში, — მიპასუხა დედამ.

— ო, ღმერთო ჩემო, — ვთქვი მე, — რაღა მაინცდამაინც ლეოს მოძაგალი უნდა იყოს დაკავშირებული თეოლოგიასთან!

— ჩვენ დიდად გვეწყინა, როცა მან რჯული გამოიცვალა, მაგრამ ადამიანის სულიერ მისწრაფებებს წინ ვინ აღუდგება, — მითხრა დედამ.

დედამ კვლავ სავსებით დაიმორჩილა ხმა და ერთი წუთით მაცდუნებელი სურვილი გამიჩნდა, მეკითხა მისთვის შნიცლერის ამბავი, რომელიც ჩვენს ოჯახში ახლაც მიღებული კაცია. ხორცსავსე, ნაპა-

¹ *La condition du Monsieur le comte est parfaite* (ფრ.) — ბატონი ვრაფის მღვდლმარეობა ბრწყინვალეა.

ტივები, გერმანელთა ღირსების გრძნობით შეპყრობილი ვაჟბატონი შნიცლერი იმ დროს კეთილშობილური ევროპეიზმით იყო გატაცებული. მოგვიანებით ცნობისმოყვარეობამ მძლია და წავიკითხე მისი ერთი რომანი „ფრანგის სიყვარული“. წიგნი უფრო მოსაწყენი აღმოჩნდა, ვიდრე სათაური გაფიქრებინებდა. გასაოცრად ორიგინალური მასში მხოლოდ ის იყო, რომ მთავარი გმირი, ტყვე ფრანგი ლეიტენანტი ქერა გახლდათ. ხოლო გმირი ქალი, მოხელელი გერმანელი გოგონა — შაგვერემანი. შნიცლერი ყოველთვის კრთებოდა, როცა ჰენრიეთე იტყოდა „ნებვი“, — ეს ალბათ ორჯერ თუ მოხდა, მაგრამ შნიცლერი მაინც ირწმუნებოდა, რომ მისტიკური ნიჭი შეიძლება საესეებით ესადაგებოდეს „საღანძღავი სიტყვების წამოყრანტალების დაუოკებელ სურვილს“ (თუმცა ჰენრიეთეს არავითარი დაუოკებელი სურვილი არ უბიძგებდა და ზემონახსენებ სიტყვას კი არ წამოაყრანტალებდა, პირიქით, ჩვეულებრივად ამბობდა ხოლმე), თან ამის დასადასტურებლად გიორესის ხუთტომიან „ქრისტიანულ მისტიკას“ მიათრევდა. შნიცლერის რომანებს, ცხადია, დახვეწილობა არ აკლდა. თუნდაც, აი, ეს რად ღირს: „ფრანგული ღვინოების სახელები ისე ჟღერს, თითქოს ბროლი წკრიალებს, როცა შეყვარებულები ერთმანეთს ადღეგრძელებენ და ჭიქებს უჭახუნებენ“. რომანი მთავრდება საიდუმლო ქორწინებით და სწორედ ამის გამო დაატყდა მაშინ თავს შნიცლერს იმპერიის მწერალთა პალატის წყრომა: ათიოდე თვით წერა აუკრძალეს. ამერიკელებმა კი, როგორც წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეს, თავზე ხელი გადაუსვეს და კულტურის დარგში სამუშაოდ მიიწვიეს. ახლა იგი ბონში დაქრის და, თუკი შემთხვევა მიეცა, ჰყვება, ფაშისტური რეჟიმის დროს ბეჭდვა ამიკრძალესო. თუმცა ასეთ პირმოთნე ვაჟბატონს არც სჭირდება ტყუილის თქმა, თავის საქმეებს ისედაც აგვარებს მუდამ. ამავე დროს დედაჩემს სწორედ მან შთააგონა, ნაცისტებთან გავვეზავნეთ, მე — იუნგფოლკში, ხოლო ჰენრიეთე — „გერმანელ ქალიშვილთა კავშირში“.

— ასეთ დროს, მოწყალეო ქალბატონო, ერთმანეთს გვერდში უნდა ვედგეთ, ერთად ვიბრძოლოთ, ერთად ვიტანჯოთ.

ახლაც ცხადად ვხედავ: მოგუგუნე ბუხართან დგას შნიცლერი და ხელში მამაჩემის სიგარა უჭირავს.

— ზოგ-ზოგი უსამართლობა, რომლის მსხვერპლიც მე გახდი, ვერავითარ ჩრდილს ვერ მიაყენებს ჩემს ნათელსა და ობიექტურ

დამოკიდებულებას მოვლენებისადმი. ვიცი, — ამ დროს მართლა აუკანკალდა ხმა, — ვიცი, ჩვენი მხსნელი იარაღი ფიურერს უკვე ხელში უჭირავს.

და ამას ამბობდა დაახლოებით ერთი დღით ადრე, სანამ ამერიკელები ბონს დაიპყრობდნენ.

— მართლა, შნიცლერი როგორ ბრძანდება? — ვკითხე დედას.

— შესანიშნავად, — მიპასუხა მან, — საგარეო საქმეთა სამინისტრო ერთ ნაბიჯსაც ვეღარ დგამს უმისოდ.

დედაჩემს, რა თქმა უნდა, ყველაფერი დავიწყებული ჰქონდა. საკვირველი ის იყო, რომ „ებრაელი იანკების“ ხსენებაზე რაღაც მაინც გაახსენდა. ამიტომაც არ ვნანობდი, ასე რომ დავიწყე ლაპარაკი.

— ბაბუა რასა იქმს? — ვკითხე მე.

— მშვენიერადაა, — მითხრა დედამ, — ქვა და რკინასავითაა. მალე ოთხმოცდამეათე წლისთავს იხეიმებს. ვერაფრით მივმხვდარვარ, როგორ მოაღწია ამ ასაკამდე.

— უბრალოდ, — ვუპასუხე მე, — ამ ხალისიან ბერიკაცებს ვერაფერი გასტეხს, ვერც ძველის გახსენება და ვერც სინდისის ქენჯნა. შინ არის?

— არა, — მიპასუხა დედამ, — ექვსი კვირით გაემგზავრა ისკიაში.

ერთხანს ვდუმდით. ხმა ჯერ კიდევ არ შემორჩილებოდა, დედას კი შესანიშნავად ეჭირა თავი და ბოლოს მითხრა:

— ახლა კი, მოდი, რისთვისაც დარეკე, იმაზე ვისაუბროთ. გავიგე, ისევ ცუდ დღეში ყოფილხარ. ისიც მიაბბეს, თურმე საქმეში ხელი მოგეცარა.

— ჰო? — ვუპასუხე მე, — შენ ალბათ გეშინია, რომ ფულს გთხოვთ. მაგრამ ტყუილად გეშინია. ხომ ვიცი, მაინც არაფერს მომცემთ. ამ საქმეს სასამართლო გადაწყვეტს. ფული კი მართლაც მჭირდება, ამერიკაში მიხდა წავიდე. ერთი იქაური კაცი დამპირდა, ხელს მოგიმართაფო. მართალია, ის კაცი ებრაელი იანკია, მაგრამ მე ყველაფერს ვიღონებ იმისათვის, რომ რასობრივმა წინააღმდეგობებმა თავი არ იჩინოს.

ახლა ატირება აზრადაც არ მოსვლია. სწორედ იმ დროს, როცა ყურმილს ვდებდი, გავიგონე, კიდევ რაღაც თქვა პრინციპებზე. საქმე ის იყო, რომ დედას, როგორც ყოველთვის, ახლაც „არაფრის“ სუნი არ უდიოდა. მისი ერთ-ერთი პრინციპი ღაღადებდა: „მაღალი წრის

ქალს არავითარი სუნი არ უნდა უდიოდეს“. შეიძლება ესაა იმის მიზეზი, რომ მამაჩემს ლამაზი საყვარელი ჰყავს. მართალია, სუნი არც მის საყვარელს უდის, მაგრამ ისე გამოიყურება, თითქოს კეთილსურნელებას აფრქვევდეს.

6

ყველა ბალიში, რაც ხელში მომყვა, ზურგს უკან ამოვიდე, მტკივანი ფეხი სკამზე ჩამოვდე, ტელეფონი ახლოს მოვიჩოჩე და დაფიქრდი, იქნებ, ჯობს, სამხარეულოში გავიდე და მაცოვრიდან კონიაკი მოვიტანო-მეთქი.

განსაკუთრებით მზაკვრულად ჟღერდა დედაჩემის ხმა, როცა მითხრა: „საქმეში ხელი მოგეცარა“, თან არც ცდილა დაემალა, რომ სიხარულით ცას ქწია. გულუბრყვილო ვიყავი, როცა ვფიქრობდი, ბონში ჩემი ხელის მოცარვის თაობაზე არაფერი ეცოდინებათ-მეთქი. რაკი დედამ იცოდა, იცოდა მამამაც, გააგებინებდნენ ლეოსაც, ლეო ციუბუნერს შეატყობინებდა, ციუბუნერი კი მთელ წრეს მოსდებდა და, რა თქმა უნდა, მარისაც ჩაუკაკლავდა. მარის ჩემზე მეტად ეწყინებოდა ეს ამბავი. სმა თუ მივატოვე, მალე კვლავ მივალწევ იმ საფეხურს, რასაც ჩემი აგენტი ცონერერი „საშუალოზე საკმაოდ მაღალ დონეს“ ეძახის და ეს სრულიად საკმარისი იქნებოდა წუმპემდე დარჩენილი ოცდაორი წლის გასათრევად. ერთადერთი, რასაც ცონერერი ჩემში აფასებს, ის გახლავთ, რომ „ფართო პროფესიონალური ბაზისი“ მაქვს. რაც შეეხება ხელოვნებას, ამ საქმისა ცონერერს საერთოდ არაფერი გაეგება და წარმატების მიხედვით მსჯელობს მასზე. სამაგიეროდ, საკმაოდ კარგად იცნობს ხელობას და მშვენივრად ესმის, რომ კიდევ ოცი წელი შემიძლია ვიპამპულო სხვადასხვა სცენაზე ოცდაათ მარკად. მაგრამ მარი ამ ამბავს სულ სხვაგვარად უყურებს. მას უთუოდ დაამწუხრებს, რომ შემოქმედებითი მარცხი განვიცადე და უბადრუკ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რაშიც პირადად მე შემაძრწუნებელს ვერაფერს ვხედავ. შორიდან მაყურებელი ადამიანი — ამქვეყნად თითოეულისათვის ყველა შორიდან მაყურებელია — სხვის მდგომარეობას ან უფრო მუქ, ან უფრო ნათელ ფერებში აღიქვამს, ვიდრე თავად ის, ვისაც ეს უშუალოდ ეხება. სულერთია, ბედნიერებას შეეხება ეს თუ უბედურებას, სიყვარულს, ჭმუნვას თუ შემოქმედებით მარცხს. რაში მენადვლება, როგორ წარუედგები

აყროლებულ დარბაზებში კათოლიკე დიასახლისებს ან ევანგელისტ მედიცინის დებს — როგორც კლოუნი თუ როგორც ტაკიმასხარა. სამწუხაროდ, ყველა ამ რელიგიურ კავშირს საოცრად მცდარი წარმოდგენა აქვს ჰონორარზე. ასეთი კავშირის ხელმძღვანელი ქალი ფიქრობს, რომ ორმოცდაათი მარკა გვარიანი თანხაა — თუ კაცი ასეთ თანხას თვეში ოცჯერ იღებს, თავისუფლად გაიტანს თავს. მე რომ მას მხოლოდ გრიძზე დახარჯული თანხის ანგარიში ვუჩვენო და, ამავე დროს, ავუხსნა, რომ რეპეტიციისათვის ცოტა უფრო დიდი ოთახი მჭირდება სასტუმროში, ვიდრე სამზე გამრავლებული ორი მეტრი და ოცი სანტიმეტრია, ალბათ, გაიფიქრებს, თავისი საყვარელი საბას დედოფალივით მფლანგველიაო. ხოლო თუ იმასაც დაუძენ, რომ მივირთმევ მხოლოდ თოხლო კვერცხს, ბულიონს, დაკეპილ კატლეტს და პამიდორს, იგი პირჯვარს გადაიწერს და გაიფიქრებს, ეს კაცი შიმშილით იკლავს თავსო — მისი აზრით ხომ კაცმა ყოველდღე უნდა ისადილოს რიგიანად. დაბოლოს, თუ გამოუტყდები, რომ ჩემი მანკიერი მიდრეკილებაა სადამოს გაზეთების კითხვა, სიგარეტის წვეა და რიჩ-რაჩის¹ თამაში, არნახულ თაღლითად ჩამთვლის. დიდი ხანია, რაც ადამიანებთან ფულსა და ხელოვნებაზე ლაპარაკს მოვეშვი — იქ, სადაც ფული და ხელოვნება ერთმანეთს ხვდება, საქმეს ხეირიანი პირი არ უჩანს. ხელოვანს ან აკლებენ ფულს, ანდა იმაზე მეტს უხდიან, რასაც იმსახურებს.

ერთხელ მოხეტიალე ინგლისურ ცირკში ერთი კლოუნის გამოსვლას დავესწარი. ოსტატობაში ოცჯერ მაინც მჯობდა, როგორც ხელოვანი ჩემზე ათი თავით მაღლა იდგა, მაგრამ ყოველ გამოსვლაში ათ მარკაზე ნაკლებს უხდიდნენ. ინგლისელ კლოუნს ჯეიმს ელისი ერქვა, ორმოცდაათ წელს იყო მიტანებული. ჯეიმსი ვანშამზე დაუპატიჟე. მოგვართვეს ლორიანი ომლეტი, სალათა და ვაშლის პაშტეტი. საჭმელმა აწყინა: ათი წლის განმავლობაში ასე მსუყედ არ უვახშიძია. მას შემდეგ, რაც ჯეიმსი გაუცანი, აღარც ფულზე ვლაპარაკობ და აღარც ხელოვნებაზე.

პირადად მე ცხოვრების დინებას მივეყვები და არასოდეს მაგიწყდებოდა წუმპე. მარი კი სულ სხვაგვარად ფიქრობს: იგი წამდაუწუმ „გამო-

¹ რიჩ-რაჩი (*Mensch-ärgere-Dich-nicht-Spielen* (გერმ.) — ადამიანო, ნუ ბრაზობ) — ერთგვარი თამაშია დაფით, კამათლით და პატარა ფერადი ფიგურებით.

ცხადებაზე“ ლაპარაკობს, მისთვის ყველაფერი გამოცხადებაა, ასე გასინჯეთ, ჩემი საქმიანობაც კი. თურმე ნუ იტყვიტ და, მე მხიარული კაციც ვყოფილვარ, თავისებურად ღვთისმოსავიც და ასე შემდეგ. საშინელებაა. მაინც როგორ აქვთ ყველაფერი არეულ-დარეული თავში ამ კათოლიკეებს. კარგ ღვინოსაც კი ვერ სვამენ ისე, რომ ტვინი არ იღრძონ, ლამის გასკდნენ, სანამ „შეიცნობენ“, რატომ და რისთვის არის ეს ღვინო კარგი. რაც შეეხება შეცნობას, ისინი ამ მხრივ მარქსისტებს არ ჩამოუვარდებიან. მარი აღშფოთდა, როცა ამ რამდენიმე თვის წინათ გიტარა ვიყიდე და ვუთხარი, სულ მალე სიმღერის ტექსტს და მელოდიას მე თვითონ შევთხზავ და გიტარის თანხლებით შევასრულებ-მეთქი. მან მითხრა, ეს შენს პროფესიონალურ „დონეს“ არ ეკადრებაო, რაზედაც ვუპასუხე: წუმბიანი თხრილის დონეზე უფრო დაბლა მხოლოდ არხია-მეთქი. მან ვერაფერი გაიგო. მე კი არ მიყვარს მხატვრული სახეების განმარტება. ჩემი ან ესმით, ან არა. ტექსტის განმარტება ჩემი საქმე არ გახლავთ.

ვინმეს, ალბათ, ძაფებდაწვევტილი მარიონეტი ვეგონე, მაგრამ ასე არ იყო: ძაფები მაგრად მეჭირა ხელში, ვიცოდი, ბოხუმის რომელიდაც საზოგადოების სცენაზე მთვრალი და მუხლდაჟეჟილი ვეგდე, დარბაზიდან მესმოდა თანაგრძნობით გამსჭვალული ჩურჩულიც და თავი ნაძირალად მიმაჩნდა. ამგვარი თანაგრძნობა არაფრით დამიმსახურებია. ის მერჩინა, ერთი-ორჯერ მაგრად დაესტვინათ. კოჭლობითაც კი უფრო მომეტებულად ვკოჭლობდი, ვიდრე ფეხის ასეთმა დაშავებამ იცის. მინდოდა, მარი დამებრუნებინა და ჩემებურად დავიწყე ბრძოლა იმისათვის, რასაც მის წიგნებში „ხორციელი ჟინი“ ჰქვია.

7

ერთ საღამოს მარის ოთახში შევედი, მინდოდა ის გამეკუთებინა, რასაც ქალი და კაცი ერთად აკეთებენ. მაშინ მე ოცდაერთი წლის ვიყავი, მარი კი ცხრამეტისა. ნასადილვეს ციუპფენერთან ერთად ვნახე. ისინი ხელიხელჩაკიდებულნი გამოდიოდნენ ახალგაზრდა კათოლიკეთა სახლიდან, სახეზე ორივეს ღიმილი დასთამაშებდა და ამან შემაგულიანა. რა ჰქონდა საერთო მარის ციუპფენერთან! ასე სულელურად ხელიხელჩაკიდებულები რომ ვიხილე, ავად გავხდი. ჩვენს ქალაქში ციუპფენერს თითქმის ყველა იცნობდა, უმთავრესად

მამამისის გამო, რომელიც უფროსი მასწავლებელი იყო და ნაცი-
ტებმა სკოლიდან პანდურის კვრით გამოაგდეს. ომის დამთავრების
შემდეგ მას დირექტორად ნიშნავდნენ იმავე სკოლაში, მაგრამ უარი
განაცხადა. ვიღაცას მისი მინისტრად დანიშვნაც კი უნდოდა, რამაც
ლამის გადარია კაცი. მაშინ უთქვამს:

— მე მასწავლებელი ვარ და მინდა, ბოლომდე მასწავლებლად და-
ვრჩე.

ციუპფენერის მამა მაღალი, წყნარი კაცი იყო. პირადად მე, რო-
გორც მასწავლებელი, ცოტა მოსაწყენი მომეჩვენა. ერთხელ გერმა-
ნული ენის მასწავლებელი შეცვალა და ხმამაღლა წაგვიკითხა ლექ-
სი მშვენიერ ახალგაზრდა ფერიაზე.

ჩემი აზრი სკოლის საქმეებზე მხედველობაში მისაღები არაა,
საერთოდ კი შეცდომა იყო ჩემი უფრო დიდხანს დატოვება სკოლაში,
ვიდრე კანონითაა გათვალისწინებული. კანონით გათვალისწინებული
დროც კი ყელში ამომივიდა. ამის გამო არასოდეს დამიდანამაულებ-
ბია სკოლის მასწავლებლები, ყველაფერი ჩემი მშობლების ბრალი
იყო. საყოველთაოდ გავრცელებულ სენს — „სიმწიფის ატესტატი
მანც ხომ უნდა მიიღოს“ — ადრე თუ გვიან, რასობრივ წინააღმ-
დეგობათა მომრიგებელი საზოგადოებების ცენტრალურმა კომიტე-
ტმა უნდა მიხედოს. ეს მართლაც რასობრივი საკითხია. სკოლადა-
მთავრებულები, სკოლადაუმთავრებელნი, მასწავლებლები, უფროსი
მასწავლებლები, დიპლომიანები, უდიპლომონი — განა ესენი რასე-
ბი არ არიან... როცა ციუპფენერის მამამ ლექსი წაგვიკითხა, მცირე
ხანს შეიცადა და შემდეგ ღიმილით გვკითხა:

— ვის სურს, აზრი გამოთქვას?

მე იმწამსვე წამოვხტი და განვაცხადე:

— ჩემი აზრით, ლექსი შესანიშნავია.

მთელი კლასი ახარხარდა, ციუპფენერის მამა კი იღიმებოდა, მა-
გრამ მის ღიმილში ქედმაღლობა არ იგრძნობოდა. ციუპფენერის მამა
სასიამოვნო, ოღონდ ცოტათი გულცივ კაცად მომეჩვენა. მის ვაჟს
არც ისე კარგად, მაგრამ მამამისზე უკეთ კი ვიცნობდი. ერთხელ
სპორტულ მოედანს ჩავუარე, სადაც ციუპფენერი სხვა ახალგაზრდა
კათოლიკეებთან ერთად ფეხბურთს თამაშობდა. როცა საყურებლად
შეეჩერდი, მან დამიძახა:

— ჩვენთან თამაში ხომ არ გინდა?

მე დაეთანხმდი და მარცხენა ნახევარმცველის ადგილი დავიკავე იმ გუნდში, რომელიც ციუბფენერის წინააღმდეგ თამაშობდა.

როცა თამაში დაუამთურეთ, მან მითხრა:

— გინდა, წამოდი ჩვენთან?

— სად? — ვკითხე მე.

— ჩვენს შებვედრაზე.

— მე კათოლიკე არა ვარ, — ვუპასუხე მე.

ციუბფენერს გაეცინა, გაიცინეს სხვებმაც.

— ჩვენ ვიმღერებთ... შენც ხომ გიყვარს სიმღერა, — მითხრა ციუბფენერმა.

— დიახ, — ვუპასუხე მე, — მაგრამ ასეთი შებვედრები ყელში მაქვს ამოსული, ორი წელიწადი ტყუილად ხომ არ დავყავი ინტერნატში.

ციუბფენერს ემწარა ჩემი სიტყვები, მაგრამ მაინც გაიცინა და მითხრა:

— თუ მოგესურვება, კვლავ მოდი ფეხბურთის სათამაშოდ.

მის ჯგუფთან კიდევ რამდენჯერმე ვითამაშე ფეხბურთი, შემდეგ კი ნაყინის საჭმელად გავეყვი ბიჭებს. ციუბფენერს აღარასოდეს მიუწვევიათ სალამოზე. მე ისიც ვიცოდი, რომ მარი თავისი ჯგუფის სალამოებზე იმავე ახალგაზრდა კათოლიკეთა სახლში დადიოდა. მარის კარგად ვიცნობდი, მეტისმეტად კარგადაც კი, რადგან მამამისის ხშირი სტუმარი ვიყავი. ზოგჯერ, როცა მარი ამხანაგ გოგოებთან ერთად ბურთს თამაშობდა, სპორტულ მოედანზე მეც შევივლიდი და მათ თამაშს თვალყურს ვადევნებდი, უფრო სწორად, ვუყურებდი მარის. ისიც გახურებულ თამაშში დროდადრო ხელს მიქნევდა და მიდიმოდა. საპასუხოდ, მეც ხელს ვუქნევდი და ვულიმოდი. ერთმანეთს შესანიშნავად ვიცნობდით. ყველაზე ხშირად სწორედ იმ დროს დადიოდი მამამისთან. როცა იგი ჰეგელისა და მარქსის თხზულებათა ახსნას დამიწყებდა, ზოგჯერ მარიც ჩვენთან ჩამოჯდებოდა ხოლმე, მაგრამ მამის სახლში არასოდეს მიდიმოდა. ამიტომ იმ დღეს, როცა ნასადილევს ის და ციუბფენერი ახალგაზრდა კათოლიკეთა სახლიდან ხელიხელჩაკიდებულნი გამოვიდნენ, გული მეტკინა.

იმ წელს სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი — სწავლას თავი დავანებე, ოცდაერთი წლისა გიმნაზიის მეექვსე კლასიდან გამოვედი. პატერებმა დიდი გულისხმიერება გამოიჩინეს, გამოსათხოვარი

სალამოც კი მომიწყვეს, მოგვართვეს ლუდი, ბუტერბროდები და სიგარეტები, ხოლო იმათ, ვინც სიგარეტს არ ეწეოდა, შოკოლადით უმასპინძლებოდნენ. თანაკლასელებს რამდენიმე პანტომიმა ვუჩვენე: „კათოლიკური ქადაგება“, „ევანგელისტური ქადაგება“, „მუშები, რომელთაც კონვერტებით ხელფასი დაურიგეს“. ერთი სიტყვით, ამხანაგებს ვუჩვენე ათასგვარი ფოკუსი და ჩარლი ჩაპლინსაც კი მივბაძე. იმ სალამოს გამოსათხოვარი სიტყვაც წარმოვთქვი თემაზე: „რა ყალბია აზრი, თითქოს სიმწიფის მოწმობა მარადიული ნეტარების ერთ-ერთი საწინდარია“. სალამომ მხიარულად ჩაიარა. მხოლოდ ჩემიანები იყვნენ დაბოდმილნი და გამწარებულნი. დედა საზიზღრად იქცეოდა, მამას ურჩევდა, მაღაროში უკარი თავიო. მამა კი სულ ერთსა და იმავეს მეკითხებოდა, რა გინდა გამოხვიდეთ?

— კლოუნი, — ვუპასუხე მე.

— შენ, ალბათ, მსახიობობა გინდა. კარგი, იქნებ, მოვახერხო და რომელიმე შესაფერის სასწავლებელში მიგაბარო, — მითხრა მან.

— არა, — გამოვედავე მე, — მსახიობი კი არა, კლოუნი მინდა გავხდე... სასწავლებლებს ჩემთვის სარგებლობა არ მოუტანიათ.

— ამიხსენი მაინც, როგორი წარმოდგენა გაქვს ამაზე, — მითხრა მან.

— არავითარი, — ვუპასუხე მე, — არავითარი-მეთქი და სულ მალე გავეცლები აქაურობას.

გავიდა ორი საშინელი თვე. იმის ვაჟკაცობა არ მეყო, რომ გუდანაბადი ამეკრა და იქაურობას გავცლოდი. ყოველი ლუკმის პირში ჩადების დროს დედა ისე მიყურებდა, თითქოს ბოროტმოქმედებას ჩავდიოდი. არადა, წლების განმავლობაში ჩვენს ოჯახში შემოხეტებულ სხვადასხვა ჯურის მუქთახორებს ძალად ატენიდა პირში საჭმელს. მაგრამ ისინი იყვნენ „მხატვრები და პოეტები“; მჯდაბნელი შინცლერი და გრუბერი, რომელიც არც ისე ცუდი კაცი ჩანდა. გრუბერმა, ამ სქელმა, ჩუშმა და ჭუჭყიანმა ლირიკოსმა ნახევარი წელიწადი იცხოვრა ჩვენთან და ამ ხნის განმავლობაში ერთი სტრიქონიც კი არ დაუწერია. დილით, როცა სასაუზმოდ ჩამოდიოდა, დედაჩემი ისე შეაქცქერდებოდა სახეში ყოველთვის, თითქოს სურდა დემონთან მისი შეჭიდების იმდამინდელი კვალი აღმოეჩინა. ასეთი დაჟინებული მზერა თითქმის უზნეობას უდრიდა. ერთ მშვენიერ დღეს გრუბერი უკვალოდ გაქრა და ჩვენ, ბავშვები, გაკვირვებულნი დავრჩით, როცა მის

ოთახში ფურცლებად დაშლილი კრიმინალური რომანების მთელი დასტა აღმოვაჩინეთ, ხოლო საწერ მაგიდაზე — რამდენიმე ბარათი, რომლებზედაც მხოლოდ ერთი სიტყვა წერა „არარა“. ერთზე ორჯერ წერა „არარა, არარა“. ასეთი ადამიანებისათვის დედაჩემი სარდაფშიც კი ჩადიოდა და საგანგებოდ ამოჰქონდა ლორის ნაჭერი. მე რომ უზარმაზარი ზომის მოლბერტი მეყიდა და უზარმაზარ ტილოებზე სისულელეები მეჯღაბნა, დედაჩემი, ალბათ, ჩემს არსებობას შეეგუებოდა და იტყოდა: „ჩვენი ჰანსი ხელოვანია, მართალია, ჯერ ძიებებშია, მაგრამ თავის გზას იპოვის“. სინამდვილეში კი რა ვიყავი? — ასაკგადაცილებული მეექვსეკლასელი, ვისზედაც მან მხოლოდ ის იცოდა, რომ გვარიანად ეხერხება ფოკუსების ჩვენება. მე, რა თქმა უნდა, არავითარი სურვილი არ მქონდა ლუკმაპურის სამოწინააღმდეგო მქვეყნებინა მათთვის ჩემი „ხელოვნების ნიმუშები“. ამიტომ ნახევარ დღეს მარის მამასთან, მოხუც დერკუმთან ვატარებდი. ცოტას დუქანშიც ვეზარებოდი და, თუმცა საქმე კარგად არ მიუდიოდა, სიგარეტებით მაინც მამარაგებდა. ასე ვცხოვრობდი ორი თვე, მაგრამ ეს ორი თვე მარადისობად მეჩვენებოდა, გაცილებით ხანგრძლივ ღროდ, ვიდრე ომი. მარის იშვიათად ვხედავდი, გამოსაშვები გამოცდებისათვის ემზადებოდა და ამხანაგ გოგონებთან მეცადინებოდა. ზოგჯერ მოხუცი დერკუმი მაძინებდა, რომ ყურს არ ვუგდებდი, სამზარეულოს კარს ვიყავი მიჩერებული. მაშინ თავის ქნევით მეუბნებოდა:

— დღეს დაიგვიანებს.

და მე სახეზე ალმური მედებოდა.

პარასკევი დღე იყო და ვიცოდი, ყოველ პარასკევ საღამოს დერკუმი კინოში დადიოდა, მაგრამ არ ვიცოდი, მარი შინ იქნებოდა თუ მეგობარ ქალიშვილთან წავიდოდა საზუთხად. ერთი შეხედვით თითქოს არაფერზე ვფიქრობდი, მაგრამ ამავე დროს ვფიქრობდი თითქმის ყველაფერზე, იმაზეც, შეძლებდა თუ არა მარი „იმის შემდეგ“ გამოცდების ჩაბარებას. ერთი რამ წინასწარ ვიცოდი — და ეს შემდეგ დადასტურდა კიდევ: ნახევარი ბონი ხომ აღშფოთდებოდა იმის გამო, რომ მე იგი შევაცდინე, თან იმასაც დაუმატებდნენ: გამოცდები კარზე იყო მომდგარიო. ვფიქრობდი იმაზეც, რომ მარის თანაკლასელი გოგონები იმედგაცრუებულნი დარჩებოდნენ. მეშინოდა იმისაც, რასაც ინტერნატში ერთმა ბიჭმა „ფიზიოლოგიური დეტალები“ უწოდა, მაწუხებდა პოტენციის საკითხიც. ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ

სრულიად არ ვგრძნობდი „ხორციელ ჟინს“. ვფიქრობდი იმაზეც, რომ უსინდისობა იქნებოდა, იმ გასაღებით შევსულიყავი მათ სახლში, მამამისმა რომ მომცა, მაგრამ არჩევანი არ მქონდა — მაინც ამ გასაღებით უნდა მესარგებლა. მარის ოთახის ერთადერთი ფანჯარა ქუჩაში გადიოდა და ის ქუჩა ღამის ორ საათამდე ხალხით იყო სავსე. ფანჯარაში გადაცოცება რომ მეცადა, შეეძლოთ პოლიციაში მივებრძანებინე. რადგან მე იმ დღეს უნდა გამეკეთებინა მარისთან „ის საქმე“, აფთიაქში შევედი და ჩემი ძმისგან, ლეოსგან ნასესხები ფულით რაღაც ისეთი წამალი ვიყიდე, ინტერნატის ბიჭების თქმით, მამაკაცს რომ ძალას მატებს. შევედი თუ არა აფთიაქში, ყურებამდე გავწითლდი. საბედნიეროდ, გამყიდველი მამაკაცი იყო, მაგრამ მე მაინც ისე ჩუმად ველაპარაკებოდი, რომ მომთხოვა „ხმამაღლა და გარკვევით“ მეთქვა, რაც მსურდა. მომცეს ის პრეპარატი, რომელიც დაუასახელე, და ფული მეაფთიაქის ცოლს გადაუხუხადე. ქალმა შემომხედა და თავი გადააქნ-გადმოაქნია. მან, რა თქმა უნდა, მიცნოდა, როცა მეორე დღით გაიგო, რაც მოხდა, ალბათ ისეთი აზრები დაუტრიალდა თავში, სინამდვილესთან საერთო რომ არაფერი ჰქონდა, რადგან გავიარე თუ არა ორიოდე ქუჩა, ის კოლოფი გავხსენი და აბები ბინძურ არხში ჩავყარე.

შვიდი საათისათვის, როცა კინოში სეანსები იწყება, გუდენაუგასეზე გავედი. გასაღები ხელში მეჭირა, მაგრამ კარი ღია დამხვდა. როცა ღუქანში შევედი, მარამ დერეფნიდან თავი გამოყო და დაიძახა:

— არის მანდ ვინმე?

— დიას, — გაეძახე, — მე ვარ.

კიბეზე ავირბინე. მარი გაცოცხლებული მიყურებდა, როცა ნელ-ნელა თავისი ოთახისაკენ ისე დაუახევი, რომ თითიც არ დამიკარებია. ხანგრძლივად ჩვენ არასოდეს გვილაპარაკია, მხოლოდ ვუყურებდით და ვუღიმოდით ერთმანეთს. ამიტომ არც ის ვიცოდი, შენობით მელაპარაკა მასთან თუ თქვენობით. მარის ეცვა ნაცრისფერი, გაცვეთილი, დედისგან შემკვიდრეობით მიღებული აბანოს ხალათი, მუქი თმა მწვანე ზონრით ჰქონდა უკან შეკრული. მოგვიანებით, როცა ზონარი გავხსენი, მივხვდი, რომ მამამისის ანკესის ნაწყვეტი იყო. მარის ისე შეეშინდა, რომ არაფრის თქმა არ დამჭირვებია, მაშინვე მშვენივრად მიხვდა, რაც მინდოდა.

— მომშორდი, — ეს კი მითხრა, მაგრამ როგორღაც ანგარიშ-

მიუცემლად წარმოთქვა. ვიცოდი, რომ ასე უნდა ეთქვა. იმასაც მივხვდით ორივე, რომ ეს სიტყვა სერიოზულადაც იყო ნათქვამი და ანგარიში მიუცემლადაც, მაგრამ როგორც კი მითხრა „მომშორდი“ და არა „მომშორდით“, ყველაფერი მაშინვე გადაწყდა. ეს მოკლე სიტყვა იმდენ სინაზეს იტევდა, მეგონა მთელი სიცოცხლის მანძილზე იკმარებდა და კინაღამ ავტირდი. ეს სიტყვა მან ისე წარმოთქვა, რომ ერთ რამეში საბოლოოდ დავრწმუნდი: იცოდა, რომ მოვიდოდი, ყოველ შემთხვევაში, ჩემი გამოცხადება მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა.

— არა, არა, არსადაც არ წავალ, — ვუთხარი მე, — სად უნდა წავიდე?

მან თავი გააქნია.

— შენ გინდა, ოცი მარკა ვისესხო, კიოლნში გავემგზავრო და მერე შეგირთო?

— არა, — მიპასუხა მან, — ნუ წახვალ კიოლნში.

მარის შევხედე და შიში გამიქრა.

ბავშვი აღარც მე ვიყავი, მარიც დაქალებულიყო. ვხედავდი, როგორ ეჭირა ხელში ხალათის კალთა, ვუყურებდი მის მაგიდას ფანჯარასთან და მიხაროდა, რომ სასკოლო ხარახურის ნაცვლად ზედთარგი და საკერავი ელო. მე ქვევით, ღუქანში ჩავირბინე, კარი დაკეტულე და გასაღები იქ დავდე, სადაც აგერ უკვე ორმოცდაათი წელია ინახავენ — კანფეტების ქილასა და სასწავლო რვეულებს შორის. როცა ზვეით ავედი, მარი საწოლზე იჯდა და ტიროდა. მეც საწოლზე ჩამოვჯექი, მის პირდაპირ, სიგარეტს მოვუკიდე და მარის გავუწოდე. იმ დღეს მარიმ თავის სიცოცხლეში პირველად მოსწია სიგარეტი. ეწეოდა უხერხულად და უეცრად ორივეს ჩვენდა უნებურად გაგვეცინა — ისე სასაცილოდ უშვებდა კვამლს გამობუმტული ტუჩებიდან, თითქოს კეკლუცობსო და როცა შემთხვევით, კაი გაქექილივით, ბოლი ცხვირიდანაც გამოუშვა, ისევ გამეცინა. ბოლოს ლაპარაკი დავიწყეთ. ვლაპარაკობდით ბევრს. მარიმ მითხრა, იმ ქალებზე ვფიქრობ, კიოლნში „ამ საქმეს“ ფულის გამო რომ აკეთებენ, თან დარწმუნებულნი არიან, რომ „ამაში“ ფული უსათუოდ უნდა გადაუხადონ, თუმცა „ამაში“ ფულის გადახდა არ შეიძლებაო. გამოდის, რომ ქალები, რომელთა ქმრები „იმნაირებთან“ დადიან, ვალში არიან მათ წინაშე, მე კი არ მინდა, ვინმეს წინაშე ბრალი მიმიძლოდესო. მეც ბევრს ვლაპარაკობდი, ვარწმუნებდი, რომ ყველაფერი, რაც ეგრეთ წო-

დებული ფიზიკური თუ სხვაგვარი სიყვარულის შესახებ წამიკითხავს, სისულელედ მიმაჩნია, რადგან მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა არ შემიძლია-მეთქი. მარიმ მკითხა, ლამაზ ქალად თუ მიგაჩნეოდა და თუ გიყვარვარო. მე ვუპასუხე, ერთადერთი ქალიშვილი ხარ, ვისთანაც „ამ საქმის“ გაკეთების სურვილი მაქვს და როცა ამაზე ვფიქრობდი, ინტერნატშიც კი მუდამ შენ მყავდი მხედველობაში-მეთქი. ბოლოს მარი წამოდგა და სააბაზანოში გავიდა, მე კი ისევ მის საწოლზე ვიჯექი, სიგარეტს ვეწეოდი და იმ საშინელ აბებზე ვფიქრობდი, ბინძურ არხში რომ ჩაყვარე. ისევ შემიპყრო შიშმა. სააბაზანოსთან მივედი და კარზე დაუაკაკუნე. მარი ერთხანს ყოყმანობდა, შემდეგ ნება დამართო. როგორც კი სააბაზანოში შევედი და მარი დავინახე, შიში მაშინვე გამიქრა. სანამ თმაში სურნელოვან სითხეს იზელდა, სახეზე ცრემლი დაპაღუპით ჩამოსდიოდა, ხოლო როცა პუდრის წასმა დაიწყო, ვკითხე:

— აქ რას აკეთებ?

— ვლამაზდები, — მიპასუხა მან.

როცა სქლად წასმულ პუდრში ცრემლმა პატარა ღარები გაიკვლია, მკითხა:

— ხომ არ აჯობებს, წახვიდე?

— არა, — ვუპასუხე მე.

მარიმ კიოლნის წყალი დაიპყურა, მე კი აბაზანის კიდეზე ჩამოვჯექი და გავიფიქრე: „გვეყოფა კი ორი საათი?“ ნახევარ საათზე მეტი ლაქლაქში გაატარეთ. სკოლაში იმ საკითხის სპეციალისტებიც იყვნენ, თუ რაოდენ ძნელია ქალიშვილის ქალად გადაქცევა. მე განუწყვეტლივ ვფიქრობდი გუნთერზე¹, რომელმაც ჯერ ზიგფრიდი² გაგზავნა ბრუნჰილდესთან³ და მხოლოდ ამის შემდეგ ეწვია თვითონ, ვფიქრობდი ნიბელუნგების საშინელ ხოცვა-ჟლეტაზე, რომელიც ასეთ ამბავს მოჰყვა. როცა სკოლაში გავდიოდით „ნიბელუნგების სიმღერას“, მე წამოვდექი და პატერ ვუნიბალდს ვუთხარი:

¹ გუნთერი — „ნიბელუნგების სიმღერაში“ ბურგუნდიის მეფე, კრიმჰილდეს ძმა.

² ზიგფრიდი — „ნიბელუნგების სიმღერის“ მთავარი პერსონაჟი, რომელიც გუნთერისათვის ბრუნჰილდეს იმორჩილებს.

³ ბრუნჰილდე — „ნიბელუნგების სიმღერაში“ ისლანდიის დედოფალი. მას შემდეგ, რაც ზიგფრიდი დაიმორჩილებს, ბურგუნდიის მეფის, გუნთერის ცოლი ხდება.

— ბრუნკილდე ხომ მართლა იყო ზიგფრიდის ცოლი.

მას გაეღიმა და მითხრა:

— მაგრამ ცოლად კრიმპილდე ჰყავდა შერთული, ყმაწვილო.

მე გავცოფდი და განვაცხადე, ასეთი პასუხი „მღვდელურ“ განმარტებად მიმაჩნია-მეთქი.

ახლა პატერი ვუნიბაღლი გაცოფდა, კათედრაზე თითით დააკაკუნა, მთელი თავისი ავტორიტეტი მოიშველია და ბრძანა, „ასეთი შეურაცხყოფა“ აღარ მომაყენო.

მე წამოვდექი და მარის ვუთხარი:

— გეხვეწები, ნუ ტირი.

მარიმ ტირილი შეწყვიტა და ცრემლების კვალი ჰუდრით დაფარა. სანამ მის ოთახში შევიდოდით, ღერეფანში ფანჯარასთან შევჩერდით და ქუჩას გადავხედეთ: იანვარი იდგა, ქუჩა სველი იყო, ყვითელი ჩირაღდნების შუქი ასფალტზე ეფინებოდა, ხოლო ბოსტნეულის მაღაზიის თავზე მწვანე რეკლამა ჩახჩახებდა: „ემილ შმიცი“. შმიცი კი ვიცნობდი, მაგრამ არ ვიცოდი, ემილი თუ ერქვა. ემილი რატომღაც მისი გვარისათვის შეუფერებელ სახელად მომეჩვენა. სანამ მარის ოთახში შევიდოდით, კარი ოღნავ გამოუღდე და სინათლე გამოერთე.

როცა მამამისი შინ დაბრუნდა, ჩვენ ჯერ არ გვეძინა. თერთმეტი სრულდებოდა. გავიგონეთ, როგორ შევიდა სიგარეტებისათვის დუქანში, მერე კიბეზე მოგვესმა მისი ფეხის ხმა. ვფიქრობდით, უთუოდ შეამჩნევდა რაღაცას, რადგან არაჩვეულებრივი რამ მოხდა, მაგრამ ღერკუმმა ვერაფერი შეამჩნია. მხოლოდ ერთი წამით მიაყურა კართან და ზევით ავიდა. გავიგონეთ, როგორ გაიხადა ფეხსაცმელი და იატაკზე დაყარა. შემდეგ კი გვესმოდა მისი ხველება ძილში. ვცდილობდი წარმომედგინა, როგორ შეხვდებოდა ამ ამბავს. რელიგიასზე ღერკუმმა დიდი ხანია აიყარა გული და კათოლიკურ ეკლესიას სიახლოვეს აღარ ეკარებოდა. ჩემთან საუბარში თავს ესხმოდა „ბურჟუაზიული საზოგადოების ცრუ სექსუალურ მორალს“ და ბრანძმორეული ამბობდა, მღვდლებმა ქორწინება თვალთმაქცობად აქციესო. მაგრამ მაინც არ ვიყავი დარწმუნებული, რომ აყალბაყალს არ ატეხდა იმის გამო, რაც მარის ვუყავი. ღერკუმი ძლიერ მიყვარდა, მეც ვუყვარდი მას და ერთი სული მქონდა, შუაღამისას ავმდგარიყავი, მის ოთახში შევსულიყავი და ყველაფერი მეამბნა, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრე.

მე უკვე ოცდაერთი წლის მამაკაცი ვიყავი, მარიც სრულასაკოვანი, ცხრამეტი წლის ქალი იყო და ასეთ ვითარებაში ზოგჯერ მამაკაცური გულწრფელობა უფრო საჩოთიროა, ვიდრე ღუმილი. გარდა ამისა, ისიც გავიფიქრე, ეს ამბავი მას ნაკლებად ეჩება, ვიდრე აქამდე მეგონა-მეთქი. კაი სანახავი კი ვიქნებოდი, ნაშუადღევს გამოცხადებულ იყავი მასთან და მეთქვა: „იცით რა, ბატონო დერკუმ, ამაღამ თქვენს ქალიშვილთან ვაპირებ დაძინებას“... იმას კი, რაც მოხდა, როგორმე გაიგებს.

ცოტა ხნის შემდეგ მარი ადგა, სიბნელეში მაკოცა და ლეიბს ზეწრები გადაადრო. ოთახში უკუნი იყო გაბატონებული, ქუჩიდან სინათლე არ შემოდრიოდა, რადგან ფანჯარას სქელი ფარდა ჩამოვფარეთ. „ვინ ასწავლა იმის გაკეთება, რასაც ახლა აკეთებს? რატომ გადაადრო ლეიბს ზეწრები, რატომ გამოაღო ფანჯარა? — გავიფიქრე გაკვირვებულმა.

— მე სააბაზანოში გაუალ, შენ კი აქ დაიბანე, — მიჩურჩულა მან, შემდეგ ხელი მომკიდა, ლოგინიდან წამომამყენა, ხელჩაკიდებულმა მიმიყვანა იმ კუთხემდე, სადაც მისი პირსაბანი იდგა, ხელის ფათურით მომამებნინა წყლით სავსე ღოქი, სასაპნე, ტაშტი და ილღიებქვეშ ზეწრებამოჩრილი ოთახიდან გავიდა. სახელდახელოდ დავიბანე და ისევ ლოგინში ჩავწექი. მიკვირდა, სად დაიკარგა აქამდე მარი, რატომ არ მოაქვს სუფთა თეთრეული-მეთქი. საშინლად დაღლილი ვიყავი და მიხაროდა, შემეძლო უშიშრად მეფიქრა დაწვევლილ გუნთერზე. მცირე ხნის შემდეგ ისევ შემიპყრო შიმში, მარის რამე ზომ არ შეემთხვა-მეთქი. ასეთ რამეებზე ინტერნატში შემხარავ ამბებს ჰყვებოდნენ. უზწრო ლეიბზე წოლა არ მსიამოვნებდა, გარდა ამისა, ძველი და ჩუარდნილი იყო, თანაც ტანზე მხოლოდ ზედა საცვალი მეცვა და მციოდა. ისევ მარის მამაზე დავიწყე ფიქრი. ამ კაცს ყველა კომუნისტად თვლიდა, მაგრამ როცა ომის შემდეგ ბურგომისტრად უნდა აერჩიათ, კომუნისტებმა მხარი არ დაუჭირეს და საქმეც ჩაიფუშა. ყოველთვის, როცა ნაცისტებისა და კომუნისტების შედარებას ვიწყებდი, იგი ცოფდებოდა და მეუბნებოდა:

— დიდი განსხვავებაა, ყმაწვილო, განა ერთი და იგივეა, კაცი საპნის ფირმის მიერ გაჩაღებულ ომში მოკვდება თუ იმ საქმისათვის, რომელიც შეიძლება იწამო?

აქამდე არ ვიცი, ვინ იყო იგი სინამდვილეში, მაგრამ როცა ერ-

თხელ კინკელმა ჩემი თანდასწრებით „გენიალური სექტანტი“ უწოდა, შხად ვიყავი, კინკელისათვის სახეში მიმეფურთხებინა. მოხუცი დერკუმი იმ მცირერიცხოვან ადამიანებს ეკუთვნოდა, რომელთა მიმართაც პატივისცემით ვიყავი გამსჭვალული. დერკუმი გამხდარი, ღვარძლიანი კაცი იყო, იმაზე ბევრად უფრო ახალგაზრდა, ვიდრე გამოიყურებოდა. იმდენ სიგარეტს ეწეოდა, რომ სუნთქვა უჭირდა. მთელი ის ხანი, რაც ლოგინში ვიწექი და მარის ველოდი, მისი ხველა მესმოდა ზემოდან, მისი საწოლი ოთახიდან და თავი ვიგინდარად მიმაჩნდა, თუმცა ასეთი არ ვიყავი. ერთხელ მითხრა:

— იცი, რატომაა განლაგებული მდიდრების სახლში, აი ისეთში, შენი მშობლები რომ ცხოვრობენ, მოახლეოთ ოთახები ჭაბუკობაში შესული შვილების გვერდით? აგისხნი: იმიტომ, რომ მდიდრები ოდითგანვე სპეკულანტობენ ადამიანის ბუნებით და გულმოწყალეებით.

ენატრობდი, ქვევით ჩამოსულიყო და მარის საწოლში ჩაგორებულს თავზე დამდგომოდა, მაგრამ პირადად მე ზვეით ასვლისა და მისთვის ანგარიშის ჩაბარების სურვილი არ მქონდა.

გარეთ ინათა. მციოდა და მარის ოთახის უბადრუკობა გულს მიმძიმებდა. დერკუმები დიდი ხანია გაკოტრდნენ და ამის მიზეზად მარის მამის „პოლიტიკური ფანატიზმი“ მიაჩნდათ. ადრე მათ პატარა სტამბა, პატარა გამომცემლობა და წიგნის მაღაზია ჰქონდათ, ბოლოს კი მხოლოდ საკანცელარიო ნივთების პატარა მაღაზია შემორჩათ, სადაც მოწაფეებისათვის ნაირ-ნაირი ტკბილეულობაც იყიდებოდა. ერთხელ მამაჩემმა მითხრა:

„ხომ ხელაჲ, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი ფანატიზმმა... თუმცა ომის შემდეგ დერკუმს, როგორც პოლიტიკურად დევნილ პიროვნებას, ყველა შანსი ჰქონდა იმისა, რომ საკუთარი გაზეთი გამოეცა“.

საოცარია, მაგრამ მოხუცი დერკუმი არასოდეს მიმაჩნდა ფანატიკოსად. შესაძლოა, მამაჩემს ფანატიზმი და ქედუხრელობა ერთმანეთში ერეოდა. მარის მამა ლოცვანებსაც კი არ ყიდდა, თუმცა შეედლო ცოტათი ხელი მოეთბო, განსაკუთრებით, კვირაცხოვლობის წინა დღეებში.

თუ რა ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, მხოლოდ მაშინ დავინახე, როცა ოთახში დღის სინათლე შემოიჭრა. კარადაში სულ სამი

კაბა ეკიდა — მუქი მწვანე (ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მთელი საუკუნე ამ კაბაში ვხედავდი), მოყვითალო — თითქმის მთლად გაცვეთილი კაბა და უცნაური მუქი ლურჯი კოსტიუმი, რომელსაც მხოლოდ საეკლესიო პროცესიების დროს იცვამდა. იქვე ეკიდა ძველი, მომწვანო-ბოთლისფერი პალტო და მხოლოდ სამი წყვილი ფეხსაცმელი ელაგა. იყო წამი, როცა ცდუნებამ მძლია, მინდოდა აემდგარიყავი, უჯრები გამომეღო და მარის საცვლები დამეთვალიერებინა, მაგრამ თავი შევიკავე. მე მგონი ქალის საცვლებს მაშინაც ვერ დავათვალიერებდი, როცა კანონიერად შევირთავდი ცოლად. დერკუმის ხველა კარგა ხანია აღარ მესმოდა. ექვსი საათი შესრულდა, როცა მარი სააბაზანოდან გამობრძანდა. მიხაროდა, მასთან ისე რომ გაუტარე ღამე, როგორც ათასჯერ მინატრია. მარის ვაკოცე და, როცა გამიღიმა, თავი ბედნიერ კაცად მივიჩნიე. კისერზე მისი ყინულივით ცივი ხელები ვიგრძენი და ჩურჩულით ვკითხე:

— რას აკეთებდი ამდენ ხანს?

— რა უნდა მეკეთებინა, ზეწრები გავრეცხე. სიამოვნებით გამოცვლიდი თეთრეულს, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ოთხი წყვილი გვაქვს და როცა ორი დაგებულა. ორი ირეცხება.

ჩემკენ მოვიზიდე, საბანი გადავახურე და, როცა მისი ყინულივით გათოშილი ხელები ილღიებში ამოვიდე, მარიმ მითხრა, ჩემი ხელები აქ ისე შესანიშნავად და თბილად მოკალათდნენ, როგორც ჩიტები ბუდეშიო.

— არაფრით არ შემეძლო ასეთი თეთრეული ქალბატონი ჰუბერისათვის მიმეტანა, — მითხრა მარიმ, — სარეცხს ყოველთვის ის გვირეცხავს და მისგან მთელი ქალაქი გაიგებდა, რაც ჩვენ აქ მოვიმოქმედეთ. ვერც გადასაგდებად გავიმეტე. ერთი კი გავიფიქრე, გადაყერი-მეთქი, მაგრამ მერე მაინც დამენანა.

— ნუთუ თქვენთან ცხელი წყალი არ მოდის?

— არა, ბოილერი დიდი ხანია გაგვიფუჭდა.

უეცრად ატირდა და მე ვკითხე, რა გატირებს-მეთქი. მან ჩურჩულით თქვა:

— ღმერთო, შენ ხომ იცი, რომ კათოლიკე ვარ.

მე ვუთხარი, ამ შემთხვევაში ყველა ქალიშვილი, ევანგელისტები იქნებოდა იგი თუ საერთოდ ურწმუნო, მაინც იტირებდა და ისიც ვიცი, რატომ-მეთქი. მარიმ გაკვირვებით შემომხედა. მე აუხსენი:

— იმიტომ, რომ ის, რასაც უმანკოება ჰქვია, მართლაც არსებობს.

მარი კვლავ ტიროდა, მაგრამ აღარაფერი მიკითხავს. მიზეზი ვიცოდი. იგი რამდენიმე წელია ხელმძღვანელობდა კათოლიკე ქალიშვილების ჯგუფს, ყოველთვის მონაწილეობდა საეკლესიო პროცესიებში, ცხადია, არაერთხელ ულაპარაკია იმ ქალიშვილებთან წმინდა მარიამის ქალწულობაზე და ახლა თავი, ალბათ, მატყუარად და მოღალატედ მიაჩნდა. ვიცოდი, რა ცუდ დღეშიც იყო, მაგრამ მეტი ლოდინი აღარ შემეძლო და მარის ვუთხარი, ქალიშვილებს მე მოველაპარაკები-მეთქი.

— რაო... ვის?

— შენი ჯგუფის ქალიშვილებს, — ვუპასუხე მე, — შენ ახლა მართლა გიჭირს, მაგრამ როცა კიდევ უფრო გაგიჭირდება, შეგიძლია ყველას უთხრა, თითქოს მე გაგაუპატიურე.

მარის გაეცინა და მითხრა:

— რა სისულელეა, მაინც რა უნდა უთხრა ქალიშვილებს?

— არაფერსაც არ ვეტყვი. უბრალოდ წარვდგები მათ წინაშე, გავითამაშებ რამდენიმე ნომერს და იმიტაციას და ისინიც მაშინვე იფიქრებენ: „აი, თურმე ვინ ყოფილა ის შინი, მარის რომ „ის“ უყო“. ასე აჯობებს. რატომ უნდა იჭორაონ კუთხე-კუთხე?

მარი დაფიქრდა, მერე ისევ გაიცინა და მითხრა:

— არც ისე სულელი ყოფილხარ.

შემდეგ უცებ ისევ ატირდა და დასძინა.

— აქაურებს ვეღარ დავენახვები.

— რატომ? — კკითხე მე, მაგრამ მარი მხოლოდ ტიროდა და თავს აქნევდა.

მარის ხელები, იდლიებში რომ მქონდა ამოდებული, გათბა. რაც უფრო მეტად უთბებოდა ხელები, მით უფრო მერეოდა ძილი. მალე უკვე მისი ხელები მე მათობდნენ და როცა მკითხა, თუ გიყვარვარ, ლამაზ ქალად თუ მთვლიო, ვუპასუხე, ეს თავისთავად ცხადია-მეთქი. მან მითხრა, ასეთი „თავისთავად ცხადი“ სიტყვები სასიამოვნო მოსასმენიაო და მეც, ძილბურანში წასულმა, ჩავილულლულე: რა თქმა უნდა, ლამაზი ხარ და მიყვარხარ-მეთქი.

როცა მარი ადგა, დაიბანა და ჩაიცვა, უკვე მეღვიძა. მას ჩემი არ შერცხვენია და მეც ბუნებრივ ამბად მივიჩნიე, მისთვის მეცქირა. ახლა უფრო ნათლად დავინახე, რა ღარიბულად ეცვა. სანამ ზონ-

რებს ისკვნიდა და ღილებს იკრავდა, მე იმ ლამაზ-ლამაზ ნივთებზე ვფიქრობდი, რომელთაც ვუყვდი, ფული რომ მქონოდა. ხშირად ვმდგარვარ მოღური მაღაზიების წინ და მითვალთვლებია ქვედა კაბები, პულოვერები, ფეხსაცმელები, ჩანთები, წარმოდგენით ძვირარაულია, როგორ მოუხდებოდა ყველაფერი ეს მარის, მაგრამ მამამისი ისეთი მკაცრი იყო ფულის საკითხში, რომ ვერაფრით გავბედავდი რამე მეჩუქებინა მარისათვის. ერთხელ დერკუმმა მითხრა:

— სიღარიბე საშინელებაა, მაგრამ უფრო ცუდია, როცა სიღარიბე თანდათან გითრევს. არადა ადამიანთა უმეტესობა სწორედ ამ დღეშია.

— და თუ მდიდარი ხარ, ეს რაღა? — ვკითხე მე და გავწითლდი. მან დაკვირვებით შემომხედა, თვითონაც გაწითლდა და მითხრა:

— იცი, ჩემო კარგო, თუ ფიქრს არ მოეშვი, საქმე ცუდად წაგება. იმდენი ვაჟკაცობა რომ მქონოდა და იმის რწმენა, რომ ამქვეყნად რაღაცის გამოსწორება შეიძლება, იცი, რას ვინამდი?

— არა, არ ვიცი.

— დავარსებდი ისეთ საზოგადოებას, რომელიც მდიდარი ოჯახის შვილებზე იზრუნებდა, — მითხრა მან და ისევ გაწითლდა. — ჩვენი რეგენები კი სიტყვა „ასოციალურს“ მხოლოდ ღარიბების მიმართ ხმარობენ.

სანამ მარის ჩაცმას თვალს ვადევნებდი, თავში ათასნაირი ფიქრი მიტრიალებდა. მახარებდა და მალონებდა კიდეც ის ამბავი, რა ბუნებრივი იყო მისთვის მისი სხეული. შემდეგ, როცა ერთად დავეხეტებოდით სასტუმროდან სასტუმროში, დილით განგებ ვდგებოდი გვიან, რათა მეყურებინა, როგორ იბანდა და იცვამდა მარი. ხოლო თუ სააბაზანო მოშორებით იყო და საწოლიდან მარის ვერ ვუთვალთვალებდი, აბაზანაში ვწვებოდი.

იმ დილას ყველაფერს მერჩია მის ოთახში ლოგინში ვწოლილიყავი და მხოლოდ იმაზე ვოცნებობდი, ჩაცმა არ დაემთავრებინა. მარი მთელი მონღომებით იბანდა კისერს, მკლაფებს, მკერდს და გულმოდგინედ იხეხავდა კბილებს. პირადად მე შეძლებისდაგვარად თავს ვარიდებდი დილით დაბანას, კბილების ხეხვა ახლაც მეზარება, აბაზანაში ბანაობა მირჩევნია, მაგრამ როცა მარი იბანდა, მე ყოველთვის სიამოვნებას მგვრიდა მისი ცქერა. ისე უყვარდა სისუფთავე, ისე ბუნებრივად აკეთებდა ყველაფერს, კბილის პასტის ტუბს სახურავსაც

ისე კონტად ახრახნიდა... იმ დღით ჩემს ძმანე, ლეოზეც ვფიქრობდი. იგი ღვთისმოსაეი, კეთილსინდისიერი, სერიოზული ახალგაზრდა იყო და ყოველთვის ხაზგასმით მეუბნებოდა, შენი მწამსო. მაშინ ისიც გამოსაშვებ გამოცდებს აბარებდა და რატომღაც რცხვენოდა, რომ სიმწიფის ატესტატს წესისამებრ ცხრამეტი წლის ასაკში იღებდა, მე კი ოცდაერთი წლისა მეექვსე კლასში ვიჯექი და „ნიბელუნგების სიმღერის“ არასწორი ინტერპრეტაცია გულზე მხეთქავდა. მარის ლეოც იცნობდა, ერთმანეთს რომელიღაც წრეში ხვდებოდნენ, სადაც კათოლიკე და ევანგელისტი ახალგაზრდები დემოკრატიასა და რელიგიურ შემწყნარებლობაზე კამათობდნენ. მაშინ მე და ლეო ჩვენს შმობლებს ერთგვარი საერთო საცხოვრებლის გამგებელ ცოლ-ქმრადლა ვთვლიდით. ლეოს თავზარი დაეცა, როცა გაიგო, მამას აგერ უკვე ათი წელია საყვარელი ჰყავსო. ამ ამბავმა მეც დამცა თავზარი, მაგრამ არა — მორალურად. ჩემთვის იოლი იყო იმის წარმოდგენა, რა ძნელია ცოლად გყავდეს დედაჩემი, რომლის ყალბი თვინიერება ი-სა და ე-ს თვინიერება იყო. იგი იშვიათად წარმოთქვამდა წინადადებას, სადაც ა, ო ან უ ერია. ამის ტიპური მაგალითია თუნდაც ის, რომ ლეოს სახელი ლედ შეამოკლა. მისი ორი საყვარელი წინადადება იყო: „მე ნივთებს სხვებოვით ვერ ვჭვრეტ“ და „მე ჩემს პრინციპს მივდეკ, ნივთებში მიხეზებს ვეძებ“. ის ფაქტი, რომ მამას საყვარელი ჰყავდა, ჩემთვის უფრო ესთეტიკური თვალსაზრისით იყო თავზარდამცემი: მის ხასიათს როგორღაც არ უხდებოდა ამგვარი რამ. მა-მაჩემი არც ვნებააშლილი კაცი იყო და არც ხალისიანი. ხოლო თუ უკუვადებთ იმ აზრს, რომ ის ქალი მამაჩემს მომვლელად ან სულის განმბანველად სჭირდებოდა (რასაც სრულიად არ შეეფერება პათეტიკური სიტყვა „საყვარელი“), მაშინ უწესობა სწორედ ის იყო, რომ მამას არ შეშვენის საყვარლის ყოლა. სინამდვილეში მისი საყვარელი სასიამოვნო, ლამაზი მომღერალი ქალი იყო, რომელსაც ინტელექტი დიდად არ აწუხებდა. მამას ისიც კი არ უცდია, ქალს დამატებითი კონტრაქტების დადებაში ან კონცერტების მოწყობაში დახმარებოდა. ამგვარ საქმეებში მეტისმეტად წესიერი კაცი იყო. მათი ურთიერთობა საკმაოდ აწეწილ-დაწეწილი მეჩვენებოდა, ლეოს წუხილის მიხეზი კი ის იყო, რომ იდეალები შეერყა. დედაჩემმა ლეოს წუხილის ახსნა სხვანაირად ვერ მოახერხა და თავისი აზრი ასე გამონატა: „ლეს კრიზისი ითრევს“. ხოლო როცა საკლასო სამუშაო არადამაკ-

მაყოფილებლად დაწერა, დედას უნდოდა ფსიქოლოგთან წაყვანა. მადლობა ღმერთს, განზრახვაზე ხელი ავადებინე. სამაგიეროდ, მძას მოუყუყვი ყველაფერი, რაც კი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის შესახებ ვიცოდი, თანაც ისე ინტენსიურად ვეხმარებოდი გაკვეთილების მომზადებაში, რომ შემდგომი საკლასო სამუშაოები უკვე დამაკმაყოფილებლად და „კარგზეც“ დაწერა. მხოლოდ ამის შემდეგ აიღო ხელი დედამ ლეოს ფსიქოლოგთან წაყვანაზე.

მარიმ მუქი მწვანე კაბა ჩაიცვა და, თუმცა ელვაშესაკრავმა საქმე გაუჭირა, მაინც არ წამოვმდგარვარ საწოლიდან, არ დავხმარებოვარ. ლამაზი სანახაუი იყო მისი ხელები, ზურგზე რომ ფათურობდნენ, თეთრი კანი, მუქი თმა და მუქი მწვანე კაბა. მახარებდა ისიც, რომ არ ნერვიულობდა. ბოლოს საწოლთან მოვიდა, მე ლოგინზე წამოვჯექი და კაბა შევუკარი. ვკითხე, ასე ადრე რატომ დგები-მეთქი. მიპასუხა, მამაჩემს ნამდვილი ძილით მხოლოდ განთიადის ჟამს სძინავს, მე კი გაზეთები უნდა მივიღო და დუქანი გაეაღო, რადგან მოსწავლეები ზოგჯერ დილით მოდიან რვეულების, ფანქრებისა და შაქარყინულის საყიდლად.

— გარდა ამისა, — მითხრა მან, — უმჯობესი იქნება, ჩვენი სახლიდან რვის ნახევარზე გახვიდე. ახლა ყავას მოვადულებ, შენ კი ხუთი წუთის შემდეგ ფრთხილად ჩამოდი სამზარეულოში.

როცა სამზარეულოში ჩავედი, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ცოლიანი ვიყავი. მარიმ ყავა დამისხა და ბუტერბროდი მომიძხადა, შემდეგ კი თავი გააქნია და მითხრა:

— მუდამ დაუბანელი და დაუკარცხნელი ცხადდები სასაუზნოდ?

— კი, — ვუთხარი, — ინტერნატშიც კი ვერ მასწავლეს ყოველდღე დილაადრიან ხელ-პირის დაბანა.

— აბა, მაშ რას შვრები? — მკითხა მან, — როგორმე ხომ უნდა მოიცვილო ჭუჭყი?

— კიოლნის წყლით ვიზელ ტანს, — ვუპასუხე მე.

— ეს ხომ საკმაოდ ძვირი ჯდება, — მითხრა მან და გაწითლდა.

— მართალია, — ვუპასუხე მე, — მაგრამ ბიძაჩემი, რომელიც ამ ფირმის გენერალური წარმომადგენელია, ერთ დიდ ფლაკონს მიგზავნის ხოლმე საჩუქრად.

ის სამზარეულო, ასე კარგად რომ ვიცნობდი, დაბნეულმა მიკათვალიერ-მოვათვალიერე. ეს უფრო დუქნის უკანა ოთახი იყო —

ბნელი და პატარა. კუთხეში მომცრო ქურა იდგა. როგორც ყველა დიასახლისი, ქურაში მარიც ინახავდა ნაცარწაყრილ ბრიკეტებს: საღამოობით ბრიკეტებს სველ გაზეთში ახვევდა, დილით კი ნაკვერცხლებს გაქექავდა, შეშასა და ახალ ბრიკეტებს დაუმატებდა და ცეცხლს გააჩაღებდა. მძაგს მხრჩოლავი ბრიკეტების სუნი. ეს სუნი ალიონზე ქუჩებში იგრძნობა, იმ დილით კი ის პატარა, ჩახუთული სამზარეულო ააყროლა. სამზარეულო იმდენად პატარა იყო, რომ ყოველთვის, როცა მარის ქურიდან საყავის გადმოდგმა უწყვედა, უნდა ამდგარიყო და სკამი გვერდზე გაეწია. ალბათ, ზუსტად ასევე იქცეოდნენ მისი ბებიაც და დედაც. სამზარეულო, რომელსაც ასე კარგად ვიცნობდი, იმ დილით პირველად მომეჩვენა ულაზათო და, ალბათ, პირველად განვიცადე ის, რასაც ყოველდღიურობა ჰქვია: გინდა თუ არა, მაინც უნდა აკეთო, რის გაკეთებაც აღარ გეხალისება. სულაც არ მეხალისებოდა ოდესმე გავსულიყავი ამ ვიწრო სახლიდან და გარეთ მეკისრა რაიმე ვაღდებულემა, პასუხი მეგო იმისათვის, რაც მარის ვუყავი, პასუხი მეგო მისი ჯგუფის ქალიშვილებისა და ლეოს წინაშე. თუმცა ამ ამბავს სულ მალე ჩემი მშობლებიც გაიგებდნენ ვინმესგან. მერჩია ამ სახლში დაურჩენილიყავი და სიცოცხლის დასასრულამდე მევაჭრა შაქარყინულითა და სასწავლო რვეულებით, საღამოობით კი მარისთან ერთად ჩავწოლილიყავი მის ლოგინში და დამეძინა ისე გემრიელად, როგორც ამ დილით მეძინა, როცა მისი ხელები იღლიებში მქონდა ამოჩრილი. ერთსა და იმავე დროს საშინელიც მეჩვენა და დიდებულებს ეს ყოველდღიურობა — საყავით, ბუტერბროდებით, მარის მწვანე კაბაზე აფარებული თეთრ-ზოლებიანი, ლურჯი, გახუნებული წინსაფრით. უეცრად მომეჩვენა, რომ მხოლოდ ქალებისთვისაა ყოველდღიურობა ისეთივე ბუნებრივი, როგორც მათი სხეული. ვამაყობდი, რომ მარი ჩემი ცოლი იყო და, ამავე დროს, თავი არ მიმაჩნდა იმდენად მოწიფულ კაცად, ამიერიდან დარბაისლურად რომ უნდა მოიქცეს. ფეხზე წამოვდექი, მაგიდას შემოვუარე, მარი მკლავებში მოვიმწყვდიე და ვუთხარი:

— გახსოვს, დილაუთენია გასარეცხად რომ ადექი?

თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

— მე კი არასოდეს დამაუიწყვდება, როგორ გამითბე ხელები იღლიებში, — თქვა მან შემდეგ, — ახლა კი წადი, მალე რვის ნახევარი იქნება და დუქანში ბავშვები შემოცკვიდებიან.

მარის ქუჩიდან გაზეთების დასტა შემოვატანინე და გახსნაში მო-
ვექმარე. სწორედ ამ დროს მოპირდაპირე სახლთან ბაზრიდან დაბრუ-
ნებულმა შმიცმა ბოსტნეულით დატვირთული მანქანა გააჩერა. ვი-
ფიქრე, იქნებ ვერ დამინახოს-მეთქი, და მაშინვე სახლში შევევარდი,
მაგრამ უკვე დამინახა. ეშმაკსაც კი არ უჭრის თვალი ისე, როგორც
მეზობელს. დუქანში ვიდექი და დავეყურებდი დილის ახალ გაზეთებს,
ასე რომ გიჟდებიან მეტწილად კაცები. პირადად მე გაზეთები სალა-
მოობით მაინტერესებს ან მაშინ, როცა აბაზანაში ვწევარ. აბაზანა-
ში ყველაზე სერიოზული დილის გაზეთებიც ისევე არასერიოზული
მეჩვენება, როგორც საღამოს გაზეთები. აი, რას გვაუწყებდა მსხვილი
შრიფტით აწყობილი სათაური იმ დილით: „შტრაუსის თანამიმდევრუ-
ლი პოლიტიკა“. ვფიქრობ, მოწინავე წერილის ან მსხვილი შრიფტით
ასაწყობი სათაურის დაწერა კიბერნეტიკული მანქანებისათვის რომ
მიგვენდო, ნამდვილად აჯობებდა — გონების სიჩლუნგესაც აქვს
საზღვარი, რომლის გადალახვა არაფრით შეიძლება.

უეცრად დუქნის ზარი აწკრიალდა და ზღურბლზე გამოჩნდა რვა
თუ ცხრა წლის ახალდაბანილი, შავგვრემანი, ლოყაწითელი გოგონა,
რომელსაც ილღიაში ლოცვანი ჰქონდა ამოჩრილი.

— მომეცით ათი პფენიგის გულიანი კანფეტი, — მითხრა მან.

მე წარმოდგენა არ მქონდა, რამდენი კანფეტი ერგებოდა ათ პფე-
ნიგად, მაგრამ ქილას ზუფი მაინც ავხადე, პარკში ოცი კანფეტი
ჩაუყვარე და ჩემს სიცოცხლეში პირველად შემრცხვა ჩემი არც ისე
სუფთა თითებისა, რომელთაც სქელი მინა კიდევ უფრო აღიდებდა.
როცა პარკში ოცი კანფეტი ჩაუყვარე, გოგონამ გაცეცებით შემომხე-
და, მაგრამ მე ვუთხარი:

— ყველაფერი რიგზეა, შეგიძლია წახვიდე.

ათპფენიგიანი დახლიდან ავიღე და სალაროში ჩავაგდე.

ლუქანში დაბრუნებულ მარის გაეცინა, როცა ათპფენიგიანი ამა-
ყად ვაჩვენე.

— ახლა კი უნდა წახვიდე, — მითხრა მან.

— კი მაგრამ, რატომ, ქვეყანა დაიქცევა, მამაშენის ძირს ჩამობრ-
ძანებამდე რომ აქ დავიცადო?

— მამა ცხრაზე ჩამოვა დაბლა, იმ დრომდე შენ ისევ უნდა დაბრუნ-
დე, — მითხრა მან. — სანამ სხვებისაგან გაიგებდეს, წადი და ყველა-
ფერი თვითონვე უამბე შენს ძმას, ლეოს.

— კი ბატონო, — ვუთხარი მე, — მართალს ამბობ, მაგრამ შენ...
— მე კვლავ გაეწითლდი, — სკოლაში წასვლას არ აპირებ?
— დღეს არ წავალ და, საერთოდაც, აღარასოდეს წავალ, — მი-
თხრა მან. — მალე დაბრუნდი.

მიჭირდა მისი დატოვება. მარიმ დუქნის კარამდე მიმაცილა. ღია კარში ისე ვაკოცე, რომ შმიცსა და მის ცოლს დაენახათ. მათ იმ თევზებივით გადმოკარკლეს თვალები, გაცეცეებულები, ანაზღად რომ აღმოაჩენენ, რომ თურმე კარგა ხანია წამოეგნენ ანკესზე.

გზას ისე დავადექი, უკან არ მომიხედავს. მციოდა, პიჯაკის საყე-
ლო ავიწიე, სიგარეტს მოუუკიდე. ბაზარს ჩაუყევი, თუმცა გზა ოდნავ
გავიგრძელე, ფრანცისკანერშთრასეზე ჩავიარე და კობლენცშთრასეს
კუთხეში დაძრულ ავტობუსს შევახტი. კონდუქტორმა ქალმა კარი კი
გამიღო, მაგრამ როცა ფულის გადასახდელად მის გვერდით გაჩერ-
დი, თითით დამემუქრა და თავის ქნევით მანიშნა, სიგარეტი ჩააქრო.
სიგარეტი ჩავაქრე, ნამწვი პიჯაკის ჯიბეში ჩავიდე, წინ წავედი და
შუა ავტობუსში გაჩერდი. ვიდექი, კობლენცშთრასეს გავყურებდი და
მარიზე ვფიქრობდი. ჩემმა სახემ, ეტყობა, რაღაცით გააგულისა ჩემ
გვერდით მდგომი კაცი. მან გაზეთიც კი დაუშვა დაბლა, დროებით
შეელა „შტრაუსის თანამიმდევრულ პოლიტიკას“, სათვალე ცხვირ-
ზე ჩამოიწია, თავი გადააქნ-გადმოაქნია და ჩაილულლულა: „დაუჯე-
რებელია“. მამაკაცის უკან ქალი იჯდა, გვერდით სტაფილოთი საე-
სე ტომარა მოედგა და ამ ტომარას კინაღამ ფეხი წამოგკარი. ქალს
მამაკაცის შენიშვნა ჭკუაში დაუჯდა, თავი გადააქნ-გადმოაქნია და
ტუჩები უხმოდ აამოძრა.

იმ დილით მარის სარკის წინ მისივე სავარცხლით დავივარცხ-
ნე თმა, რაც იშვიათად ხდება. მეცვა ნაცრისფერი, სუფთა, ყოვლად
ჩვეულებრივი კურტაკი, წვერი კი არასოდეს მეზრდებოდა ისე, რომ
ერთი დღის გაუპარსავი „დაუჯერებელ“ მოჩვენებად ვექციე. ტანად
არც ძალზე მაღალი ვარ, არც ძალზე დაბალი, არც ცხვირი მაქვს
იმდენად გრძელი, რომ პასპორტში განსაკუთრებული ნიშნების გრა-
ფაში იყოს ჩაწერილი. ამ გრაფაში მიწერია: არ აქვს. არც ჭუჭყიანი
ვიყავი და არც ნასვამი. და მაინც, სტაფილოიანი ტომრის პატრონი
ქალი უფრო შესამჩნევად დელაუდა, ვიდრე სათვალეიანი მამაკაცი,
რომელმაც ერთხელ კიდევ გადააქნია თავი სასოწარკვეთით, შემდეგ
სათვალე მოირგო და კვლავ შტრაუსის თანამიმდევრობას დაუბრუნ-

და. ქალი კი მოუსვენრად აქნევდა თავს და ჩუმად იწყევლებოდა. უნდოდა გაეზიარებინა დანარჩენი მგზავრებისთვის ის, რაც მის ტუჩებს არ დასცდენია. გარეგნული ნიშნებით ებრაელებს ღღემდე ვერ ვცნობ, თორემ შეიძლებოდა მეფიქრა, ებრაელად ზომ არ ჩამთვალეს-მეთქი. მაგრამ, ჩემი აზრით, ისინი ჩემმა გარეგნობამ კი არა, ჩემმა გამომეტყველებამ გააღიზიანა, როცა ავტობუსიდან ქუჩას გავყურებდი და მარნიე ვფიქრობდი. ამ ჩუმმა მტრობამ მეც გააღიზიანა. ავტობუსიდან ერთი გაჩერებით ადრე ჩამოვედი, ებერთალეე ფეხით გავიარე და რაინისაკენ გავუხვიე.

ჩვენს პარკში წითლის ხეები ჯერ კიდევ შავი და სველი იყო. ახლად მოშანდაკებული ჩოგბურთის მოედანი კი — წითელი. რაინზე კარპაჭები საყვირს აგუგუნებდნენ. ჰოლში რომ შევედი, სამზარეულოდან ანას ჩუმი ლანძღვა მომესმა. ჩემამდე მხოლოდ კანტიკუნტად აღწევდა: „ცუდად დაამთავრებს... დაამთავრებს... ცუდად“. როგორც კი სამზარეულოს ჩავუარე, ღია კარში შევძახე: „ანა, ღღეს არ ვისაუზნებ“. არ შეეჩერებულვარ, საერთო ოთახში შევევარი. არასოდეს მომჩვენებია ასე ჩამუქებული მუხის კედლები, ხის ფართო თაროები და ზედ შემოდებული სამონადირეო ნადავლი. სამუხიკო სალონში ლეო შოპენის მანურკას უკრავდა. იმ ხანებში მოისურვა მუსიკა ესწავლა და სკოლაში წასვლამდე რომ ცოტათი ევარჯიშა, დილის ექვს საათზე დგებოდა. მანურკის გაგონებამ მაფიქრებინა, თითქოს უკვე საღამო იყო. შემდეგ კი სრულიად გადამაიწყდა, ლეო რომ უკრავდა. ლეო და შოპენი ერთმანეთს არ შეეფერებოდნენ, მაგრამ ისე კარგად უკრავდა, რომ ამაზე არ დაფიქრებულვარ. ძველი კომპოზიტორებიდან ყველაზე მეტად შოპენი და შუბერტი მიყვარს. ვიცი, ჩვენი მუსიკის მასწავლებელი მართალი იყო, როცა მოცარტს ღვთაებრივს ეძახდა, ბეთჰოვენს — განსაცვიფრებელს, გლუკს — განუმეორებელს, ბახს კი ღიდებულს. ღიახ, ასეა. ბახი ყოველთვის ოცდაათტომიან ღვთისმეტყველებად მეჩვენება და მაცოცხლებს, შოპენი და შუბერტი კი ჩემსავით მიწიერნი არიან და ამიტომაც მათი მოსმენა ყველაფერს მირჩენია.

რაინისაკენ დაქანებულ პარკში, მტირალა ტირიფების წინ, სადაც ბაბუაჩემის ტირი იყო, სამიზნე დისკოები ირხეოდა. ეტყობა, მეტლეს დააუღლეს მათი დახეთვა. ბაბუაჩემი ზოგჯერ „ძველ ბიჭებს“ უყრიდა თავს და ამ დროს ჩვენი სახლის წინ პატარა, მრგვალ

მოედანზე თხუთმეტამდე უზარმაზარი ავტომანქანა მწკრივდებოდა, თხუთმეტი გათოშილი მძღოლი კი ხეებსა და მესერს შორის შექუჩდებოდა, იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად ან ქვის სკამებზე სკატს თამაშობდნენ. თუ ამ „ძველი ბიჭებიდან“ რომელიმე თორმეტიაში მოახვედრებდა, მაშინვე ატყდებოდა შამპანურის საცობების ერთი ბათქაბუთქი. ხანდახან ბაბუაჩემი დამიძახებდა და „ძველ ბიჭებს“ რამდენიმე ფოკუსს ვუჩვენებდი, ვბაძავდი ადენაუერს ან ერჰარდს, რაც ძალზე მეადვილებოდა, ზოგჯერ კი პატარა სცენებს გავითამაშებდი, მაგალითად, „მენეჯერი ვაგონ-რესტორანში“. ვცდილობდი, ჩემს სცენებში რაც შეიძლება მეტი ღვარძლი ჩამექსოვა, მაგრამ ბერიკაცები მაინც სცილით იჭაჭებოდნენ, ერთხმად იძახდნენ, შესანიშნავად გავერთეთო. ბოლოს, როცა ტყვიების ცარიელი ყუთით ან ლანგრით თითოეულს ჩამოვუვლიდი, მეტწილად ქაღალდის ფულს იმეტებდნენ. ამ ცინიკოს ბებრუხანებთან შესანიშნავად ვპოულობდი საერთო ენას, მათთან არაავითარი საქმე არ მქონდა. ასევე შესანიშნავად გამოვინახავდი საერთო ენას ჩინელ მანდარინებთანაც. ზოგიერთები ქებასაც კი არ იმუშრებდნენ: „კოლოსალურია“, „დიდებულია“. ზოგი ერთ სიტყვას აღარ სჯერდებოდა და გაიძახოდა: „ამ ბიჭს აქვს რაღაც ისეთი“ ან კიდევ: „ჯერ სადა ხართ“.

სანამ შოპენს ყურს ვუგდებდი, პირველად მომივიდა აზრად, ან-გაქემენტისათვის მეზრუნა და ცოტა ფული მეშოვა. შემემლო ბაბუაჩემის ხელმეწყობითა და დახმარებით სოლო ნომრებით გამოვსულიყავი კაპიტალისტების შეკრებებზე ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების შემდეგ ხალხი გამემხიარულებინა. ერთი ნომერი „სამეთვალყურეო საბჭო“ დავისწავლე კიდევც.

შემოვიდა თუ არა ლეო ოთანში, შოპენი გაქრა. ლეო მეტისმეტად მაღალია, ქერათმიანი, უჩარჩო სათვალეს ატარებს და ისე გამოიყურება, თითქოს სუპერინტენდანტი ან შვედი იეზუიტი იყოს. მისი მუქი შარვლის საგულდაგულოდ დაუთოებულმა ნაკეცებმა შოპენის მუსიკის უკანასკნელი კვალი გადარეცხა. თეთრი პულოვერი როგორღაც არ უხდებოდა ახალგაუთოებულ შარვალს, არც თეთრ პულოვერზე გადმოფენილი წითელი პერანგის საყელო ახარებდა თვალს. როცა ვხედავ, რა ამაოდ ცდილობს ზოგიერთი, ისე გამოიყურებოდეს, თითქოს ჩაცმას არაფრად დაგიდევს, ღრმა მელანქოლია მიპყრობს. ისეთი პრეტენზიული სახელებიც მაღიზიანებს, როგორებიცაა ეთუ-

ლბერთი ან გერენთრუდი. მხედველობიდან არც ის მრჩებოდა არასოდეს, როგორ ჰგავდა ლეო ჰენრიეთეს და, ამავე დროს, არც ჰგავდა. ჰგავდა პაჭუა ცხვირით, ლურჯი თვალებით და თმის ფერით, მაგრამ პირი სულ სხვა მოყვანილობისა ჰქონდა და ყველაფერი ის, რითაც ჰენრიეთე ლამაზი და ხალისიანი იყო, ლეოს გულჩათხრობილსა და უსიცოცხლოს ხდიდა. სრულიად არ ეტყობოდა, რომ კლასში პირველი სპორტსმენი იყო — ისე გამოიყურებოდა, როგორც ფიზიკულტურის გაკვეთილებიდან განთავისუფლებული მოწაფე. თუმცა მისი საწოლის ზემოთ ნახევარი ღუჟინი სპორტული სიგელი ეკიდა.

ლეო ჯერ სწრაფად წამოვიდა ჩემკენ, მაგრამ უცებ რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით შეჩერდა, ხელები უხერხულად წაიღო განხე და მკითხა:

— ჰანს, რა მოხდა?

მან ჯერ თვალებში შემომხედა, შემდეგ მხერა ცოტა უფრო ქვევით ჩამოაცურა, თითქოს უნდოდა ენიშნებინა ჩემთვის, ლაქა გაქვსო. მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ვტიროდი. როცა შოპენს ან შუბერტს ვისმენ, ყოველთვის ვტირი. მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით ცრემლი მოვიწმინდე და ვუთხარი:

— არ ვიცოდი, ასე კარგად თუ უკრავდი შოპენს. დაუკარი კიდევ ერთხელ მაზურკა.

— არ მცალია, — მითხრა მან, — სკოლაში ვარ წასასვლელი, პირველ გაკვეთილზე გერმანულ ენაში გამოსაშვები გამოცდისათვის თემებს დაგვირიგებენ.

— დედაჩვენის მანქანით წაგიყვან, — ვუთხარი მე.

— არ მიყვარს ამ სულელური მანქანით მგზავრობა, — მითხრა მან, — შენ კი იცი, როგორ მძულს.

დედამ სპორტული მანქანა „ჩალის ფასად“ იყიდა ერთი მეგობარი ქალისაგან, ლეო კი მწვავედ განიცდიდა ყველაფერს, რასაც ბაქიაობის სუნი უდიოდა. გაცოფებით კი მხოლოდ მაშინ ცოფდებოდა, როცა ჩვენი მდიდარი მშობლების გამო ვინმე ახელებდა ან ეფერებოდა. ამ დროს სახეზე ალმური ასდიოდა, მუშტი-კრივსაც კი არ ერიდებოდა.

— დამითმე ამჯერად, დაჯექი როიალთან და დაუკარი, — ვთხოვე მე, — ნუთუ არ გაინტერესებს, სად ვიყავი წუხელ?

ლეო გაწითლდა, იატაკს დააჩერდა და მითხრა:

- არა, არ მაინტერესებს.
- ღამე ერთ ქალიშვილთან გავატენე, ახლა უკვე ქალთან, ჩემს ცოლთან, — ვუთხარი მე.
- აი, თურმე რა მომხდარა, — მითხრა ისე, რომ თავი არ აუღია.
- ქორწილი როდის გადაიხადეთ?
- ლეომ არ იცოდა, სად წაელო თავისი მოუქნელი ხელები. უეცრად ჩემკენ წამოვიდა და უნდოდა თავჩაქინდროულს გვერდით ჩაველო, მაგრამ მე მაგრად ჩავაფრინდი სახელოში.
- ის ქალი მარი დერკუშია, — ვთქვი ჩუმაღ.
- ლეომ მკლავი გაითავისუფლა, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და თქვა:
- ღმერთო ჩემო, შეუძლებელია. — მერე მრისხანედ შემომხედა და თავისთვის რაღაც ჩაიბურღლუნა.
- რაო, რა თქვი? — ვკითხე მე.
- ისა, რომ ახლა მართლაც არ ამცდება მანქანით წასვლა. წამიყვან?
- რა თქმა უნდა, — ვუპასუხე მე, მკლავში ხელი წავავლე და საერთო ოთახი მხარდამხარ გავიარეთ, არ მინდოდა სახეში შემოქედდა ჩემთვის.
- წადი, გასაღები გამოართვი, — ვუთხარი მე, — დედა შენ უარს არ გეტყვის, არც საბუთები დაგავიწყდეს. მართლა, ლეო, ფული მჭირდება, ცოტა მაინც თუ დაგრჩა?
- სალაროში მაქვს, თვითონ შეგიძლია გამოიტანო? — მკითხა მან.
- არ ვიცი, მირჩევნია გამომიგზავნო, — ვუთხარი მე. მან თავი დამიქნია და კიბეს აჰყვა.
- სახლში დარჩენა რომ აღარ მინდოდა, ეს ჩემთვის მხოლოდ მაშინ გახდა ცხადი, როცა ლეომ კითხვა დამისვა. სამზარეულოში შეხეტებულს ანა აბუზღუნებული დამხვდა.
- მეგონა, აღარ ისაუზმებდი შინ, — მითხრა მან.
- საუზმე არ მინდა, ყავას კი დავლევე, — ვუთხარი მე.
- გაკრიალებულ მაგიდას მიუჯვავე და ვუყურებდი ანას, რომელმაც ქურაზე შედგმულ საყავეს ფილტრი მოხსნა და დასაწრეტად ფანჯრის რაფაზე დადო. დილაობით მე და ლეო მუდამ მოახლეებთან ერთად კსაუზმობდით სამზარეულოში, რადგან მოსაწყენი იყო, სასადილო

ოთახში საზეიმოდ გაშლილ დიდ მაგიდასთან რომ მოგვართმევდნენ საუზმეს. ასეთ დროს სამზარეულოში ყოველთვის მხოლოდ ანა იყო. მეორე მოსამსახურე გოგო ნორეთე საწოლ ოთახში საუზმეს უწყობდა დედას და ჩაცმასა და კოსმეტიკაზე ბჭობდნენ. დედას ახლა, ალბათ, სახეზე პლაცენტებისაგან დამზადებული უცნაური მასა აქვს ჭარბად წაცხებული და თავისი შესანიშნავი კბილებით ხორბლის მარცვლებს ღრღნის, ხოლო ნორეთე გაზეთს უკითხავს. ან შეიძლება ჯერ კიდევ დილის ლოცვით არიან გართულნი, რომლის ტექსტი გოეთესა და ლუთერის გამონათქვამებისგანაა შედგენილი და მეტწილად „ქრისტიანთა მორალური აღჭურვა“ ერთვის თან. ისიც შესაძლებელია, რომ ნორეთე დედას სასაქმებელი წამლების პროსპექტების დასტას უკითხავს. დედას საგანგებო საქალაქე აქვს წამლების პროსპექტებით გამოტენილი და შემდგენიარად დალაგებული: „კუჭნაწლავი“, „გული“, „ნერვები“, ხოლო თუ სადმე ექიმი გამოიჭირა, მაშინვე ეკითხება, რამე ახალი წამალი თუ გამოჩნდაო. ასე ზოგავდა კონსულტაციისათვის გადასახდელ ჰონორარს. თუ რომელიმე ექიმი სასინჯ წამლებს გამოუგზავნიდა, სიხარულით ცას ეწეოდა ხოლმე.

ანას ზურგშექცეულსაც ვატყობდი, ემინოდა იმ წამის, როცა უნდა შემობრუნებულიყო, ჩემთვის სახეში შემოეხედა და დამლაპარაკებოდა. მე და ანას ერთმანეთი გვიყვარდა, მაგრამ მას ვერაფრით ვერ დაეთრგუნა მომაბეზრებელი სურვილი — მე აღვეზარდე. ანა კაი თხუთმეტი წელი ცხოვრობდა ჩვენთან, დედას იგი ბიძაშვილმა, ევანგელისტმა მღვდელმა დაუთმო. ანა პოტსდამელი იყო და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ევანგელისტები ვიყავით, მაინც საშინელებად, არაბუნებრივად ეჩვენებოდა, რომ რაინულ დიალექტზე ვლაპარაკობდით. ვფიქრობ, ბაგარიულ დიალექტზე მოლაპარაკე პროტესტანტი მას ბოროტ სულად მოეჩვენებოდა. თხუთმეტი წლის განმავლობაში ანა რაინის მხარეს ცოტათი შეეჩვია. იგი მაღალი, ტანწერწეტა ქალია და ამაცობს იმით, რომ „ნამდვილი ქალბატონივით დადის“. მამამისი ხაზინადრად მუშაობდა სადღაც. მე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ მის სამუშაო ადგილს „მეცხრე ქვეითი პოლკი“ ერქვა. აზრი არ ჰქონდა ანასათვის გემტკიცებინა, რომ ჩვენი სახლი მეცხრე ქვეითი პოლკი არ იყო. რაც შეეხება ახალგაზრდობის აღზრდის საკითხს, ვერაფრით მოაშლევინებდი შემდეგ სენტენციას: „მეცხრე ქვეით პოლკში ამას როგორ დაუშვებდნენ“. ვერ იქნა და ვერ მიფხვდი, რა იყო

ეს მეცხრე პოლკი, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით ვიცოდი: ამ საიდუმლოებით მოცულ აღმზრდელობით დაწესებულებაში, ალბათ, ტუალეტის მწმენდადაც კი არ მიმიღებდნენ. ანა ჯადოსნურ მეცხრე პოლკს მოიშველიებდა ხოლმე მაშინაც, როცა ვიბანდი ხელპირს. ჩემი „სამინელი ჩვეულება“ კი — ლოგინში დიდხანს ნებფრობა — ისეთ ზიზღს ჰკვრიდა, თითქოს კეთრი მჭირდა. ბოლოს, როგორც იქნა, ანა შემობრუნდა. როცა საყავით ხელში მაგიდასთან მოვიდა, თვალები ისე ჰქონდა დახრილი ძირს, თითქოს სახელგატეხილ ეპისკოპოსს ემსახურებო. იგი ისევე მეცოდებოდა, როგორც მარის ჯგუფის ქალიშვილები. ანას მონაზვნურმა ინსტინქტმა არ უღალატა, ცხადად მიხვდა, საიდანაც მოვდიოდი, დედაჩემი კი, ალბათ, სამი წელიწადი რომ ვყოფილიყავი საიდუმლოდ დაქორწინებული, მაინც ვერაფერს მიხვდებოდა. ანას საყავე გამოფართვი, ყავა დავისხი, შემდეგ მკლავზე მაგრად მოუჭირე ხელი და ვაიძულე, ჩემთვის შემოეხედა. მან თავისი გამოხუნებული ლურჯი თვალებით შემომხედა, ქუთუთოები უთროდა და დავინახე, რომ მართლა ტიროდა.

— დალახვროს ეშმაკმა, ანა, — წამოვიძახე მე, — შემომხედე თვალებში. ვფიქრობ, იმ შენს მეცხრე პოლკში ადამიანები ვაჟკაცურად უყურებენ ერთმანეთს თვალებში.

— მე ვაჟკაცი არა ვარ, — აზლუქუნდა ანა.

ხელი გაუშვი, სახე ქურისკენ მიაბრუნა და რაღაც ჩაიბურტყუნა ცოდვასა და სირცხვილზე, სოდომსა და გომორზე.

— ღმერთო ჩემო, ანა, დაფიქრდი, რას აკეთებდნენ ისინი სინამდვილეში სოდომსა და გომორში, — ვუთხარი მე.

ანამ ჩემი ხელი მხრიდან ჩამოიცილა. სამზარეულოდან ისე გავედი, მისთვის არც მითქვამს, სახლიდან წასვლა რომ მქონდა გადაწყვეტილი. ანა იყო ერთადერთი არსება, ვისაც ზოგჯერ ჰენრიეთზე ველაპარაკებოდი.

ლეო უკვე გარაჟთან იდგა და მაჯის საათს შიშით დაჰყურებდა.

— დედა მიხვდა, წუხელ რომ შინ არ ვიყავი? — ვკითხე მე.

— არა, — მითხრა მან, გასაღები გადმომცა და გარაჟის კარი დამიკავა. მე მანქანაში ჩავჯექი. გარაჟიდან გავედი და ლეო ჩავისვი. იგი ყურადღებით დასცქეროდა საკუთარ ფრჩხილებს.

— სალაროს წიგნაკი თან წამოვიღე, ფულს შესვენების დროს გამოვიტან. სად გამოგიგზავნო?

- გამოგზავნე მოხუცი დერკუმის სახელზე, — ვუპასუხე მე.
- დროა დაიდრა, — მითხრა მან.

ჩვენს ბაღში მანქანა სწრაფად გავაქროლე და, როცა ჭიშკარს გავცდი, ჩემდა უნებურად შევაცოვნე მანქანა იმ გაჩერებასთან, სადაც ჰენრიეთე ტრამვაიში ჩაჯდა და საზენიტო ქვედანაყოფში გაეშურა. ტრამვაიში ჰენრიეთეს ტოლი ქალიშვილები სხდებოდნენ. ტრამვაის რომ გაეუსწარი, ჰენრიეთეს ხნის ქალიშვილი კიდევ ბევრი დავინახე. ისინი ჰენრიეთესავით იცინოდნენ, თავზე ლურჯი ქუდები ეხურათ და პალტოებზე ბჭვის საყელოები ჰქონდათ შემოვლებული. ომი რომ ხელახლა დაიწყო, მათ, ალბათ, მშობლები ისევე გაგზავნიდნენ საომრად, როგორც ჩემმა მშობლებმა გაგზავნეს ჰენრიეთე. ხელში ჯიბის ფულსა და ორიოდ ბუტერბროდს შეაჩერებდნენ, მხარზე ხელს დაჰკრავდნენ და ეტყოდნენ: „აბა, შენ იცი“. სიამოვნებით დავუქნევი ამ ქალიშვილებს ხელს, მაგრამ გადავიფიქრე, რა ვიცი, ახლა ყველაფერი უკუდმართად ესმით. ანდა ქალიშვილს ხელს როგორ დაუქნევ, როცა ასეთ სულელურ მანქანაში ზიხარ. ერთხელ სასახლის ბაღში ერთ ბიჭს ნახეარი ფილა შოკოლადი მივეცი და ჭუჭყიანი შუბლიდან ქერა თმა გადაუყარე. იგი ტიროდა, ცრემლებს ხელით იწმენდა და სახე მთლად გაეთხუპნა. მინდოდა დამემშვიდებინა, მაგრამ ამის გამო ორმა ქალმა შავი დღე მაყარა, კინაღამ პოლიციელს დაუძახეს. მთელი ამ აყალმაყალის შემდეგ ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს მართლაც გათახსირებული კაცი ვყოფილიყავი. ერთი ქალი წამდაუწუმ მეძახდა: „ბინძურო სალახანაჲ, ბინძურო სალახანაჲ“. საშინელი რამ გადამხდა თავს. ამ ალიაქოთის ამტეხი დედაკაცები ისეთივე უტიფრები მომეჩვენნენ, როგორიც ჩემს წარმოდგენაში მართლა გათახსირებული კაცია.

კობლენცის ქუჩაზე დიდი სისწრაფით გავქანდი, თან თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი, მინდოდა რომელიმე მინისტრის მანქანა შემომფეთებოდა და გამეკაწრა. დედაჩემის მანქანას თვლების მორგებები წინ აქვს გაშვერილი და ამ მორგევებით სხვა მანქანის გაკაწვრა მართლაც შემეძლო, მაგრამ ასე ადრე და ისიც მანქანით მინისტრი ქუჩაში არ გამოდის.

— მართლა აპირებ ჯარში წასვლას? — ვკითხე ლეოს.

— ეს საკითხი ჩვენს წრეში განვიხილეთ და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ჯარში წასვლა დემოკრატიის გაღრმავებას უწყობს ხელს.

— დიდებულია, — ვუთხარი მე, — წადი და ჩაყურყუმელაფდი იმ იდიოტობაში. ზოგჯერ ვწუხვარ, სამხედროვალდებული რომ არ ვარ.

ლემო გაკვირვებით შემომხედა, მაგრამ როცა მეც მოვინდომე მისთვის შემეხედა, თავი ისევ მიატრიალა.

— რატომ? — მკითხა მან.

— ო, — ვთქვი მე, — დიდი სიამოვნებით შევხვდებოდი კიდევ ერთხელ იმ მაიორს, რომელიც ომის დროს ჩვენს სახლში ჩაასახლეს და ფრაუ ვინეკენის დახვრეტას აპირებდა. ახლა იგი, ალბათ, პოლკოვნიკი ან გენერალი იქნება.

მანქანა ბეთჰოვენის გიმნაზიის წინ გავაჩერე, ვიფიქრე, ლეოს გადმოსვამ-მეთქი, მაგრამ მან თავი გააქნია და მითხრა:

— მანქანა ქვევით, კონვიქტის მარჯვნივ გააჩერე.

მე გზა განვაგრძე, ბოლოს მანქანა გავაჩერე და ლეოს ხელი ჩამოვართვი. მაგრამ ლეო გაწამებული კაცივით მილიმოდა და ხელი უკან არ მიჰქონდა. ფიქრით მე უკვე შორს ვიყავი, არ მესმოდა, რა უნდოდა და ამასთანავე ისიც მალიზიანებდა, რომ ლეო წარამარა შემფოთებული დაჰყურებდა საათს. რვას ხუთი წუთი აკლდა. დრო საკმარისი ჰქონდა.

— შენ რა, მართლა აპირებ ჯარში წასვლას? — ვკითხე მე კვლავ.

— რატომაც არა, — მიპასუხა გულმოსულმა, — მომეცი მანქანის გასაღები!

გასაღები მივეცი, თავი დაუშქნიე და გავშორდი. მთელი გზა ჰენრიეთზე ვფიქრობდი და ლეოს გაჯარისკაცება სიგიჟედ მიმაჩნდა. შემდეგ სასახლის ბაღი გადავჭერი, უნივერსიტეტის თაღის ქვეშ გავიარე და ბაზრისაკენ გავწიე. მციოდა, გული მარისაკენ მიმიწევდა.

როცა დუქანში შევედი, იქაურობა ბავშვებით იყო საესე. ბავშვები თაროებიდან კანფეტებს, ფანქრებს, საშლელებს იღებდნენ და მოხუც დერკუმს დახლზე ფულს უყრიდნენ. უკანა ოთახში დიდი ვაი-ვაგლახით გავძვერი. დერკუმს ჩემთვის არ შემოუხედავს. ქურასთან მისული ხელებს საყავზე ვითბობდი და ვფიქრობდი, მარი სადაცაა გამოჩნდება-მეთქი. სიგარეტი გამომელაია. მარის კი ვთხოვდი, მოეტანა, მაგრამ არ ვიცოდი, უფასოდ გამომერთმია თუ ფული გადამიქნადა. საყავიდან ყავა დავისხი და მხოლოდ ახლა შევაძმინე, რომ მაგიდაზე სამი ფინჯანი იდგა. როცა დუქანში სიჩუმე ჩამოვარდა, ჩემი ფინჯანი ისევ მაგიდაზე დავდგი და ვინატრე, ნეტა მარი აქ

იყოს-მეთქი. ქურის გვერდით ჭურჭლის სარეცხ ბაკანში ხელ-პირი დავიბანე, ხოლო თმა სასაპნეში ჩადებული ფრჩხილების საწმენდი ჯაგრისით დავიარცხნე, საყელო გავისწორე, ყელსახვევი მაგრად ჩამოვქაჩე და კიდევ ერთხელ დავხედე ჩემს ფრჩხილებს. ფრჩხილები სუფთა მქონდა და უეცრად მივხვდი, ბევრი ისეთი რამის გაკეთება მომიწევდა, რასაც ადრე არ ვაკეთებდი.

როცა ოთახში მარის მამა შემოვიდა, ახალდამჯდარი ვიყავი და იმწამსვე ფეხზე წამოვხტი. ისიც ჩემსავით დარცხვენილი იყო და უხერხულობას ვერ მაღავდა, მაგრამ გაბრაზებული არ მომჩვენებია. უბრალოდ, მეტისმეტად სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა. როცა ხელი საყავის ასაღებად წამოიღო, შესამჩნევად შევეკრთი. მან თავი გააქნია, ყავა დაისხა და საყავე მე მომაწოდა. მადლობა გადავუხადე. დერკუმს არც ამჯერად შემოუხედავს ჩემთვის. დამე მარის საწოლში რომ ვიწექი და მომხდარზე ვფიქრობდი, გული საგულეს მქონდა. ძალიან მინდოდა სიგარეტის მოწვევა, მაგრამ ვერ ვბედავდი ამომეღო მისი კოლოფიდან, რომელიც იქვე, მაგიდაზე იდო. სხვა დროს, ცხადია, კოლოფიდან სიგარეტის ამოღება არ გამიჭირდებოდა. დერკუმი ადგა, თავდახრილი მაგიდას დაეყრდნო. თვალი ვკიდე მის მელოტ თავსა და აქა-იქ შემორჩენილ გაჩეჩილ ჭადარა თმას. რატომღაც ძალიან ხნიერი მეჩვენა.

— ბატონო დერკუმ, — დავიწყე წყნარად, — თქვენ უფლება გაქვთ...

მაგრამ მან მაგიდას დაჰკრა ხელი, როგორც იქნა, სათვალის ზემოდან შემომხედა სახეში და მითხრა:

— ეშმაკმა წაგიღოს, ნუთუ ეს ასე აუცილებელი იყო! თანაც მთელი მეზობლობა რაღად ჩარიეთ ამამი?

გამიხარდა, გული რომ არ აიყარა ჩემზე და ზნეობაზე არ დაიწყო ლაპარაკი.

— ნუთუ მართლა ასე აუცილებელი იყო. ხომ იცოდი, ყველაფერს ვიკლებდი იმისათვის, რომ ის წყეული გამოცდები ჩაებარებინა, ახლა კი აღარაფერი... — მუმტი ისე მოკუმა და გაშალა, თითქოს ჩიტი გაუშვავო, — ყველაფერი წყალში ჩაყარა.

— მარი სად არის? — ვკითხე მე.

— წავიდა, კიოლნში გაემგზავრა, — მითხრა მან.

— სად არის? — ვიყვირე მე, — სად?

— აბა, წყნარად, — მითხრა მან, — თავის ღროზე გაიგებ ყველაფერს. ვიცი, რომ სიყვარულზე, ქორწინებაზე და ასეთ რამეებზე დამიწყებ ახლა ლაპარაკს, მაგრამ თავს ნუ შეიწუხებ. მიბრძანდი, მიბრძანდი. ვნახოთ ერთი, რა გამოვა შენგან. აბა, მიბრძანდი!

მეშინოდა მის წინ გამეგლო.

— მისამართი? — ვკითხე მე.

— აგერაა, — მითხრა მან და მაგიდაზე დატოვებული ბარათი ჩემკენ გამოაცურა. ბარათი ჯიბეში ჩავიდე.

— რაღა გინდა კიდევ, რას დგახარ, რას ელოდები? — მიყვირა მან.

— ფული მჭირდება, — ვუთხარი მე და გამიხარდა, რადგან მას უეცრად გაეცინა. ეს იყო უცნაური სიცილი, ბოროტი, მკაცრი. ხუსტად ასე გაეცინა ერთხელაც, როცა მამაჩემზე ვლაპარაკობდით.

— ფული? ეტყობა, ხუმრობ, — მითხრა მან, — თუმცა წამოდი, წამოდი!

მან სახელოში ხელი ჩამავლო და დუქნისაკენ წამათრია. შემდეგ დახლს უკან გავიდა, სალაროს უჯრა სწრაფად გამოადლო და ხურდა ფული ორივე პეშვით გადმომიყარა. ათპფენიგანიები, ხუთპფენიგანიები და პფენიგანიები გახეთქსა და რვეულებზე მიმოიფანტა. ჯერ ვყოყმანობდი, მერე ნელა შევუდექი ხურდა ფულის აკრეფას. თავიდან მინდოდა ხელის ერთი მოსმით ამეკრიფა, მაგრამ თითო-თითოდ მოკერიფე, მარკებად დავმარგვალე და ჯიბეში ჩავიყარე. დერკუმი თვალს არ მაშორებდა, თავი დამიქნია. შემდეგ კი საფულე ამოიღო და წინ ხუთმარკიანი დამიღო. ორიენი გავწითლდით.

— მაპატიე, მაპატიე, ო, ღმერთო, მაპატიე, — მითხრა მან წყნარად. დერკუმს ვგონა, შეურაცხყოფა მომაცენა, მაგრამ მე კარგად მესმოდა მისი.

— ერთი კოლოფი სიგარეტიც მაჩუქეთ, — ვთხოვე მე.

დერკუმი უკანმიუხედავად მისწვდა თაროს და ერთის ნაცვლად ორი კოლოფი გამომიწოდა. მე დახლისაკენ გადავიხარე და ლოყაზე ვაკოცე. დერკუმი ერთადერთი კაცია, ვისთვისაც მიკოცნია.

8

იმის წარმოდგენა, რომ ციუპფენერს შეეძლო და უფლებაც ჰქონდა ეცქირა, როგორ იცვამს მარი და როგორ ახრახნის კბილის პას-

ტის ტუბს სახურავს, გულს მითუთქავდა. ფეხი მტკიოდა და უკვე ეჭვი მეპარებოდა, შევძლებდი კი ამიერიდან ოცდაათი-ორმოცდაათი მარკის ღონეზე პამპულაობას? მშხამავდა იმის გაფიქრებაც, რომ ციუპფენერი გულგრილად შესცქეროდა მარის იმ დროს, როცა ის კბილის პასტის ტუბს სახურავს ახრახნიდა. ჩემი მცირე გამოცდილებით ვიცოდი, რომ კათოლიკეებმა წვრილმანების ფასი არ იციან. ციუპფენერის ტელეფონის ნომერი ქაღალდზე მეწერა, მაგრამ ამ ნომრის ასაკრეფად ჯერ კიდევ არ ვიყავი სათანადოდ შეშხადებული. ადამიანები რას არ სჩადიან მსოფლმხედველობის ზეგავლენით. იქნებ, მარი მისთხოვდა კიდევ ციუპფენერს. ტელეფონში რომ მარის ხმა გამეგონა და ეთქვა: ციუპფენერი გისმენთო, ნამდვილად ვერ ავითანდი. მინდოდა, ლეოსთვის დამერეკა. ტელეფონების წიგნში სასულიერო სემინარიების ნომრები ვეძებე, მაგრამ ვერ აღმოვაჩინე. ამავე დროს, ვიცოდი, რომ ქალაქში ორი სასულიერო სემინარია იყო — ლეონინუმი და ალბერტინუმი. ბოლოს მეყო ძალა, ყურმილი ავიღე და ცნობათა ბიუროს დავეურეკე. წარმოიდგინეთ, თავისუფალი აღმონჩნდა. ქალიშვილს, რომელმაც პასუხი გამცა, კილოც კი რაინული ჰქონდა. ხანდახან ისე მენატრებოდა რაინული კილოს გაგონება, რომ ნებისმიერი სასტუმროდან ბონის სატელეფონო სადგურში მხოლოდ იმისათვის ვრეკავდი, რომ მომესმინა არამხედრული, რნაკლული ენა. სამხედრო დისციპლინა ხომ ძირითადად რ ბგერაზეა დაფუძნებული.

ხუთჯერ მაინც მითხრეს, გთხოვთ დაიცადოთო. ბოლოს რომელიდაც ქალიშვილმა ხმა გამცა და მე ვკითხე იმ „დაწესებულებათა ნომრები, სადაც კათოლიკე მღვდლებს ამხადებენ“. თან ავუხსენი, სასულიერო სემინარიებს ვეძებ და ვერაფრით ვერ მიპოვია-მეთქი. ქალიშვილმა გაიცინა, ამიხსნა, ამ „დაწესებულებებს“ კონვიქტები ჰქვიაო, ბრჭყალებში ჩასმული სიტყვა სასიამოვნოდ, ხაზგასმით მითხრა და ორივე სასწავლებლის ტელეფონის ნომრები მომცა. ქალიშვილის ხმამ ოდნავ მანუგეშა. ეს ხმა გაპრანჭულად, მინაზებულად კი არ ჟღერდა, არამედ სრულიად ბუნებრივად და მეტისმეტად რაინულად. ამის შემდეგ ისიც კი მოვახერხე, რომ ტელეგრაფს დავუკავშირდი და კარლ ემონდს დეპეშა გავუგზავნე.

ვერ გამიგია პირდაპირ, რატომ ცდილობს ადამიანი, ვისაც ინტელიგენტად მოაქვს თავი და მოვალეობა სძულს, ბონიც შეიძულოს.

ბონს ყოველთვის გააჩნდა თავისი მომხიბვლელობა, მოთენთილი მომხიბვლელობა, მსგავსად ზოგიერთი მოთენთილი ქალისა, რომელიც, ვფიქრობ, სწორედ ამის გამოა მოთენთილი. თავისთავად ცხადია, ბონს არ უხდება გაზვიადება, ეს ქალაქი კი მისდა უნებურად გააზვიადეს. ქალაქი, რომელსაც არ უხდება გაზვიადება, შეუძლებელია აღწერო: ეს უკვე თავისთავად იშვიათი თვისებაა. ბავშვებმაც კი იციან, ბონის ჰაეა პენსიონერებს რომ რგებს, რადგან ჰაერის წნევასა და სისხლის წნევას შორის რაღაც კავშირი არსებობს. ის, რაც ყველაზე მეტად არ შეეფერება ბონს, თავდაცვითი სიფიცხეა. ჩვენს სახლში ბევრჯერ მქონია შესაძლებლობა, მესაუბრა მინისტრებთან, დეპუტატებთან, გენერლებთან (დედაჩემს ძალიან უყვარს წვეულებები) და ყველა ისინი, გაღიზიანებულნი, ზოგჯერ კი თითქმის ატირებულნი, რაღაცისაგან იცავდნენ თავს. ამავე დროს, ბონის ხსენებაზე მათ ღიმილში ნაწვლები ირონია გამოკრთოდა. ჩემთვის გაუგებარი იყო მათი მანჭვა-გრეხა. თუ ქალი, რომლის მომხიბვლელობა მის მოთენთილობაშია, უეცრად ველურივით დაიწყებს კანკანის ცეკვას, შეიძლება კაცმა იფიქროს, დოპინგი შეუშხაპუნესო, მაგრამ მთელ ქალაქს დოპინგს ხომ ვერ შეუშხაპუნებენ, ამას ვერ მოახერხებენ. შეიძლება მოხუცმა, კეთილმა დეიდამ გასწავლოს, როგორ მოქსოვო პულოვერები ჩხირებით ან ხელსახოცები ყაისნაღით, გასწავლოს, როგორ მიიტანო ღვინო სუფრაზე, მაგრამ ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იქნებოდა, ორსაათიანი, მახვილგონივრული, ამომწურავი მოხსენება რომ წაეკითხა ჰომოსექსუალიზმზე ანდა უეცრად კახპების ჟარგონზე დაეწყო ლაპარაკი, რაც ბონში, ყველას გულის დასაწყვეტად, ნაკლებადაა გავრცელებული.

ყალბი იმედები, ყალბი სირცხვილი, ყალბი სპეკულაცია არაბუნებრივის შესახებ. არ გამიკვირდება, კახპების ნაკლებობაზე ჩივილი რომის პაპის ლეგატებმაც რომ დაიწყონ. დედაჩემის ერთ-ერთ წვეულებაზე ერთი პარტიული მოღვაწე გაუიცანი, რომელიც პროსტიტუციასთან ბრძოლის კომიტეტის წევრი იყო და, ამავე დროს, ჩურჩულით მწუწუნებოდა ბონში კახპების ნაკლებობაზე.

ერთ დროს ბონი არც ისე ცუდი ქალაქი იყო თავისი ვიწრო ქუჩებით, წიგნის მაღაზიებით, სტუდენტთა კორპორაციებით და პატარა საფუნთუშეებით, რომელთა უკანა ოთახებში ყავის დაღვევაც შეიძლებოდა.

სანამ ლეოს დაუპრეკავდი, აივანზე კოჭლობით გაჟანჩალდი და მშობლიურ ქალაქს გადაეხედე. ბონი მართლაც ლამაზია: საკათედრო ტაძარი, კურფიურსტის ყოფილი სასახლის სახურავები, ბეთჰოენის ძეგლი, პატარა ბაზარი და სასახლის ბაღი. ბონის ბედია ისიც, რომ მისი ბედი არავის სწამს. აივანზე ღრმად შევისუნთქე ბონის ჰაერი, რომელმაც მოულოდნელად გამომაცოცხლა. თუ ვინმეს ჰაერის გამოცვლა სურს, ბონს შეუძლია რამდენიმე საათით სასწაულები მოახდინოს.

აივნიდან ოთახში შევბრუნდი და უყოყმანოდ ავკრიფე იმ სასწავლებლის ნომერი, სადაც ლეო სწავლობდა. უეცრად შიშმა შემიპყრო. ლეო მას შემდეგ არ მინახავს, რაც კათოლიკე გახდა. სარწმუნოება რომ გამოიცვალა, ჩვეულებისამებრ, ბავშვური გულმოდგინებით მაუწყა.

„საყვარელო ძმაო“, — მწერდა იგი, — „ამ ბარათით გატყობინებ მე შენ, რომ ბევრი ფიქრის შემდეგ ჩემში მომწიფდა გადაწყვეტილება, კათოლიკურ ეკლესიას შევაფარო თავი და სამღვდლოდ მოვემზადო. იმედი მაქვს, მალე მოგვეცემა შესაძლებლობა, პირადად ვიმსჯელოთ ჩემს ცხოვრებაში არსებითი ცვლილებების შესახებ. შენი მოყვარული ძმა ლეო“.

ლეო გამწარებით ცდილობდა, თავი აერიდებინა წერილის „მე“-თი დაწყებისთვის და ნაცვლად წინადადებისა „მე შენ გატყობინებ“ ძველმოდური მანერით მწერდა „გატყობინებ მე შენ“. ამაში მთელი სიგრძე-სიგანით ჩანდა ლეო. სად იყო ის ელევანტურობა, როიალზე დაკერის დროს რომ მედავნდებოდა. ლეოს ჩვევა, ყველაფერს საქმიანი ხასიათი მისცეს, ჩემს მელანქოლიას ამძაფრებს. თუ ასე განაგრძობს, ოდესმე დაფასებული, თმაშვეერცხლილი პრელატი იქნება. წერილის წერა მამას და ლეოს თანაბრად უჭირთ, ყველაფერზე ისე წერენ, თითქოს მურა ნახშირზე ლაპარაკობდნენ.

სანამ ლეოს სასწავლებელში ვინმე კეთილინებებდა და ტელეფონთან მოვიდოდა, დიდი დრო გავიდა. ის იყო ვემზადებოდი იმ მაგარ-მაგარი სიტყვებით შემემკო ეკლესიის უთაურობა, ჩემს განწყობილებას რომ შეეფერებოდა, სიტყვა „ნუჭვიც“ კი დამცდა, რომ სწორედ მაშინ ვიღაცამ ყურმილი აიღო და საოცრად ჩახლქილი ხმით მითხრა „გისმენთ“. გული დამწყდა, მეგონა, მონაზვნის ნახმას გავიგონებდი და წყალწყალა ყავისა და გამხმარი ნამცხვრის

სუნი მეცემოდა. ნაცვლად ამისა, აქოშინებული კაცი შემრჩა ხელში და ჩიბუხის თამბაქოსა და კომბოსტოს ისეთი გულის ამრევი სუნი შემომაფრქვია, ხველებაც კი დამაწყებინა.

— მაპატიეთ, — ვთქვი ბოლოს, — შეიძლება, დამალაპარაკოთ თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ლეო შნირი?

— ვინ მელაპარაკება?

— შნირი, — ვუპასუხე მე.

ეტყობა, ამდენის მიხვედრის თავი არ ჰქონდა, დიდხანს დუმდა. მე ისევ ხველა დავიწყე და, როცა აზრი მოვიკრიბე, ვუთხარი:

— იცი რა, ასო-ასო დაგიმარცვლაეთ: შეგირდი, ნისლი, იდა, რი-ჰარდი, იდა.

— ეგ რას ნიშნავს? — მკითხა მან ბოლოს და მომეჩვენა, რომ მის ხმაში ისეთივე სასოწარკვეთა იგრძნობოდა, როგორც თავად მე დამეუფლა. იქნებ, ტელეფონის ყურმილი რომელიმე ბებერმა, პირში ჩიბუხგაჩრილმა პროფესორმა აიღო. მეც სწრაფად შევაკოწიწე რამდენიმე ლათინური სიტყვა და ვუთხარი:

— Sum frater Leonis¹.

არ მომეწონა ჩემი საქციელი. გულში გაეიფლე, ვინ იცის, ხანდახან რამდენ ადამიანს სურდა ამ სასწავლებლის აღსაზრდელებთან დამალაპარაკება და თავის დღეში ლათინური სიტყვაც კი არ უსწავლიათ.

შეეცბუნდი, როცა ჩემმა თანამოსაუბრემ ჩაიხითხითა და მითხრა:

— Frater tuus est in refectorio², საჭმელს მიირთმევენ, — მითხრა მან უფრო ხმადაბლა, — და ჭამის დროს მათი შეწუხება არაფრით არ შეიძლება.

— ძლიერ სასწრაფო საქმე მაქვს, — ვუთხარი მე.

— მოკვდა ვინმე? — მკითხა მან.

— არა, — ვუპასუხე მე, — ცოტადა აკლია.

— მაშ, მძიმე უბედური შემთხვევაა?

— არა, — ვუთხარი მე, — შინაგანი უბედური შემთხვევაა.

— აჰ, — თქვა მან და ხმა ცოტათი შეურბილდა, — შინაგანი სისხლჩაქცევა?

— არა, — ვუპასუხე მე, — სულიერი ტკივილია, გამოკვეთილი სულიერი ტკივილი.

¹ Sum frater Leonis (ლათ.) — ლეონის ძმა ვარ.

² Frater tuus est in refectorio (ლათ.) — შენი ძმა სასადილოშია.

ეტყობა, სული მისთვის უცხო სიტყვა იყო. ჩვენ შორის გამყინავი ღუმელი ჩამოწვა.

— ღმერთო ჩემო, ნუთუ არ გესმით, ადამიანი ხომ ხორცისა და სულისაგან შედგება.

მისი ბურტყუნი ცხადყოფდა, რომ ჩემი განცხადება საეჭვოდ მიაჩნდა და ბოლოს, ჩიბუხის ორ ნაფაზს შორის, ამოიღულლულა:

— ავგუსტინე, ბონავენტურა, კუზანუსი — თქვენ მცდარ გზას დასდგომიხართ.

— სული, — გავიმეორე ჯიუტად, — გთხოვთ გადასცეთ ბატონ შნირს, რომ მისი ძმის სული საფრთხეშია და, როგორც კი ჭამას მორჩება, მაშინვე დამირეკოს.

— სული, ძმა, საფრთხე, — გაიმეორა მან ცივად. ალბათ, ასევე იტყოდა სიტყვებს: ნაგავი, ნახერხი, ნაღები. ამ ამბავმა ცოტათი გამართო. იმ დაწესებულებაში, სადაც სტუდენტებს სულის მკურნალებად ზრდიდნენ, ერთხელ მაინც ხომ უნდა გაეგონა ამ კაცს სიტყვა „სული“.

— საქმე ძალიან, ძალიან საშური, — ვუთხარი მე.

ყურმილში გაისმა მხოლოდ „ჰმ, ჰმ“. ეტყობა, მისთვის სრულიად გაუგებარი იყო, რომ სულთან დაკავშირებული საქმე შეიძლებოდა საშური ყოფილიყო.

— გადავცემ, — მითხრა მან. — შეგირდზე, მგონი, რაღაცა თქვით?

— არა, არაფერი, — ვუპასუხე მე, — ღმერთმანი, არაფერი, ჩემს ამბავს შეგირდებთან საერთო არაფერი აქვს. ეს სიტყვა მხოლოდ იმიტომ გამოვიყენე, რომ ჩემი გვარი ასო-ასო მეთქვა.

— თქვენ, ალბათ, გგონიათ, შეგირდებს სკოლაში ახლაც ასწავლიან სიტყვების ასო-ასო დამარცვლას. ნუთუ მართლა ასე გგონიათ?

იგი ისე გამოცოცხლდა, რომ ვიფიქრე, ნამდვილად მის საყვარელ თემას შეეხე-მეთქი.

— ღღევანდელი მეთოდები მეტისმეტად რბილია, — ყვიროდა იგი, — მეტისმეტად რბილი.

— გეთანხმებით, — ვუპასუხე მე, — სკოლებში უფრო ხშირად უნდა იყენებდნენ ცემის მეთოდს.

— მართალსა ბრძანებთ, — წამოიყვირა მან მგზნებარედ.

— დიახ, — ვუთხარი მე, — განსაკუთრებით კარგი იქნებოდა,

მასწავლებლებს რომ სცემდნენ უფრო ხშირად. ხომ გადასცემთ ჩემს ძმას იმას, რაც გთხოვთ?

— გადაუღებელი, სულთან დაკავშირებული საქმე. სკოლის საკითხი. უკვე ჩავიწერე, — მითხრა მან. — ყური მიგდეთ, ყმაწვილო, როგორც ბევრად უფროს კაცს, ხომ მომცემთ იმის უფლებას, ერთი კეთილი რჩევა მოგცეთ?

— ბრძანეთ, ბატონო!

— მოეშვით ავგუსტინს. დამაჯერებლად ჩამოყალიბებული სუბიექტივიზმი ჯერ კიდევ არ არის თეოლოგია და ახალგაზრდების სულიერი ცხოვრებისათვის მხოლოდ ზიანი მოაქვს. ეს არის ორიოდღე დიალექტიკური ელემენტით შევსებული ჟურნალისტიკა. იმედი მაქვს, ცუდად არ ჩამომართმევთ ამ რჩევას.

— როგორ გეკადრებათ, — ვუპასუხე მე, — ახლავე ადგები და ჩემს ავგუსტინს ცეცხლს მოცემ.

— სწორად მოიქცევით, — მითხრა აღფრთოვანებულმა, — ცეცხლს მიეცით, ღმერთი იყოს თქვენი შემწე.

მადლობის თქმას ვაპირებდი, მაგრამ უადგილოდ მომეჩვენა, ამიტომ ყურმილი უხმოდ დავდე და ოფლი მოვიწმინდე. სუნის მიმართ ძალიან მგრძობიარე ვარ და კომბოსტოს მძაფრმა სუნმა ჩემი ვეგეტატიური ნერვული სისტემა უკიდურესად დაძაბა. უნებურად საეკლესიო უწყებების მეთოდებზეც დავიწყე ფიქრი. რა თქმა უნდა, კარგია, როცა ასეთ მოხუცს აგრძობინებ, ჯერ კიდევ საჭირო კაცი ხარო, მაგრამ ერთი რამ არ მესმოდა: რაღა მაინცდამაინც ასეთ გამოყრუებულ და ახირებულ ბერიკაცს მიანდეს ტელეფონის მომსახურება. კომბოსტოს სუნს ინტერნატში სწავლის დროიდან ვცნობდი. ინტერნატში ერთმა პატერმა გვითხრა, კომბოსტო ვნებას თრგუნავსო, და იმის წარმოდგენა, რომ ვიღაცას შეეძლო საგანგებოდ დაეთრგუნა ჩემი თუ სხვისი ვნება, გულს მირევდა. როგორც ეტყობა, სემინარიებში დღედაღამ „ხორციელი ჟინის“ დათრგუნვაზე ზრუნავენ. სადღაც საშხარეულოში, ალბათ, ზის მონაზონი, რომელიც მენიუს ადგენს და შემდეგ ამის თაობაზე სასწავლებლის დირექტორს ეთათბირება. მაშინ ისინი ერთმანეთის პირისპირ სხედან, ვნებაზე საუბარს გაურბიან, მაგრამ ქაღალდზე ჩამოწერილი ყოველი კერძი აფიქრებინებთ: ეს ვნებას თრგუნავს, ეს კი ალაგზნებს. ასეთი ამბავი ისეთივე უზნეობად მეჩვენება, როგორც დაწყველილი მრავალსაათი-

ნი ფეხბურთის თამაში ინტერნატში. ჩვენ ყველამ ვიცოდით, თამაში-საგან ისე უნდა მივსავათებულიყავით, რომ გოგოებზე არ გვეფიქრა. ამან ფეხბურთი შემაძულა. როგორც კი წარმოვიდგინე, რომ ჩემს ძმა ლეოს კომბოსტოს იმიტომ აჭმევდნენ, რომ მისი ვნებათაღელვა დაეცხროთ, უდიდესი სურვილი გამიჩნდა, მივსულიყავი იმ დაწესებულებაში და კომბოსტოს მთელი მარაგისათვის მარილმჟავა გადამესხა. ახალგაზრდებს უკომბოსტოდაც ბევრი რამის ატანა უწევთ. უსამველოდ ძნელია, ალბათ, ყოველდღე ისეთი გაუგებარი რამის ქადაგება, როგორიცაა „მკვდრეთით აღდგომა“ ან „მარადიული არსებობა“. ეს რაღაა: საგულდაგულოდ დაამუშაო უფლის ვენახი და მოწეული ნაყოფი თვალის დასანახავადაც არ კმაროდეს. ეს მე ერთხელ ამიხსნა ჰაინრიჰ ბელენმა, რომელიც დიდი თანაგრძნობით მოგვეპყრო, როცა მარის მუცელი მოეშალა. საუბარში თავის თავს მან უწოდა „უფლის ვენახის შავი მუშა, როგორც სულიერი განწყობილების, ასევე გასამრჯელოს თვალსაზრისით“.

საავადმყოფოდან ხუთ საათზე გამოებრუნდით. რადგან ტრამვაის ფული არ გექონდა, ფეხით გაუუღექით გზას და სახლამდე მივაცილეთ. როცა კართან შეყოვნებულმა გასაღებების ასხმულა ამოიღო, არაფრით განსხვავდებოდა იმ მუშისაგან, ღამის ცვლიდან რომ ბრუნდება დაღლილი და გაუპარსავი. მივხვდი, რა ძნელი იქნებოდა მისთვის, შეესრულებინა ახლა მესა, აღსავსე მთელი იმ საიდუმლოებებით, რომელთა შესახებ მიყვებოდა ხოლმე მარი. ჰაინრიჰმა კარი გააღო. დერეფანში შემოგვეგება ბუზლუნა, ფოსტლებში ფეხგაყრილი ეკონომი ქალი, რომელსაც შიშველ ფეხებზე კანი ერთიანად გაყვითლებოდა. ის ქალი არც მონაზონი იყო, არც ჰაინრიჰის დედა და არც ღვიძლი და.

— რა ამბავში ხართ, რა ამბავში ხართ? — ჩაიბუზლუნა ეკონომმა ქალმა.

დასწყევლოს ღმერთმა უცოლო კაცის უბადრუკი ყოფა. სრულიად არ მაკვირვებს, ზოგიერთ კათოლიკეს რომ ეშინია თავისი ქალიშვილი მღვდელს სახლში მიუგზავნოს და არც ის მაკვირვებს, საბრალო მღვდლები ზოგჯერ სისულელეებს რომ სჩადიან.

კინაღამ ხელახლა დაუურეკე ლეოს კონვიქტში ჩიბუხის მწველ ყრუჩუნა ბერიკაცს: მინდოდა მასთან „ხორციელ ჟინზე“ მელაპარაკა. სხვა ნაცნობებთან დარეკვისა მეშინოდა. ვიფიქრე, უცხო კაცი

უკეთ გამიგებს-მეთქი. სიამოვნებით ვკითხავდი, სწორად მესმის თუ არა კათოლიციზმის არსი. ჩემთვის ამჟამად მხოლოდ ოთხი კათოლიკე არსებობს: პაპი იოანე, ალექ გინესი, მარი და ყოფილი მოკრივე, ახლა უკვე მოხუცებული ზანგი გრეგორი, რომელიც ერთხელ კინაღამ მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ახლა კი გაჭირვებით გაჰქონდა თავი ვარიეტეტებში ძალოსნური ნომრების ჩვენებით. დროდადრო ერთმანეთს გასტროლების დროს ვხვდებოდით. უაღრესად თვინიერი, ჭეშმარიტად მორწმუნე კაცი, მესამე ორდენის წევრი იყო, ათლეტურ მკერდს ყოველთვის ბერის ოლარი უფარავდა. უმრავლესობას იგი გონებაჩლუნგ კაცად მიაჩნდა, რადგან იშვიათად თუ იტყოდა რამეს და კიტრისა და პურის მეტს არაფერს ჭამდა, თან კი ისეთი ღონიერი იყო, რომ არაფრად უღირდა მე და მარი ავეტატები-ნეთ და თოჯინებივით ვეტარებინეთ ოთახში. იყო კიდევ რამდენიმე ადამიანი, რომლებიც შემეძლო კათოლიკეებად ჩამეთვალა: კარლ ემონდსი, ჰაინრიჰ ბელენი და აგრეთვე ციუპფენერი. მარის კათოლიკობაში თანდათან ეჭვი მეპარებოდა: მისი „მეტაფიზიკური შიში“ ჩემთვის ყოველთვის გაუგებარი იყო და თუ ახლა წაბრძანდა და ციუპფენერთან იმასვე აკეთებს, რასაც ჩვენ ვაკეთებდით, მაშინ ისეთ რაღაცას სჩადის, რასაც მის წიგნებში არაორაზროვნად ქმრის ღალატი და მრუშობა ეწოდებოდა. მისი „მეტაფიზიკური შიში“ მხოლოდ და მხოლოდ იმან გამოიწვია, რომ მე უარი უუთხარი, ჩვენი ცოლქმრული ურთიერთობა კანონიერად გაგვეფორმებინა და შვილები კათოლიკეებად აღგვეზარდა. მართალია, შვილები ჯერ არ გვყავდა, მაგრამ მუდამ იმაზე ვლაპარაკობდით, რას ჩავაცმევდით, როგორ დაველაპარაკებოდით, როგორ აღვზრდიდით. ყველა საკითხში ვთანხმდებოდით, მარტო კათოლიკური აღზრდა გვირთულებდა საქმეს. მე თანახმა ვიყავი, ბავშვები მოგვენათლა, მაგრამ მარიმ მითხრა, ამისათვის შენი წერილობითი თანხმობაა საჭირო, თორემ ისე ეკლესიაში ჯვარს არ დაგვწერენო. ბოლოს ეკლესიაში ჯვრის დაწერაზეც დავთანხმდი, მაგრამ გამოირკვა, რომ ამისათვის ხელიც უნდა გვქონოდა ოფიციალურად მოწერილი. მაშინ კი დავკარგე მოთმინება და მარის უუთხარი, მოდი, ცოტაც მოვიცადოთ, ერთ წელიწადს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს-მეთქი. მარი ატირდა და მითხრა: წარმოდგენა არა გაქვს, რას ნიშნავს ჩემთვის ასე ცხოვრება, თანაც არც იმის იმედი მაქვს, რომ ჩვენი შვილები ქრისტიანულად

აღიზრდებიანო. ეს უკვე აღარ მომეწონა, რადგან ცხადი გახდა, რომ ხუთი წელიწადი ამ საკითხზე სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობდით. მე მართლა არ ვიცოდი, რომ ჯერ ოფიციალური ხელმოწერა იყო საჭირო და მხოლოდ ამის შემდეგ მეძლეოდა უფლება, ჯვარი დამეწერა ეკლესიაში. ეს კი, როგორც სახელმწიფოს დაუკავალებელ მოქალაქეს და იმ „მამაკაცს, რომელიც თავის საქციელზე სავსებით აგებს პასუხს“, უნდა მცოდნოდა. ისევე არ ვიცოდი ყოველივე ეს, როგორც აღრე არ ვიცოდი, რომ თეთრი ღვინო სუფრაზე ჩაცვიებული უნდა მოიტანონ, წითელი კი — შემთბარი. ცხადია, ვიცოდი, რომ არსებობს ქორწინების სარეგისტრაციო ბიუროები, სადაც საქორწინო რიტუალებს ატარებენ და სათანადო მოწმობებს იძლევიან, მაგრამ მეგონა, ასეთი დაწესებულებები არსებობს ურწმუნოთათვის ანდა ისეთი მორწმუნეებისათვის, რომელთაც სურთ სახელმწიფოს პატარა სიხარული მოუტანონ. როგორც კი გავიგე, თუ გინდა ეკლესიაში ჯვარი დაიწერო, ჯერ ასეთ დაწესებულებას უნდა ეწვიო, ნამდვილად გაგბრაზდი, ხოლო როცა მარიმ ისიც მითხრა, წერილობითი ვალდებულება უნდა იკისრო, რომ ჩვენს შვილებს ჭეშმარიტ კათოლიკეებად აღვზრდითო, წავიჩნებეთ. მე ეს გამოძალვად მომეჩვენა და არ მომეწონა, მარი ასე თვინიერად რომ თანხმდებოდა წერილობითი ვალდებულების გაცემაზე. მას უამისოდაც შეეძლო მოენათლა შვილები და ისე აღეზარდა, როგორც საჭიროდ მიიჩნევდა.

იმ საღამოს შეუძლოდ იყო, დაღლილი და გაფითრებული ჩანდა. მელაპარაკებოდა საკმაოდ ხმამაღლა და როცა ვუთხარი, კარგი, გეყოფა, ყველაფერს გავაკეთებ, ამგვარ ქაღალდებსაც მოვაწერ ხელს-მეთქი, გაბრაზდა და მითხრა:

— ახლა შენ ამას სიზარმაცის გამო აკეთებ და არა იმიტომ, რომ გჯერა წესრიგის აბსტრაქტული პრინციპების უფლებამოსილება.

ვღიარე, რომ ამას მართლაც სიზარმაცე მაკეთებინებდა და კიდევ ის, რომ ძალიან მინდოდა, მთელი სიცოცხლე გვერდით მყოლოდა. ოღონდ ჩემთან ყოფილიყო და იმისთვისაც მზად ვიყავი, კათოლიკურ ეკლესიას მივკედლებოდი. ეს არ ვიკმარე და პათეტიკურად განაცხადე, ისეთი სიტყვები, როგორიცაა „წესრიგის აბსტრაქტული პრინციპები“, იმ საკანს მაგონებს, სადაც ადამიანს აწამებენ-მეთქი. ჩემმა განზრახვამ, მის შესანარჩუნებლად კათოლიკე გავმხდარიყავი, მარი შეურაცხყო. მე კი მეგონა, თავი მოუქონე, ცოტათი გადავაჭარ-

ბე კიდევ-მეთქი. მარი მარწმუნებდა, ახლა საქმე მე და შენ კი აღარ გვექება, არამედ წესრიგსო.

ყველაფერი ეს მოხდა საღამო ჟამს, ჰანოვერის ერთ-ერთი ძვირად ღირებული სასტუმროს ოთახში, სადაც ყავა თუ მოითხოვე, ფინჯანს ბოლომდე კი არა, სამ მეოთხედამდე აგვისებენ. ასეთ სასტუმროებში იმდენად გაწვრთნილი მოსამსახურე პერსონალია, რომ ფინჯნის ყავით გავსება მდაბიურობად მიაჩნიათ და კელნერებმა გაცილებით უკეთ იციან, რა ეკადრება დიდკაცობას, ვიდრე თვით დიდკაცებმა, სასტუმროში რომ იბღინებებიან. როცა ასეთ სასტუმროში ვცხოვრობ, თავი საგანგებოდ ძვირ და საგანგებოდ მოსაწყენ ინტერნატში მგონია. იმ საღამოს დაღლილობისაგან ცოცხალ-მკვდარი ვიყავი, ზედიზედ სამი წარმოდგენა გავმართე — შუადღეზე ფოლადჩამომსხმელთა სააქციო საზოგადოებისათვის, ნაშუადღევს მასწავლებლობის მაძიებელთათვის, ხოლო საღამოს ვარიეტეში, სადაც ისე უხალისოდ მიკრაგდნენ ტაშს, რომ უკვე მოახლოებულ მარცხს ვგრძნობდი. როცა ამ გაოხრებულ სასტუმროში ტელეფონით შევეუკვეთე, ლუდი ოთახში მოეტანათ, ობერკელნერმა ისეთი ცივი ხმით მითხრა „კი ბატონო“, თითქოს წუნწუხი მომეთხოვოს. მაგრამ არც ეს მაკმარეს და ლუდი ვერცხლის ტოლჩით მომართვეს. დავიდალე, მინდოდა ლუდი დამეღია, ცოტა ხანს რიჩ-რაჩი მეთამაშა, აბაზანა მიმეღო, საღამოს გაზეთები წამეკითხა და მარის გვერდით დამეძინა. მარჯვენა ხელი მის მკერდზე დამეღო, ხოლო პირისაზე ისე ახლოს მიმეტანა მის თავთან, რომ მარის თმის სურნელება ძილშიც მეგრძნო. ჯერაც მესმოდა ყურში ტაში, უხალისოდ რომ მიკრაგდნენ. ბევრად უფრო ადამიანური იქნებოდა, მაყურებლებს ცერები დაბლა დაეხარათ. მაგრამ, გულმოყირჭებულებმა, ჩემი ნომრები ქედმადლურად არად ჩააგდეს და ეს ისევე უგემური იყო, როგორც იდიოტური ვერცხლის ტოლჩით მორთმეული ლუდი. უბრალოდ, მე თავი არ მქონდა მსოფლმხედველურ თემაზე მესაუბრა.

— მე სწორედ იმ საქმეზე გელაპარაკები, ჰანს, — მითხრა მარიმ ოდნავ ხმადაბლა და ვერ მიხვდა, რომ სიტყვებს „იმ საქმეზე“ ჩვენთვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. ეტყობა, ყველაფერი დაიფიქვა. ფართო საწოლის უკან მარი ბოლთას სცემდა და როცა ხელებს აიქნევდა, სიგარეტით ისე მარჯვედ აპობდა ჰაერს, რომ კვამლის პატარა ბოლქვები წერტილებს ემსგავსებოდნენ. სხვათა შორის, სიგა-

რეტის მოწვევა ისწავლა. ღია მწვანე პულოვერში მარი ლამაზი ჩანდა. ქათქათა სახის კანი ჰქონდა, თმა უწინდელზე მეტად ჩამოუქებოდა, მის კისერზე პირველად დავინახე მყესები.

— შემობრალე, — ვუთხარი მე, — დამაცადე, გამოვიძინო, ზვალ კი საუზმის დროს კიდევ ერთხელ ვისაუბროთ ყველაფერზე და, უპირველეს ყოვლისა, იმ საქმეზე.

მაგრამ მარიმ ანგარიში არ გამიწია, შემობრუნდა, საწოლის წინ გაჩერდა და ტუჩების მოხაზულობაზე შევატყვევე, მის ამგვარ ქცევას რაღაც ისეთი მიზეზი ასაზრდოებდა, რაშიც თავის თავსაც კი არ უტყდებოდა. როცა სიგარუტი მოქაჩა, პირის კუთხეებში რამდენიმე ნაოჭს მოვკარი თვალი, რაც ადრე არ შემიძინევია. მარიმ თავი გააქნია, დამხედა, შემდეგ ამოიოხრა, შეტრიალდა და ისევ აქეთ-იქით დაიწყო სიარული.

— ვერაფერი გამიგია, — ვუთხარი დაღლილმა. — ჯერ იმ რაღაც გამომძალველ საბუთზე ხელის მოწერის გამო წავიჩხუბეთ, შემდეგ ქორწინების ოფიციალურად გაფორმების გამო. ბოლოს, ერთხელაც თანხმობა განვაცხადე და მეორეხელაც, შენ კი უფრო გაბრაზებული ხარ, ვიდრე მანამდე იყავი.

— ღიას, — მიპასუხა მან, — შენი გადაწყვეტილება ნაჩქარევად მიმაჩნია, თანაც ვგრძნობ, შეხლა-შემოხლისა გეშინია. კაცმა რომ თქვას, რა გინდა?

— შენ მინდინარ, — ვუპასუხე მე. არ ვიცი, უკეთესი რა უნდა უთხრას კაცმა ქალს. — წამოიღე საფერფლე და დამიწექი გვერდით. ასე გაცილებით უკეთ ვისაუბრებთ.

აღარ შემეძლო მისი თანდასწრებით წარმომეთქვა სიტყვა „საქმე“. მარიმ თავი გააქნია, საფერფლე საწოლზე დამიდო, ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა. მე შევშინდი.

— ჩვენს საუბარში რაღაც არ მომწონს, შენი სიტყვებით არ ლაპარაკობ.

— აბა, ვისი სიტყვებით? — მკითხა მან რბილად და მისმა ხმამ კვლავ მომატყუა.

— შენს სიტყვებს ბონის, თქვენი წრის, ზომერვილდის, ციუპტენერის და ღმერთმა იცის, კიდევ ვისი სუნი უდის.

— იქნებ, შენს ყურებს უნდათ ის გაიგონონ, რაც შენმა თვალებმა ნახეს, — მითხრა მან ზურგშექცეულმა.

— შენი ვერაფერი გამიგია, — ვუთხარი დაღლილმა, — მაინც რას გულისხმობ?

— ოჰ, — წამოიძახა მან, — ისე ლაპარაკობ, თითქოს არ იცოდე, ამ ქალაქში რომ კათოლიკეების ყრილობა ტარდება.

— პლაკატებს კი მოგკარი თვალი, — ვუთხარი მე.

— და აზრადაც არ მოგივიდა, რომ შეიძლება ჰერიბერთი და პრელატი ზომერვილდი აქ არიან.

არ ვიცოდი, ციუპფენერს თუ ჰერიბერთი ერქვა, მაგრამ როცა მარიმ ეს სახელი წარმოთქვა, მაშინვე მივხვდი, ვისზეც იყო ლაპარაკი, და კვლავ გამახსენდა, როგორ მოდიოდნენ ხელიხელჩაკიდებულნი. ჰანოვერში უფრო მეტი მღვდელი და მონაზონი აღმოჩნდა, ვიდრე ამ ქალაქს შეეფერებოდა, და ეს მეც მომხვდა თვალში, მაგრამ სულ არ მიფიქრია, მარი ნაცნობს თუ შეხვდებოდა აქ. ვთქვათ და ასეც მოხდა... როცა ორიოდე თავისუფალი დღე მქონია, მე და მარი ბონში ჩავდიოდით და იქ მას შეეძლო გული ეჯერებინა მთელ „წრესთან“ შეხვედრით.

— აქ არიან, ჩვენს სასტუმროში? — ვკითხე ქანცგამოლეულმა.

— დიახ, — მითხრა მან.

— მერე რატომ არ შემახვედრე ისინი?

— იყავი კი აქ, მთელი კვირა დაეხეტებოდი — ეს ბრაუნშვაიგი, ეს ჰილდესჰაიმი, ცვლეო...

— ახლა თავისუფალი ვარ, დაურეკე, ჩავიდეთ ქვევით ბარში და რამე დავლიოთ.

— აქ აღარ არიან, დღეს ნაშუადღევს გაემგზავრნენ.

— მოხარული ვარ, რომ მოგიწია ასე დიდხანს და ასე უხვად გესუნთქა, მართალია, იმპორტირებული, მაგრამ მაინც „კათოლიკური ჰაერი“, — ვუთხარი მე. ეს გამოთქმაც მან მოიგონა და არა მე. ხანდახან იტყოდა, ნეტავ ისევ ვსუნთქავდე კათოლიკურ ჰაერსო.

— რატომ ბრანზობ? — მკითხა მან. მარი ისევ ქუჩისაკენ იყო პირშექცეული და კვლავ სიგარეტს ეწეოდა. სიგარეტის თავგამოდებით ქაჩვა ისევე უცხო მეჩვენებოდა, როგორც მისი სიტყვები. იმ წუთში მარი ჩემთვის უცხო ქალი იყო, ლამაზი, მაგრამ ნაკლებად ინტელიგენტი, რომელიც რაღაც საბაბს ეძებდა წასასვლელად.

— არ ვბრანზობ, — ვუპასუხე მე, — და შენ ეს იცი. აბა, მითხარი, რომ იცი.

მარის არაფერი უთქვამს, მხოლოდ თავი დამიქნია. ნახევარ სახეს ვხედავდი მისას და ესეც საკმარისი აღმოჩნდა, მივხედრილიყავი, რომ ცრემლს ძლავს იკავებდა. მერედა, რატომ იკავებდა? განა არ ჯობდა ეტირა დიდხანს და ცხარედ? მაშინ წამოვდგებოდი, მკლავებში მოვიმწყვდევდი და ვაკოცებდი. მაგრამ ასე არ მოვიქეცი. არ მიწოდოდა. ჩვეულების ან მოვალეობის გამო კი ქალს ვერ ვაკოცებ. ისევ პირაღმა ვიწექი და ვფიქრობდი, მარი მთელი სამი დღე ციუპფენერთან და ზომერვილდთან ატარებდა დროს და ჩემთვის ამის შესახებ არაფერი უთქვამს. ცხადია, ჩემზეც ილაპარაკებდნენ. ციუპფენერი კათოლიკე ერისკაცთა ცენტრალურ გაერთიანებას ხელმძღვანელობდა.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვყოყმანობდი — ნახევარ წუთს, ერთ თუ ორ წუთს, მაგრამ ბოლოს მაინც წამოვდექი და მარისთან მივედი. მან თავი გააქნია, ჩემი ხელები მხრებიდან მოიშორა და ისევ დაიწყო ლაპარაკი „მეტაფიზიკურ შიშსა“ და წესრიგის პრინციპებზე. ისეთი გრძნობა შემექმნა, თითქოს ოცი წლის შერთული მყოლოდა. მარი აღმზრდელის ტონით მელაპარაკებოდა, მე კი მეტისმეტად დაღლილი ვიყავი იმისათვის, რომ მის არგუმენტებს ღრმად ჩავწვდომოდი და ამიტომ წავიყრუე. განზრახ შევაწყვეტინე ლაპარაკი და ვუამბე, როგორ ჩავფლავდი ვარიეტეში პირველად ამ სამი წლის განმავლობაში. ფანჯარასთან ერთმანეთის გვერდით ვიდექით და ქუჩას გავცქეროდით. სასტუმროს წინ ყოველ წუთს ჩერდებოდნენ ტაქსები, რომელთაც კათოლიკური კომიტეტის წევრები: მონაზვნები, მღვდლები და ფრიად სერიოზული ერისკაცნი სადგურზე მიჰყავდათ. ერთ ჯგუფში შნიცლერი შევიცანი, მეტისმეტად დარბაისლური გარეგნობის მოხუც მონაზონს მანქანის კარი დაუჭირა. შნიცლერი ჩვენს სახლში რომ ცხოვრობდა, ევანგელისტი იყო. მან ან რჯული გამოიცვალა, ანდა ყრილობას ესწრებოდა როგორც ევანგელისტთა მეთვალყურე. ამ კაცისაგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. სასტუმროდან ჩემოდნები გამოჰქონდათ და სასტუმროს მსახურებს გასამრჯელოს სჩრიდნენ ხელში. ისე დაღლილი და მოშლილი ვიყავი, რომ თვალწინ ყველაფერი ერთმანეთში მერეოდა: ტაქსები, მონაზვნები, სინათლეები, ჩემოდნები. ყურში კი განუწყვეტლოვ მესმოდა მომაკვდინებელი კანტიკუნტი ტაში. მარიმ კარგა ხანია შეწყვიტა მონოლოგი წესრიგის პრინციპებზე და აღარც სიგარეტს ეწეოდა.

როცა ფანჯარას მოცილდი, უკან გამოძვავა, მხარზე ხელი მომხვია და თვალებში მაკოცა.

— შენ ისეთი საყვარელი ხარ, — მითხრა მან, — ისეთი საყვარელი და ისეთი დაღლილი.

მაგრამ როცა მეც დავაპირე ხელი მომეხვია მისთვის, ჩუმაღ მი-
თხრა:

— არ გინდა, გთხოვ, არ გინდა.

შევეცი, ხელი გაუშვი. უსაშველოდ დაღლილი გაუხდელად მი-
ვევდე ლოგინზე და იმწამსვე ჩამეძინა. მეორე დღით, როცა გამელ-
ვიდა და მარი აღარ დამხვდა, დიდად არ გამკვირვებია. მაგიდაზე
ბარათი იდო: „მე უნდა წავიდე იმ გზით, რომლითაც უნდა ვიარო“. მარი თითქმის ოცდახუთი წლისა იყო და შეეძლო, ცოტათი უკეთესი
რამ მოეფიქრებინა. მართალია, ამის გამო არ გამიკიცხავს, მაგრამ
როგორღაც მეცოტაა. მაშინვე დაუჯექი და გრძელი წერილი მივწე-
რე, საუზმის მერეც მივწერე. ბოლოს ყოველდღე ვწერდი წერილს და
ბონში ფრედებოილის მისამართზე ვგზავნიდი, მაგრამ პასუხი არც
ერთზე არ მიმიღია.

9

სანამ ფრედებოილთანაც ვინმე მოვიდოდა ტელეფონთან, კარ-
გა ხანი გავიდა. ზუმერის გაბმული ხმა მაღიზიანებდა. უეცრად
წარმოვიდგინე, რომ ჩამინებული ფრაუ ფრედებოილი ტელეფო-
ნის ზარმა გამოაღვიდა. მაგრამ ძილს თავი ვერ წაართვა და ისევ
ჩაეძინა. ზარმა კვლავ დარეკა, ფრაუ ფრედებოილს ისევ გაეღვიდა
და მე განვიცადე ისეთივე ტანჯვა, როგორიც ტელეფონის დაჟინე-
ბულმა წკრიალმა მის ყურებს მიაყენა. ის იყო ყურმილის დადებას
ვაპირებდი, მაგრამ თავში გამიელვა, რა მძიმე დღეშიც ვიყავი, და
რეკვა განვაგრძე. თვით ფრედებოილი რომ გამეღვიძებინა ღრმა
ძილისაგან, დიდად არ შევწუხდებოდი: ეგ ვაჟბატონი მშვიდი ძი-
ლის ღირსი არ არის. აუდემყოფურად პატვიმოყვარე კაცია. ცალი
ხელი, ალბათ, მუდამ ტელეფონზე უდევს, რათა სასწრაფოდ და-
რეკოს ან აილოს ყურმილი, როცა ურეკავენ სამინისტროს განყო-
ფილებათა უფროსები, რედაქტორები, ცენტრალური კომიტეტე-
ბი, მოწინავე კავშირები და მისი პარტიის თავკაცები. მაგრამ მისი
ცოლი მართლა მიყვარს. იგი ჯერ კიდევ მოწაფე იყო, როცა ფრე-

დებოილმა კათოლიკეთა წრეში მიიყვანა. მის შემხედვარეს გული მიკვდებოდა, იჯდა თავისთვის და ლამაზ თვალებს არ აშორებდა თეოლოგიურ-სოციოლოგიურ საკითხებზე მოკამათებს. ვატყობდი, ცეკვა ან კინო მეტ სიამოვნებას მიანიჭებდა. ზომერვილდი, ვისთანაც ეს შეხვედრა გაიმართა, წამდაუწუმ მეკითხებოდა: „ძალიან გცხელათ, შნირ?“ ვეუბნებოდი, პრელატო, არა მცხელა-მეთქი, თუმცა ოფლი წურწურით ჩამომდიოდა შუბლსა და ლოყებზე. ბოლოს ვეღარ გაეუძელი მათ ყბედობას და აივანზე გავედი. მთელი ეს ყაყანი სწორედ ფრედებოილის მოყვანილმა ქალიშვილმა გამომიწვია. უეცრად, სრულიად უადგილოდ, სწორედ მაშინ, როცა საუბარი პროვინციალიზმის მასშტაბებსა და საზღვრებს ეხებოდა, ხმამაღლა განაცხადა, ბენის ზოგიერთი ნაწარმოები საკმაოდ კარგია და მომწონსო. ამის თქმა იყო და ფრედებოილი, რომლის საცოლედაც იგი ითვლებოდა, ჭარხალივით გაწითლდა, რადგან კინკელმა თავისი ერთ-ერთი მრავლისმეტყველი მხერა სტყორცნა: „ნუთუ აქამდე ვერაფერი შეაგნებინე?“. ამის შემდეგ საბრალო გოგონას თვით კინკელმა შეაგნებინა, რაც იყო საჭირო, და მკაცრად გააშალაშინა, ხოლო შალაშინად მთელი ევროპა გამოიყენა. ცქრიალა გოგონა მიწასთან გაასწორეს, ბურბუშელა აქეთ-იქით ცვიოდა და მე გული მომდიოდა ლაჩარ ფრედებოილზე, რომელიც ვერ გამოესარჩლა თავის საცოლეს, რადგან კინკელის „თანამოაზრე“ იყო და ერთ იდეოლოგიურ მიმართულებას ეკუთვნოდნენ. ახლაც არ ვიცი, მემარცხენეები იყვნენ თუ მემარჯვენენი, მაგრამ რომელიღაც მიმართულებას ეკუთვნოდნენ და კინკელი მორალურად ვალდებულად რაცხდა თავს, ფრედებოილის საცოლედ გამოესწორებინა. ქალიშვილის დასაცავად არც ზომერვილდს ამოუღია ხმა, თუმცა კინკელისა და ფრედებოილის მოწინააღმდეგე მიმართულებას ეკუთვნოდა, ოღონდ არ ვიცი, რომელს. თუ ფრედებოილი და კინკელი მემარცხენეები იყვნენ, მაშინ ზომერვილდი მემარჯვენე იყო ან, იქნებ, პირიქით. მარისაც წაუვიდა ფერიფური. რას იზამდა! განათლებული ხალხი მოსწონს — აი, ამას ვერაფრით გადაუაჩვიე. კინკელის ფართო განათლებამ მომავალი ფრაუ ფრედებოილიც მოხიბლა. იგი კინკელის სიტყვაჭარბდარიგებას ლამის უხვნობამდე მისული ოხვრითაც კი აღიქვამდა. ის კაცი ქარიშხალივით დაატყდა თავს, დაწყებული სულიერი

მამებით, დამთავრებული ბრეხტით, არაფერი დააკლო და, როცა სულმოთქმული აივნიდან დაგბრუნდი, ყველანი განადგურებულნი დამხვდნენ და კრუშონს მიირთმევდნენ. მთელი ეს ალიაქოთი იმის გამო ატყდა, რომ საბრალო არსებამ განაცხადა, ბენის ზოგიერთი ნაწარმოები საკმაოდ კარგია და მომწონსო.

ახლა იგი ჯერ ოცდაორი წლისაც არ არის, ფრედებოლისაგან კი უკვე ორი შვილი ჰყავს. ტელეფონი კვლავ რეკავდა მათ ბინაში და წარმოვიდგინე, სრულიად უმწეო და დაბნეული როგორ დაფუსფუსებდა ჩვილის ბოთლებით, საპუდრეებით, სახვევებითა და კრემებით ხელში. ამავე დროს, თვალწინ დამიდგა ჩვილის დაზვიანული ჭუჭყიანი თეთრეული და სამზარეულოში დახვავებული გაქონილი, გაურეცხავი ჭურჭელი. ერთხელ, როცა თავიანთი ლაყბობით გული გამიწყალეს, მე მას პურის გაფიცხებაში, ბუტერბროდის მომზადებასა და ყავის მოხარშვაში მივებმარე. პირდაპირ ვიტყვი: ასეთი საქმის კეთება ნაკლებად მეზიზღება, ვიდრე ზოგ-ზოგებთან საუბარი.

მეტისმეტად მორიდებული ხმა გავიგონე.

— დიახ, გისმენთ, — ამ ხმამ მიმახვედრა, რომ სამზარეულოში, სააბაზანოსა და საძინებელში გაცილებით მეტი უწესრიგობა სუფევდა, ვიდრე ოდესმე. ამჯერად არაფრის სუნი არ მეცა, მხოლოდ ვიგრძენი, ხელში სიგარეტი ეჭირა.

— შინრი გახლაგართ, — ვუთხარი მე და ველოდი, რომ ჩემი დარეკვით გახარებული, ჩვეულებისამებრ, წამოიძახებდა: „აჰ, თქვენ კვლავ ბონში ხართ, რა კარგია!“ ან სხვა რაიმე ამდაგვარს, მაგრამ ამჯერად დარცხენილი დუმიდა, შემდეგ კი უხალისოდ მითხრა:

— სასიამოვნოა.

აღარ ვიცოდი, რა მეთქვა. უწინ ყოველთვის მეკითხებოდა, როდის შემოიფლით ჩვენთან, რას გვიჩვენებთ ახალსო. ახლა კი კრინტიც არ დაუძრავს. მე უხერხულად ვგრძნობდი თავს, მაგრამ არა ჩემ გამო, არამედ მის გამო, რადგან ჩემთვის ეს მხოლოდ გულდასაწყვეტი ამბავი იყო, მისთვის კი გამაწამებლად უხერხული.

— რა იქნა წერილები? — ვთქვი ბოლოს გაჭირვებით, — წერილები, მარის თქვენს მისამართზე რომ ვუგზავნიდი?

— ჩვენთან არის, — მითხრა მან, — გაუხსნელი დაგვიბრუნდა უკან.

— რა მისამართზე უგზავნიდით?

- არ ვიცი, — მითხრა მან, — ჩემი ქმარი უგზავნიდა.
- კი მაგრამ, უკან დაბრუნებულ წერილებზე ხომ დაინახავდით, რა მისამართსაც აწერდა?
- თქვენ რა, დაკითხვას მიწვობთ?
- ო, არა, — ვუთხარი რბილად, — სრულიადაც არა, უბრალოდ გულუბრყვილოდ მეგონა, რომ უფლება მქონდა, დავინტერესებულიყავი, რა მოუვიდა ჩემს წერილებს.
- რომელთაც დაუკითხავად გვიგზავნიდით, არა?
- ძვირფასო ფრაუ ფრედებოილ, გთხოვთ, ცოტა მეტი ადამიანობა გამოიჩინოთ, — ვუთხარი მე.
- მან ხმადაბლა გაიცინა, მაგრამ მაინც გავიგონე, თქმით კი არაფერი უთქვამს.
- ჩემი აზრით, — განვაგრძე მე, — ზოგიერთ საკითხში ადამიანები, თუნდაც იდეოლოგიური მოსაზრებით, ადამიანობას იჩენენ.
- თქვენი აზრით, აქამდე არაადამიანურად ვიქცეოდი?
- ღიახ, — ვუპასუხე მე. მან ისევ ძალზე ხმადაბლა, მაგრამ მაინც გასაგონად გაიცინა.
- ძალიან მწყინს ყველაფერი, რაც მოხდა, მაგრამ მეტს ვერაფერს გეტყვით. საქმე ისაა, რომ ყველას ძალიან გაგვიცრუეთ იმედი, — თქვა მან ბოლოს.
- როგორც კლოუნმა? — ვკითხე მე.
- ამ მხრითაც, — მითხრა მან, — მაგრამ არა მარტო ამ მხრივ.
- თქვენი ქმარი, ეტყობა, შინ არ არის?
- არა, — მიპასუხა მან, — რამდენიმე დღეში დაბრუნდება, წინასაარჩევნო სიტყვის წარმოსათქმელადაა წასული ეიფელში.
- რა თქვით? — ვკითხე გაკვირვებულმა. ეს მართლაც ახალი ამბავი იყო. — ნუთუ ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის სახელით?
- რატომაც არა, — მიპასუხა მან ისეთი ხმით, რომ ცხადად ვიგრძენი, სიამოვნებით დაკიდებდა ყურმილს.
- რა გაეწვობა, — ვუთხარი მე, — კადნიერებაში ხომ არ ჩამომართმევთ, რომ გთხოვოთ, წერილები უკან გამომიგზავნოთ?
- სად?
- ბონში, ჩემს მისამართზე.
- ბონში ხართ? — მკითხა და მომეჩვენა, თითქოს მზად იყო ეყვირა: „რა ღვთის რისხვაა“.

— ნახვამდის, — ვუთხარი მე, — გმადლობთ ასეთი კაცთმოყვარეობისათვის.

ვწუხდი, ასე ცუდად რომ მოვიქეცი, მაგრამ ძალ-ღონე გამომე-
ლია. სამზარეულოში გავედი, მაცირიდან კონიაკის ბოთლი გამო-
ვიღე და დიდი ყლუბი მოსვი. როცა დაურწმუნდი, ვერაფერი მიშვე-
ლა, კიდევ ერთხელ მოვიყუდე, მაგრამ შვება ვერ ვიგრძენი. ყველაზე
ნაკლებად ფრაუ ფრედებოილისაგან მოველოდი გაწბილებას. მეგონა,
გაუთავებელ ქადაგებას მოჰყვებოდა ქორწინებაზე, მისაყვედურებდა
მარისადმი დამოკიდებულების გამო. ზოგჯერ იგი ისე იქცეოდა,
როგორც ჯიუტი, მაგრამ მაინც სათნო დოგმატიკოსი. როცა ბონში
ჩამოვდიოდი და ვურეკავდი, ხშირად ხუმრობით მთხოვდა ხოლმე,
ერთხელ კიდევ დამეხმარეთ სამზარეულოსა და ბავშვების ოთახის
დალაგებაშიო. ეტყობა, ან მე შვეცდი მის შეფასებაში, ანდა ისევ
ფეხმძიმედ და ცუდ გუნებაზე იყო. არ მეყო სითამამე, კიდევ ერთხელ
დამერეკა და მეკითხა, რა დაგემართათ-მეთქი. ჩემ მიმართ იგი ყო-
ველთვის თავზიანი იყო და მისი საქციელის ახსნა მხოლოდ იმით
შემძებლო, რომ, ალბათ, ფრედებოილმა დაუტოვა „ზუსტი ინსტრუქ-
ცია“, როგორ გაეწბილებინე. ხშირად მიმიქცევია ყურადღება, რომ
ცოლები ჭკუის დაკარგვამდე ლოიალურნი არიან თავიანთი ქმრე-
ბისადმი. ფრაუ ფრედებოილი მეტისმეტად ახალგაზრდა იყო და, ალ-
ბათ, არ ჰქონდა შეგნებული, რა ძლიერ მატკენდა გულს მისი არაბუ-
ნებრივი სიცივე. მან არც ის იცოდა, რომ ფრედებოილი მხოლოდ
კარიერისტი და ყბედი კაცი იყო და დაწინაურებისათვის არაფრის
წინაშე არ დაიხვედა უკან, ხოლო თუ გზაზე გადაეღობებოდა, საკუ-
თარ ბეზიასაც კი გათელავდა. ეტყობა, მან ცოლს უთხრა: „შინი
უნდა ჩამოვიშოროთ“ — და ფრაუ ფრედებოილმაც უბრალოდ მო-
მიშორა. იგი ხომ მორჩილი ცოლი იყო. ადრე, როცა ფრედებოილი
ფიქრობდა, რამეში გამოვადგებოდი, მის ცოლსაც ჰქონდა უფლება
კეთილად მომპყრობოდა, და ეს საესეებით შეესაბამებოდა მის ბუნე-
ბას. ახლა კი თავისი ბუნების საწინააღმდეგოდ უღმობლად უნდა
მომპყრობოდა. იქნებ, ორივეს უსამართლოდ ვწამებდი ცილს და ისე
იქცეოდნენ, როგორც სინდისი უკარნახებდათ. მარი თუ ციუპფენერზე
გათხოვდა, სხვის ცოლს ხომ არ შემახვედრებდნენ, ცოდვას ხომ ვერ
ჩაიდენდნენ, ხოლო ის გარემოება, რომ ციუპფენერი ფრედებოილის-
თვის საჭირო კაცი იყო ცენტრალურ კავშირში, სინდისს სულაც არ

უძძიმებდა მათ. ცხადია, კარგად და მართებულად უნდა მოიქცნენ მაშინაც, როცა ვიდაცას თუ რაღაცას მათთვის სარგებლობა მოაქვს. თვით ფრედებოილს ისე არ დაუწყევებია გული ჩემთვის, როგორც მისმა ცოლმა დამწყევბა. ფრედებოილის იმედი არასოდეს მქონია, არც ის ფაქტი გამკვირვებია, ახლა ქრისტიან-დემოკრატიულ კავშირს რომ ეხმარებოდა არჩევნებში.

კონიაკის ბოთლი ისევ მაცივარში შევდგი და ამჯერად უკვე საბოლოოდ.

უმჯობესია ყველა კათოლიკეს ჩამოუშრეკო და მოვრჩე მათთან საქმეს. როგორღაც გამოფხიზლდი, თან როცა სამზარეულოდან საერთო ოთახში გავედი, აღარც კი ვკოჭლობდი.

წინკარში გარდერობი და ცოცხების სათავსის კარიც კი ჟანგისფერი იყო.

კინკელთან დარეკვა სასიკეთოს არაფერს მიქადდა, მაგრამ მისი ნომერი მაინც აკრიფე. კინკელი ყოველთვის ისე იქცეოდა, თითქოს ჩემი ხელოვნებით აღტაცებული იყო. საერთოდ, ვისაც ჩვენი ხელობისა რამე გაეგება, იცის, სცენის მუშის უმნიშვნელო შექებაც კი მსახიობის გულს სიხარულით ისე აუსებს, რომ გასკდომას აღარაფერი უკლია. მინდოდა ქრისტიანი კინკელისათვის საღამოს სიმყუდროვე დამერღვია, გარდა ამისა, ერთი ფარული აზრიც არ მშორდებოდა — იქნებ, მარის ადგილსამყოფელი გამიმხილოს-მეთქი. კინკელი მათი წრის თავკაცი იყო, თეოლოგიასაც სწავლობდა, მაგრამ შემდეგ ერთი ლამაზი ქალის გამო თეოლოგიაზე გული აიყარა და გადაწყვიტა, იურისტი გამხდარიყო. ახლა მას შვიდი შვილი ჰყავდა და „ერთ-ერთ უნიჭიერეს სოციალ-პოლიტიკოსად“ მიაჩნდათ. იქნებ, მართლაც ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ ამის განსჯა სად შემემლო. სანამ კინკელს გავიცნობდი, მარიმ წასაკითხად მომცა მისი ერთი ბროშურა „გზები ახალი წესრიგისაკენ“. წიგნი მომეწონა, წარმოვიდგინე, რომ კინკელი იყო მაღალი, ქერა, ფაქიზი მამაკაცი, მაგრამ გამაცნეს და სინამდვილეში იგი აღმოჩნდა პატარა, მსუქანი, ჯანღონით სავსე კაცი, ხოლო თმა შავი და ხშირი ჰქონდა. ვერაფრით დავიჯერე, რომ ეს კინკელი იყო. შეიძლება მის მიმართ იმიტომაც ვარ უსამართლო, რომ ისეთი გარეგნობა არ ჰქონდა, როგორც წარმომედგინა.

როცა მარი აღტაცებული ახსენებდა კინკელს, მოხუცი დერკუ-

მი იტყოდა ხოლმე, „კინკელ-კოქტეილი“ ცვლადი შემაღგენელი ნაწილების ნარევი — მარქსი პლუს გუარდინი ანდა ბლუა პლუს ტოლსტოი.

კინკელთან პირველივე სტუმრობაზე მე და მარი უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. მივედით მეტისმეტად ადრე, კინკელის შვილებს ერთი ალიაქოთი ჰქონდათ, ბატებივით ყიყინებდნენ, დავობდნენ, ვახშმის შემდეგ სუფრა ვინ უნდა ააღაგოსო. მათ ყიყინითვე აწყნარებდნენ. კინკელს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ლუკმა გადაყლაპული, მაგრამ მაინც გაღიმებული შემოგვეგება და ცდილობდა ჩვენი ნაადრევი სტუმრობით გამოწვეული გაღიზიანება დაეფარა. შემდეგ გამოჩნდა ზომერვილდი. იგი არაფერს ლეჭავდა, მხოლოდ კბილებდაკრეჭილი იფშენებდა ხელებს. ბინის სიღრმეში ავად ჭყაოდნენ კინკელის შვილები, რაც სრულიად არ ესადაგებოდა კინკელის ღიმილს და ზომერვილდის კრეჭას. ერთხანს გვესმოდა, როგორ ულაწუნებდნენ ბავშვებს სილებს, შემდეგ კარი მაგრად მიხურეს, მაგრამ მე ვიცოდი, მიხურულ კარს მიღმა ბავშვები ადრინდელზე უფრო ძლიერ კიოდნენ და წიოდნენ. მე მარის გვერდით ვიჯექი და, აღელვებული, სიგარეტს სიგარეტზე ვეწეოდი. სადღაც ოთახებში ამტყდარმა აურზაურმა სრულიად ამომავლო კალაპოტიდან. ზომერვილდი მარის ელაპარაკებოდა და სახეზე უცვლელი, „შემწყნარებლური და ყველაფრის მიმტვევბელი“ ღიმილი დასთამაშებდა. მას შემდეგ, რაც მე და მარი სახლიდან გავიქეციით, პირველად ჩამოვედით ბონში. მოწიწებისა და სიამაყისაგან აღელვებული მარი გაფითრებულიყო. კარგად მესმოდა მისი — ახლა მთავარი იყო, კვლავ შერიგებოდა ეკლესიას. ზომერვილდი მორიდებით ექცეოდა, ხოლო კინკელი და ზომერვილდი სწორედ ის ადამიანები გახლდნენ, რომელთაც მარი მოწიწებით შესცქეროდა თვალებში. მარიმ ზომერვილდთან წარმადგინა. როცა ისევ დავსხედით, პრელატმა მკითხა:

— ხომ არ ენათესავენით მურა ნახშირის მომპოვებელ შნირებს?

ამგვარმა კითხვამ გამაბრაზა. მშვენიერად იცოდა, ვისაც ვენათესავებოდი. ბონში ბავშვმაც კი იცოდა, რომ მარი დერკუმი, რომელიც ღვთისმოსიშად ითვლებოდა, მურა ნახშირის მომპოვებელ ერთ-ერთ შნირთან ერთად გაიქცა სახლიდან „გამოსაშვები გამოცდების წინ“.

ზომერვილდისათვის პასუხი არ გამიცია, მან კი გაიცინა და მი-
თხრა:

— ზოგჯერ ბაბუათქვენთან ერთად სანადიროდ დავდივარ, მამათქვენს კი ხანდახან ბონის კეთილშობილთა კავშირში ვხვდები, სადაც სკატს ვთამაშობთ.

ბრანზი ამ სიტყვებმაც მომგვარეს. არც ისეთი ბრიყვი იყო, რომ ეფიქრა, ამ ყმაწვილს უხეირო ნადირობასა და კეთილშობილთა კავშირზე სულელური ყბედობით თავს მოვაწონებო. თუმცა არც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, უხერხულობის გამო ეთქვა რამე. ბოლოს მეც ამოვიღე ხმა:

— სანადიროდ დადიხართ? მე კი მეგონა, კათოლიკე სასულიერო პირებს ნადირობა აკრძალული აქვთ.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა. მარი გაწითლდა, აღელვებულ კინკელი ოთახში დარბოდა და კორპსადრობს ეძებდა. კინკელის ცოლმა, რომელიც სწორედ ამ დროს შემოვიდა ოთახში, მარილიანი ნუში ზეთისხილიან მინის თეფშზე დაყარა. ზომერვილდიც გაწითლდა, რაც სრულიად არ უხდებოდა, სახე ისედაც საკმაოდ წითელი ჰქონდა.

— არ მეგონა, პროტესტანტი თუ ამდენად გათვითცნობიერებული იქნებოდა, — მითხრა მან წყნარად, მაგრამ მაინც ოდნავ გაღიზიანებულმა.

— პროტესტანტი არ გახლავართ, მაგრამ ამგვარი საკითხები მარის აინტერესებს და მეც ამიტომ მაინტერესებს, — ვუთხარი მე.

სანამ კინკელი ღვინოს გვისხამდა, ზომერვილდმა მითხრა:

— ყველა კანონს აქვს გამონაკლისი, ბატონო შნირ. ჩემი წინაპრები მთავარი მეტყვევები იყვნენ და ეს პროფესია მემკვიდრეობით მამიდან შვილზე გადადის.

მას რომ მხოლოდ „მეტყვევ“ ეთქვა, გაუგებდი, მაგრამ მთავარი მეტყვევო, რომ თქვა, გუნება ისევ ამემღვრა და მაინც ხმა არ ამომიღია. უკმაყოფილება მხოლოდ სახეზე მეწერა. ამის შემდეგ თვალებით ლაპარაკზე გადავედით. ფრაუ კინკელმა თვალით ანიშნა ზომერვილდს: „თავი დაანებე, ხომ ხედავ, საშინლად ახალგაზრდაა“. ზომერვილდმა თვალებითვე უპასუხა: „ახალგაზრდაცაა და საკმაოდ უზრდელიც“. კინკელმა კი, რომელიც ღვინოს მისხამდა, მე მითხრა თვალებით: „დემერთო ჩემო, რა ახალგაზრდა ხართ ჯერ“, ხოლო მარის ჰკითხა:

— მამა როგორ ბრძანდება, ძველებურადაა, ხომ?

საბრალო მარი იმდენად გაფითრებული და დაბნეული იყო, რომ ხმა ვერ ამოიღო და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ამ დროს ზომერვილდმა თქვა:

— ჩვენი ძველი, სიკეთით სავსე, ღვთისმშობიში ქალაქი რა იქნებოდა ბატონ დერკუმის გარეშე.

ისვე მომერია ბრაზი. ბატონმა დერკუმმა მითხრა, ზომერვილდი კათოლიკური სკოლის მოწაფეებს აფრთხილებს, მაგისგან კანფეტები და ფანქრები არ იყიდოთო.

— ბატონი დერკუმის გარეშე ჩვენი ძველი, სიკეთით სავსე, ღვთისმშობიში ქალაქი კიდევ უფრო ბინძური იქნებოდა, — ვთქვი მე, — რაც უნდა იყოს, დერკუმი ფარისეველი მაინც არ არის.

კინკელმა გაოცებით შემომხედა, ჭიქა ასწია და თქვა:

— გმადლობთ, ბატონო შნირ, კარგი აზრი შთამაგონეთ სადღეგრძელოსათვის. გაუძარჯოს მარტინ დერკუმს!

— მის სადღეგრძელოს სიამოვნებით დავლევ, — ვთქვი მე.

ფრაუ კინკელმა კვლავ თვალებით უთხრა ქმარს: „იგი მარტო ახალგაზრდა და უზრდელი კი არაა, უტიფარიც ყოფილა“. ვერაფრით გაეიგე, რატომ ირწმუნებოდა მოგვიანებით კინკელი, ჩვენი პირველი შეხვედრა იმ საღამოს ყველაზე სასიამოვნო იყო. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდნენ ფრედებოილი, მისი საცოლე, მონიკა ზილვსი და ვილაც ფონ ზევერნი, ვის შესახებაც მის მოსვლამდე ითქვა, მართალია, რჯული შეიცვალა და გაკათოლიკდა, მაგრამ მაინც უწინდებურად დაახლოებულია სოციალ-დემოკრატებთანო. ეს ამბავი რატომღაც ჭკუის დასაკარგავ სენსაციად მიიჩნიეს. ფრედებოილი პირველად იმ საღამოს გავიცანი და მასთანაც ისეთივე ურთიერთობა დავამყარე, როგორც სხვებთან. მიუხედავად ყველაფრისა, ყველანი სიმპათიურ კაცად მთვლიდნენ, მე კი, ასევე მიუხედავად ყველაფრისა, ყველას ანტიპათიურ ადამიანებად ვთვლიდი, გარდა ფრედებოილის საცოლისა და მონიკა ზილვსისა. რაც შეეხება ფონ ზევერნს, იგი არც სიმპათიური მეჩვენებოდა და არც ანტიპათიური. მოსაწყენი კაცი იყო. ეტყობა, მტკიცედ გადაწყვიტა, საბოლოოდ დამშვიდებულიყო იმ სენსაციური ფაქტის შემდეგ, რჯული რომ შეიცვალა და მაინც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი დარჩა. იგი იღიმებოდა, თაფლად იღვრებოდა, ხოლო მისი ოდნავ გადმოკარკლული თვალები თითქოსდა ამბობდნენ: „შემომხედეთ, ეს მე ვარ“! ჩემი

აზრით, ფონ ზვეერნი ცუდი კაცი არ უნდა ყოფილიყო. ფრედებოილი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ჩემდამი, თითქმის სამი მეოთხედი საათი მელაპარაკა ბეკეტსა და იონესკოზე, გაუთავებლად ლაყბობდა და მე მივხვდი: ყველაფერი, რასაც ამბობდა, აქა-იქ ჰქონდა ამოკითხული. ფრედებოილს გადატკეცილი, ლამაზი, დიდპირიანი სახე ნეტარებისაგან გაუბრწყინდა, როცა ბრიყვულად ვაღიარე, ბეკეტი არ წამიკითხავს-მეთქი. ყველაფერი, რასაც ამბობდა, იმდენად ნაცნობი მეჩვენებოდა, თითქოს სადღაც უკვე ამომეკითხა. კინკელი ფრედებოილს ალტაცებით შესციცინებდა თვალებში, ზომერვილდი კი ირგვლივ იყურებოდა და თვალებით ამბობდა: „რაო, ჩვენ, კათოლიკეები, ვისზე ნაკლები ვართ“. ყველაფერი ეს ხდებოდა მანამდე, ვიდრე ლოცვას დაიწყებდნენ.

— ოდილო, მე მგონი, შეგვიძლია დავიწყოთ ლოცვა, ჰერიბერთი, ალბათ, დღეს არ მოვა, — თქვა ბოლოს კინკელის ცოლმა.

უეცრად ყველა მარის მიაჩერდა და მაშინვე სწრაფად მოაშორეს მხერა. ვერ გავიგე, რა იყო ამ დამთრუნველი ღუმელის მიზეზი. მხოლოდ მოგვიანებით, ჰანოვერის სასტუმროს ნომერში ამჯილა თვალი, მაშინ მივხვდი უეცრად, ციუპფენერს ჰერიბერთი რომ ერქვა. მოგვიანებით ციუპფენერი მაინც მოვიდა. ლოცვა უკვე დამთავრებული ჰქონდათ და ახლა გაცხარებული მსჯელობდნენ იმ საღამოსთვის შერჩეულ თემაზე. მომწონა მარის საქციელი: როგორც კი ციუპფენერმა ზღურბლს გადმოაბიჯა, მარი შეეგება, თვალებში შეხედა და მხრები უმწეოდ აიჩეჩა. ციუპფენერი ყველას ღიმილით მოგვესალმა და ჩემ გვერდით დაჯდა. ამის შემდეგ ზომერვილდმა ამბის მოყოლა დაიწყო: ერთი კათოლიკე მწერალი დიდხანს ცხოვრობდა ერთ ქმარგაყრილ ქალთან და როცა, ბოლოს და ბოლოს, შეერთო, ერთმა გავლენიანმა პრელატმა ასეთი რამ უთხრა: „ძვირფასო ბეზვეიც, რა გრჯიდათ, ნუთუ ჯვარდაუწერლად ცხოვრება არ შეგეძლოთ?“. ამ ამბაზე ყველას გაეცინა, იცინოდნენ თავშეუკავებლად, ხოლო ფრაუ კინკელი უხამსადაც კი. ერთადერთი, ვისაც არ გაუცინია, ციუპფენერი იყო და ამიტომ მისდამი სიმპათიით განვიმსჯვალე. გაცინებით არც მარის გაუცინია. ცხადზე ცხადი იყო, ეს ამბავი ზომერვილდმა იმიტომ გვიამბო, რომ ჩემთვის დაენახვებინა, რა დიდსულოვანი, თბილი, გონებადამხვილი და გულდიაა კათოლიკური ეკლესია. ისინი არც კი დაფიქრებულან იმაზე, რომ მე და მარი დაუქორწინებლად

ვცხოვრობდით. ამის შემდეგ მე ვუამბე მათ ერთი მუშის ამბავი. ის მუშა ჩვენი კარის მეზობელი იყო, გვარად ფრელინგენი. ისიც ხელმოუწერლად ცხოვრობდა გარეუბანში ერთ ქმარგაყრილ ქალთან და მის სამ შვილს არჩენდა. ერთ დღეს ფრელინგენთან მღვდელი მივიდა და სრულიად სერიოზულად, მუქარითაც კი მოსთხოვა, უზნეო ცხოვრებაზე ხელი აეღო. ფრელინგენმა, რომელიც ღვთისმომადიდებელი იყო, ის ლამაზი ქალი და მისი სამი შვილი სახლიდან გაყარა. მოეყვინა იმასაც, რაც შემდეგ მოხდა: შვილები რომ ერჩინა, ქალი გაროსკიბდა, ფრელინგენი კი გალოთდა, რადგან ის ქალი მართლა უყვარდა. ისევე, როგორც ყოველთვის, როცა მე რამეს ვამბობდი, ამჯერადაც დამთრგუნველი სიჩუმი ჩამოვარდა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ზომერვილდმა გაიცინა და მითხრა:

— ბატონო შნირ, განა შეიძლება ამ ორი ამბის შედარება?

— რატომაც არა, — ვუპასუხე მე.

— თქვენ რომ ბეზევიცს იცნობდეთ, ამას არ იტყვით, — მითხრა გააფთრებულმა, — ქრისტიან მწერალთა შორის, ვისაც კი ჩვენ ვიცნობთ, ბეზევიცი ყველაზე ფაქიზი გრძნობების კაცია.

უეცრად მეც გავცოფდი და ვუთხარი:

— განა თქვენ კი იცით, რა ფაქიზი გრძნობები ჰქონდა ფრელინგენს და რა ქრისტიანი მუშა იყო.

მან მხოლოდ თავი გააქნია, შემომხედა და, სასოწარკვეთილმა, ხელები ცისკენ აღაპყრო. საუბარი შეწყდა, მხოლოდ მონიკა ზილვსის ხველება ისმოდა დროდადრო. თუმცა სანამ ფრედებოილი ჩვენთან იყო, მასპინძელს არ უნდა შინებოდა საუბრის შეწყვეტის. ფრედებოილი მაშინვე შეიჭრა ხანმოკლე ღუმელში, საღამოსათვის შერჩეულ თემას დაუბრუნდა და დაახლოებით საათ-ნახევარი ილაპარაკა იმაზე, თუ რა შედარებითაა სიღარიბის ცნება. ბოლოს კინკელსაც მიეცა შესაძლებლობა, მოეყოლა ანეკდოტი იმ კაცზე, ვისაც უსაშველოდ უჭირდა, ვიდრე თვეში ხუთასიდან სამი ათას მარკამდე იღებდა. ციუბფენერმა სიგარეტი იმიტომ მთხოვა, რომ სირცხვილით გამოწვეული სიწითლე თამბაქოს კვამლით დაეფარა.

როცა ბოლო მატარებლით კიოლნში დავბრუნდი, მეც ისევე ცუდად ვგრძნობდი თავს, როგორც მარი. ძლივს შევაგროვეთ ბონში გასამგზავრებელი ფული — მარი იმ საღამოზე დიდ იმედებს ამყარებდა და არ უნდოდა, მიპატიჟებაზე უარი გვეთქვა. მარტო სულიერად კი

არა, ფიზიკურადაც ცუდად ვგრძნობდით თავს, რადგან ჭამით თითქმის არაფერი გვიჭამია, დაღვეით კი იმაზე მეტი დაუღვიეთ, რისი თავიც გვექონდა. გზა უსასრულო გვეჩვენა და როცა კიოლნის დასაუღლეთ სადგურზე გადმოვედით, შინ ფეხით წავედით, ტრანსპორტის ფული არ გვექონდა.

დავრეკე თუ არა კინკელის ბინაში, ვილაც მაშინვე მოვიდა ტელეფონთან.

— ალფრედ კინკელი გისმენთ, — მომესმა თავდაჯერებული ბიჭის ხმა.

— შინრი გახლავართ, — ვუთხარი მე, — შეიძლება მამათქვენი დამალაპარაკოთ?

— რომელი შინრი ბრძანდებით, თეოლოგი თუ კლოუნი?

— კლოუნი, — ვუპასუხე მე.

— აჰ, — მითხრა მან, — იმედია, ამ ამბავს მძიმედ არ განიცდით.

— მძიმედ? — ვკითხე დაღლილმა, — კი მაგრამ, რას არ უნდა განვიცდიდე მძიმედ?

— გაზეთი არ წაგიკითხავთ?

— რომელი გაზეთი?

— „ბონის ხმა“, — მითხრა მან.

— მკაცრად მაკრიტიკებენ? — ვკითხე მე.

— ო, მე თუ მკითხავთ, ეს უკვე დასამარებას უღრის. გინდათ, მოვიტანო და ხმამაღლა წაგიკითხოთ?

— არა, გმადლობთ, — ვუპასუხე მე. ბიჭის ხმაში მკაფიოდ ისმოდა სადისტური ბგერები.

— გაზეთს მაინც უნდა გადააუღოთ თვალი, ჭკუის სასწავლებლად გამოგადგებათ.

ღმერთო ჩემო, პედაგოგიური მიდრეკილებებიც ჰქონია, გავიფიქრე მე.

— ვისი წერილია?

— ვილაც ქოსთერთისა, — მიპასუხა მან, — ეტყობა, ჩვენი კორესპონდენტია რურის ოლქში. წერილი ბრწყინვალედაა დაწერილი, მაგრამ თვითონ ავტორი სულმდაბალი ყოფილა.

— გასაგებია, იგი ზომ ქრისტიანია.

— თქვენ არა?

— არა, — ვუპასუხე მე, — დარწმუნებული ვარ, მამათქვენს ვერ დამალაპარაკებთ.

— გვთხოვა, ნუ შემაწუხებთო, მაგრამ თქვენი გულისათვის სიამოვნებით შევაწუხებ.

პირველი შემთხვევა იყო, რომ სადინში გამომადლა.

— გმადლობთ, — ვუთხარი მე.

გავიგონე, როგორ დადო მაგიდაზე ყურმილი, როგორ გაიარა ოთახში, შემდეგ კი ბინის სიღრმიდან ისევ მომესმა გაბოროტებული სისინი. ისეთი გრძობა დამეუფლა, თითქოს გველების ოჯახში ჩხუბი ატყდა: ორი მამალი და ერთი დედალი გველი ერთმანეთს დაერია. ყოველთვის ვწუხვარ, როცა ჩემდა უნებურად მოწმე ვხდები ისეთი ამბებისა, ჩემი ყურებისა და თვალებისათვის რომ არ არის განკუთვნილი და არც ტელეფონით სუნის შეგრძნების მისტიკური უნარი მანიჭებს სიხარულს, რადგან ესეც ტვირთია. კინკელის ბინაში ხორცის ნახარშის ისეთი მძაფრი სუნი იდგა, თითქოს ხარი მოქხარშოთ. სისინი თანდათან ძლიერდებოდა და ვიდაცის სიცოცხლეს საფრთხე ემოქრებოდა. სადაცაა ან ვაჟიშვილი მოკლავს მამას, ან დედა — ვაჟიშვილს. გამახსენდა ლაოკონი და ის ამბავი, რომ მთელი ეს აყალმაყალი (მესმოდა ხელჩართული ჩხუბის ხმა, წივილკივილი, წამოძახილები: „საზინდარო მხეცო“, „უგულო ღორო“) ხდებოდა იმ კაცის სახლში, რომელსაც გერმანული კათოლიციზმის „რუხ კარდინალს“ უწოდებდნენ, ჩემთვის დიდად სასიხარულო არ იყო. გამახსენდა გათახსირებული ბოხუმელი ქოსთერთი, რომელიც მთელი გუშინდელი საღამო, ალბათ, ტელეფონზე ეკიდა და გაზეთის რედაქციას თავისი წერილის ტექსტს უკარნახებდა, ამ დილით კი ჩემი ოთახის კარს თავმოჭრილ კატასავით ფხაჭნიდა და კეთილქრისტიანად მოჰქონდა თავი.

ეტყობა, კინკელი შვილს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ხელებითა და ფეხებით უწევდა წინააღმდეგობას, რომ ტელეფონთან არ მოსულიყო, მისი ცოლი კი — ამას ოთახში ატეხილი ხმაურისა და მოძრაობის მიხედვით ვხვდებოდი — კიდევ უფრო სასტიკი წინააღმდეგი იყო ამისა. მაგრამ მათი ვაჟიშვილიც სასტიკ უარს ამბობდა, ეთქვა ჩემთვის, შევცდი, მამა შინ არ არისო. უეცრად სრული სიჩუმე ჩამოვარდა, ასეთი სიჩუმე იცის, როცა ვინმე სისხლისაგან იცლება. ეს სიჩუმე მართლაც იცლებოდა სისხლისაგან. ამ დროს მძიმე ნა-

ბიჯების ხმა მომესმა, გავიგონე, როგორ აიღო ვიღაცამ მაგიდიდან ყურმილი, მაგრამ მეგონა, იმწამსვე დაკიდებდა. კარგად მახსოვდა, სად იდგა კინკელის ბინაში ტელეფონი — ბაროკოს სტილის სამი მადონადან ერთ-ერთის ქვეშ. ამ მადონას კინკელი ყველაზე იაფფასიანს ეძახდა. ლამის ვნატრობდი, ყურმილი დაეკიდა. კინკელი მეცოდებოდა, რადგან მისთვის ახლა ჩემთან ლაპარაკი საშინელება იქნებოდა. პირადად მე ამ ლაპარაკისაგან არაფერს მოველოდი, არც ფულს და არც სასარგებლო რჩევას. ჩემამდე რომ აქოშინებულ ხმას მოეღწია, კინკელი შემეცოდებოდა, მაგრამ მისი ხმა ახლაც ისეთივე მჭექარე და ენერგიული იყო, როგორიც ყოველთვის. ერთხელ ვიღაცამ მისი ხმა მეტუკეთა მთელ ბატალიონს შეადარა.

— ალო, შნირ, — აროხროხდა იგი, — დიდებულად მოიქეცით, რომ დამირეკეთ.

— ალო, დოქტორო, — ვუთხარი მე, — შავ ღღეში ვარ.

გესლი მე მხოლოდ სიტყვა დოქტორში ჩაუაქსოვე, რადგან იგი ისეთივე ახალგამოჩენილი დოქტორი *honoris causa*¹ იყო, როგორიც მამაჩემი.

— შნირ, — მითხრა მან, — განა ჩვენ ისეთი ურთიერთობა გვაქვს, რომ ბატონი დოქტორი მიწოდოთ?

— წარმოდგენა არა მაქვს, როგორი ურთიერთობა გვაქვს, — ვუთხარი მე.

მან მეტისმეტად მჭექარედ გაიცინა: ვიტალურად, ენერგიულად, კათოლიკურად, „ბაროკოს სიხალისე“ მენიშნა.

— ძველებურად მომწონხართ, — მითხრა მან.

ძნელი დასაჯერებელი იყო. მისი აზრით, ალბათ, ისე ძალიან დაეცა, რომ ხელისკვრა აღარ ღირდა — მეტი რაღა უნდა მომსვლოდა.

— თქვენ ახლა კრიზისს განიცდით, — მითხრა მან, — მაგრამ ეგ არაფერია. ჯერ ახალგაზრდა ხართ, მოერიეთ საკუთარ თავს და ყველაფერი მოგვარდება.

სიტყვებმა „მოერიეთ საკუთარ თავს“ ჩვენი მოსამსახურე ანა და მეცხრე ქვეითი პოლკი გამახსენა.

— რას გულისხმობთ? — ვკითხე რბილად.

¹ *honoris causa* (h.c.) (ლათ.) — განსაკუთრებული დამსახურებისათვის დისერტაციის დაუცველად დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

— რას და, თქვენს ხელოვნებას, თქვენს კარიერას — მითხრა მან.

— ამაზე სულ არ მიფიქრია, — ვუთხარი მე, — როგორც მოგეხსენებათ, ხელოვნებაზე პრინციპულად არ ვლაპარაკობ, კარიერაზე კი მით უმეტეს. მე სხვა რამ მაინტერესებს... მე მინდა... მე ვეძებ მარის.

მას რაღაცნაირი გაურკვეველი ბგერები აღმოხდა ღრუტუნისა და ბოყინის მაგვარი. ბინის სიღრმიდან კვლავ მოისმა სისინი, მაგრამ უფრო ყრუდ. კინკელმა ყურმილი მაგიდაზე დადო და მცირე ხნის შემდეგ ისევ აიღო, მისი ხმაც უფრო დაბალი და ყრუ მომეჩვენა. მიუხედავად, პირში სიგარა ჩაიღო.

— შნირ, — მითხრა მან, — გადაუსვით წარსულს ხაზი, თქვენი აწმყო თქვენს ხელოვნებაშია.

— წარსულს? — ვკითხე მე. — ერთი სცადეთ და წარმოიდგინეთ, რომ თქვენი ცოლი სრულიად მოულოდნელად სხვასთან გაიქცა.

იგი ღუძღა და რატომღაც მომეჩვენა, თითქოს მეუბნებოდა, ნეტავ, გაქცეულიყო. შემდეგ კი ტუჩების წკლაპუნით სიგარა მოქაჩა და მითხრა.

— ჯერ ერთი, მარი თქვენი ცოლი არ იყო, მეორეც, მასთან შვიდი შვილი არ გაგიჩნიათ.

— მაშასადამე, ჩემი ცოლი არ იყო, არა? — ვკითხე მე.

— ნუ აპყვებით ანარქისტულ რომანტიზმს, კაცი არა ხართ? — მითხრა მან.

— დალახვროს ეშმაკმა, — ვთქვი მწყრაღად, — სწორედ იმიტომ მიჭირს, მამრობით სქესს რომ ვეკუთვნი... რაც შეეხება შვილებს, შვიდი შვილის გაჩენას რა დაუდგება წინ. მარი მხოლოდ ოცდახუთი წლისაა...

— ჩემი აზრით, კაცი ის არის, — მითხრა მან, — ვინც ყველაფერს უძლებს.

— ეს აზრი მეტიმეტად ქრისტიანულია, — ვუთხარი მე.

— ღმერთო, ნუთუ თქვენ უნდა მასწავლოთ, რა არის ქრისტიანული?

— დიახ, — ვუპასუხე მე, — რამდენადაც ვიცი, კათოლიკური ეკლესიის თვალსაზრისით, ცოლი და ქმარი სულით და ხორციით ერთნი არიან.

— მართალი ბრძანდებით.

— ვთქვამთ, ქალ-ვაჟი ორჯერ და სამჯერაც დაქორწინდა სამოქალაქო თუ საეკლესიო წესების დაცვით, მაგრამ სულით და ხორციით ერთნი არ არიან, გამოდის, ცოლ-ქმარი არ ყოფილან.

— ჰმ, — აღმოხდა მას.

— მომისმინეთ, ბატონო დოქტორო, — ვუთხარი მე, — თუ არ გაგიძნელდებათ, სიგარას ხომ არ გამოიღებდით პირიდან. ყველაფერი ისე ჟღერს, გვეონება, აქციების კურსზე ვსაუბრობთ. თქვენი ტუჩების წკლაპუნი რატომღაც ამაზრზენად მოქმედებს ჩემზე.

— ეს უკვე მეტისმეტია, — მითხრა მან, მაგრამ სიგარა პირიდან მაინც გამოიღო. — დაიხსომეთ, ამ საქმეზე როგორც გინდათ, ისე იფიქრეთ, ეს თქვენი საქმეა, მაგრამ ფროილიან ღერკუმი სხვაგვარად ფიქრობს და ისე იქცევა, როგორც საკუთარი სინდისი უკარნახებს. შემიძლია ისიც გითხრათ, რომ სწორადაც იქცევა.

— თუ ასეა, თქვე ბილწო კათოლიკეებო, რატომ არც ერთი თქვენგანი არ მეუბნება, სად არის მარი, რატომ მიმაღაუთ?

— თავს სასაცილოდ ნუ იხდით, შნირ, შუა საუკუნეებში როდი ვცხოვრობთ.

— ჯობდა შუა საუკუნეებში გვეცხოვრა, — ვუთხარი მე, — მაშინ მე მას ხასად დავისვამდი და სინდისის მარწუხებით სულს ვერ ამოხდიდით, მაგრამ არაფერია, მარი მაინც დაბრუნდება ჩემთან.

— თქვენს ადგილას მე ასე თავდაჯერებული არ ვიქნებოდი, შნირ, — მითხრა კინკელმა. — ცუდია, რომ მეტაფიზიკური აზროვნება თქვენთვის ორგანულად უცხოა.

— მარის არაფერი უჭირდა მანამდე, სანამ მხოლოდ ჩემს სულზე ზრუნავდა, მაგრამ თქვენ შთააგონეთ, რომ საკუთარ სულზეც უნდა იზრუნოს და მას შემდეგ ყველაფერი შეტრიალდა. ახლა მე, ე. ი. კაცი, ვისთვისაც ორგანულად უცხოა მეტაფიზიკური აზროვნება, მის სულზე ვზრუნავ. ნამდვილ ცოდვილად მხოლოდ მაშინ იქცევა, როცა ციუპფენერს გაჰყვება ცოლად. თქვენი მეტაფიზიკისა ამდენი მაინც გამეგება: რასაც ახლა მარი სჩადის, უზნეობა და მრუშობაა, ხოლო პრელატი ზომერვილდი მაჭანკლის როლს თამაშობს.

კინკელმა გაცინება კი შეძლო, მაგრამ არა ისე მჭექარედ.

— თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჰერბერთი გერმანული კათოლიციზმის საერთო მღვდელმთავარია, ხოლო პრელატი ზომერ-

ვილდი — საეკლესიო, თქვენი სიტყვები მართლაც სასაცილოდ ჟღერს.

— თქვენ კი კათოლიციზმის სინდისი ხართ, — ვუთხარი გაცოფებულმა, — ამავე დროს, კარგად იცით, რომ მე მართალი ვარ.

ერთხანს დუმდა, თავის სახლში, ვენუსბერგზე, ბაროკოს ყველაზე იაფფასიანი მადონას ქვეშ იდგა და ქშინავდა.

— თქვენ განსაცვიფრებლად ახალგაზრდა ხართ და მშურს თქვენი...

— მოეშვით ჩემს ახალგაზრდობაზე ლაპარაკს, დოქტორო, ნუ განცვიფრდებით და ნურც გშურთ ჩემი. თუ მარი არ დამიბრუნდება, თქვენს ყველაზე მაცდუნებელ პრელატს სიცოცხლეს გამოვასაღმებ, უბრალოდ მოვკლავ, — განვუცხადე პირდაპირ, — რადგან დასაკარგი აღარაფერი მაქვს.

მას არაფერი უპასუხია და მე მივხვდი, სიგარა ისევე ჩაიდო პირში.

— ჩემთვის გასაგებია, — ვუთხარი მე, — რომ ახლა თქვენი სინდისი გამალებით მუშაობს. მე რომ ციუპფენერი მოვკლა, კმაყოფილი დარჩებით: მას არ უყვარხართ, თანაც თქვენთვის მეტი სმეტად მემარჯვენეა. სამაგიეროდ, პრელატი ზომერვილდია თქვენი საყრდენი რომში, სადაც რატომღაც თქვენ მემარცხენედ გთვლიან, რაც, ჩემი არაკომპეტენტური აზრით, უსამართლობაა.

— ამოიგდეთ თავიდან ეგ სისულელები, შნირ, რა დაგემართათ ასეთი?

— კათოლიკეები ნერვებს მიშლიან, — ვუპასუხე მე, — სინდის-ნამუსი არ გააჩნიათ.

— პროტესტანტები? — მკითხა მან სიცილით.

— საკუთარ სინდის-ნამუსზე იმდენს მიედ-მოედებიან, დაგაოსებენ.

— ათეისტები? — იგი ისევე იცინოდა.

— ათეისტები მოსაწყენი ხალხია, მუდამ ღმერთზე ლაპარაკობენ.

— თქვენ, თქვენ ვილა ხართ, შნირ?

— მე კლოუნი გახლავართ და თანაც იმაზე უკეთესი, ვიდრე ამაჟამად სახელი მაქვს. ამქვეყნად არსებობს ერთი კათოლიკე არსება, რომელიც აუცილებლად მჭირდება, — ეს გახლავთ მარი და მაინც-დამაინც ის წამართვით.

— სისულელეა, შნირ, — მითხრა მან, — ეგ „მოტაცების თეორია“ ამოიგდეთ თავიდან. ჩვენ მეოცე საუკუნეში ვცხოვრობთ.

— საქმეც ეგაა, — ვუთხარი მე, — მეცამეტეში რიგიანი კარის მასხარა ვიქნებოდი და კარდინალებსაც კი არ შეაწუხებდათ ის ამბავი, შვეირთავდი მარის თუ არა. ახლა ყველა კათოლიკე ერისკაცი მის საბრალო სინდისს ქენჯნის და სულელური ფრატიხა ქაღალდის გამო ღალატისა და გარყვნილებისაკენ უბიძგებს. მართლა, დოქტორო, თქვენი მადონებისათვის მეცამეტე საუკუნეში შეგაჩვენებდნენ და ეკლესიისაგან მოგკვეთდნენ. ძალიან კარგად მოგეხსენებათ, რომ ისინი ბავარიისა და ტიროლის ეკლესიებიდან მოიპარეს. ჩემგან არ გესწავლებათ, რომ ეკლესიის გაძარცვა დღესაც საკმაოდ მძიმე დანაშაულად ითვლება.

— მომისმინეთ, შინო, — მითხრა მან, — თქვენ უკვე ჩემს პიროვნებას ეხებით, ამას კი არ მოველოდი.

— თქვენ წლების განმავლობაში აფათურებთ ხელს ჩემს პირად ცხოვრებაში. ახლა კი, როცა მე, სხვათა შორის, უფლება მივეცი ჩემს თავს, მცირე რამ შემენიშნა და თქვენთვის არასასიამოვნო სიმართლე მეთქვა — ცოფდებით. აბა, დამაცადეთ, ფულს ვიშოვი, დავიქირაებ კერძო დეტექტივს და იგი უთუოდ დაადგენს, საიდან მოხვდა თქვენს ხელში მადონები.

კინკელი აღარ იცინოდა. მხოლოდ ჩაახველა და მიეხვდი, ჯერ კიდევ არ სჯეროდა, რომ არ ვებუძრებოდი.

— დადეთ ყურმილი, კინკელ, — განვაგრძე მე, — დადეთ ყურმილი, თორემ საარსებო მინიმუმს გაგიხსენებთ. თქვენ და თქვენს სინდისს კარგ საღამოს გისურვებთ.

მაგრამ იგი მაინც ვერაფერს მიხვდა და ყურმილის დადება მისთვის მომიწია პირველს.

10

მშვენივრად ვიცოდი, კინკელი უაღრესად თავაზიანად მომექცა, მე მგონი, ფულს თუ ვთხოვდი, მომცემდა კიდევ. მე მხოლოდ ის მირევდა გულს, რომ, პირში სიგარაგაჩრილი, მეტაფიზიკაზე მელაყებოდა, მადონების ხსენებაზე კი ხელად განაწყენდა. აღარაფერი მესაქმება მასთან, არც ფრაუ ფრედებოილთან. მომწყდნენ თავიდან! ხოლო თუ ფრედებოილს სადმე გადავეყრებოდი, რაიმე საბაბს გამოვძებნიდი და სილას გავაწავდი. მის წინააღმდეგ „სულიერი იარაღით“ ბრძოლა უაზრობა იქნებოდა. ზოგჯერ მწყინს, რომ დუელები აიკრძალა.

ციუპუნერისა და ჩემს დავას მარის გამო მხოლოდ დუელი გადაწყვეტდა. ამაზრუნენი ის იყო, რომ ორთაბრძოლაში ისინი ერეოდნენ თავიანთი წესრიგის პრინციპებით, წერილობითი განცხადებებით და რამდენიმე დღე ჰანოვერის სასტუმროში საიდუმლო მოლაპარაკებასაც კი აწარმოებდნენ მარისთან. როცა მარის მუცელი მეორედ მოეშალა, საშინლად გაწვალდა, განერვიულდა, წარამარა ეკლესიაში გარბოდა და, თუ თავისუფალ საღამოს თეატრში, კონცერტზე ან მოხსენებაზე არ მიეყვებოდი, ღიზიანდებოდა. კიდევ უფრო ღიზიანდებოდა, როცა ვთავაზობდი, რიჩ-რაჩი ვითამაშოთ, თან ჩაი დავლიოთ და ლოგინში გულაღმა ვიწვეთ-მეთქი. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ბოლო დროს მარი ხათრით მეთამაშებოდა რიჩ-რაჩს, მხოლოდ იმიტომ, ან დავემშვიდებინე, ანდა ჩემთვის თავისი კეთილგანწყობა ეგრძნობინებინა. ბოლო დროს აღარც კინოში დამყვებოდა ჩემი საყვარელი ფილმების სანახავად — ამ ფილმებზე ექვსი წლის ბავშვებიც დაიშვებიან.

ვფიქრობ, ამქვეყნად არაფერს მოიძებნება, კლოუნს რომ გაუგოს. კლოუნებსაც კი არ ესმით ერთმანეთისა. მათ შორის მუდამ იჩენს თავს შური ან უკეთურობა. მარის თითქოს ესმოდა ჩემი, მაგრამ ბოლომდე ვერც მან გამიგო. მარის აზრით, მე, „როგორც შემოქმედს“, „მძაფრი ინტერესი“ უნდა მიბიძგებდეს, რაც შეიძლება მეტ კულტურას ვეზიარო. როგორც ცდებოდა! ცხადია, თავისუფალი საღამო რომ მქონოდა და მცოდნოდა, აქა და აქ ბეკეტს დგამენ, მაშინვე ტაქსით გავემგზავრებოდი. ხანდახან კინოშიც დავდივარ, შეიძლება საკმაოდ ხშირადაც, მაგრამ მხოლოდ ისეთ ფილმებზე, ექვსი წლის ბავშვებსაც რომ უშვებენ. მარის არასოდეს ესმოდა ეს. კათოლიკურად აღზრდილმა, ზოგი რამ ყურმოკვრით იცოდა ფსიქოლოგიიდან, ზოგიც მისტიკით შეფერადებული რაციონალიზმიდან: „სჯობს ფეხბურთი ითამაშონ, ვიდრე გოგოებზე იფიქრონ“. მე კი ყოველთვის სიამოვნებით ვფიქრობდი გოგოებზე, ბოლოს კი მხოლოდ და მხოლოდ მარიზე. ზოგჯერ თავი გადაგვარებულ კაცად მიმაჩნდა, რადგან სიამოვნებით დავდიოდი საბავშვო ფილმებზე, სადაც ვერ ნახავთ მოზრდილთა უხამსობას, მრუშობასა და გაყრა-გამოყრას. ისეთ ფილმებში, სადაც მრუშობასა და გაყრას უჩვენებენ, ყოველთვის დიდ როლს თამაშობს ვიღაცის ბედნიერება: „მოდი, საყვარელო, გამაბედნიერე“ ანდა „შენ გინდა ხელი შეუშალო ჩემს ბედნიერებას?!“ არაფერი მესმის ბედ-

ნიერებისა, რომელიც ერთ წამზე მეტხანს, ვთქვათ, ორ-სამ წამს, გრძელდება. მეძავეებზე გადაღებულ ნამდვილ ფილმებს სიამოვნებით ვუყურებ, მაგრამ ამგვარი ფილმები ძალზე ცოტაა. უმრავლესობა ისეთი პრეტენზიულია, გაგიწყდება კიდევ, მეძავს რომ ეხება. არსებობს ქალების კიდევ ერთი კატეგორია. ისინი არც მეძავეები არიან და არც მეუღლეები, უბრალოდ, გულკეთილი ქალები არიან, მაგრამ მათზე არ იღებენ ფილმებს. საბავშვო ფილმები, რომელთა სანახავად ექვსი წლის ბავშვებსაც კი უშვებენ, მეტწილად მეძავეებით არის სავსე. ვერ გამიგია, რას ფიქრობენ ფილმების დამხარისხებელი კომიტეტები, როცა ასეთ ფილმებს ბავშვებისათვის არჩევენ. ამ ფილმებში ქალები ან ბუნებით არიან მეძავეები, ან სოციალური პირობების გამო. გულკეთილნი კი არასოდეს არიან. ველური დასავლეთის კაფე-შანტანებში ქერა ქალები კანკანს ცეკვავენ, ხოლო უხეში კოვბოები, ოქროს მაძიებლები და მონადირეები, რომელთაც მთელი ორი წელი მყრალი სკუნსების მეტი არაფერი უნახავთ, თვალს არ ამორებენ ამ ახალგაზრდა, ქერა, ლამაზ ქალებს. მერე კი, როცა კოვბოები, ოქროს მაძიებლები და მონადირეები ქალიშვილებს უკან მიჰყვებიან და ოთახში შეშვებას სთხოვენ, მათ მეტწილად ცხვირწინ უკეტავენ კარს ან ვინმე ტლანქი ღორი ისეთს უთავაზებს ხოლმე, ნოკაუტი ზედა აქვთ. ჩემი აზრით, ამგვარად გამოხატავენ ისინი სათნოებას. რა საქმე აქვს გულქვაობას იქ, სადაც ერთადერთი ადამიანური გრძნობა გულკეთილობა უნდა იყოს. რა გასაკვირია, რომ საბრალო კოვბოები ერთმანეთის ცემა-ტყეპასა და რევოლვერების ბათქაბუთქზე გადადიან. მათთვის ეს იგივეა, რაც ინტერნატის მოსწავლეებისათვის ფეხბურთის თამაში. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ისინი მოზრდილი მამაკაცები არიან და ამიტომ უფრო შეუბრალებელნიც. ვერაფერი გამიგია ამერიკული მორალისა. ჩემი აზრით, ამერიკელები კუდიანივით დაწვავდნენ კოცონზე გულკეთილ ქალს, რომელიც ფულისა და ვნების გამო კი არ ემორჩილება მამაკაცს, არამედ იმიტომ, რომ მამაკაცის ბუნებას თანაუგრძნობს.

განსაკუთრებით მაწამებს ხელოვნებაზე გადაღებული ფილმები. უმეტეს შემთხვევაში, ხელოვნებაზე ისინი იღებენ ფილმს, ვინც ვან გოგის სურათში ერთ კოლოფ თამბაქოს კი არა, მხოლოდ ნახევარს გაიღებდნენ და შემდეგ ამასაც ინანებდნენ, რადგან მიხვდებოდნენ, რომ თავად მხატვარი მას ერთ საჩიბუხე თამბაქოს ფასად დათმობ-

და. ამგვარ სურათებში ხელოვანის სულიერი ტანჯვა, გაჭირვება და დემონთან ბრძოლა მუდამ წარსულშია გადატანილი. კინომუშაკებს არ აინტერესებთ ცოცხალი ხელოვანი, რომელსაც სიგარეტის ფული არ აქვს და ცოლისათვის ფეხსაცმელი ვერ უყიდია, რადგან მოლაყბეთა სამმა თაობამ ჯერ ვერ დაარწმუნა, რომ ის გენიოსია. მოლაყბეთა ერთი თაობა მათ დასარწმუნებლად ამკარად არ კმარა. მარიმაც კი დაიჯერა „ხელოვანის სულის დაუცხრომელი ძიება“. უცნაურია, რაღაც ამგვარი მართლაც არსებობს, ოღონდ სხვა რამ უნდა ეწოდებოდეს. კლოუნს მარტო სიმშვიდე სჭირდება, თავის მოსატყუებლად მაინც უნდა ჰქონდეს ის, რასაც სხვები „თავისუფალ დროს“ უწოდებენ. სხვებს არ ესმით, რომ მოჩვენებითი თავისუფალი დრო კლოუნს თავისი საქმიანობის დასაფიცებლად სჭირდება. არ ესმით, რადგან ეგრეთ წოდებული ხელოვნებისათვის ისინი მხოლოდ მაშინ მოიცლიან ხოლმე, როცა თავისუფალი დრო აქვთ, რაც სავსებით ბუნებრივია. სულ სხვა ხალხია ხელოვნებას მიტმასნილი. ისინი ხელოვნების გარდა არაფერზე ფიქრობენ და თავისუფალი დროც არ სჭირდებათ, რადგან არ მუშაობენ. დიდ გაუგებრობას იწვევს, როცა ცას და მიწას ედებიან და ამბობენ, ხელოვნებას მიტმასნილი იგივე ხელოვანიაო. ხელოვნებას მიტმასნილნი სწორედ მაშინ იწყებენ ხელოვნებაზე ლაპარაკს, როცა ხელოვანს ჰგონია, თავისუფალი დრო მაქვსო. იმ ორ, სამ ან ხუთ წუთში, როცა ხელოვანს ხელოვნება ავიწყდება, ხელოვნებას მიტმასნილნი იწყებენ ლაპარაკს ვან გოგზე, კაფკაზე, ჩაპლინზე ან ბეკეტზე. იმ დროს მზად ვარ, თავი მოვიკლა. როგორც კი ვიწყებ იმ საქმეზე ფიქრს, რომელსაც მარისთან ვაკეთებ, ლუდზე ან შემოდგომის ჩამოცვენილ ფოთლებზე, რიჩ-რაჩის თამაშზე ან რაიმე მოტკბო, სენტემენტალურ სისულელეზე — ფრედებოილის ან ზომერვილდის მსგავსი ადამიანები ხელოვნებაზე სწორედ მაშინ ჩამოაგდებენ სიტყვას. საკმარისია, დამეუფლოს უჩვეულოდ ამადელვებელი გრძნობა, რომ მე სრულიად ნორმალური, ფილისტერულად ნორმალური ადამიანი ვარ, ისეთივე, როგორიც კარლ ემონდსია, ფრედებოილი ან ზომერვილდი მაშინვე იწყებენ ლაქლაქს კლოდელებზე ან იონესკოზე. თითქმის ასევე იქცეოდა მარიც, უწინ — ნაკლებად, ბოლო დროს კი მოუხშირა. პირველად ეს მაშინ შევამჩნიე, როცა ვუთხარი, გიტარაზე დაკვრა და სიმღერა უნდა ვისწავლო-მეთქი. ამა-

ზე მარამ მომიგო, ეს ჩემს ესთეტიკურ ინსტინქტს შელახავსო. ის, რაც არახელოვანისათვის თავისუფალი საღამოა, კლოუნისათვის სამუშაო დროა. თუ რას ჰქვია თავისუფალი დრო, ეს ყველამ იცის — იმპრესარიომაც და ყველაზე უბრალო მუშამაც, სულერთია, ისინი ლუდს სვამენ თუ ალასკაზე დათვებზე ნადირობენ, მარკებს აგროვებენ თუ იმპრესიონისტების ან ექსპრესიონისტების სურათებს (ერთი რამ ცხადია, ვინც ხელოვნების ნაწარმოებებს აგროვებს, ხელოვანი არ არის). შეიძლება მართო იმან გამაგიჟოს, როგორ უკიდებენ თავისუფალ დროს სიგარეტს — რა მიხრა-მოხრა აქვთ, რა გამოძეტყველება, მაგრამ ჩემთვის ეს გრძნობა ნაცნობია და, რა დიდხანსაც უნდა ნებივრობდნენ, მათი მაინც არ მშურს. ზოგჯერ კლოუნიც ახერხებს, რამდენიმე თავისუფალი წამი წაჰკლიჯოს დროს, მაგრამ იგი მაშინვე მხარ-თეძოზე წამოწვება და, სანამ სიგარეტს ნახევრამდე დაიყვანს, თავისუფალი დროის ფასი უკვე იცის. ის, რასაც შევბულება ჰქვია, მომაკვდინებელია. სამი, ოთხი თუ ექვსი კვირა ყველა ყოფილა შევბულებაში. მარამ რამდენჯერმე სცადა შევბულების გემო მეგრძნო. ჩვენ ხან ზღვაზე მივემგზავრებოდით, ხან ქვეყნის შუაგულში მინერალურ წყლებზე, ხანაც მთაში, მაგრამ მე მეორე დღესვე ავად ვხდებოდი. ტანზე მუწუკებს მაყრიდა და სულს მკვლელობაზე ფიქრი მიმღვრევდა. მგონი შურისგან ვხდებოდი ავად. ამის შემდეგ მარის საშინელი აზრი მოუვიდა თავში — დაგვესვენა იქ, სადაც მხოლოდ ხელოვანი ისვენებდნენ. თავისთავად ცხადია, რომ იმ კურორტზე მხოლოდ ხელოვნებას მიტმასნილნი აღმოჩნდნენ. ერთ უგუნურ კაცს პირველ საღამოსვე წავეჩხუბე. ის კაცი კინოს დარგში დიდი ვინმე ბრძანდებოდა, კამათი წამოიწყო გროკზე, ჩარლი ჩაპლინზე, მასხარას როლზე შექსპირის დრამებში, მეც ამიყოლია და ისეთი შავი დღე მაყარა (ხელოვნებას მიტმასნილნი ხელოვნებისმაგვარი საქმიანობის წყალობით კარგად ცხოვრობენ, არსად არ მუშაობენ და ჯან-ღონით სავსენი არიან), რომ სიყვითლევც დამემართა. მაგრამ როგორც კი იმ საშინელ ბუნავს დავადწიეთ თავი, მაშინვე გამოვკეთდი.

თუ რამე მაფორიაქებს, ისევ საკუთარი უუნარობაა. ვერა და ვერ ვისწავლე თავის შეხლუდვა ან, როგორც ჩემი აგენტი ცონერერი იტყოდა, კონცენტრირება. ჩემს ნომრებში მეტისმეტად არეულია პანტომიმია, ესტრადა და კლოუნადა — კარგი პიერო ვიქნებოდი,

მაგრამ შემძლო კარგი კლოუნიც ვყოფილიყავი. გარდა ამისა, ძალიან ხშირად ვცვლი ნომრებს. იმ პროგრამით, მე რომ მოვაშნადე, წლების განმავლობაში შემძლო გამეტანა თავი. ასეთია: „კათოლიკური ქადაგება“, „ევანგელისტური ქადაგება“, „სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა“, „ქუჩაში სიარული“ და რამდენიმე სხვა ნომერი, მაგრამ ათი ან ოცი წარმოდგენის შემდეგ ნომერი ისე მბეზრდება, რომ, არც მეტი არც ნაკლები, სცენაზე მთქნარება ამიტყდება ხოლმე. დიდი ძალა მჭირდება იმისათვის, რომ პირის კუნთები დავიმორჩილო. ამ დროს საკუთარი თავიც კი მოსაწყენი მეჩვენება. როცა წარმოვიდგენ კლოუნებს, რომლებიც ერთსა და იმავე ნომრებს ოცდაათი წელიწადი ასრულებენ, ისე მიღონდება გული, თითქოს ვიდაცას მოესაჯოს ერთი ტომარა ფქვილის კოვზით შეჭმა. თუ რამეს ვაკეთებ, უნდა მიხაროდეს, თორემ ავად ვხდები. ხანდახან ვფიქრობ, შემძლო ჟონგლიორიც და მომღერალიც ვყოფილიყავი, მაგრამ ეს მხოლოდ ყოველდღიური ვარჯიშისაგან თავის დასაძვრენი ფანდია. დღეში, სულ ცოტა, ოთხი საათი მაინც უნდა ივარჯიშო, თუ შეგიძლია ექვსი, უძჯობესია მეტიც, მე კი ბოლო ექვს კვირაში საერთოდ მივატოვე ვარჯიში. ყოველდღე ერთი-ორჯერ დავდგებიოდი ხელებზე და თავზე, ყირაზე გადავიდოდი, რეზინის ლეიბზე — ამ ლეიბს ყველგან თან დავატარე — ცოტათი წავივარჯიშებდი და მორჩა. ახლა, როცა მუხლი დაშავებული მაქვს, მშვენიერი საბაბი მეძლევა, რომ ტახტზე წამოვწვე, სიგარეტი მოვწიო და საკუთარი თავის სიბრაღულით დავტკბე. სულ ახალი პანტომიმა „მინისტრის სიტყვა“ საკმაოდ კარგი იყო, მაგრამ გასაშარყებლად არ მეძეტებოდა. მიუხედავად ამისა, გარკვეულ ზღვარს მაინც ვერ გავცდი. ყველა ჩემი ლირიკული ნომერი ჩაფლავდა. აქამდე ვერ მოვახერხე ადამიანური გრძნობების ისე გამოხატვა, რომ საშინელი უგვანობა არ გამომსვლოდა. „მოცეკვავე წყვილი“, „სკოლაში წასვლა და შინ დაბრუნება“ არტისტული ნომრები იყო და ამდენად არა უშავდათ რა. მაგრამ, როცა ვცადე ადამიანის მიერ განვლილი ცხოვრების გზა წარმომედგინა, კარიკატურული გამომივიდა. მარი მართალი იყო, როცა ჩემს სურვილს — გიტარაზე დაკვრა და სიმღერა მესწავლა — სინამდვილიდან გაქცევის ცდა უწოდა. ყველაზე მეტად ყოველდღიური ცხოვრების აბსურდულობის წარმოდგენა მეჩერებოდა: ვუკვირდები, დაკვირვებებს ვაჯამებ, შემდეგ ხარისხში ამყა-

ვს და ვხსნი ფესვებს, მაგრამ არა იმ მაჩვენებლებით, რომლებითაც ხარისხში ავიყვანე, არამედ სხვებით. ყოველდღე, დილაობით, სადგურზე ქალაქში მომუშავე ათასობით ადამიანი ჩამოდის, ქალაქიდანაც ათასობით ქალაქგარეთ მომუშავე მიემგზავრება. საკითხავია, რატომ არ უცვლიან ეს ადამიანები ერთმანეთს სამუშაო ადგილებს? ამას დაუმატეთ ერთმანეთის საპირისპიროდ მქროლავი ავტომობილების უსასრულო ნაკადის ჯახირი პიკის საათებში. ადამიანებს სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილები რომ გაცვალოთ, შეიძლება თავიდან აგვეცილებინა ზედმეტი არეულ-დარეულობა და პოლიციელების მიერ ხელების დრამატულად ქნევა: ქუჩებსა და გზაჯვარედინებზე ისეთი სიჩუმე დამყარდებოდა, რომ პოლიციელები იქ რიჩ-რაჩსაც კი თამაშებდნენ. აი, ამგვარი დაკვირვების საფუძველზე შეიქმნა პანტომიმა, სადაც გამალებით ვმუშაობდი ხელებით და ფეხებით, ხოლო ჩემი უძრავი, თოვლივით თეთრი სახე შუაში რჩებოდა. ოთხი კიდურით ვახერხებდი შემექმნა უამრავი გამკვლელის ფუსფუსის შთაბეჭდილებას. ჩემი მიზანია, სათქმელი ვთქვა რაც შეიძლება ძუნწი საშუალებებით, თითქმის ურეკვიზიტოდ. ნომრისათვის, რომელსაც ჰქვია „სკოლაში წასვლა და შინ დაბრუნება“, ზურგჩანთაც კი არ მჭირდება. საკმარისია ხელი, რომლითაც ჩანთა გვიჭირავს. ტრამვაი ზარს რეკავს, სადაცაა დაიძვრება და სწორედ იმწამს გადავრბივარ ქუჩაზე, ვახტები ავტობუსს, შემდეგ ვხტები ავტობუსიდან. ვიტრინები თვალს მტაცებენ, სახლის კედლებზე ვწერ ორთოგრაფიულად მცდარ სიტყვებს, ვიგვიანებ გაკვეთილზე და გამწყვრალი მასწავლებლის წინ ვდგავარ, შემდეგ მხრიდან ჩანთას ვიხსნი და მერხისაკენ მივიპარები. საკმაოდ კარგად მქებრება ბავშვის არსებობის ლირიზმის გადმოცემა. ბავშვისათვის ხომ ბანალურიც კი მნიშვნელოვანია. ბავშვი მარტოა, გაურბის წესრიგს, იგი ტრაგიკული არსებაა. ბავშვს, როგორც ასეთს, არასოდეს აქვს თავისუფალი დრო. თავისუფალი დრო მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როცა „წესრიგის პრინციპებს“ ეზიარება. ფანატიკური გულმოდგინებით ვაკვირდები თავისუფალი დროის ყოველგვარ გამოვლენას: აი, მუშა ხელფასს ჯიბეში იღებს და მოტოციკლზე ჯდება, ბირჟის მაკლერი საბოლოოდ კიდებს ტელეფონის ყურმილს და უბის წიგნაკს უჯრაში კეტავს, გასტრონომიული მაღაზიის გამყიდველი ქალი იხსნის წინსაფარს, იბანს ხელებს, სარკის წინ ისწორებს

თმას, იღებავს ტუჩებს, იღებს ხელჩანთას და ქუჩაში გადის. ყოველივე ეს იმდენად ადამიანურია, რომ საკუთარი თავი ხშირად არა-ადამიანადაც კი შეჩვენება, რადგან რა არის თავისუფალი დრო, ეს მხოლოდ სცენაზე შემოდის წარმოვადგინო. ერთხელ მე და მარი ესაუბრობდით, აქეთ თუ არა ცხოველებს თავისუფალი დრო, მაგალითად, ძროხას, როცა იცოხნება, ან ვირს, როცა ღობესთან თვლემს. მარის აზრით, მკრეხელობა თავისუფალი დრო ჰქონდეთ იმ ცხოველებს, რომლებიც მუშაობენ. თავისუფალი დრო ძილსაც შეიძლება ეწოდოს და დიდებულია სწორედ იმით, რომ ადამიანს და ცხოველს ათანაბრებს, მაგრამ თავისუფალ დროს მაშინ აქვს ფასი, როცა ამას შეგნებულად განიცდი. თავისუფალი დრო ექიმებსაც აქვთ, ამ ბოლო დროს კი — მღვდლებსაც. მე ეს მაბრაზებს, მღვდლებს არ შეიძლება ჰქონდეთ თავისუფალი დრო, ყოველ შემთხვევაში ის მაინც უნდა ესმოდეთ, რომ ხელოვანი ამას მოკლებულია. სრულებითაც არაა საჭირო, ხელოვნებაში ერკვეოდნენ, ესმოდეთ ხელოვანის მოწოდება, დანიშნულება და სხვა ამდაგვარი სისულელები, მაგრამ ხელოვანის ბუნებას კი უნდა იცნობდნენ. მე და მარის ხშირად გვიკამათია, აქვს თუ არა ღმერთს, მას რომ სწამს, თავისუფალი დრო. მარი მარწმუნებდა, აქვსო. გადმოიღებდა ძველ აღთქმას და ხმამაღლა მიკითხავდა სამყაროს შექმნის ამბავს: „და განისვენა დღესა მეშვიდესა ღმერთმან“. მე მის ნათქვამს ვუპირისპირებდი ახალ აღთქმას და ვამტკიცებდი, ძველ აღთქმაში შეიძლება ღმერთს მართლაც ჰქონდა თავისუფალი დრო, მაგრამ კერაფრით წარმომიდგენია, ქრისტეს თავისუფალი დრო ჰქონოდამეთქი. როცა მე ამას ვამბობდი, მარი ფითრდებოდა და მეთანხმებოდა. იმის წარმოდგენა, რომ ქრისტეს თავისუფალი დრო ჰქონდა, მკრეხელობა იქნებოდა — ის კი ისვენებდა, მაგრამ, ალბათ, თავისუფალი დრო არასდროს ჰქონია.

მძინავს ცხოველივით, სიზმრებს თითქმის არ ვხედავ. ზოგჯერ რამდენიმე წუთით ჩავთვლემ, მაგრამ მაინც მგონია, თითქოს სამარადისოდ მოვწყდი ცხოვრებას, თითქოს გაეყავი თავი კედელში, რომლის მიღმაც ბნელი უსასრულობა, დავიწყება და მარადიული თავისუფალი დრო სუფევს, განვიცადე ის, რაზედაც ჰენრიეთუ ფიქრობდა ხოლმე, როცა ანაზღად ჩოგანს ხელიდან აგდებდა, კოვზი წვნიანში უვარდებოდა ან სწრაფი მოძრაობით კარტს ცეცხლში შეაგდებდა

— სრული სიცარიელე. ერთხელ ვკითხე, როცა მოგვიღის, რაზე ფიქრობ-მეთქი და მან მიპასუხა:

— შენ ეს მართლა არ იცი?

— არ ვიცი, — ვუპასუხე მე და მან ჩურჩულით მითხრა:

— არაფერზე, არაფერზე არ ვფიქრობ.

— არაფერზე ფიქრი არ შეიძლება, — ვუთხარი მე.

— რატომ არ შეიძლება, ამ დროს ისეთ სიცარიელეს ვგრძნობ, თან ნასვამივით ვარ, ისე მინდება ფეხსაცმელი და ტანსაცმელი გავიძრო, ყოველგვარი ტვირთი მოვიშორო.

მან ისიც მითხრა, ამ დიდებულ განცდას ყოველთვის ველოდები, მაგრამ არასოდეს მეწვევა მაშინ, როცა ველოდები, მუდამ მოულოდნელი სტუმარია, მარადისობის დარი განცდააო. რამდენჯერმე ასეთი რამ სკოლაში მოუვიდა. მაგონდება აღშფოთებული დედაჩემის საუბრები ტელეფონით მისი კლასის დამრიგებელთან და ეს ფრაზა: „ღიახ, ღიახ, მართალი ბრძანდებით, ეს მხოლოდ ისტერიაა და მკაცრად დასაჯეთ“.

დიდებული სიცარიელის მსგავსი გრძნობა მე მაშინ მეუფლება, როცა რიჩ-რაჩს ვთამაშობ და თამაში სამ-ოთხ საათზე მეტხანს გრძელდება. ამ დროს არაფერი მესმის, გარდა კამათლების ტკაცუნისა, ფიგურების გადაადგილებისა და მსუბუქი წკრიალისა, როცა ფიგურას მოახვედრებ. მარის ჭადრაკის თამაში უფრო იტაცებს, მაგრამ რიჩ-რაჩის თამაში მარისაც შევაყვარე. რიჩ-რაჩი ჩვენზე ნარკოტიკივით მოქმედებდა. ზოგჯერ ხუთი, ექვსი საათი გადაბმულად ვთამაშობდით, კელნერებსა და მოახლეებს, რომელთაც ჩვენთვის ჩაი ან ყავა მოჰქონდათ, სახეზე ისეთივე შიმნარევი რისხვა ეწერათ, როგორიც დედაჩემს, როცა ჰენრიეტეს თავისი მოუვლიდა. ზოგჯერ ჩაილაპარაკებდნენ: „დაუჯერებელია“, ზუსტად ისე, ავტობუსის მგზავრებმა რომ ჩაილაპარაკეს, როცა მარისთან გატარებული პირველი ღამის შემდეგ შინ ვბრუნდებოდი. მარიმ ქულების ჩაწერის ძალზე რთული სისტემა გამოიგონა, ქულები იწერებოდა იმის მიხედვით, თუ სად წაიქცეოდა შენი ან მოწინააღმდეგის ფიგურა. ცხრილი საინტერესო გამოდგა და მარის ოთხფერი ფანქარი ვუყიდე იმისათვის, რომ პასიური და აქტიური მონაცემები (ეს მისი გამოთქმა) უკეთ ჩაენიშნა. ხანდახან რიჩ-რაჩს მატარებლით ხანგრძლივად მოგზაურობის დროსაც ვთამაშობდით, რითაც სერიოზულ მგზავრებს

ვოცებდით. და აი, სრულიად მოულოდნელად შევამჩნიე, რომ მარი რიჩ-რაჩს ჩემი ხათრით, ჩემს დასამშვიდებლად თამაშობდა — „ხელოვანის სულს“ ხომ სჭირდება განმუხტვა. ამ დროს კი თურმე სულ სხვა რაღაცებზე ფიქრობდა. ყველაფერი ამ ორიოდე თვის წინ დაიწყო. მაშინ ხუთი დღე თავისუფალი ვიყავი, წარმოდგენები არ მქონდა, მაგრამ ბონში ჩასვლაზე მაინც უარი ვთქვი — მეშინოდა მათი „წრის“, მაშინებდა ლეოსთან შეხვედრა. მარი კი წამდაუწუმ გაიძახოდა, ერთხელ კიდევ უნდა ვისუნთქო „კათოლიკური ჰაერიო“. მოვკონე, იმ წრეში გატარებული საღამოს შემდეგ რა დაღლილები, გასაცოდავებულები, განადგურებულები ვბრუნდებოდით ბონიდან კიოლნში, როგორ მეუბნებოდა გაუთავებლად მატარებელში: „შენ ისეთი საყვარელი, ისეთი საყვარელი ხარ“. შემდეგ კი ჩემს მხარზე ჩამოეძინა და მხოლოდ მაშინ კრთებოდა, როცა კონდუქტორი სადგურის სახელს წამოიძახებდა: ზეხტემი, ვალბერბერგი, ბრიული, კალშოირენი... ყოველი ასეთი წამოძახილის შემდეგ მარი შეკრთებოდა, წამოხტებოდა და შემდეგ ისევ დამადებდა თავს მხარზე. როცა მატარებლიდან კიოლნის დასავლეთ სადგურზე გადმოვედით, მარიმ მითხრა: „ჯობდა კინოში წავსულიყავით“. ყველაფერი ეს მაშინ გავახსენე, როცა „კათოლიკური ჰაერის“ სუნთქვაზე დაიწყო ლაპარაკი და შევთავაზე, ან კინოში წავსულიყავით, ან საცეკვაოდ, ან რიჩ-რაჩი გვეთამაშა, მაგრამ მან თავი გააქნია და ბონში მარტო წავიდა. „კათოლიკური ჰაერი“ პირადად ჩემთვის არაფრის მთქმელი სიტყვებია. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ მაშინ ქალაქ ოსნაბრიუქში ვიყავით და იქ ჰაერი არაფრით არ შეიძლებოდა ყოფილიყო მთლად არაკათოლიკური.

11

სააბაზანოში გავედი, აბაზანაში მონიკა ზილვსის მოტანილი სურნელოვანი ფხენილი ჩაყარე და ცხელი წყალი მოეუშვი. დაბანა ისევე სასიამოვნოა, როგორც ძილი, ხოლო ძილი ისევე სასიამოვნო, როგორც „იმ საქმის“ კეთება. მარი ამას ასე უწოდებდა და მეც მისი სიტყვებით ვლაპარაკობ. ვერაფრით შეგვუებოდა იმ აზრს, რომ მარი ციუპფენერთანაც „იმ საქმეს“ აკეთებს. ასეთი წარმოდგენისათვის ჩემს ფანტაზიას ისევე არ მოეძებნება კუნჭულები, როგორც ვერ მძლია ცდუნებამ, მარის თეთრეულში ხელი მეფათუ-

რებინა. მე მხოლოდ იმის წარმოდგენა ძალმიძს, როგორ თამაშობს მარი ციუპფენერთან რიჩ-რაჩს, მაგრამ ესეც მაშმაგებს: ნუთუ მართლა შეუძლია მარის იგივე აკეთოს მასთან, რასაც ჩემთან აკეთებდა, და თავი მოღალატედ და მეძაუად არ იგრძნოს. იმის უფლებაც კი არ აქვს, იმას პურზე კარაქი წაუსვას. როგორც კი წარმოვიდგენდი, აი, მარი საფერფლიდან მის სიგარეტს იღებს და ბოლომდე სწევს, ლამის გონება მეკარგებოდა. არც ის მგვრიდა ნუგეშს, რომ ციუპფენერი არ ქწეოდა და მარის, ალბათ, ჭადრაკს ეთამაშებოდა. რაღაც ხომ უნდა ეკეთებინათ ერთად, ან ეცეკვათ, ან კარტი ეთამაშათ, ან ერთმანეთისთვის რამე ეკითხათ. ბოლოს და ბოლოს, ფულზე ან ამინდზე ელაპარაკათ. რაღა რჩებოდა, სადილს თუ მოუხარშავდა მხოლოდ — ამ დროს განუწყვეტლივ ჩემზე ვერ იფიქრებდა, რადგან სადილს ისე იშვიათად მიხარშავდა, რომ ეს დალატში ან კახპობაში არ ჩაეთვლებოდა. ყველაფერს მერჩია, დაუყოვნებლივ დამერეკა ზომერვილდისათვის, მაგრამ ჯერ ადრე იყო. გადაწყვეტილი მქონდა, ლამის სამ საათზე დამეფრთხო მისთვის ძილი და ხელოვნებაზე საუბრით გული მეჯერებინა. საღამოს რვა საათი ძალზე ნორმალური დრო იყო იმისათვის, რომ მასთან დამერეკა და მეკითხა, წესრიგის რამდენი პრინციპით ამოუყორა მარის მუცელი და რა გასამრჯელო მიიღო ციუპფენერისაგან: მეცამეტე საუკუნის აბატის ჯვარი თუ მეთოთხმეტე საუკუნის შუარაინდული მადონა. ვფიქრობდი იმაზეც, როგორ მომეკლა ზომერვილდი. ესთეტის მოკვლა ხელოვნების ძვირფასი ქმნილებებით ჯობს, ისე, რომ სულის ამოსვლისას ბრაზი ახრჩობდეს, ხელოვნების ნიმუშს ასე მკრეხელურად რატომ მოექცნენო. მადონას ქანდაკება ამ მიზნისათვის არც ისე ძვირფას ქმნილებად მეჩვენებოდა, თანაც გამძლე მასალისაგან იყო ჩამოსხმული, ზომერვილდი კი გულდამშვიდებული მოკვდებოდა, მადონა ხომ გადარჩაო. რაც შეეხება სურათს, სურათი არც ისე მძიმეა, შეიძლება, საამისოდ ჩარჩო უფრო გამომდგარიყო, მაგრამ ესთეტს კვლავ სანუგეშოდ დარჩებოდა, სურათს არაფერი დაუშავდაო. შეიძლება, აგრეთვე, რომელიმე ძვირფასი ნახატიდან საღებავები ჩამომეფხიკა და ტილოთი დამეხრჩო ან ჩამომეხრჩო იგი. თუძცა არც ისე ადვილია ისეთი ჯან-ღონით სავსე კაცის საიქიოს გასტუმრება, როგორიც ზომერვილდია — მაღალი, ტანადი, „წარმოსადეგი გარეგნობის“, თმაშეჭადარავებული, ამასთანავე,

„კეთილი“, ალპინიზმით გატაცებული პიროვნება, რომელიც ამა-
ყობს იმით, რომ ორ ომში მონაწილეობდა და სპორტულ შეჯიბრე-
ბებში ვერცხლის მედალი აქვს მიღებული. კარგად გაწვრთნილი
მოწინააღმდეგეა, ამიტომაც სადღაც აუცილებლად უნდა ვიპოვო
ოქროს ან ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული, სულაც მარმარილოსაგან
გამოკვეთილი ხელოვნების ძვირფასი ქმნილება. მაგრამ, აბა, რას
ემსგავსებოდა, წინასწარ რომში წავსულიყავი და ვატიკანის მუზეუ-
მიდან რაიმე ნივთი ამქაპანა.

სანამ აბაზანა წყლით გაივსებოდა, მათი წრის კიდევ ერთი წე-
ვრი — ბლოთერტი გამახსენდა, რომელიც სულ ორჯერ მყავდა
ნანახი. იგი კინკლეოვით პოლიტიკაში ჩახედული და მისი „მემარ-
ჯვენე მოწინააღმდეგე“ იყო, მაგრამ მას „სხვა ფარული ზრახვები
ამოძრავებდა და სხვა გარემოდან იყო მოსული“. ბლოთერტისთვის
ციუპტენერი იმასვე წარმოადგენდა, რასაც ფრედებოილი კინკლე-
სათვის — ერთგვარ თანაშემწესა და „სულეერ მემკვიდრეს“. მა-
გრამ ბლოთერტთან დარეკვა ისეთივე უგუნურება იქნებოდა, რო-
გორიც საკუთარი ბინის კედლებისათვის შემწეობის თხოვნა. ერ-
თადერთი, რაც მას ცოტათი გამოაცოცხლებდა ხოლმე, კინკლის
ბაროკოს სტილის მადონები იყო. იგი ამ მადონებს ისე ადარებდა
თავისას, რომ ჩემთვის ცხადი გახდა, რა უზომოდ სძულდათ მასა
და კინკლს ერთმანეთი. ბლოთერტი რაღაც ისეთის პრეზიდენტი
იყო, რის პრეზიდენტი კინკელიც სიამოვნებით გახდებოდა. ისინი
შენობით იმიტომ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, რომ ერთ სკო-
ლაში სწავლობდნენ. ბლოთერტი ორჯერ ვნახე და ორჯერვე ში-
შის გრძნობა გამიჩნდა. იგი საშუალო ტანის მამაკაცი იყო, ღია
ქერა თმა ჰქონდა, გარეგნულად ოცდახუთი წლისა გეგონებოდათ.
როცა ვინმე შეხედავდა, ჩაიცინებდა, სანამ ლაპარაკს დაიწყებდა,
ნახევარ წუთს კბილებს აკრაჭუნებდა. თუ ოთხი სიტყვა დასცდე-
ბოდა, აქედან ორი „კანცლერი“ და „კათოლიონი“ იყო და მაშინ-
ვე ცხადი ხდებოდა, რომ ორმოცდაათ წელს იყო გადაცილებული,
თანაც ფარული ბიწიერებებით მოტეხილ აბიტურიენტს ჰგავდა.
ერთი სიტყვით, საშინელი ტიპი იყო. ზოგჯერ კრუნჩხვა ემართებო-
და, რამდენიმე სიტყვის შემდეგ ენა ებმებოდა, ამბობდა „ჩვენი კა...
კა...კა“... და, სანამ დარჩენილ „ნცლერს“ ან „თოლონს“ ამოდე-
რდავდა, მებრალებოდა. მარი მეუბნებოდა, მისი ინტელიგენტობა

პირდაპირ სენსაციურიად, მაგრამ ამის დამამტკიცებელი საბუთი ხელთ არასოდეს მქონია. მხოლოდ ერთხელ გაუიგონე მისგან ოცზე მეტი სიტყვა. მათ წრეში სიკვდილით დასჯაზე ჩამოვარდა საუბარი. ბლოთურტი სიკვდილით დასჯას „ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე“ უჭერდა მხარს და მე გამაოცა იმან, რომ არ თვალთმაქცობდა და საწინააღმდეგოს არ ამტკიცებდა. ამ დროს მისი სახე საზეიმო კმაყოფილებას გამოხატავდა, მაგრამ უეცრად კვლავ დაება ენა და მისი „კა... კა“... ისე ჟღერდა, თითქოს ამ ბგერების წარმოთქმისას ვიღაცას თავს კვეთდა. ზოგჯერ მე შემავლებდა თვალს, თანაც ისეთი გაცხებით, თითქოს სადაცაა წამოსცდება „დაუჯერებელიაო“, მაგრამ მხოლოდ თავს აქნევდა აქეთ-იქით. ჩემი აზრით, ის, ვინც კათოლიკე არ იყო, მისთვის საერთოდ არ არსებობდა. თუ ჩვენს ქვეყანაში სიკვდილით დასჯას შემოიღებენ, იგი, ალბათ, ყველა არაკათოლიკეს სიკვდილით დასჯას მოითხოვს. მას ცოლიც ჰყავს და შვილებიც, ტელეფონიც აქვს, მაგრამ ვამჯობინე, კიდევ ერთხელ დამერეკა დედაჩემთან. ბლოთურტი მაშინ გამახსენდა, როცა მარიზე ვფიქრობდი. იგი ხომ რაღაცით ცენტრალურ გაერთიანებასთან იყო დაკავშირებული და ხშირი მისვლა-მოსვლა ექნებოდა მათთან. მაშინებდა იმის წარმოდგენა, რომ ბლოთურტი, შეიძლება, მათ მუდმივ სტუმართა შორისაც კი აღმოჩენილიყო. მარი ძალიან მიყვარდა და მისი ბოისკაუტური სიტყვები — „მე უნდა წავიდე იმ გზით, რომლითაც უნდა ვიარო“ — შეიძლებოდა გამეგო, როგორც იმ პირველი ქრისტიანის გამოსათხოვარი სიტყვები, მტაცებელი ცხოველების შესაჭმელად რომ იმეტებს თავს. ვფიქრობდი მონიკა ზილვსზე და ვიცოდი, მისი გულკეთილობით ოდესმე ვისარგებლებდი. იგი ისეთი ლამაზი და მიმზიდველია, რომ კიდევ უფრო ნაკლებად შეეფერებოდა მათ წრეს, ვიდრე მარი. მონიკას ყველაფერი ბუნებრივად გამოსდიოდა, სამზარეულოში ტრიალიც (ერთხელ ბუტყერბროდების დამზადებაში მივეხმარე), ცეკვაც და ხატვაც, თუმცა მისი ნახატები არ მომწონდა. ზომერვილდმა იმდენი რამ შთააგონა „გამოცხადებისა“ და „ზილვის“ შესახებ, რომ მხოლოდ მადონებსღა ხატავდა. ვეცდები, მოვაშლევინო. მაინც არაფერი გამოუვა, კიდევ რომ სწამდეს და კარგად ხატავდეს. მადონების ხატვა უნდა დაუთმონ ბავშვებსა და ღვთისმოსავეებს, რამეთუ მათ შემოქმედად არ მოაქვთ თავი. დამაფიქრა იმან, შევძლებ კი მოვაშლევინო მონიკას მადონების ხატვა. იგი

დილეტანტი არ არის, ჯერ ახალგაზრდაა, ოცდაორი თუ ოცდასამი წლისა, უდავოდ უბიწოა და ეს ფაქტი შიშსა მგერის. უეცრად საშინელი აზრი დაძვებადა, კათოლიკეებს გადაწყვეტილი ზომ არა აქვთ, მონიკას ზიგფრიდის როლი მე დამაკისრონ-მეთქი. ეს ამბავი იმით დამთავრდება, რომ მონიკა ჩემთან რამდენიმე წელიწადს იცხოვრებს და მანამდე მომეპყრობა კარგად, სანამ წესრიგის პრინციპები არ ამოქმედდება. ამის შემდეგ იგი ბონში დაბრუნდება და ფონ ზევერნზე გათხოვდება. ამ აზრის თავში გავლება და ჩემი გაწითლება ერთი იყო, ამიტომ მოვეშვი ამაზე ფიქრს. მონიკა იმდენად კარგი იყო, რაღა იმაზე უნდა მეყარა ჯაგრი ასეთი ბოროტი აზრებით. თუკი შევხვდებოდი, ჯერ უნდა ვცდილიყავი, ზომერვილზე ამეცრუებინა მისთვის გული. სალონების ღომი ლამის მამაჩემივით გამოიყურება. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ის არის, რომ მამაჩემს დიდი პრეტენზიები არა აქვს, ცდილობს, რაც შეიძლება ჰუმანური ექსპლოატატორი იყოს და ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ზომერვილდს კი, ჩემი აზრით, თანაბარი წარმატებით შეუძლია იყოს კურზალის დირექტორიც, იმპრესარიოც, ფენსაცმლის ფაბრიკის სარეკლამო ბიუროს გამგეც, ელვანტური შლაგერების შემსრულებელიც და „ოსტატურად“ შეთითხნილი მოდური ჟურნალების რედაქტორიც. ყოველ შაბათს წმინდა კორბინიანის ეკლესიაში ქადაგებს. მარიმ ორჯერ წამატრია იმ ეკლესიაში. სანახაობა იმდენად არასასიამოვნო იყო, მიკვირს, სადა აქვს თვალები ზომერვილდის უწყებას, რამდენის ნებას აძლევს. ბევრად მირჩვენია რილკე, ჰოფმანსტალი და ნიუმენი ცალ-ცალკე ვიკითხო, ვიდრე ამ სამის ნარევი თაფლიანი წყაღვით მომართვან. ქადაგების დროს ოფლმა დამასხა. ჩემი ვეგეტატიური ნერვული სისტემა არაბუნებრიობის გამოვლენის გარკვეულ ფორმებს ვერ იტანს. მეშინია, როცა მესმის გამოთქმა: „დაე, ყოველმა არსებულმა იარსებოს და მოლივლივემ ილივლივოს“. ამას მირჩვენია, ვუსმინო უმწეო, ჩასუქებულ პასტორს, რომელიც ეკლესიის კათედრიდან რელიგიის გაუგებარ ჭეშმარიტებებს ბორძიკით წარმოთქვამს და სულაც არა ჰგონია, რომ მისი ნალაპარაკევი „დასაბეჭდად მზადაა“. მარი ნაწყენი იყო, რომ ზომერვილდის ორი ქადაგებიდან არც ერთი არ მომეწონა. მაგრამ ყველაზე გამაწამებელი მერე იყო: ქადაგების შემდეგ ეკლესიის მახლობლად მდებარე კაფეში შევედი. მთელი კაფე იმ „ხელოვნებას

მიტმასნილებით“ გაივსო, ზომერვილდის ქადაგებას რომ ესწრებოდნენ. ბოლოს თვითონაც გამოცხადდა. მის ირგვლივ წრე შეიკრა და ამ წრეში ჩვენც ჩაგვაბეს. არაბუნებრივი ნაბოდვარი, რომლითაც ზომერვილდი ეკლესიის კათედრიდან გაგვიმასპინძლდა, აქაც ორსამჯერ თუ ოთხჯერ გადაღეჭეს. ერთი კალმით ნახატი ახალგაზრდა მსახიობი ქალი, რომელსაც გრძელი თმა და ანგელოზის სახე ჰქონდა და რომელზედაც მარიმ ჩამჩურჩულა, „სამი მეოთხედით“ მოქცეულიაო, მზად იყო ზომერვილდისათვის ფეხები დაეკოცნა. მე მგონი, ზომერვილდიც არ ეტყოდა უარს ამაზე.

აბაზანის ონკანი დაუკეტე, პიჯაკი გაეიხადე, პერანგი და ქვედა საცვალი გავიძრე, იქვე კუთხეში მივყარე და ის იყო, აბაზანაში ჩაწოლას ვაპირებდი, რომ ტელეფონმა დარეკა. ქვეყანაზე მხოლოდ ერთ კაცს ვიცნობ, რომელსაც შეუძლია ტელეფონის ზარი ასე ენერგიულად და ვაჟკაცურად ააწკრიალოს. ეს გახლავთ ცონერერი, ჩემი აგენტი. ყურმილი ისე ახლოს მიაქვს პირთან და ისე სულმოუთქმელად ლაპარაკობს, რომ მეშინია, არ დამდობლოს. როცა უნდა, რაიმე სასიამოვნო მითხრას, ლაპარაკს ასე იწყებს: „გუშინ დიდებული იყავით“. ამას ისე, ტყუილად მეუბნება, რადგან წარმოდგენა არა აქვს, მართლა დიდებული ვიყავი თუ არა. როცა რამე უსიამოვნო უნდა მაუწყოს, მეუბნება: „გამიგონეთ, შნირ, თქვენ ჩაპლინი არა ხართ“, მაგრამ ამით იმის თქმა კი არ უნდა, რომ ჩაპლინს ბევრად ჩამოუვარდები, არამედ მხოლოდ იმის, რომ ნაკლებად სახელმოხვეჭილი ვარ და ამიტომ ჩემს თავს ისეთი რაღაცების ნება არ უნდა მივცე, რაც ცონერერს აღიზიანებს. ვიცოდი, რომ ახლა ცონერერი არც რაიმე არასასიამოვნოს მეტყოდა და არც ქვეყნის დაქცევით შემამინებდა, როგორც ყოველთვის მაშინებდა, როცა წარმოდგენის გამართვაზე უარს ვამბობდი. ამჯერად არც იმაში დამდებდა ბრალს, ისტერიის გამო წარმოდგენას შლიო. იქნებ ოფენბახმა, ბამბერგმა და ნიურნბერგმაც უკვე უარი თქვეს ჩემს წარმოდგენებზე და ამიტომ ტელეფონში მიანგარიშებდა, რამოდენა ზარალი მივაყენე. ტელეფონი განაგრძობდა გაშმაგებით, ენერგიულად, ვაჟკაცურად წკრიალს. ერთი პირობა გადავწყვიტე, აპარატიისათვის ბალიში დამეფარებინა, მაგრამ საშინაო ხალათი გადავიცივი, საერთო ოთახში გავედი და აწკრიალებული ტელეფონის წინ გავჩერდი. იმპრესარიოებს მაგარი ნერვები აქვთ და მტკიცედ დგა-

ნან ფეხზე: ისეთი სიტყვები, როგორებიცაა „ხელოვანის მგრძობიარე სული“, მათთვის ისევე ჟღერს, როგორც „დორტმუნდის მელედეთა სააქციო საზოგადოება“. მათთან ლაპარაკი ხელოვანსა და ხელოვნებაზე წყლის ნაყვია. მათ ისიც კარგად იციან, რომ ყველაზე უსინდისო ხელოვანსაც კი ათასჯერ მეტი სინდისი აქვს, ვიდრე ყველაზე პატიოსან იმპრესარიოს. გარდა ამისა, ხელთ აქვთ იარაღი, რომლის წინააღმდეგაც ვერავინ ვერაფერს გააწყობს — ცხადი შეგნება იმისა, რომ ხელოვანს არ შეუძლია, არ აკეთოს ის, რასაც აკეთებს: ხატოს, თუ კლოუნია, იხეტიალოს ქალაქიდან ქალაქში, იმდეროს ან ქვისა თუ გრანიტისაგან „მარადიული ფასეულობანი“ გამოაქანდაკოს. ხელოვანი ქალს ჰგავს, უსიყვარულოდ არსებობა რომ არ შეუძლია და პირველივე შემხვედრი მამალი ვირის ხელში აღმოჩნდება. ყველაზე ადვილი ქალისა და ხელოვანის ექსპლუატაციაა და ყველა იმპრესარიოს, ერთიდან ოთხმოცდაცხრამეტ პროცენტამდე, რაღაც სცხია სუტენიორისა. ეს რეკვაც ნამდვილი სუტენიორის რეკვა იყო. ცონერერმა, ეტყობა, ქოსთერთისაგან გაიგო, როდის წამოვედი ბოხუმიდან, და დანამდვილებით იცოდა, შინ რომ ვიყავი. საბანაო ხალათი ზონრით შევიკარი და ყურმილი ავიდე. ცხვირში ლუდის სუნი მეცა.

— დალაზეროს ეშმაკმა, შნირ, — მითხრა მან, — რა მოხდა, რატომ მალოდინებთ ამდენ ხანს?

— ეს წუთია ყოვლად თვინიერად აბაზანის მიღებას ვაპირებდი, — ვუპასუხე მე. — ნუთუ ამგვარი რამ კონტრაქტს ეწინააღმდეგება?

— თქვენი იუმორი ჩამოსახრჩობად განწირული კაცის იუმორია, — მითხრა მან.

— მერედა, თოკი სადაა, — კკითხე მე, — ნუთუ უკვე ჩამობმულია?

— მოეშვით სიმბოლიკას, — მითხრა მან, — უმჯობესია, საქმეზე ვილაპარაკოთ.

— სიმბოლოებით ლაპარაკი მე არ დამიწყია, — ვუთხარი მე.

— რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დაიწყო, — მითხრა მან, — ეტყობა, მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი შემოქმედებითი თვითმკვლელობა.

— ძვირფასო ბატონო ცონერერ, — ვუთხარი ჩუმად, — ძნელი ხომ არ იქნება, პირი ცოტათი მოაშოროთ ყურმილს, ლუდის სუნი პირდაპირ ცხვირში მცემს.

მან ქურდების ჟარგონზე ჩაილაპარაკა თავისთვის ორი სიტყვა, რაღაც „არიფისა“ და „მაყუთის“ მაგვარი.

— სითავხედეს ვერაუინ მოგაშლევინებთ, — მითხრა სიცილით, — რაზე ვსაუბრობდით?

— ხელოვნებაზე, — ვუპასუხე მე, — მაგრამ თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, მირჩევნია საქმეზე ვილაპარაკოთ.

— მაშინ სალაპარაკო არაფერი გვქონია, — მითხრა მან, — მაგრამ იცოდეთ, თქვენზე მე ხელს არ ვიღებ, გაიგეთ?

გაოცებულმა პასუხის გაცემა ვერ მოუახერხე.

— ნახევარი წლით მიმოქცევიდან ამოგიღებთ, შემდეგ კი ისევ კაცად გაქცევთ. იმედი მაქვს, იმ ბოხშემელმა ღვთის გლახამ დიდად არ გაგანაწყენათ.

— როგორ არა, — ვუპასუხე მე, — მან ერთი ბოთლი არაყი წამღლიტა და იმ თანხის სხვაობაც, ბოხშიდან ბონამდე პირველი და მეორე კლასის ვაგონით მგზავრობა რომ იძლევა.

— უგუნურობა გამოიჩინეთ, ჰონორარის შემცირებაზე რომ დათანხმდით. ხელშეკრულება ხელშეკრულებაა და რადგან ფეხი იტკივნეთ, უფლება გქონდათ წარმოდგენა შეგეწყვიტათ.

— ცონერერ, — ვთქვი ჩუმად, — მართლა ასეთი ადამიანური ხართ, თუ...

— სისულელეა, — მიპასუხა მან, — თქვენ მე მიყვარხართ და თუ ამას აქამდე ვერ მიხვდით, უფრო ბრიყვი ყოფილხართ, ვიდრე მეგონეთ. გარდა ამისა, თქვენი მეშვეობით ჯერ კიდევ შეიძლება ფულის გაკეთება, ოღონდ მოეშვით ლოთობას, ეს ხომ ბავშვობაა...

ცონერერი მართალს ამბობდა — რასაც მე ვაკეთებდი, მართლაც ბავშვობა იყო.

— რომ მშველის, — ვუპასუხე მე.

— რა მხრივ? — მკითხა მან.

— სულიერად.

— სისულელეა, — მითხრა მან, — მოდით, მოეშვით ამ სულს. ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვეძლო გვეჩვილა მაინისათვის, ხელშეკრულება რომ დაარღვიეს და, ალბათ, ამ საქმეს მოვიგებდით, მაგრამ არ გირჩევთ. ნახევარი წელი დაისვენეთ და შემდეგ ისევ დაგაყენებთ ფეხზე.

— მერედა, რით ვიცხოვრო ნახევარი წელი? — კკითხე მე.

— ჰოო, — მითხრა მან, — იმედი მაქვს, მამათქვენი ჯიბეზე ხელს გაიკრავს.

— რომ არ გაიკრას?

— მაშინ იპოვეთ კეთილი მეგობარი ქალი, რომელიც ამდენ ხანს შეგინახავთ.

— მირჩენია ჯამბაზობა დავიწყო, — ვუთხარი მე, — სოფლებსა და პატარა ქალაქებს ველოსიპედით დაფიქვლი.

— ცდებით, — მითხრა მან, — გაზეთებს სოფლებშიც და პატარა ქალაქებშიც კითხულობენ და ჯერჯერობით ახალგაზრდულ კავშირებსაც კი ვერ შევაჩიქებ თქვენს თავს თითოეულ გამოსვლაში ოც მარკად.

— სცადეთ კი? — ვკითხე მე.

— დიახ, — მიპასუხა მან, — თქვენ გამო მთელი დღე ტელეფონზე ვეკიდე, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე, ხალხს არავინ უფუჭებს გუნებას ისე, როგორც შესაბრალისი კლოუნი. ეს იგივეა, რომ გორგოლაჭებიან სავარძელში ჩამჯდარმა ოფიცინტმა ლუდი მოგართვათ. ილუზიებით იტყუებთ თავს.

— თქვენ არა? — ვკითხე მე, მაგრამ იგი დუმდა და ამიტომ განვაგრძე: — მხედველობაში მაქვს თქვენი ვარაუდი, რომ ნახევარი წლის შემდეგ კვლავ შეძლებთ გამოსვლას.

— შეიძლება, ასეც მოხდეს, — მითხრა მან, — მაგრამ ეს ერთადერთი გამოსავალია. უკეთესი იქნებოდა, მთელი წელიწადი დაგვეცადა.

— მთელი ერთი წელი — ვთქვი მე, — იცით, რამდენ ხანს გრძელდება ერთი წელიწადი?

— სამას სამოცდახუთ დღეს, — მიპასუხა მან და ისევ მოურიდებლად მიიტანა პირი ყურმილთან. ლუდის სუნმა გული ამირია.

— სახელი რომ გამოვიცვალო? — ვკითხე მე, — გავიკეთებ სხვა ცხვირს, მოვამზადებ სხვა ნომრებს, გიტარაზე დავამღერებ, ჟონგლიორობასაც ვცდი.

— სისულელეა, — მითხრა მან, — თქვენი სიმღერა გულის გამაწვრილებელია, ხოლო ჟონგლიორობაში დილეტანტი ხართ და მეტი არაფერი. ყველაფერი ეს სისულელეა. თქვენ ყველა მონაცემი გაქვთ იმისა, რომ გვარიანი კლოუნი იყოთ და მანამდე ნურაფერს მთხოვთ, თავსაც კი ნუ შემახსენებთ, სანამ მთელი სამი თვე დღეში

რვა საათს არ ივარჯიშებთ. მაშინ გესტუმრებით და თქვენს ახალ და, შეიძლება, ძველ ნომრებსაც ვნახავ. ოღონდ მოეშვით მაგ ტუტუცურ ლოთობას და ივარჯიშეთ. დადუმებულს მომესმა მისი ქოშინი, თან სიგარეტს ქაჩავდა.

— მონახეთ ისეთივე ერთგული არსება, როგორიც ის ქალიშვილი იყო, ყველგან რომ თან დაგყვებოდათ, — მითხრა მან.

— ერთგული არსება, — გაუიმიერე მე.

— დიახ, — მითხრა მან, — ყველაფერი დანარჩენი სისულელეა. ნურც იმას იფიქრებთ, რომ უჩემოდ გახვალთ ფონს და უბადრუკი ადამიანების წინაშე იჯამბაზებით. ასე შეიძლება მხოლოდ სამი კვირა გაიტანოთ თავი. ისიც შეგიძლიათ, შნირ, რომ მეხანძრეთა იუბილეებზე იმაიძუნოთ და მაყურებელს ქუდით ხელში ჩამოუაროთ, მაგრამ თუ რაიმე ამდგავარმა ჩემს ყურამდე მოაღწია, მაშინვე მოგიხაზავთ.

— ძაღლიშვილო, — მივაძახე მე.

— დიახ, — მითხრა მან, — უკეთესი ძაღლიშვილის პონა გაგიჭირდებათ. მაგრამ თქვენ თუ თვითნებურად მოიქცევით და მოხეტიალე ჯამბაზი გახდებით, ორ თვეში სრულიად მოგეღებათ ბოლო. გესმით? ამ საქმეში რაღაც-რაღაცები გამეგება.

ხმას არ ვიღებდი.

— გესმით? — მკითხა მან.

— დიახ, — ვუპასუხე მე.

— თქვენ მე მიყვარხართ, შნირ, თქვენთან მუშაობა სიამოვნებას მგვრის, თორემ ტელეფონით ლაპარაკში ამდენ ფულს არ დავხარჯავდი.

— შვიდს გადასცილდა, — ვუთხარი მე, — და, ჩემი ვარაუდით, ეს სიამოვნება ორ-ნახევარი მარკა დაგიჯდებათ.

— დიახ, — მითხრა მან, — შეიძლება, სამიც, მაგრამ ამჟამად არც ერთი აგენტი არ გაიმეტებდა თქვენთვის ამოდენა თანხას. მაშ ასე: სამი თვის ვარჯიშის შემდეგ კვლავ ვხვდებით ერთმანეთს და თქვენ, სულ ცოტა, ექვსი უხადლო ნომერი მაინც უნდა გქონდეთ მომზადებული. დასცინცლეთ თქვენს ბერიკაცს იმდენი, რამდენსაც შეძლებთ. ნახვამდის.

მან მართლა დაკიდა ყურმილი, მე კი ყურმილი ხელში მეჭირა, მესმოდა ტელეფონის ტუტუნი, რაღაცას ველოდი და მხოლოდ ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ დავდე. ცონერერმა რამდენჯერმე გამა-

ცურა, მაგრამ არც ერთხელ არ მოუტყუებია. იმ დროს, როცა ჩემი გამოსვლა ორას ორმოცდაათი მარკა ღირდა, იგი ხელშეკრულებას ას ოთხმოც მარკაზე მიღებდა და, ჩემი წყალობით, აშკარად კარგ ფულს აკეთებდა. ყურმილის დადების მერეუა მივხვდი, რომ იგი ერთადერთი კაცი იყო, ვისაც კიდევ დიდხანს ვესაუბრებოდი სიამოვნებით. მას ჩემთვის რაღაც შანსი უნდა მოეცა. ნახევარ წელს რა მომაცდევინებდა. ნუთუ არ მოიძებნებოდა აკრობატთა ჯგუფი, სადაც ჩემისთანა კაცი გამოადგებოდათ. ტანად მსუბუქი ვარ, თავბრუსხვევისა არ მეშინია და ცოტაოდენი ვარჯიშის შემდეგ გვარიანად შევძლებდი ან სხვა აკრობატებთან ერთად მუშაობას, ანდა სხვა კლოუნებთან ერთად სკეტჩების გათამაშებას. მარი ყოველთვის მეუბნებოდა, პარტნიორი გჭირდება, მაშინ საკუთარი ნომრები ისე არ მოგებზრდებო. დარწმუნებული ვიყავი, რომ ცონერერს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ყველა შესაძლებლობა ამოწურული. გადავწყვიტე, მისთვის მოგვიანებით დამერეკა. სააბაზანოში დავბრუნდი, საბანაო ხალათი გავიხადე, დანარჩენი ჩერები კუთხეში მივყარე და აბაზანაში ჩავწექი. ცხელი აბაზანის მიღება თითქმის ისევე სასიამოვნოა, როგორც ძილი. მოგზაურობის დროს ყოველთვის აბაზანიან ოთახს ვქირაობდი, მაშინაც კი, როცა ფული გვაკლდა. მარი მუდამ მეუბნებოდა, შენი მფლანგველობის თავი და ბოლო შენივე წარმოშობააო, მაგრამ ცდებოდა. ჩვენს სახლში თბილ წყალს ისევე უფროთხილდებოდნენ, როგორც ყველაფერ დანარჩენს. ცივი შხაპის მიღება ყოველთვის შეგვეძლო, მაგრამ ცხელი აბაზანის მიღება ჩვენს სახლშიც მფლანგველობად ითვლებოდა და ანაც კი, რომელიც სხვა დროს რაღაც-რაღაცებზე თვალს ხუჭავდა, ამ საკითხში ულმობელი იყო. მის მეცხრე ქვეით პოლკში ცხელი აბაზანის მიღება მომაკვდინებელ ცოდვად ითვლებოდა.

მარი რომ გვერდით არ მყავდა, ამას აბაზანაშიც ვგრძნობდი. ზოგჯერ, როცა ცხელ წყალში ვიწექი, იგი საწოლზე იჯდა და ხმამაღლა მიკითხავდა რამეს. ერთხელ ძველი აღთქმიდან სოლომონისა და საბას დედოფლის¹ ამბავი წამიკითხა ბოლომდე, მეორედ — მაკა-

¹ საბა — სამხრეთ არაბეთის ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო, დასახლებული საკუთარი დამწერლობის მქონე სემიტური ტომებით. ბიბლიის თანახმად, საბას დედოფალი მდიდრული ძღვენით ეწვია ისრაელში სოლომონ მეფეს.

ბელთა ბრძოლა. ზოგჯერ მიკითხავდა თომას ვულფის რომანსაც „ანგელოზო, მოიხედე სახლისაკენ“. ახლა კი ყველასაგან მიტოვებული ვიწექი ამ სულელურ ჟანგისფერ აბაზანაში. სააბაზანოს კედლები შავი კაფელით იყო მოპირკეთებული, ხოლო თვით აბაზანა, სასაპნე, შხაპის სახელური და უნიტაზის საჯდომი ფიცარი ჟანგისფერი იყო. მაკლდა მარის ხმა. თუ ჩაუფიქრდები, იგი ციუპფენერთან ერთად ბიბლიასაც კი ვერ წაიკითხავს, მაშინვე ენიშნება, რომ მოღალატე ან კახპაა. აუცილებლად მოაგონდება დიუსელდორფის სასტუმრო, სადაც სოლომონისა და საბაელი დედოფლის ამბავს მიკითხავდა ხმამაღლა, სანამ, მოთენთილს, აბაზანაში არ ჩამეძინა. ვხედავდი დიუსელდორფის სასტუმროს მწვანე ხალიჩებს, მარის მუქ თმას, მესმოდა მისი ხმა. ბოლოს მან მოკიდებული სიგარეტი მომიტანა და მე ვაკოცე.

კისრამდე საპნის ქაფში ვიწექი და მარიზე ვფიქრობდი. ციუპფენერთან ან მისი თანდასწრებით მარი ვერაფერს გააკეთებდა ისე, რომ მე არ გავხსენებოდი. მის გვერდით კბილის პასტის ტუბსაც კი ვერ მოახრახნიდა სახურავს. ჩვენ მრავალჯერ გვისაუზმია ერთად, ღარიბულადაც და მდიდრულადაც, ნაუცბადვეადაც და ნაირნაირი კერძებით გაწყობილ სუფრასთანაც, დილაადრიაანაც და თითქმის შუადღეზეც, უზომოდ ბევრი ჯემიც გვქონია და უჯემოდაც გავსულვართ იოლას. იმის წარმოდგენა, რომ მარი ყოველ დილით ერთსა და იმავე დროს საუზმობს ციუპფენერთან ერთად, სანამ იგი მანქანაში არ ჩაჯდება და თავის კათოლიკურ ბიუროში არ წავა, თითქმის ღვთისმოსავს მხდიდა. ვლოცულობდი, რომ არასდროს ესაუზმათ ერთად, ვცდილობდი წარმომედგინა ციუპფენერი: მისი წაბლისფერი თმა, თეთრი კანი, გამართული წელი — ციუპფენერი, გერმანული კათოლიციზმის ერთგვარი აღკებიადე, მაგრამ ნაკლებად თავქარიანი. კინკელის აზრით, ციუპფენერი „ცენტრში იდგა, მაგრამ მაინც უფრო მარჯვნივ იხრებოდა, ვიდრე მარცხნივ“. მათი საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა მარჯვნივ და მარცხნივ დგომა იყო. გულზე ხელს თუ დავიდებ, ციუპფენერი უნდა მივათვალო იმ ოთხ პიროვნებას, ნამდვილ კათოლიკეებად რომ მიმაჩნია. ესენი არიან: პაპი იოანე, ალექ გინესი, მარი, გრეგორი... და ციუპფენერი. გარდა იმისა, რომ მარი ძალიან უყვარდა, მთავარი როლი მაინც იმან ითამაშა, რომ ციუპფენერმა მოინდომა, მარი ცოდვების

გზიდან უცოდველობის გზაზე გაეყვანა. მათი ხელიხელჩაკიდებული სიარული კი, ეტყობა, არაფერს ნიშნავდა. ერთხელ ვკითხე კიდევ მარის ამის თაობაზე. მას როგორღაც საყვარლად გადაჰკრა სიწითლემ და მითხრა: ჩვენს მეგობრობას „ბევრმა რამემ შეუწყო ხელი“, ჩვენს მამებს ფაშისტები სდევნიდნენ, ორივე კათოლიკეები ვართო და კიდევ: „ხომ იცი, როგორ უჭირავს თავი, იგი მე ახლაც მომწონს“.

აბაზანიდან ცოტაოდენი გაცივებული წყალი გამოვუშვი, ცხელი დავამატე და სურნელოვანი ფხვნილი პეშვით მოვაფრქვიე. გამახსენდა მამაჩემი, რომელსაც სურნელოვანი ფხვნილის წარმოებაშიც ელო წილი. რაც უნდა ვიყილო — სიგარეტები, საპონი, საწერი ქაღალდი, წკირიანი ესკიმო თუ სოსისი — მამაჩემს ყველაფერში უდევს წილი. რა ვიცი, იქნებ, იმ ორ-ნახევარ სანტიმეტრ კბილის პასტაშიც კი აქვს წილი, რომელსაც ხანდახან ვხმარობ. მაგრამ ჩვენს სახლში ფულზე ლაპარაკი დაუშვებელია. ყოველთვის, როცა ანა ცდილობდა დედაჩემისათვის ანგარიში ჩაებარებინა და დავთრები ეჩვენებინა, დედა ეუბნებოდა: „ფული ზიზღს იწვევს ჩემში“. დროდადრო მას მაინც უხდებოდა „უ“ წარმოეთქვა, მაგრამ ეს „უ“ ყოველთვის „ე“-სავით ჟღერდა. ჯიბის ფულს ძალიან ცოტას გვაძლევდნენ. სამაგიეროდ, ბვერი ნათესავი გვყავს და, როცა ყველას ერთად მოიწვევდნენ, როცა ორმოცდაათი თუ სამოცი ბიძა და დეიდა-მამიდა-ბიცილა მოიყრიდა თავს, მათ შორის ერთი-ორი კეთილი ნათესავი ზოგჯერ ცოტა ფულს მაინც ჩაგვიყრიდა ზოლმე ჯიბეში, რადგან დედაჩემის მომჭირნეობა ანდაზად იყო ქცეული. ყოველივე ამას ისიც დაუმატეთ, რომ დედაჩემის დედა შთამომავლობით დიდგვაროვანი, ფონ ჰოენბროდე იყო და მამაჩემს დღესაც მიაჩნია, დიდი პატივი დამდეს, სიძედ რომ მიკადრესო. თუმცა მამაჩემის სიმამრი გვარად თულერი იყო და მხოლოდ მისი სიდედრის ქალიშვილობის გვარი იყო ჰოენბროდე. გერმანელები დღეს კიდევ უფრო ეტანებიან და ელოლიაზებიან გვარიშვილობას, ვიდრე 1910 წელს. ისეთი ადამიანებიც კი, ინტელიგენტებად რომ ითვლებიან, დიდგვაროვანთა ნაცნობობისათვის თავს იკლავენ. ამ ამბავს ყურადღება უნდა მიაქციოს დედაჩემის ცენტრალურმა კომიტეტმა, რადგან ესეც რასობრივი საკითხია. ისეთ გონიერ კაცსაც კი, როგორიც ბაბუაჩემია, ვერ მოუნელებია, რომ 1918 წელს, როცა, „ასე ვთქვათ“,

ყველა საჭირო საბუთი მზად იყო და შნირებისთვის აზნაურობა უნდა ებოძებინათ, სწორედ გადამწყვეტ მომენტში, კაიზერმა, რომელსაც დეკრეტზე ხელი უნდა მოეწერა, თავს უშველა, გერმანიიდან გაიქცა — ალბათ, სხვა საზრუნავი გაუჩნდა. თუკი საერთოდ ოდესმე საზრუნავი ჰქონია. შნირების „თითქმის გააზნაურების“ ამბავს დღესაც, ნახევარი საუკუნის შემდეგაც კი, როცა შემთხვევა მოეცემათ, ჰყვებიან ჩვენს ოჯახში. „დეკრეტი მისი უდიდებულესობის საქალაქში იპოვეს“, — იმეორებს მამაჩემი ყოველთვის. მიკვირს, დორში რომ არავინ გაემგზავრა და კაიზერს ქალაქდზე ხელი არ მოაწერინა. მე იქ ცხენზე ამხედრებულ შიკრიკს გაგვზავნიდი, მაშინ ეს საქმე საკადრისად მაინც მოგვარდებოდა.

გამახსენდა, მარი სწორედ მაშინ იწყებდა ჩემოდნების ამოლაგებას, როცა მე უკვე აბაზანაში ვიწექი. ვიგონებდი, როგორ იდგა სარკის წინ, როგორ იხდიდა ხელთათმანებს, ისწორებდა თმას, როგორ იღებდა კარადიდან საკიდრებს, ჩამოაცმევდა ზედ კაბებს, დაკიდებდა კარადაში და გაასრიალებდა თითბრის ლარტყახზე. შემდეგ ფეხსაცმელებს მიუჩინდა ადგილს, მესმოდა ქუსლების ბაკუნი, ლანჩების სრიალი. ბოლოს ტუალეტის მაგიდის მინის ზედაპირზე ალაგებდა ტუბებს, მომცრო ქილებს, მოზრდილ ფერუძარილიან ქილებს, ფრჩხილებისლაქიან წვრილ შუშას, საპუდრეს. ამ დროს ჩემამდე ლითონის მჭახე ხმა აღწევდა. პომადას შევეულად დგამდა.

უეცრად მივხვდი, რომ ცრემლი დაპალუპით ჩამომდის და საოცარი ფიზიკური მოვლენა აღმოვაჩინე: აბაზანაში მწოლიარეს საკუთარი ცრემლები ცოვი მეჩვენებოდა. ჩვეულებრივ, მეგონა, ცრემლი ყოველთვის ცხელია-მეთქი. ბოლო თვეებში, სიმთვრალეში რამდენჯერმე მიტირია მდუღარე ცრემლით. მომაგონდა ჰენრიეთე, მამა, რჯულშეცვლილი ლეო და გამიკვირდა, ძმამ რომ აქამდე ხმა არ მომაწვდინა.

12

პირველად ოსნაბრიუქში მითხრა, შენი მეშინიაო. მაშინ მე ბონში ჩასვლაზე უარი განვაცხადე, მას კი ძალიან უნდოდა მშობლიურ ქალაქში ჩასვლა და „კათოლიკური ჰაერის“ სუნთქვა. გამოთქმა არ მომეწონა და ვუთხარი, ოსნაბრიუქშიც საკმაოდ ბევრი კათოლიკეთი. მარი მარწმუნებდა, ჩემი არ გესმის და არც გინდა, გაიგოო.

ჩვენ უკვე ორი დღე ვცხოვრობდით ოსნაბრიუქში, ორ წარმოდგენას შორის თავისუფალი დრო გამოგვერია და წინ კიდევ სამი დღე გვედო. დილიდანვე წვიმდა, კინოებში არაფერი გადიოდა ისეთი, ჩემთვის საინტერესო რომ ყოფილიყო, არც რიჩ-რაჩის თამაში შემითავაზებია მარისათვის, რადგან წინააღმდეგ რიჩ-რაჩის ხსენებაზე ისეთი სახე გაუხდა, როგორც აქვთ ხოლმე მეტისმეტად თავდაჭერილ ბავშვების მომვლელ ქალებს.

მარი საწოლზე იწვა და კითხულობდა, მე კი ფანჯარასთან ვიდექი, სიგარეტს ვეწეოდი და ხან ჰამბურგის ქუჩას გავცქეროდი, ხანაც ვაგზლის მოედანს. წვიმდა. ტრამვაი ჯერ კიდევ არ იყო გაჩერებული, რომ სადგურის მოსაცდელი დარბაზიდან მისკენ ხალხი მორბოდა. ჩვენ არც „იმ საქმის“ გაკეთება შეგვეძლო, რადგან მარი აუად იყო, მუცელი არ მოშლია, მაგრამ რაღაც ამდაგვარი მოუვიდა. ხეირიანად არ მესმოდა, რა, და ვერც ვერაფერს ამიხსნა. ყოველ შემთხვევაში, მარის ეგონა, ფეხმძიმედ ვარო, ახლა კი აღარ იყო. იმ დილით მხოლოდ რამდენიმე საათი დაყო საავადმყოფოში. გაფითრებული, დაღლილი და გაღიზიანებული ჩანდა. ვუთხარი, შენთვის ახლა არ იფარგებს მატარებლით ამსიგრძე გზის გავლა-მეთქი. ძალიან მინდოდა, დაწვრილებით მცოდნოდა, რა სტკიოდა, მაგრამ მან არაფერი მითხრა. მხოლოდ ეს იყო, რომ დროდადრო ტიროდა და თანაც რაღაცნაირად უცხოვდ, აუად ტიროდა.

თვალი მოკვარი პატარა ბიჭს, რომელიც მარცხენა მხარეს, ვაგზლის მოედნისაკენ მოჰყვებოდა ქუჩას და, კოკისპირულ წვიმაში თავიდან ფეხებამდე გალუმპულს, ჩანთა წინ ჰქონდა გაწვდილი. ჩანთისათვის სახურავი აქნადა და ისეთი სახით მოჰქონდა, როგორც ერთ სურათზე მინახავს, სადაც სამ წმინდა მეფეს ყრმა იესოსათვის საკმეველი, ოქრო და გუნდრუკი მოაქვთ. სახელმძღვანელოების სველი, თითქმის დაშლილი ყდებიც დავინახე. ბიჭის გამომეტყველებამ ჰენრიეთე მომაგონა — სახეზე ისეთივე თავგანწირულობა, უნიადაგობა და აღმაფრენა აღბეჭდვოდა.

— რაზე ფიქრობ? — მკითხა მარიმ საწოლიდან.

— არაფერზე, — ვუპასუხე მე.

ბიჭმა ვაგზლის მოედანი ნელი ნაბიჯით გადაჭრა და სადგურის შენობაში გაუჩინარდა. მისი შემყურე შიშმა შემიაპყრო. ამ ლაღად გატარებულ მეოთხედ საათს აკვილებული დედა და შეწუხებული

მამა ხუთწუთიანი ახსნა-განმარტების შემდეგ მწარედ ამოაღენდენ ცხვირში. ჯიბეგაფხეკილებმა, საიდან უყიდონ ახალი წიგნები და რვეულები.

— რაზე ფიქრობ? — მკითხა მარიმ ხელმეორედ.

მინდოდა, ისევ მეპასუხა, არაფერზე-მეთქი, მაგრამ შემდეგ ბიჭი გამახსენდა და ვუამბე, რაზეც ვფიქრობდი: როგორ მივიდა სახლში ბიჭი, რომელიც სადღაც აქვე, მახლობელ სოფელში ცხოვრობს, როგორ მოიგონა ტყუილი, რადგან სიმართლეს არაფერ დაუჯერებდა. როგორ იტყოდა, ფეხი დამიცდა და ჩანთა გუბებში ჩამივარდა ან ერთი წუთით ჩანთა სახურავის ღარის ქვეშ დაედევ და უეცრად ისეთი თავსხმა წამოვიდა, ჩანთაში წყალი ჩავიდაო. ყოველივე ამას ჩუმი, მონოტონური ხმით ვყვებოდი, მარიმ კი საწოლიდან მომამახა:

— რას ნიშნავს ეს, რატომ მიყვები ასეთ სისულელეებს?

— რადგან სწორედ ამაზე ვფიქრობდი, როცა მკითხე.

მარიმ არ დაიჯერა ბიჭზე მოყოლილი ამბავი და მე გაგბრაზდი. აქამდე ჩვენ არასოდეს მოგვიტყუებია და არც ტყუილი დაგვიწამებია ერთმანეთისათვის. მე ისე აღეშფოთდი, რომ ვაძულე, ამდგარიყო, ფეხსაცმელი ჩაეცვა და ჩემთან ერთად სადგურზე წამოსულიყო. სიჩქარეში ქოლგა დამავიწყდა. ერთიანად გავილუმპეთ. ბიჭი, კი ვერ ვიპოვეთ. გავიარეთ მოსაცდელი დარბაზი და სადგურის ქრისტიანულ მისიაშიც კი შევიხედეთ. ბოლოს ბაქნის კონტროლიორს ვკითხე, ამ ცოტა ხანში მატარებელი თუ გავიდა-მეთქი. დიახ, მიპასუხა მან, ორი წუთის წინ ბომთეს მიმართულებით გავიდა მატარებელიო. შემდეგ ვკითხე, ბაქანზე თავიდან ფეხებამდე გალუმპული ქერათმიანი ბიჭი ხომ არ დაგინახავთ, აი, ამსიმაღლე-მეთქი. რკინიგზელს რაღაც ეჭვი აღეძრა და მკითხა:

— რა მოხდა, რამე დააშავა?

— არა, — ვუპასუხე მე, — მინდა მხოლოდ ვიცოდე, იმ მატარებელს ხომ არ გაჰყვა.

მე და მარიმ გალუმპულები ვიდექით და მან თავიდან ფეხებამდე ეჭვის თვალთ შიშვითვალიერა.

— რაინის მხრიდან ხართ? — ისეთი ტონი ჰქონდა, თითქოს მეკითხებოდა, ნასამართლევი ხომ არ ხართო.

— დიახ, — ვუპასუხე მე.

— ამგვარი ცნობის გაცემა მხოლოდ ზემდგომი პირების ნებართვით შეიძლება, — მითხრა მან.

ეტყობა, რომელიღაც რაინისპირელმა ჯარში ყოფნის დროს მწარედ მოატყუა. ერთ სცენის მუშას ვიცნობდი. ჯარში სამსახურის დროს ვიღაც ბერლინელმა მოატყუა და მას შემდეგ ყველა ბერლინელი, კაცინან-ქალიანად, პირად მტრად მიაჩნდა. ერთხელ, როცა სცენაზე ბერლინელი აკრობატი ქალი გამოდიოდა, მან უეცრად სინათლე გამორთო. საბრალო ქალმა წაიფორხილა და ფეხი მოიტეხა. მართალია, მისი მზაკვრობა ვერაფრით დაამტკიცეს, ყველაფერი „მოკლე ჩართვას“ დააბრალებს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, იმ სცენის მუშამ განგებ გამორთო სინათლე მხოლოდ იმიტომ, რომ გოგონა ბერლინელი იყო, იგი კი ჯარში ვიღაც ბერლინელმა მწარედ მოატყუა. ოსნაბრიუქის სადგურის კონტროლიორი ისე მიყურებდა, რომ გული გამისკდა.

— მე და ეს ქალბატონი დაუნადლევედით, — ვუთხარი მე, — საქმე სანადლეოს ეხება.

ეს არ უნდა მეთქვა, რადგან ვტყუოდი, ტყუილი კი მაშინვე მემჩნევა სახეზე.

— რა თქმა უნდა, დანადლევედით. ვიცი, როგორც ნადლევედებიან რაინისპირელები, — მითხრა რკინიგზელმა.

ერთი სიტყვით, ვერაფერს გაუხდი. უეცრად გავიფიქრე, ტაქსის დავიჭერ, ბოთეში ჩავალ, მატარებელს სადგურში დავხვდები და დავინახავ, როგორ გადმოვა ბიჭი ვაგონიდან-მეთქი, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ან ბოთემდე ჩამოსულიყო რომელიღაც მიყრუებულ სადგურზე, ან პირიქით ბოთეს შემდეგ. სასტუმროში თავიდან ფეხებამდე გალუქმულნი და გათოშილნი დავბრუნდით. მარის ქვედა სართულის ბარისკენ ვუბიძგე, დახლთან მივიყვანე, მხარზე ხელი მოვხვიე და კონიაკი მოვითხოვე. ბარმენმა, რომელიც სასტუმროს პატრონიც იყო, ისე შემოგვხედა, სახეზევე ეტყობოდა, სიამოვნებით გამოიძახებდა პოლიციას. წინააღმდეგ ჩვენ საათობით ვთამაშობდით რიჩ-რაჩს და ლორიანი პურები და ჩაი ოთახში ამოვატანინეთ. დილით მარი საავადმყოფოში წავიდა და უკან გაფითრებული დაბრუნდა. ბარმენმა კონიაკი ისე უდიერად მოგვაწოდა, რომ ნახევარი დაიქცა. იგი გამომწვევად გვარიდებდა თვალს.

— არა გჯერა ჩემი? — ვკითხე მარის, — იმ ამბავს ვგულისხმობ, ბიჭზე რომ მოგიყვი.

— როგორ არა, მჯერა, — მიპასუხა მან.

მაგრამ ასე იმიტომ მიპასუხა, რომ შევებრალე, და არა იმიტომ, რომ მართლა სჯეროდა ჩემი. აცოფებდა ისიც, ვაჟკაცობა რომ არ მყოფნიდა, ბარმენისთვის პასუხი მომეთხოვა კონიაკის დაღვრისათვის. ჩვენ გვერდით ვილაც შემზარავი ახმახი იდგა და პირის წკლაპუნით წრუპავდა ლუდს. ყოველი მოწრუპვის შემდეგ ტუჩებზე მოდებულ ქაფს ილოკავდა და ისე გადმომხედავდა ხოლმე, ვფიქრობდი, სადაცაა გამომელაპარაკება-მეთქი. ყოველთვის მეშინია გარკვეული ასაკის ნასვამი გერმანელის გამოლაპარაკებისა, რადგან მუდამ ომზე ლაპარაკობენ და დიდებულ რამედ მიაჩნიათ. მკვლევლები რომ არიან, მხოლოდ მაშინ ირკვევა, როცა უზომოდ თვრებიან და იმასაც კი ამბობენ, „ამით ქვეყანა არ დაქცეულაო“. სიცხევატანილი მარი კანკალებდა და, როცა კონიაკის ჭიქები მონიკელებულ დახლზე გაუცურე, შემომხედა და თავი გააქნია. მადლობა ღმერთს, ამჯერად ბარმენმა ჭიქები ფრთხილად მოგვაწოდა და არაფერი დაუღვრია. გულზე მომეშვა. თავს ლაჩრად აღარ ვგრძნობდი. ახმახმა ერთი ჭიქა არაყი გადაკრა და საკუთარ თავს გამოელაპარაკა.

— ორმოცდაოთხში არაყს და კონიაკს ვედროებით ვსვამდით... ორმოცდაოთხში ვედროებით... რასაც ვერ მოვერეოდით, ქუჩაში ვღვრიდით და ცეცხლს უუკიდებდით... არც ერთი წვეთი იმ ყვეჩებს, — კაცს გაეცინა, — არც ერთი წვეთი...

მე კიდევ ერთხელ მიუწოჩე ჭიქები ბარმენს. მან მხოლოდ ერთი ჭიქა გაავსო და სანამ მეორეს გაავსებდა, ისე შემომხედა, თითქოს რაღაცის კითხვა უნდოდა. მე მაშინლა შევამჩნიე, რომ მარი გვერდით აღარ მედგა. ბარმენს თავი დაუქნიე და ვანიშნე, მეორე ჭიქაც გაევსო. ორივე მარტომ გადავკარი და დღესაც კმაყოფილი ვარ, რომ მაშინვე გავეცალე იქაურობას. მარი საწოლზე იწვა და ტიროდა. ხელი შუბლზე დაუადე. მან ჩემი ხელი მოიშორა, ნელა, ნაზად, მაგრამ მაინც მოიშორა. იქვე, საწოლზე ჩამოვჯექი და როცა მისი ხელი ხელში ავიდე, არ წაურთმევია. გარეთ ჩამობნელდა. მთელი საათი ვიჯექი მარის გვერდით, საწოლზე, მისი ხელი მეჭირა და მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყე ლაპარაკი.

კიდევ ერთხელ ვუამბე ჩუმი ხმით იმ ბიჭის ამბავი. მან ისე მომიჭირა ხელი, თითქოს უნდოდა ეთქვა, ჰო, მჯერა შენით. ვთხოვე, დაწვრილებით აქსნა, რა გაუკეთეს საავადმყოფოში, მაგრამ მან მიპასუხა: „ქალური ამბავია, უწყინარი, მაგრამ საშინელი“. „ქალური ამბავი“ შიშს მგვრის, ეს სიტყვები რაღაცნაირი ბოროტი იდუმალებითაა მოცული, რადგან ამგვარ ამბებში სრულიად უმეცარი ვარ. მე და მარი უკვე სამი წელიწადი ვცხოვრობდით ერთად, როცა პირველად გავიგე რაღაც „ქალური ამბების“ შესახებ. რა თქმა უნდა, ის კი ვიცოდი, როგორ უჩნდებოდათ ქალებს ბავშვები, მაგრამ დეტალებისა არაფერი გამეგებოდა. მაშინ ოცდაოთხი წელი შემისრულდა, მარი უკვე სამი წელიწადი იყო ჩემი ცოლი და ამგვარი რამეები მხოლოდ იმ ასაკში გავიგე. როცა მარი მიხვდა, რა უმეცარიც ვარ, გაეცინა, ჩემი თავი მკერდზე მიიღო და რამდენჯერმე მითხრა: „რა საყვარელი, რა ძვირფასი ხარ“. მეორე ადამიანი, ვინც ამ ამბებში გამაცნობიერა, ჩემი სკოლის ამხანაგი, კარლ ემონდსი იყო. თავში მას მუდამ ჩასახვის საწინააღმდეგო ამაზრზენი ტაბლეტები უტრიალებდა...

მოგვიანებით აფთიაქში წავედი, მარის დასაძინებელი წამალი ვუყიდე და მანამდე ვეჯექი სასთუმალთან, სანამ არ ჩაეძინა. დღემდე არ ვიცი, რა დაემართა მაშინ, რა გართულებები გამოიწვია მისმა „ქალურმა ამბებმა“. მეორე დღით ქალაქის ბიბლიოთეკას ვწვიე და ენციკლოპედიაში ამოვიკითხე ყველაფერი, რისი ამოკითხვაც კი ამ საკითხის შესახებ შეიძლებოდა. გულზე მომეშვა. შუადღეზე მარი მართო გაემგზავრა ბონში. სამგზავრო ჩანთის მეტი თან არაფერი წაუღია. აღარც იმაზე ჩამოუგდია სიტყვა, ბონში გამომყვიო.

— ზევ ფრანკფურტში შევხვდებით ერთმანეთს, — მითხრა მან.

ნაშუადღევს, როცა ზნეობის დამცველმა პოლიციამ მომაკითხა, გამიხარდა, მარი რომ აქ არ დახვდათ, თუმცა მისი წასვლა საჩოთირო მდგომარეობაში მაყენებდა. ჩემი ვარაუდით, სასტუმროს პატრონმა დამაბეზლა. ცხადია, ყველგან ვამბობდი, მარი ჩემი ცოლია-მეთქი, ამის გამო მხოლოდ ორ-სამჯერ თუ გვქონდა უსიამოვნება, მაგრამ ოსნაბრიუქში შავი დღე დამადგა. მესტუმრა ორი მოხელე, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი და კაცი. მექცეოდნენ უაღრესად ზრდილობიანად, მეტისმეტადაც კი. ასე, ალბათ, იმიტომ გაწვრთნეს, რომ „სასიამოვნო შთაბეჭდილება“ მოეხდინათ,

მაგრამ მე ყოველთვის მალიზიანებდა პოლიციელების ხაზგასმული ზრდილობა.

ქალი ლამაზი და ზომიერად შეღებილი იყო. იგი მხოლოდ მაშინ დაჯდა, როცა სკამი შევთავაზე, ბოლოს სიგარეტიც კი გამომართვა. მისი კოლეგა კი ამ დროს „შეუმჩნევლად“ ათვალეირებდა ოთახს.

— ფროილიან დერკუმი თქვენთან აღარ არის? — მკითხა მან.

— არა, — ვუპასუხე მე, — ადრე გაემგზავრა ფრანკფურტში, სადაც ზევ ერთმანეთს შევხვდებით.

— მსახიობი ბრძანდებით?

მე ვუპასუხე, კი-მეთქი. ეს არ შეესაბამებოდა სიმართლეს, მაგრამ საქმის გასაადვილებლად თანხმობა ვარჩიე.

— უნდა გაგვიგოთ, — მითხრა ქალმა, — ჩვენ ვაღდებულნი ვართ, შერჩევით შევამოწმეთ ჩვენს ქალაქში გაჩერებული მგზავრები, როცა სამკურნალო დაწესებულებას აბორტისათვის მიმართავენ.

— ყველაფერი მესმის, — ვუპასუხე მე, თუმცა ენციკლოპედიაში აბორტზე არაფერი წამიკითხავს.

მამაკაცსაც შევთავაზე, დამჯდარიყო, მაგრამ უარი თავაზიანად მითხრა და შეუმჩნევლად განაგრძობდა ოთახის თვალეირებას.

— თქვენი სახლის მისამართი? — მკითხა ქალმა. მე ბონის მისამართი მივეცი. ქალი წამოდგა. მისმა კოლეგამ თვალი შეავლო ტანსაცმლის ღია კარადას.

— ფროილიან დერკუმის კაბებია? — მკითხა მან.

— ღიახ, — ვუპასუხე მე.

მან მრავლისმეტყველი თვალთ შეხედა ქალს. ქალმა მხრები აიჩეჩა, მხრები აიჩეჩა მამაკაცმაც, კიდევ ერთხელ დახედა ნოსს, შემდეგ დალაქავებული ადგილისაკენ დაიხარა და ისე შემომხედა, თითქოს მოელოდა, იმწამსვე გამოგტყდებოდი მკვლელობაში. ბოლოს, როგორც იქნა, წავიდნენ. მთელი ამ სცენის დასასრულამდე უაღრესად ზრდილობიანად მექცეოდნენ. როგორც კი კარი გაიხურეს, ყველა ჩემოდანი ჩავალაგე, ანგარიში ოთახში ამოვატანინე, სადგურიდან მეზარეული გამოვაძახებინე და პირველივე მატარებლით გავეცალე იქაურობას. სასტუმროს პატრონს დაწყებული დღის ქირაც კი გადაუხუხადე. სადგურში ბარგი ფრანკფურტში გადასაგზავნად ჩავაბარე და სამხრეთისკენ მიმავალ პირველივე მატარებელს გავყვევი. მეშინოდა და ამიტომ მინდოდა აქედან გაქცევა.

ჩემოდნების ჩალაგების დროს მარის პირსახოცზე წითელი ლაქა აღმოვაჩინე. ბაქანზე გასულს, სანამ მატარებელში ჩავჯდებოდი, ჯერ კიდევ მქონდა იმის შიში, უეცრად ვინმეს მხარზე ხელი არ დაედო და ზრდილობიანად არ ეკითხა უკნიდან: „აღიარებთ დანაშაულს?“ მე მზად ვიყავი, ყველაფერი მეღიარებინა. როცა ბონს ჩაუყარე, შუაღამე გადასული იყო, მატარებლიდან გადმოსვლა არც კი მიფიქრია.

მეზავრობა განვაგრძე და დაახლოებით დილის ოთხ საათზე ფრანკფურტში ჩავედი, უსაშველოდ ძვირ სასტუმროში გავჩერდი და მარის დაუურეკე ბონში. მეშინოდა, ვაითუ, სახლში არ იყოს-მეთქი, მაგრამ იგი მაშინვე მოვიდა ტელეფონთან და მითხრა:

— ჰანს, მადლობა ღმერთს, რომ დარეკე, ძალიან ვწუხდი.

— წუხდი? — ვკითხე მე.

— ჰო, ვწუხდი. ოსნაბრიუქში დავრეკე და მითხრეს, სადღაც გაემგზავრაო. ახლავე მოვდივარ ფრანკფურტში, ახლავე!

აბაზანა მივიღე, საუზმე ოთახში ამოვატანინე და დავიძინე. თორმეტ საათზე მარიმ გამაღვიძა. გამოცვლილი მეჩვენა. ძალზე ხალისიანი და ალერსიანი იყო.

— საკმარისად ისუნთქე კათოლიკური ჰაერი? — ვკითხე მე.

მარიმ გაიცინა და მაკოცა. პოლიციელებზე არაფერი მიაშობია.

13

მინდოდა, კიდევ ერთხელ ჩამემატებინა ცხელი წყალი აბაზანაში, მაგრამ წყალი აღარ ვარგოდა და ვიგრძენი, დრო იყო, ამოესულიყავი. აბაზანამ მუხლი ვერ დამიამა, ისევ გასივებული მქონდა და თითქმის ვეღარ ვხრიდი. აბაზანიდან ამოსულს ფეხი დამიცურდა და კინაღამ ლამაზ, კაფელის იატაკზე გავიშხლართე. გადავწყვიტე, იმწამსვე დამერეკა ცონერერისათვის და მეთხოვა, დამხმარებოდა, რომელიმე აკრობატულ ჯგუფს მივტმასნებოდი. აბაზანიდან ამოსულმა, ტანი შევიმშრალე, სიგარეტს მოუკიდე და ჩემი თავი სარკეში შევათვალიერე. გამხდარი ვჩანდი. უეცრად ტელეფონმა დარეკა. შეიძლება ლეო მირეკავდა.

— ალო.

— ო, — მომესმა ზომერვილდის ხმა, — ვიმედოვნებ, ორმაგი სალტოს შესრულებაში თქვენთვის ხელი არ შემიშლია?

— მე კლოუნი ვარ და არა აკრობატი, — ვუთხარი გაცოფებულმა, — და განსხვავება ამ ორ პროფესიას შორის ისეთივე დიდია, როგორც იეზუიტებსა და დომინიკელებს შორის, ხოლო თუ მე რაიმე ორმაგის გაკეთება გადავწყვიტე, ეს იქნება ორმაგი მკვლელობა.

ზომერვილდს გაეცინა.

— შნირ, შნირ, — მითხრა მან, — თქვენი მდგომარეობა სერიოზულად მაწუხებს. ნუთუ იმისათვის ჩამოხვედით ბონში, რომ ტელეფონით ყველას მტრობა გამოუცხადოთ?

— მე დაგირეკეთ? — ვკითხე ზომერვილდს, — თუ თქვენ დამირეკეთ?

— აჰ, — თქვა მან, — განა ამას ამხელა მნიშვნელობა აქვს?

არაფერი მიპასუხია.

— ძალიან კარგად ვიცი, — განაგრძო მან, — რომ არ გიყვარვართ, მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ და მე მიყვარხართ. ამიტომ უფლება უნდა მომცეთ, დაწვრილო ცხოვრებაში ის პრინციპები, რომლებიც მწამს და რომელთაც ვიცავ.

— თუ დაგჭირდათ, ძალითაც, არა?

— არა, ძალით არა, მაგრამ ენერგიულად კი, — მიპასუხა მან. ზომერვილდი სიტყვებს მკაფიოდ წარმოთქვამდა, — ისე, როგორც საჭიროა იმ საქმეში, ჩვენთვის ცნობილ პიროვნებას რომ ეხება.

— რატომ თქვით პიროვნება და არა მარი?

— იმიტომ, რომ ჩემთვის მთავარია, ამ საქმეზე რაც შეიძლება ობიექტურად ვიმსჯელოთ.

— დიდად ცდებით, ბატონო პრელატო. ეს საქმე იმდენად სუბიექტურია, მეტი რომ არ შეიძლება.

საბანაო ხალათში მციოდა, სიგარეტი დანესტიანდა და ხრჩოლავდა.

— თუ მარი არ დამიბრუნდება, მარტო თქვენ კი არა, ციუპფენერსაც მოვკლავ.

— ო, ღმერთო, — მითხრა ბრაზმორეულმა, — ჰერიბერტს მაინც დაანებეთ თავი.

— ხუმრობა გყვარებით, — ვუთხარი მე, — ვიღაცამ ცოლი წამართვა, მე კი მას თავი უნდა დაუანებო, არა?

— ჯერ ერთი, ციუპფენერი ვიღაც არ არის, მეორეც, ფროილიან

დერკუმი თქვენი ცოლი არ იყო. გარდა ამისა, კი არ წაგართვათ, ქალმა თვითონ დაგანებათ თავი.

— თავისი ნებით, არა?

— დიახ, — მიპასუხა მან, — მხოლოდ და მხოლოდ თავისი ნებით, თუმცა, შეიძლება, ამას ბუნებრივისა და ზებუნებრივის შეჯახებამაც შეუწყო ხელი.

— ერიპა, — წამოვიძახე მე, — მაინც რა მიგაჩნიათ ზებუნებრივად?

— შნირ, — შემაწყვეტინა გაბრაზებულმა, — მიუხედავად ყველაფრისა, მე მაინც მჯერა, რომ თქვენ კარგი კლოუნი ხართ, მაგრამ თეოლოგიისა არაფერი გაგეგებათ.

— იმდენი კი გაძეგება, რომ მივხვდე, თქვენ, კათოლიკეები, მე, ურწმუნო კაცს, ისევე სასტიკად მექცევით, როგორც იუდეველნი ექცეოდნენ ერთ ღმრთის ქრისტიანებს, ქრისტიანები კი — წარმართებს. ყურები გამომიჭედეთ ერთისა და იმავეს ძახილით — კანონი, თეოლოგია. სინამდვილეში კი ამას აკეთებდით ქაღალდის ერთი იდიოტური ნაგლეჯის გამო, რომელიც სახელმწიფომ უნდა გასცეს, გესმით? სახელმწიფომ.

— თქვენ მიზეზსა და შედეგს ერთმანეთში ურევთ, შნირ, მაგრამ მე თქვენი მესმის, კარგად მესმის.

— არაფერიც არ გესმით, — ვუთხარი მე, — და ამას, იცით, რა მოჰყვება? ორმაგი ცოლქმრული ღალატი. პირველად მარი ღალატს ჩაიდენს, როცა თქვენს ჰერებერთს მისთხოვდება, მეორედ კი მაშინ, როცა ერთ მშვენიერ დღეს ისევ ჩემთან გამოიქცევა. ალბათ, მე არა ვარ ისეთი დახვეწილი გრძნობების პატრონი, ისეთი დიდი ხელოვანი და, რაც მთავარია, იმდენად კარგი ქრისტიანი, რომ ვიღაც პრელატმა მითხრას: „შნირ, ნუთუ ჯვარდაუწერლად ცხოვრება არ შეგეძლოთ“.

— თქვენ ვერ ხედავთ ძირეულ განსხვავებას თქვენს შემთხვევასა და იმ შემთხვევას შორის, რომელზედაც მაშინ ვდავობდით.

— რა განსხვავებას? — ვკითხე მე. — იმას ხომ არა, რომ ბეზვეიცი ჩემზე უფრო მგრძნობიარეა და თქვენი კავშირისათვის ანგარიშგასაწევ რწმენის ლოკომოტორს წარმოადგენს.

— არა, არა, — ზომერვილდს მართლა გაეცინა, — ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს საეკლესიო-სამართლებრივ განსხვავებასთან. ბეზვეიცი ქმარგაყრილ ქალთან ცხოვრობდა და ამიტომ ეკლესიაში ჯვარს ვერ

დაიწერდა, თქვენ კი... ფროილან დერკუმი ქმარს არ გაჰყვია და ამიტომ თქვენს დაქორწინებას წინ არაფერი ელოებოდა.

— მე ხელის მოწერაზეც თანახმა ვიყავი და სარწმუნოების გამოცვლაზეც, — ვუპასუხე მე.

— ასეთი თანხმობა ამაზრზენი იყო.

— თქვენ რა, გინდათ ვითვალთმაქცო, ისეთი გრძნობები და რწმენა გამოვამჟღავნო, როგორც არ გამაჩნია? თუკი თქვენ უფლებებისა და კანონების — ყოვლად ფორმალური რაღაცის — დაცვას ითხოვთ, რატომღა მსაყვედურობთ, რომ რაღაც გრძნობები ჩემთვის უცხოა?

— მე თქვენ არაფერს გსაყვედურობთ.

არაფერი მიპასუხია. ზომერვილდი მართალს ამბობდა და ამის შეგნება მთრგუნავდა. მარიმ მართლა თვითონ მიმატოვა. ცხადია, მათ იგი სიხარულით მიიღეს, მაგრამ მარის რომ ჩემთან დარჩენა ნდომოდა, ვერავინ აიძულებდა, მივეტოვებინე.

— ალო, შნირ, მისმენთ?

— დიახ, გისმენთ, — ვუპასუხე მე.

მასთან ლაპარაკი სულ სხვაგვარად მქონდა წარმოდგენილი, მინდოდა, ღამის სამ საათზე გამეღვიძებინა, კარგად გამეთათხა და დავმუქრებოდი.

— რით შემიძლია დაგეხმაროთ? — მკითხა მან წყნარად.

— არაფრით, — მიუუგე მე, — ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ, დამარწმუნეთ, რომ ჰანოვერის სასტუმროში თქვენი მარისთან მოლაპარაკების მიზეზი ჩემდამი ერთგულების განმტკიცება იყო, და დაგიჯერებთ.

— არ გინდათ შეიგნოთ, შნირ, — მითხრა მან, — რომ თქვენსა და ფროილან დერკუმის ურთიერთობაში კრიზისმა იჩინა თავი.

— და თქვენც მაშინვე ისარგებლეთ ამ ამბით, არა? — მიუუგე მე, — განუმარტეთ მარის, როგორ შეეძლო გამოეყენებინა კანონები და საეკლესიო სამართალი იმისათვის, რომ დამშორებოდა. მე კი ყოველთვის ვფიქრობდი, კათოლიკური ეკლესია გაყრის წინააღმდეგია-მეთქი.

— ღმერთო ჩემო, შნირ, — წამოიძახა მან, — როგორ შეგიძლიათ მომთხოვოთ მე, კათოლიკე მღვდელს, რომ ქალს ხელი შევუწყო, ჯვარდაუწერლად განაგრძოს ცხოვრება მამაკაცთან.

— რატომაც არა? — ვუპასუხე მე, — თქვენ ხომ მას უზნეობისა

და ქმრის ღალატისკენ უბიძგებთ. და თუკი, როგორც მღვდელს, შეგიძლიათ პასუხისმგებლობა იკისროთ ამის გამო, თქვენი ნებაა.

— თქვენი ანტიკლერიკალიზმი მარცხებს. ასეთი რამ მხოლოდ კათოლიკეებს ახასიათებთ.

— არავითარი ანტიკლერიკალი მე არა ვარ. ეგ რამ გაფიქრებინათ. მე მხოლოდ ანტიზომერვილდელი ვარ, რადგან უსინდისო და ორპირი კაცი ბრძანდება.

— ღმერთო ჩემო, — წამოიძახა მან, — ეს როგორ გაიფლეთ თავში?

— თქვენი ქადაგების მომსმენს ეგონება, ამ კაცს აფრასავით ფართო გული აქვსო, მაგრამ შემდეგ სასტუმროების სალონებში ჩურჩულზე გადადიხართ და ბნელ ფანდებს ხლართავთ. იმ დროს, როცა მე ლუკმაპურის საშოვნელად ოფლს ვღვრიდი, თქვენ ჩემს ცოლთან საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდით ისე, რომ ჩემთვის ერთხელაც არ მოგიხმენიათ. დიახ, უსინდისო და ორპირი ბრძანდებით. თუძცა სხვას რას უნდა მოელოდეს კაცი ესთუტისაგან?

— კარგი, მლანძღეთ, — მიპასუხა მან, — რაც გინდათ, ის მიწოდეთ. მე მშვენივრად მესმის თქვენი.

— არაფერიც არ გეხმით. თქვენ მარის წვეთწვეთობით შეუშხაპუნეთ საზიზღარი, არაბუნებრივი ნარეგებისაგან შეზავებული მღვრიე სითხე. მე კი ნატურალური სასმელების სმა მირჩევნია. წყალნარეკ კონიაკს კარტოფილის სუფთა არაყს ვამჯობინებ.

— ილაპარაკეთ, ილაპარაკეთ, — მითხრა მან, — გულზე მოგეშვებათ. ეტყობა, ამ ამბავმა ძლიერ შეგარყიათ შინაგანად.

— ყველაფერი, რაც მარისთანაა დაკავშირებული, პრელატო, მე შინაგანადაც მქეხა და გარეგანადაც.

— დადგება ღლე, შნირ, როცა მიხვდებით, რომ უსამართლოდ მომექეცით ამ საქმესთან დაკავშირებითაც და საერთოდაც. — იგი ისეთი ხმით ლაპარაკობდა, თითქოს ცრემლი ადგა თვალზე, — რაც შეეხება მღვრიე სასმელს, თქვენ გავიწყდებათ, რომ არსებობენ ადამიანები, რომელთაც სწყურიათ, ნამდვილად სწყურიათ და სულ არაფრის დალევას, ისე მღვრიე სასმლის დალევა ურჩევნიათ.

— მაგრამ თქვენს საღმრთო სჯულში მთელი ამბავია მოთხრობილი სუფთა, კამკამა წყალზე. რატომ ასეთ წყალს არ ასმევთ მწყურვალთ?

— იქნებ, იმიტომ, — მითხრა მან, ხმააკანკალებულმა, — ამ-

ჯერად თქვენს შედარებას მოვიშველიებ — იქნებ იმიტომ, რომ იმ გრძელი ჯაჭვის ბოლოში ვდგავარ, რომლის მეშვეობითაც ჭიდან წყალს იღებენ. შეიძლება, მე შეასე ან შეათასე რგოლი ვარ და ამიტომ ჩემამდე აუძღვრეველი წყალი არ აღწევს. და კიდევ ერთი, შნირ, მისმენთ?

— გისმენთ, — ვუპასუხე მე.

— შეგიძლიათ გიყვარდეთ ქალი ისე, რომ მასთან არ ცხოვრობდეთ?

— აი, თურმე რა ყოფილა, — ვუპასუხე მე, — ახლა ქალწულ მარიამზე დამიწყებთ ლაპარაკს.

— ნუ ხუმრობთ, შნირ, ეს თქვენ არ გიხდებათ.

— რა მებუმრება, — ვუთხარი მე, — სავსებით შემწვევს უნარი ანგარიში გაუწიო იმას, რაც არ მესმის. მაგრამ საბედისწერო შეცდომად მიმაჩნია, რომ როცა ახალგაზრდა ქალი უარზეა, მონასტერში წავიდეს, აიძულებენ ქალწულ მარიამს მიჰბადოს. ამ თემაზე ერთხელ მოხსენებაც კი წავიკითხე.

— რას ამბობთ, სად? — მკითხა მან.

— აქ, ბონში, — ვუპასუხე მე, — მარის ჯგუფელ ახალგაზრდა გოგონებთან. იმ საღამოზე დასასწრებად საგანგებოდ ჩამოვედი კიოლინიდან. მათ ჯერ რამდენიმე ფოკუსი ვუჩვენე, შემდეგ კი ქალწულ მარიამზე ვესაუბრე. ჰკითხეთ მონიკა ზილვსს, პრელატო. მე, რა თქმა უნდა, არ შემეძლო იმაზე მელაპარაკა გოგონებთან, რასაც თქვენ „ხორციელ ჟინს“ ეძახით. მისმენთ?

— გისმენთ, — მიპასუხა მან, — და მიკვირს, თანდათან სულ უფრო და უფრო უხეში ხდებით.

— დალაზეროს ეშმაკმა, პრელატო, — ვუთხარი მე, — ის პროცესი, რომლის შედეგადაც ბავშვი ჩნდება, საკმაოდ უხეშია. თუმცა, თუ გირჩევნიათ, შეგვიძლია თეთრ ყარყატზე ვისაუბროთ. ყველაფერი, რასაც ამ უხეშ საქმეზე ამბობენ, ქადაგებენ და ასწავლიან, თვალთმაქცობაა. გულის სიღრმეში თქვენ ეს საქმე მიგაჩნიათ ქორწინებით დაკანონებულ ღორობად ბუნებისაგან თავდაცვის მიზნით... ანდა ილუზიებს იქმნით და ხორციელს მიჯნავთ იმისაგან, რაც ამ საქმესთანაა დაკავშირებული. მაგრამ რთულია სწორედ ის, რაც ამ საქმესთანაა დაკავშირებული. ის ცოლიც კი, რომელიც ქმარს ძლივს იტანს, მარტო სხეული როდია, მხოლოდ ფიზიკურ სიახლოვეს

უბინძურესი ლოთიც კი არ ეძებს მეძავ ქალთან, ისევე როგორც მეძავი არ ეძებს მხოლოდ ამას. იმ საქმეს თქვენ ისე ექცევით, როგორც საახალწლო შუშხუნას, სინამდვილეში კი დინამიტია.

— შნირ, — მითხრა მან უხალისოდ, — გაცეხებული ვარ, რამდენი გიფიქრიათ ამ საქმეზე.

— გაცეხებული, — ვუყვირე მე, — გაცეხებული იმ გონებაჩლუნგი ძაღლების გამო უნდა იყოთ, თავიანთი ცოლები კანონიერ საკუთრებად რომ მიაჩნიათ. ჰკითხეთ მონიკა ზილესს, რაზე ვესაუბრე იმ საღამოს გოგონებს. მას შემდეგ, რაც შევიგნე, რომ მამრობით სქესს ვეკუთვნი, არაფერზე ვფიქრობ იმდენს, რამდენსაც ამ საქმეზე და თქვენ ეს გაცეხებთ?

— თქვენ მცირედი წარმოდგენაც კი არა გაქვთ სამართალსა და კანონზე. რა რთულიც უნდა იყოს, ის, რაზეც ვსაუბრობთ, როგორღაც მაინც უნდა მოწესრიგდეს.

— დიახ, — ვუპასუხე მე, — თქვენს წესებში ცოტათი მეც გავერკვიე — ბუნებას თქვენ თვითონ უბიძგებთ იქითკენ, რასაც ცოლქმრულ ღალატს ეძახით, ხოლო როცა ადამიანის ბუნება ქორწინებაში იჭრება, შიში გიპყრობთ. ჰოდა, ცოდვებს ინანიებთ, ჩადენილს მოგიტყევენ, კვლავ სცოდავთ და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, ყველაფერი კანონიერად გაქვთ მოწესრიგებული.

ზომერვილდს გაეცინა. მის სიცილში უხამსობა იგრძნობოდა.

— შნირ, — მითხრა მან, — ვხვდები, რაც გჭირთ. აშკარად, ვირივით თქვენც მონოგამი ყოფილხართ.

— რომ არაფერი ვთქვით homo sapiens-ზე, ეტყობა, ვერც ზოოლოგიაში ერკვევით ხეირიანად. ვირები გარეგნულად ჩანან თვინიერნი, მაგრამ მონოგამები სრულებით არ არიან. ვირებში სრული პრომისკუიტეტია გავრცელებული. მონოგამები არიან მხოლოდ ყორნები, ჭკები, სამნემსა მახათები და, ნაწილობრივ, მარტორქები.

— მაგრამ, ცხადია, არა მარი, — მითხრა მან. ეტყობა, იმწამსვე მიხვდა, ეს სიტყვები რომ გულში მომხვდებოდა, რადგან ხმადაბლა განაგრძო: — ვწუხვარ, შნირ, დამიჯერეთ, ბევრად უფრო კმაყოფილი ვიქნებოდი, ამის თქმა რომ არ დამჭირებოდა.

ხმა არ ამომიღია. ჩაუქრობელი სიგარეტის ნამწვი ხალიჩაზე გადმოვაფურთხე. ვხედავდი, როგორ გაიფანტა ნაპერწკლები და ხალიჩაზე შავი, პატარა ნახვრეტები დატოვა.

— შნირ, — წამოიძახა მან მუდარით, — ნუთუ არ გჯერათ, რომ ყოველივე ამის თქმა მიჭირს.

— რა მნიშვნელობა აქვს, მჯერა თუ არა? — ვუპასუხე მე, — თუ თქვენ ეს გინდათ, მჯერა.

— თქვენ ბევრს ლაპარაკობდით ბუნებაზე, — მითხრა მან, — ამიტომ ბუნების ძახილს უნდა დამორჩილებოდით, მარის დადევნებით და მის გამოსახსნელად გებრძოლათ.

— მებრძოლა, — ვუთხარი მე, — განა თქვენს წყევულ საქორწინო კანონებში ეს სიტყვა წერია?

— თქვენსა და ფროილიან დერკუმის ურთიერთობას ქორწინება არ ერქვა.

— კეთილი, — ვუპასუხე მე, — ასე იყოს. ნუ დავარქმევთ ქორწინებას, მაგრამ მე თითქმის ყოველდღე ვცდილობდი, დაგკავშირებოდი ტელეფონით მარის და ყოველდღე ვწერდი.

— ვიცი, — მითხრა მან, — ვიცი, მაგრამ ახლა უკვე გვიანია.

— ახლა ისღა დამრჩენია, რომ აშკარად ცოლქმრული ღალატის გზას დავადგე.

— თქვენ ამის უნარი არ შეგწევთ, — მითხრა მან, — უკეთ გიცნობთ, ვიდრე გგონიათ. მლანძღეთ, დამემუქრეთ, რამდენიც გნებაგოთ, მაგრამ მაინც გეტყვით: ყველაზე საშინელი თქვენს არსებაში ისაა, რომ უცოდველი, მეტსაც გეტყვით, სუფთა კაცი ხართ. იქნებ, შემძლია, დაგეხმაროთ... მხედველობაში მაქვს...

ზომერვილდი გაჩუმდა.

— ფულს გულისხმობთ? — ვკითხე მე.

— ფულსაც, — მითხრა მან, — მაგრამ ძირითადად თქვენს პროფესიულ საქმიანობას.

— შეიძლება, მოგვიანებით მართლაც მომიხდეს თქვენთან საუბარი ფულსა და პროფესიულ საქმიანობაზე. სად არის მარი?

მისი სუნთქვა მომესმა და სიჩუმეში პირველად ვიგრძენი წვერის საპარსი სითხის, წითელი ღვინის და რბილი სიგარის მსუბუქი სუნი.

— რომში გაემგზავრნენ, — მიპასუხა მან.

— თაფლობის თვე აქვთ, არა? — ვკითხე ხმაჩახლეჩილმა.

— ამას ასე ეძახიან, — მიპასუხა მან.

— რათა კახპობა სრულყოფილი იყოს, — ვთქვი მე.

ყურმილი ისე დავდე, არც მადლობა მითქვამს და არც დაემშვიდო-

ბებივარ. ხალიჩას დავხედე, სიგარეტის ცეცხლით ამომწვარი პატარა წერტილები ჯერ კიდევ ბოლავდა, მაგრამ ისე ვიყავი დაღლილი, რომ ფეხის დადგმა და ჩაქრობა დამეზარა. მციოდა, მუხლი მტკიოდა. ეტყობა, დიდი ხანი დავყავი აბაზანაში.

რომში ჩემთან ერთად გამგზავრება მარის არასოდეს მოუსურვებია. როცა შევთავაზე, გაწითლდა და მითხრა: იტალიაში წამოგყვები, მაგრამ რომში არაო. ვკითხე, რატომ-მეთქი? კითხვაზე კითხვითვე მიპასუხა, ნუთუ მართლა არ გესმისო? არა-მეთქი. აღარაფერი უპასუხია. მარისთან ერთად სიამოვნებით გავემგზავრებოდი რომში პაპის სანახაუდ. მე მგონი, პაპის მოლოდინში რამდენიმე საათსაც კი ვიდგებოდი წმინდა პეტრეს მოედანზე, ხოლო როცა ფანჯარაში გამოჩნდებოდა, ტაშს დაუკრავდი და evviva-ს შევძახებდი. ჩემი სურვილები მარის გაუზიარე, კინაღამ გაცოფდა და მითხრა, უკულ-მართობად მიმაჩნია შენისთანა აგნოსტიკოსი პაპს აღლცაებული შეძახილებით მიესალმოსო. მარი მართლაც ეჭვიანობდა. ასეთი რამ ხშირად შემიმჩნევია კათოლიკეებისათვის: ისინი ძუნწებოვით იცავენ თავიანთ განძეულობას — სალოცავებს, პაპს. გარდა ამისა, ადამიანთა იმ ჯგუფებს შორის, რომლებსაც ვიცნობ, კათოლიკეებს ყველაზე ქედმაღლურად უჭირავთ თავი, დიდი წარმოდგენა აქვთ თავიანთი ეკლესიის როგორც ძლიერ, ასევე სუსტ მხარეებზე და, ამავე დროს, ყოველი ცოტად თუ ბევრად ინტელიგენტი ადამიანისაგან მოელიან, რომ სულ ცოტა ხანში რჯულს შეიცვლის. იქნებ, მარი იმიტომ არ მომყვებოდა რომში, რომ იქ უფრო მძაფრად იგრძნობდა ჩემთან ცოდვილი ცხოვრებით გამოწვეულ სირცხვილს. ზოგ რამეში გულუბრყვილო იყო და არც დიდი ინტელიგენტობით გამოირჩეოდა. იმით კი, რომ ციუპფენერს წაჰყვა რომში, დიდი სიმაბლეს გამოიჩინა. აუდიენციას, ცხადია, მიიღებენ და საწყალ პაპს, რომელიც მარის მიმართავს სიტყვებით „ასულსო ჩემო“, ხოლო ციუპფენერს — „საყვარელო შვილო ჩემო“, არ ეცოდინება, რომ მის წინ უზნეო და მოღალატე წყვილია მუხლმოყრილი. იქნებ, ციუპფენერს იმიტომაც გაჰყვა რომში, რომ ჩემს თავს იქ არაფერი მოაგონებს. ჩვენ ვყოფილვართ ნეაპოლში, ვენეციაში, ფლორენციაში, პარიზში, ლონდონში და უამრავ გერმანულ ქალაქში. რომში კი მართლაც არავითარი მოგონება არ შეაწუხებს. იქ „კათოლიკური ჰაერიც“ საკმაოდ ექნება.

გადავწყვიტე ზომერვილდისათვის კიდევ ერთხელ დამერეკა

და მეთქვა, რომ მის ყველაზე დიდ სიფლიდედ ჩემი მონოგამური ბუნების აბუჩად აგდება მიმაჩნია, მაგრამ ამგვარი უხამსობა თითქმის ყველა განათლებულ კათოლიკეს ახასიათებს. ჩვეულებრივ, ისინი ქრისტიანული დოგმების სანგარში იმალებიან, იქიდან ესვრიან ყველას დოგმებისაგან შეკოწიწებულ პრინციპებს. როცა მათ „ურყევ ჭეშმარიტებას“ სერიოზულად დაუპირისპირდები, იღიმიებიან და თავის გასამართლებლად „ადამიანის ბუნებას“ იმოწმებენ, ხოლო თუ დასჭირდათ, სახეზე ისე მოირგებენ დამცინავ ღიმილს, თითქოს ინახულეს პაპი, რომელმაც მათ უცოდველობის პაწაწინა ნატეხი გამოატანა თან. ერთი სიტყვით, როცა სერიოზულად უდგები იმ აღმაშფოთებულ ჭეშმარიტებებს, რომლებითაც გულგრილად გიმასპინძლებიან კათედრებიდან, ან „პროტესტანტი“ ხარ, ანდა იუმორის გრძნობას მოკლებული ადამიანი. როცა სერიოზულად მსჯელობ მათთან ქორწინებაზე, ისინი მაშინვე ჰენრი მერვეს იშველიებენ — ამ ქვემეხებიდან აგერ უკვე სამი საუკუნეა ისვრიან, რათა გვამცნონ, თუ რა ძლიერია მათი ეკლესია, ხოლო როცა სურთ დაგვანახვონ, რა მოწყალე და დიდი გულის პატრონია, მაშინ ბეზვეიცზე ანეკდოტებს ჰყვებიან და ეპისკოპოსთა ნაკვესებს იგონებენ, ისიც მხოლოდ „საქმეში ჩახედულთა“ წრეში. ასეთებად „განათლებულები“ და „ინტელიგენტები“ მიაჩნიათ — ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მემარცხენეობას იჩემებენ თუ მემარჯვენეობას. ამ რამდენიმე ხნის წინათ ზომერვილდს ვთხოვე, კათედრიდან მოეყოლა პრელატისა და ბეზვეიცის ამბავი. იგი გაცოფდა. როცა საქმე ქალისა და კაცის ურთიერთობას ეხება, ეკლესიის კათედრას ისინი თავიანთი მძიმე ქვემეხის გასასროლად იყენებენ. ჰენრი მერვე — სამეფოს ვიძლევი ქორწინებაში! უფლება! კანონი! დოგმა!

სხვადასხვა მიზეზის გამო გული მერეოდა. ფიზიკურად იმიტომ, რომ ბოხუმში წახემსების შემდეგ პირში, კონიაკის მეტი, არაფერი ჩამსვლია, მხოლოდ სიგარეტს ვეწეოდი, სულიერად კი იმიტომ, რომ წარმოვიდგინე, როგორ უყურებდა ციუპფენერი მარის ჩაცმას რომის სასტუმროში. ალბათ, მის საცვლებშიც იქექება. ამ სწორად თმაგაყოფილ, ინტელიგენტ, სამართლიან და განათლებულ კათოლიკეებს გულკეთილი ქალები სჭირდებათ. მარი არ იყო ციუპფენერის შესაფერისი. ციუპფენერი უნაკლოდ იცვამდა, საკმაოდ

მოდურად, რათა ძველმოდურობა არ დაქვამებინათ, მაგრამ არც ზედმიწევნით მოდურად, ფრანტად რომ არ გამოჩენილიყო. ყოველ დილით საგულდაგულოდ ცივი წყლით იბანდა ტანს და ისე გამაღლებით იხეხავდა კბილებს, თითქოს რეკორდის დამყარებას აპირებო. ასეთი კაცისათვის მარი ნაკლებად ინტელიგენტური ქალი იყო. დილაობით ზედმეტ გულმოდგინებასაც კი იჩენდა მორთვა-მოკაზმვაში. ციუპფენერისთანა ტიპი, პაპთან აუდიენციაზე შეყვანის წინ, სწრაფად გადაისვამს ცხვირსახოცს ფეხსაცმელზე. მეცოდებოდა პაპიც, რომლის წინაშეც ისინი მუხლს მოიყრიან. პაპი გულით გაიხარებს და კეთილად გაუდიმებს ამ ლამაზ, სიმპათიურ, კათოლიკე გერმანელ წყვილს. არადა, კიდევ ერთხელ მოტყუვდება — აბა, რას წარმოიდგენს, რომ ლოცვა-კურთხევით შეეგება ორ მრუმს.

სააბზანოში დავბრუნდი, ტანი კარგად გავიმშრალე, ისევ ჩავიცვი, შემდეგ სამზარეულოში გავედი და წყალი ასადუღებლად დავდგი. მონიკას არაფერი დავიწყებია. ასანთი გაზის ქურაზე იდო, დაფქული ყავა მჭიდროდ თავდახურულ ქილაში ეყარა, იქვე იდო ფელტრის ქალაღი, კვერცხები და ლორი, ხოლო ბოსტნეულის კონსერვები მაცივარში შეეწყო. სამზარეულოში ფუსფუსი მხოლოდ მაშინ მიხარია, როცა ამით თავს ვარიდებ მოზრდილთა ყბედობის გარკვეულ ფორმებს. როცა ზომერვილდი „ეროსზე“ იწყებს ლაპარაკს, ბლოთერთი თავის კა... კა... კანცლერს ამოდერდავს, ხოლო ფრედებოილი ოსტატურად კომპილბულ მოხსენებას კითხულობს კოკტოზე, მაშინ, ცხადია, სამზარეულოში გასვლა, ტუბებიდან მაიონეზის გამოჭყლეტა, ზეთისხილის შუაზე გაჭრა და პურის ნაჭრებზე ღვიძლის ძეხვის დადება მირჩევნია. მაგრამ როცა მარტო ვარ და მინდა, სამზარეულოში ჩემთვის რამე მოვიმზადო, უსაშველოდ ვიბნევი. მარტობისაგან ხელიდან არაფერი გამომდის. თუ აუცილებელია კონსერვის ქილის გახსნა ან ტაფაზე კვერცხების დახლა, ღრმა ძელანქოლია მიპყრობს. უცოლო არ მეთქმის. როცა მარი ავად იყო ან სამსახურში მიდიოდა — ერთხანს კიოლნში ქალაღდის მალაზიაში მსახურობდა გამყიდველად — სამზარეულოში ფუსფუსი სულაც არ მიძნელებოდა, ხოლო როცა მარის მუცელი პირველად მოეშალა, ჩვენი დიასახლისის კინოდან დაბრუნებამდე ლოგინის თერთრულიც კი გავრეცხე.

ლობის კონსერვის ქილა, როგორც იქნა, გავხსენი, თანაც ისე, რომ ხელი არ გამიკაწრავს, აღუღებული წყალი ფილტრზე დავასხი და თან იმ სახლზე ვფიქრობდი, ციუპფენერმა რომ აიშენა ამ ორიოდე წლის წინათ. ერთხელ მეც ვიყავი მასთან სტუმრად.

14

ცხადად ვხედავდი, როგორ ბრუნდება მარი შებინდებისას იმ სახლში. მოკლედ გადაკრეჭილი გაზონები მთვარის შუქზე თითქმის ლურჯი ჩანს. გარაჟის გვერდით მებადეს მოჭრილი ტოტები დაუხვა-ვები. კურდღლისცოცხასა და კუნელის ბუჩქებს შორის გასატანად გაშხადებული ნაგვის ყუთი დგას. პარასკევი სადამოა. მარის უკვე ეცოდინება, რისი სუნი ტრიალებს სამზარეულოში — თევზის. ისიც ეცოდინება, ვისი ბარათები დახვდება. ციუპფენერის ბარათი ტელე-ვიზორზე დევს: „აუცილებლად უნდა ვნახო ფ... გკოცნი. ჰერიბერ-თი“. მეორე, მოახლისა — მაცივარზე: „წავედი კინოში, ათზე და-ბრუნდები. გრეთე (ლუიზე, ბრიგით)“.

მარი გარაჟის კარს ადებს და სინათლეს რთავს. თეთრად შეღე-ბილ კედელზე მოტოროლერისა და გადაგებული საკერავი მანქანის ჩრდილი ჩანს. ბოქსში გაჩერებული მერსედესი იმაზე მეტყველებს, რომ ციუპფენერი ფეხით წავიდა. „საჭიროა ისუნთქო სუფთა ჰაერი, ხანდახან მაინც უნდა ისუნთქო სუფთა ჰაერი, ჰაერი“. მანქანას ტა-ლაზიან საბურავებსა და ფრთებზე ეტყობა, რომ ციუპფენერი ხში-რად მიემგზავრება ეიფელზე, სადაც, ნაშუადღევს, ახალგაზრდა კა-თოლიკეთა კავშირის სხდომაზე მოხსენებებს კითხულობს (ვიდგეთ მხარდამხარ, ვიბრძოლოთ ერთად, ვიტანჯოთ ერთად).

მარი ზედა სართულისაკენ იყურება, მაგრამ საბავშვო ოთახშიც ბნელა. მეზობელ სახლებს ერთმანეთისაგან მანქანის საბურავების კვალი და ყვავილნარის ფართო კვლები ყოფს. სახლებიდან გამოკრ-თის ტელევიზორების მიმქრალი ანარეკლი. ასეთ დროს მეუღლისა და მამის შინ დაბრუნება ხელის შემშლელ მოვლენად მიაჩნიათ, ხე-ლის შემშლელად მიიჩნევენ უძღები შვილის შინ დაბრუნებასაც და ხბოს კი არა, ვარიასაც არ დაუკლავდნენ. სასწრაფოდ მაცივარზე მიუთითებდნენ, სადაც ღვიძლის ძეხვის მცირე ნარჩენები დევს.

შაბათს, ნაშუადღევს, ეს სახლები ერთმანეთს უძმობილდებიან. ბადმინტონის ბურთები აქეთ-იქით ცვივა, კატიის კნუტები და ლე-

კვები მეზობლის ეზოებში იპარებიან. ბადმინტონის ბურთებს უკან-ვე ისვრიან, კატის კნუტებს და ლეკვებს კი ჭიშკრიდან ან სხლტის ხვრელიდან აწვდიან პატრონებს: „რა მშვენიერი კნუტია“ ან „რა საყვარელი ლეკვია“. ხმაზე არაფის ეტყობა გაღიზიანება, არაფინ ეხება პიროვნებას. გაღიზიანება მხოლოდ ზოგჯერ არღვევს თანაზომიერ მრუდს და მეზობლობის მოწმენდილ ცაზე ქონგურებს ჯღაბნის. და ეს მუდამ ხდება სრულიად უმნიშვნელო, და არა — ნამდვილი, მიზეზების გამო: სადღაც წკრიალით ტყდება ლამბაქი, ნასროლი ბურთი ყვავილებს თელავს, ბავშვის ხელი გაკრიალებულ მანქანას კენჭებს ესვრის, ვიღაც შლანგით ბაღის მორწყვის დროს მეზობლის ახალგარეცხილ და გაუთოებულ სარეცხზე ამხეფებს წყალს — აი, სწორედ მაშინ გაერევა ხოლმე ხმებში გამყინავი ბგერები. არადა, იგივე ხმები სიცრუის, მრუშობის, მუცლის მოშლის დროს ვითომც არაფერიაო, ისე ჟღერენ:

— აჰ, შენ ზემგრძნობიარე ყურები გაქვს, დალიე რამე დამამშვიდებელი.

არაფერი არ დალიო, მარი.

მარი სახლის კარს აღებს. სახლში სიჩუმეა გამეფებული და სასიამოვნოდ თბილა. ზემოთ პატარა მარიჰენს სძინავს. დრო სწრაფად გარბის. ქორწილი ბონში, თაფლობის თვე რომში, ფეხმძიმობა, მშობიარობა და, აი, უკვე ბავშვის წაბლისფერი კულულები თოვლივით ქათქათა ბალიშზეა დაფენილი. გახსოვს, როგორ დაგვათვალიერებინა საკუთარი სახლი? რა ხალისიანად გვეუბნებოდა: ამ სახლში თორმეტი ბავშვი დაეტევო. ახლა კი, როცა ერთად საუზმობთ, გამომცდელად გაკვირდება და ტუჩებზე უთქმელი კითხვა დასთამაშებს: „აბა, რაო?“, ხოლო მისი პრიმიტიული, რწმენითა და პარტიით გაერთიანებული მეგობრები მესამე ჭიქა კონიაკის დაღვევის შემდეგ ამბობენ: „ადამ რიზეს მიხედვით, ერთს თორმეტამდე თურთმეტი აკლია“.

ქალაქში მითქმა-მოთქმაა. შენ ისევ კინოში ყოფილხარ. გარეთ მზიანი, გაკაშკაშებული დღეა, კინოში რამ შეგიყვანა. ისევ კინო, კიდევ და კიდევ კინო.

წინა საღამო გაატარე ბლოთერტის სახლში მოწყობილ „წრის“ სხდომაზე და კა... კა... კას მეტი არაფერი მოგისმენია, მაგრამ ამჯერად სიტყვა „ნცლერით“ კი არ დააბოლოვა, არამედ „თოლონით“. ეს სიტყვა შენს ყურში უცხო სხეულოვით დაგორავს და ხან სათამაშო ბურთულა გგონია, ხანაც ჩირქოვანი მუწუკი. ბლოთერტს ყველგან

თან დააქვს რაღაც გაიგერის მთვლელის მაგვარი, რითაც „კათოლონს“ აგნებს: „ამ კაცს აქვს, იმას — არა, ამ ქალს აქვს, იმას — არა“. ეს აკაციის ფოთლებით მარჩიელობას ჰგავს — „ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ, ვუყვარვარ“. კათოლონს ეძებენ ფეხბურთის გუნდებში, პარტიის წევრებში, მთავრობასა და ოპოზიციაში, „კათოლონის“ შემცველობას ისევე ეძებენ და ისევე ვერ პოულობენ, როგორც რასობრივ ნიშნებს — ჩრდილოური ცხვირი, დასავლური პირი. თუმცა ერთი კაცი ყელამდეა სავსე ამ დიდად სასურველი, სანთლით საძებნელი „კათოლონით“. ეს თვით ბლოთერტი გახლავთ. მარი, მოერიდე მის თვალებს — მათში დაგვიანებული აუხორცობა და მეექვსე ცნების სემინარისტული გაგება გამოსჭვავის, ხოლო როცა გარკვეული სახის ცოდვებზე ლაპარაკობს და ლათინურ სიტყვებს in sexto-ს და de sexto¹-ს წარმოთქვამს, ეს, ცხადია, ზუსტად ისევე ჟღერს, როგორც სექსი. რაც შეეხება მის საყვარელ შვილებს, — უფროსი, ჰუბერთი, თვრამეტი წლისაა, მარგარეთი — ჩვიდმეტის, — მათ უფლება აქვთ ცოტა ხანს კიდევ დარჩნენ უფროსებთან და სასარგებლო საუბარი მოისმინონ „კათოლონზე“, წოდებრივ სახელმწიფოზე, სიკვდილით დასჯაზე, რის ხსენებაზეც ფრაუ ბლოთერტს თვალები უცნაურად გაუბრწყინდება ხოლმე, გაღიზიანებულ ხმას კი ისე უწევს, რომ, გრძნობამორეულს, სიცილი და ტირილი ერთად ეძალება. მარი, შენ ცდილობდი ნუგეში ფრედებოილის დახაფსებულ მემარცხენულ ცინიზმში გეპოვა, მაგრამ ამაოდ. ასევე ამაო აღმოჩნდა შენი ცდა, აღმოფოთებულიყავი ბლოთერტის მემარჯვენეული ცინიზმით. არსებობს მშვენიერი სიტყვა „არარა“. იფიქრე არარაზე, ნუ ფიქრობ კანცლერზე და კათოლონზე, იფიქრე კლოუნზე, რომელიც აბაზანაში ტირის და ფოსტლებზე ყავა ესხმება.

15

ხმაური მეცნო, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ამგვარი ბგერები ხშირად მომისმენია, მაგრამ არასოდეს გამოვხმაურებივარ. როცა ჩვენს სახლში ზარს რეკავდნენ, კარს მოახლეები აღებდნენ. მართალია, დერკუმის დუქანში ხშირად მესმოდა ზარის რეკვა, მაგრამ კარის გასაღებად არასოდეს წამოვმდგარვარ ფეხზე.

¹ in sexto, de sexto (ლათ.) — მეექვსეში, მეექვსედან.

კიოლნში მე და მარი პანსიონატში ვცხოვრობდით, ხოლო სასტუმროებში მხოლოდ ტელეფონის რეკვა ისმის. ცხადად მესმოდა, რომ ზარი რეკავდა, მაგრამ ვერ აღვიქვამდი, რაღაცნაირი უცხო მეჩვენებოდა.

ამ ბინაში მხოლოდ ორჯერ დარეკეს: ერთხელ, როცა ბიჭმა რძე ამომიბრუნინა და მეორედ, როცა ციუპფენერმა მარის ჩაის ვარდები გამოუგზავნა. ვარდები რომ მოიტანეს, ლოგინში ვიწექი. მარი ჩემთან შემოვიდა, ვარდები მაჩვენა და ალტაცებულმა ცხვირი თაიგულში ჩარგო. საჩოთირო ვითარება შეიქნა, მეგონა, ყვავილები მე გამომიგზავნეს. ზოგჯერ ჩემი თაყვანისმცემელი ქალები სასტუმროში ყვავილებს მიგზავნიდნენ.

— რა მშვენიერი ვარდებია, შენი იყოს, — ვუთხარი მარის.

მარიმ შემომხედა და მითხრა:

— რას ჰქვია ჩემი იყოს, თაიგული მე გამომიგზავნეს.

გაწვითლდი. თავი უხერხულად ვიგრძენი და გამახსენდა, რომ მარისათვის არასდროს გამიგზავნია ყვავილები. მართალია, ყვავილებს სცენაზე რომ მაწვდიდნენ, მთლიანად მისთვის მიმქონდა, მაგრამ ყიდვით არასოდეს მიყიდა. ხშირად ჩემი გადასახდელი იყო იმ ყვავილების ფული, სცენაზე რომ მომართმევდნენ ხოლმე.

— ვინ გამოგიგზავნა ყვავილები? — ვკითხე მე.

— ციუპფენერმა, — მიპასუხა მან.

— დასწყევლოს ეშმაკმა, რას ნიშნავს ეს? — წამოვიძახე მე და გამახსენდა, როგორ მოდიოდნენ ქუჩაში ხელიხელჩაკიდებულნი.

მარი გაწვითლდა და მითხრა:

— კი მაგრამ, რატომ არ უნდა გამოგზავნა?

— კითხვა სხვანაირად უნდა დაგესვა, — ვუთხარი მე, — რატომ უნდა გამოგზავნა?

— ჩვენ უკვე დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს, — მიპასუხა მან, — იქნებ, ჩემი თაყვანისმცემელია.

— კეთილი, — ვუპასუხე მე, — იყოს შენი თაყვანისმცემელი, მაგრამ ამდენი ძვირფასი ყვავილის გამოგზავნა თავხედობა და უზრდელობაა.

მარიმ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და ოთახიდან გავიდა.

როცა რძის დამტარებელმა ბიჭმა დარეკა, საერთო ოთახში ვისხედით. მარი გავიდა, ბიჭს კარი გაუღო და ფული გადაუხადა. ამ

ბინაში მხოლოდ ერთი კაცი გვესტუმრა — ლეო. ეს მოხდა მანამდე, სანამ რჯულს შეიცვლიდა. მაგრამ ლეოს არ დაურეკავს, მარისთან ერთად ამოვიდა ზევით.

ზარი უცნაურად რეკავდა — მორიდებულადაც და ჯიუტადაც. „მონიკა ხომ არ არის“, — გავიფიქრე შეშინებულმა, — „იქნებ ზომერვილმა გამოგზავნა რაიმე საბაბით“. ჩემში იმწამსვე გაიღვიძა ნიბელუნგების კომპლექსმა. ერთიანად დასველებული ფოსტლებით წინკარში გავვარდი, მაგრამ ვერაფრით ვიპოვე ღილაკი, რომელზეც თითი უნდა დამეჭირა. სანამ ღილაკს ვეძებდი, გამახსენდა, რომ მონიკას ჩემი ბინის გასაღები აქვს. როგორც იქნა, ღილაკი ვიპოვე, თითი დავაჭირე და ქვევიდან ფანჯრის მინაზე მიმჯდარი ფუტკრის ზუზუნის მაგვარი ბგერები მომესმა. დერეფანში გასული, ლიფტის გვერდით გავჩერდი. ჯერ აინთო წითელი ნათურა „დაკავებულია“, შემდეგ „ერთიანი“, „ორიანი“. განერვიულებული, მანამდე მივჩერებოდი ციფრებს, სანამ არ შევამჩნიე, რომ ჩემ გვერდით ვიღაც დგას. შეშინებული, უეცრად მოგტრიალდი და დავინახე ქერა, ზომიერად ტანწყობილი, სათნო და ღია ნაცრისფერთვალებიანი, ლამაზი ქალი. მხოლოდ ეს იყო, ქუდი ჩემი გემოვნებისათვის მეტისმეტად წითელი მომეჩვენა. მე ქალს გავუღიმე, მანაც გამიღიმა და მითხრა:

— თქვენ ალბათ ბატონი შნირი ბრძანდებით, მე კი თქვენი მეზობელი გახლავართ, გვარად გრებსელი. მიხარია, ერთხელ მაინც რომ გიხილეთ.

— მეც მიხარია, — ვუპასუხე მე და მართლაც მიხაროდა. მიუხედავად მეტისმეტი წითელი ქუდისა, ფრაუ გრებსელი მშვენიერი შესახედავი ქალი იყო. ილღიაში გაზეთი „ბონის ხმა“ ჰქონდა ამოჩრილი. მან ჩემი მზერა შენიშნა, გაწითლდა და მითხრა:

— ნუ მიაქცევთ ყურადღებას.

— მაგ ძაღლს სილას გავაწნავ, — ვუთხარი მე. — რომ იცოდეთ, რა სულმდაბალი მლიქვნელია... გარდა ამისა, ერთი ბოთლი არყის ფული დამცანცლა...

ქალს გაეცინა.

— მე და ჩემს ქმარს დიდად გაგვახარებს ჩვენი მეზობლის ახლოს გაცნობა. დიდხანს დარჩებით ბონში? — მკითხა მან.

— დიახ, — ვუპასუხე მე, — თუ ნებას მომცემთ, ერთხელ როგორმე გესტუმრებით. თქვენს ბინაშიც ყველაფერი ჟანგისფერია?

— რა თქმა უნდა, ჟანგისფერი ხომ მქვითე სართულის განმასხვავებელი ნიშანია.

ლიფტი მცირე ხანს მესამე სართულზე შეჩერდა, შემდეგ წითლად აინთო „ოთხიანი“, მერე „ხუთიანი“ და, როცა კარი გაიღო, გაოცებულმა ერთი ნაბიჯით უკან დავიხიე. ლიფტიდან მამაჩემი გამოვიდა, ფრაუ გრებსელს ხელი შეაშველა, ლიფტში შეუშვა და მხოლოდ ამის შემდეგ შემობრუნდა ჩემკენ.

— ღმერთო ჩემო, მამა, — წამოვიძახე. არასოდეს დამიძახია მისთვის მამა, ყოველთვის „მამის“ ვეძახდი.

— ჰანს, — მითხრა მან და როგორღაც უხერხულად სცადა ხელი მოეხვია ჩემთვის. შემდეგ ბინაზე შევეუძეხი, პალტო და ქუდი ჩამოვართვი, საერთო ოთახის კარი გავადე და ტახტზე მივუთითე. მამა დარბაისლურად დაჯდა.

ორივენი შეცბუნებულები ვიყავით. შეცბუნება, ალბათ, აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ მშობლებმა და შვილებმა ერთმანეთთან საუბარი შეძლონ. ეტყობა, ჩემი მისაღმება „მამა“ ძალზე პათეტიკურად ჟღერდა და ამან კიდევ უფრო გაამძაფრა ჩვენი ისედაც გარდაუვალი შეცბუნება. მამამ, რომელიც ერთ-ერთ ჟანგისფერ საგარძელში იჯდა, თავი გადააქნ-გადმოაქნია: ათვალეერებდა ჩემს ერთიანად დასველებულ ფოსტლებს, მეტისმეტად გრძელ საბანაო ხალათს, რომელიც რატომღაც ცეცხლივით წითელი იყო.

მამაჩემი სიმაღლით არ გამოირჩევა, მაგრამ იმდენად სახიერი, მოხდენილი და ელევანტურია, რომ ტელემუშაკები ერთმანეთს ხელიდან გლეჯენ, როცა ტელევიზიაში ეკონომიკის საკითხებზე დისკუსია იმართება. ეკრანიდან პირდაპირ სიკეთესა და გონივრულობას აფრქვევს, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ტელეჟარსკელაუის სახელი უფრო ადვილად მოიპოვა, ვიდრე ამას მურა ნახშირის მწარმოებელი შინი შეძლებდა. სმაგს სიმხეცის ყოველგვარი გამოვლენა. როცა უყურებ, ვარაუდობ, რომ ამგვარი გარეგნობის კაცი სიგარას უნდა ეწოდეს, მსხვილს კი არა, წვრილ, მსუბუქ სიგარას. მაგრამ ის ამბავი, რომ სამოცდაათ წელს მიტანებული კაპიტალისტი სიგარეტს ეწევა, საოცრად უშუალო და პროგრესული ადამიანის იერს ანიჭებს. კარგად მესმის, რატომ იწვევენ ყველა იმ დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად, სადაც ფულზეა ლაპარაკი. ეტყობა, იგი მართო კეთილი კაცის შთაბეჭდილებას კი არ ტოვებს, არამედ მართლაც კეთილია.

მამაჩემს სიგარუტი მივაწოდე და, როცა მისკენ დახრილი ცეცხლს ვუკიდებდი, მითხრა:

— კლოუნებზე ბევრი არაფერი ვიცი, მაგრამ ცოტა რამ მაინც გამიგია. ის, რომ ისინი ყავაში ბანაობენ, ჩემთვის ახალი ამბავია.

ზოგჯერ მამა ძალზე ენამოსწრებულა.

— ყავაში არ ვბანაობ, მამაჩემო, — ვუთხარი მე, — მინდოდა და-მესხა, მაგრამ ვერ მოვახერხე.

ამ წინადადებაში მაინც უნდა მეთქვა „მამი“, მაგრამ გვიან მოვი-საზრე.

— რამეს ხომ არ დალევ? — ვკითხე მე.

მან გაიღიმა, უნდობლად შემომხედა და მკითხა:

— გაქვს რამე სახლში?

სამზარეულოში გავედი. მაცივარში კონიაკი, რამდენიმე ბოთლი მინერალური წყალი, ლიმონათი და ერთი ბოთლი წითელი ღვინო აღმოჩნდა. თითო ბოთლი ყველაფერი ავიღე, საერთო ოთახში გავი-ტანე და მამაჩემის წინ, მაგიდაზე ჩავამწკრივე. მან ჯიბიდან სათვა-ლელე ამოიღო და ეტიკეტი შეათვალიერა. თავი გადააქნია და ყველა-ზე უწინ კონიაკის ბოთლი გადადო გვერდზე. ვიცოდი, კონიაკი რომ უყვარდა და განაწყენებულმა ვუთხარი:

— მე მგონი, კარგი მარკაა.

— კარგი მარკის კია, მაგრამ საუკეთესო კონიაკიც კი უფასურდე-ბა, როცა მაცივარში გაყინავ.

— ო, ღმერთო ჩემო, — წამოვიძახე მე, — ნუთუ კონიაკის მაცი-ვარში შედგმა არ შეიძლება?

მან ისე შემომხედა სათვალის ზემოდან, თითქოს ეს-ეს არის ცხო-ველთმავლობაში მამხილეს. მამაჩემი თავისებურად ესთეტიც იყო. დილით, საუზმის დროს სამ-ოთხჯერ დააბრუნებდა სამზარეულოში ტოსტებს, მანამდე, სანამ ანა ისე არ დაბრაწავდა, როგორც საჭი-როა. ეს ჩუმი ბრძოლა ჩვენს სახლში ყოველ დილით თავიდან იწყე-ბოდა, რადგან პურის დაბრაწვა ანას „ანგლოსაქსურ სისულელედ“ მიაჩნდა.

— კონიაკის მაცივარში შედგმა... — თქვა მამაჩემმა ზიზლით, — მართლა არ იცოდი თუ თვალთმაქცობ. შენსას კაცი რას გაიგებს.

— მართლა არ ვიცოდი, — ვუპასუხე მე. მან გამომცდელი თვა-ლით შემომხედა და ისე გამიღიმა, თითქოს დაიჯერა.

— მე კი შენს აღზრდაზე უამრავი ფული დავხარჯე, — მითხრა მან. მამამ ამ სიტყვებში ირონია ჩააქსოვა, აქაოდა, სამოცდაათ წელს მიტანებული მამა თავის დავაჟაკაცებულ შვილს ელაპარაკებოდა, მაგრამ ირონია არ გამოუვიდა, სიტყვა „ფულმა“ გათომა. მან თავის ქნევით ლიმონათხეც უარი თქვა და წითელ ღვინოზეც.

— ამგვარ ვითარებაში ყველაზე საიმედო სასმელი მინერალური წყალია.

სერვანტიდან ორი ჭიქა გამოვიღე და მინერალური წყლით საგსე ბოთლი გავხსენი. ამჯერად მარცხი არ მომსვლია. მამა თვალს მადვენებდა და გულკეთილად მიქნევდა თავს.

— ხომ არ გეხამუშება, საბანაო ხალათში რომ დავრჩე? — ვკითხე მე.

— დიახ, მეხამუშება, — მითხრა მან. — წესიერად ჩაიცვი, გეთყვა. შენი მორთულობა და ყავის სუნი სიტუაციას სასაცილოს ხდის, რაც სრულიად უადგილოა, რადგან სერიოზულად უნდა მოგელაპარაკო. გარდა ამისა, — მაპატიე, ასე გულახდილად რომ გეუბნები, — მძაგს ყველა ჯურის ფეთხუმი. იმედია, შენ ეს გახსოვს.

— სიფეთხუმე აქ არაფერ შუაშია, — ვუპასუხე მე, — ეს მხოლოდ განმუხტვის ერთგვარი ფორმაა.

— არ ვიცი, რამდენჯერ იყავი შენს სიცოცხლეში დამჯერე შვილი, ახლაც არ ხარ ვალდებული, დამიჯერო. მე მხოლოდ იმას გთხოვ, რომ პატვი დამდო.

გავოცდი. ადრე მამაჩემი მორცხვი და სიტყვაძუნწი კაცი იყო. ეტყობა, „მომხიბვლელი დამაჯერებლობით“ მსჯელობა და კამათი ტელესტუდიაში ისწავლა. მე მეტისმეტად დაღლილი ვიყავი იმისათვის, რომ ამ „მომხიბვლელობისათვის“ წინააღმდეგობა გამეწია.

სააბაზნაოში გასულმა, ყავით დასველებული წინდები გავიძვრე, პერანგი, შარვალი და პიჯაკი ჩავიცვი, შემდეგ ფეხშიშველი სამზარეულოში შევეკარდი, გაცხელებული თეთრი ლობიო თეფშზე დავახვავე, თოხლოდ მოხარშული კვერცხები პირდაპირ ლობიოში ჩავახალე, ნაჭუჭებიდან კვერცხის ნარჩენები კოვზით ამოფხიკე, პურის ნაჭერი და კოვზი თან გავიყოლე და საერთო ოთახში გავედდი. მამაჩემს სახეზე გამოეხატა გოცებისა და ზიზღის ოსტატური ნარევი.

— მაპატიე, — ვუთხარი მე, — დილის ცხრა საათიდან პირში

არაფერი ჩამიდვია. მე მგონი, არ გჭირდება, შენს ფეხებთან გულწასული რომ გავიშხლართო.

მამამ ნაძალადევად გაიცინა, თავი გააქნია და თქვა:

— ჰო, კარგი, მაგრამ იცოდნე, მარტო ცილოვანი ნივთიერებები ჯანმრთელობისათვის მავნებელია.

— შემდეგ ვაშლს დავაყოლებ, — ვუთხარი მე. ლობიო და კვერცხი ერთმანეთში აუთქვიფე, პური ჩაგებიჩე და ერთი კოუზი სალაფუვი პირში ჩავიდე; კერძი გემრიელი მომეჩვენა.

— ცოტაოდენი პომიდვრის წვენი მაინც დაგესხა ზედ, — მითხრა მამაჩემმა.

— ჩემს სახლში ასეთი რამ არ მოიპოვება, — ვუპასუხე მე.

მეტისმეტად ხარბად ვჭამდი და, ეტყობა, მამაჩემს არ სიამოვნებდა პირის წკლაპუნი — ვფქვლეფდი და, აბა, რა იქნებოდა. იგი ცდილობდა ზიზღი დაემალა, მაგრამ აშკარად არ გამოსდიოდა. ბოლოს ფეხზე წამოვდექი, სამზარეულოში გავედი და მაცივართან გაჩერებულმა თუფში მოვასუფთავე. ვჭამდი და თან მაცივრის ზემოთ დაკიდებულ სარკეში ვიცქირებოდი. რამდენიმე კვირაა, რაც ყველაზე აუცილებელ ვარჯიშზეც კი ავიდე ზელი — სახის კუნთების ვარჯიშზე. კლოუნი, რომლის ოსტატობის მთელი ეფექტი სახის უძრაობაზეა დამყარებული, უნდა ეცადოს, რომ ძალიან მოძრავი სახე ჰქონდეს. პირველ ხანებში, ვარჯიშის დაწყებამდე ჩემს თავს სარკეში ენას ვუყოფდი, რათა ჯერ დამეახლოებინა საკუთარი თავი, სანამ ისევ შეეძლებდი, ჩემთვისვე უცხო გაემხდარიყავი. შემდეგ მოვეუშვი ამას და ჩემს თავს ყოველდღე მთელი ნახევარი საათი ისე ვაჩერებოდი სახეში, რომ არავითარ ფანდს არ მივმართავდი. ბოლოს მთლიანად ვეთიშებოდი ჩემსავე მეს და, რადგან არ შემეძლო ნარცისივით დავმტკბარიყავი საკუთარი თავის ცქერით, ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ჭკუაზე ვიშლებოდი. ამ დროს სრულიად მაინფყდებოდა, რომ ის, ვისაც სარკეში ვუშხერდი, მე ვარ. როცა ვარჯიშს დავამთავრებდი, სარკეს კედლისაკენ შევებრუნებდი და, თუ იმ დღეს სააბაზანოში ან საპირფარეოში შემთხვევით სარკეში ჩავიხედავდი, შიში მიპყრობდა: სარკიდან უცხო კაცი მიმხერდა და აღარ ვიცოდი, ეს გრძელცხვირა, გაფითრებული მოჩვენება სერიოზული იყო თუ სასაცილო; მაშინვე თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი მარისთან, რათა მის თვალებში ჩემი სახე დამენახა. მაგრამ მას შემდეგ, რაც მარიმ

მიმატოვა, სახის კუნთებს ვეღარ ვავარჯიშებ, მეშინია, არ გავგიჟდეროცა ვარჯიშს ვამთავრებდი, სახე სულ ახლოს მიმქონდა მარისთან და მის თვალებში ვხედავდი პაწაწინა, ოდნავ დამახინჯებულ, მაგრამ ნაცნობ სახეს. ეს მე ვიყავი, ის სახე იყო, რომლისაც სარკეში მეშინოდა. როგორ ამეხსნა ცონერერისათვის, რომ მარის გარეშე სარკის წინ ვარჯიში აღარ შემეძლო. ახლა, როცა ჩემს თავს ჭამის დროს ვაკვირდებოდი, შიში კი არა, მჭმუნვარება მიპყრობდა. ცხადად ვხედავდი კოვზს, ლობიოს, რომელშიც კვერცხის გული და ცილა იყო ადღვებილი, პურის ნაჭერს, ხელში რომ თანდათან მეღეოდა. სარკე ისეთ გულის ამაჩუყებელ რეალობას ირეკლავდა, როგორცაა მოსუფთავებული თეფში, დაპატარავებული პურის ნაჭერი და ოდნავ მოთხუზნილი პირი. პირი პიჯაკის სახელოთი მოვიწმინდე. ვარჯიშს არ შევდგომივარ, რადგან ირგვლივ არაფერი მეგულებოდა ისეთი, სარკისაგან რომ მიხსნიდა. დანაყრებულმა, ნელა გავწიე საერთო ოთახისაკენ.

— ასე ჩქარა მორჩი? — მითხრა მამაჩემმა, — მეტიხსმეტად ჩქარა ჭამ. ახლა მაინც დაჯექი. საჭმელს არაფერს დააყოლებ?

— არა, — ვუპასუხე მე, — მინდოდა ყავა მომეხარშა, მაგრამ არაფერი გამომივიდა.

— ხომ არ მოგიშნალო? — მკითხა მან.

— შევიძლია?

— ჩემზე ამბობენ, კარგ ყავას ხარშავსო.

— არ ღირს, — ვუთხარი მე, — ცოტა მინერალურ წყალს დააყოლებ, რა მნიშვნელობა აქვს ამას.

— ყავის მოხარშვა მუხალისება, — მითხრა მან.

— არა, გმადლობ, — ვუთხარი მე, — სამზარეულოში არ შეიხედება: იატაკზე ყავის გუბე დგას, კონსერვის ცარიელი ქილა აგდია და კვერცხის ნაჭუჭები ყრია.

— როგორც გნებავს, — მითხრა მან. ისეთი შეურაცხყოფილი ჩანდა, გაგეცინებოდა. შემდეგ მინერალური წყალი დამისხა და პორტსიგარი გამომიწოდა. სიგარეტი გამოფართოვი. მან ცეცხლი მომიკიდა და ერთად გააბოლეთ. მამა შემეცოდა. თეფშზე დახვავებული ლობიოთი, ალბათ, მთლად ავუბნიე თავგზა. ცხადია, იგი ფიქრობდა, ჩემთან ის დახვდებოდა, რასაც თვითონ ბოჰემას ეძახდა — საგანგებო არეულ-დარეულობა, ჭერსა და კედლებზე ყოველგვარი მო-

დერნისტული მაიმუნობა, მაგრამ ჩემს ბინაში არავითარი სტილი არ იგრძნობოდა, შემთხვევით ნაშოვნი ნივთებით იყო გაწყობილი, თითქმის მდაბიურად გამოიყურებოდა და ვამჩნევდი, რომ მას ეს თრგუნავდა. სერვანტი ავეჯის მაღაზიის კატალოგის მეშვეობით ვიყიდეთ, კედლებზე რეპროდუქციები დაკვიდეთ, მათ შორის, მხოლოდ ორია აბსტრაქტული. ყველაზე მეტად მომწონს კომოდის ზემოთ დაკიდებული მონიკა ზილვისის ორი აკვარელი. „რაინის ლანდშაფტი III“ და „რაინის ლანდშაფტი IV“, რომლებიც თეთრად შეფერადებულ მუქნაცრისფერ ტონებშია შესრულებული. რამდენიმე ლამაზი ნივთი — სკამები, ვაზები და კუთხეში მდგარი გორგოლაჭებიანი პატარა მაგიდა — მარიმ იყიდა. მამაჩემი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც გარკვეული ატმოსფერო სჭირდებათ, ჩვენი ბინის ატმოსფერომ კი გააღიზიანა, დაამუნჯა.

— დედამ გითხრა, რომ აქა ვარ? — ვკითხე ბოლოს, რადგან მეორე სიგარეტის მოკიდებამდე სიტყვა არც ერთს არ დაგვცდენია.

— კი, — მიპასუხა მან, — ნუთუ არ შეგიძლია მოეშვა დედაშენს და ისე დაელაპარაკო, რომ კბილი არ გაჰკრა.

— მას რომ საკომიტეტო ხმით არ ეპასუხა, ყველაფერი სხვანაირად წარიმართებოდა.

— რა გაქვს ამ კომიტეტის საწინააღმდეგო? — მკითხა მან მშვიდად.

— არაფერი, — ვუპასუხე მე. — მისასაღმებელიც კია, რასობრივ წინააღმდეგობათა მორიგება რომ სურთ, მაგრამ მე რასებზე სხვანაირი წარმოდგენა მაქვს, ვიდრე კომიტეტს. მაგალითად, ზანგები მოდის უკანასკნელი ყიჟინია... მინდა დედაჩემს ვურჩიო, ერთი ჩემი ნაცნობი ზანგი შეიფაროს, საშობაო სამკაულად გამოადგება. ამავე დროს, თუ დაფიქრდებით, ზანგთა ასობით რასა არსებობს. ამიტომ კომიტეტი უსაქმოდ არასოდეს დარჩება. გარდა ამისა, ამქვეყნად ბოშებიც ცხოვრობენ. დედას ერთხელ მაინც უნდა შეეპატიჟებინა ზოგიერთი მათგანი ჩაიხე პირდაპირ ქუჩიდან. ასე რომ, ჯერ კიდევ ბევრი საქმეა გასაკეთებელი.

— მე აქ ამაზე სალაპარაკოდ არ მოვსულვარ, — თქვა მამამ.

გავჩუმდი. მან შემომხედა და წყნარად მითხრა:

— შენთან ფულზე სალაპარაკოდ მოვედი.

ხმა არ ამომიღია.

— მე მგონი, საკმაოდ გიჭირს. მიპასუხე რამე.

— „გიჭირს“ მშვენიერი სიტყვაა. მე, ალბათ, მთელ წელიწადს ვერ შევძლებ სცენაზე გამოსვლას. შეხედე ამას!

შარვლის ტოტი ავიწიე, გასივებული მუხლი ვაჩვენე, შემდეგ ტოტი გავისწორე და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მკერდის მარჯვენა მხარეს დავიდე. — და აი, აქაც, — ვუთხარი მე.

— ღმერთო ჩემო, — წამოიძახა მან, — გული?

— დიას, — ვუპასუხე მე, — გული.

— ღრომერთს დაუურეკავ, ვთხოვ, მიგიდოს. გულის უკეთესი სპეციალისტი ჩვენ არა გვყავს.

— ვერ გამოიგე, — ვუთხარი მე, — ღრომერთის კონსულტაცია არ მჭირდება.

— აკი თქვი, გულიო.

— ალბათ, უნდა მეთქვა სული, ხასიათი, გუნება, — ვუპასუხე მე, — მაგრამ გული უფრო შესაფერისი მომეჩვენა.

— აი, თურმე რა ყოფილა, — მითხრა მან ცივად, — შენ „ის ამბავი“ გაქვს მხედველობაში?

„ის ამბავი“, ალბათ, ზომერვილდმა უამბო კეთილშობილთა კავშირში სკატის თამაშის დროს, ვიდრე კურდღლის გულ-ღვიძლის პილპილიან რაგუს მიირთმევდნენ და ლუდს სვამდნენ, როცა ვილაცას ხელში შერჩა გულის კოზირი უსამიანოდ.

მამა წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა, შემდეგ სავარძლის უკან გაჩერდა, საზურგეს დაეყრდნო და ზემოდან დამხედა.

— ცხადია, სულელურად ჟღერს და მაღალფარდოვან სიტყვებად მოგეჩვენება, მაგრამ იცი, რა გაკლია? — მითხრა მან, — ის, რაც მამაკაცს მამაკაცად ხდის, გარემოსთან შეგუების უნარი.

— დღეს მე ეს ერთხელ უკვე მოვისმინე, — ვუპასუხე მე.

— მაშინ მესამედაც მოისმინე. უნდა შეეგუო გარემოს.

— თავი დამანებე, — ვუპასუხე დაღლილმა.

— როგორ გგონია, რა ხასიათზე დავდგებოდი, როცა ლეო მომადგა და გამომიცხადა, კათოლიკე უნდა გავხდეო. ეს ამბავი ჩემთვის ისევე მტკივნეული იყო, როგორც ჰენრიეთეს სიკვდილი. რომ ეთქვა, კომუნისტი ვხდებიო, გული ნაკლებად მეტკინებოდა. ახალგაზრდა კაცი რომ აჰყვება მცდარ ოცნებას სოციალურ სამართლიანობასა და მსგავს რაღაცაზე, ამის წარმოდგენა შემიძლია. მაგრამ ეს, — იგი

საყრდლის საზურგეს ჩაეჭიდა და თავი ძლიერ გადააქნია, — ეს არა, არა.

ეტყობა, არ ხუმრობდა, რადგან ერთიანად გაფითრდა და ბევრად უფრო ხნიერი გამოჩნდა, ვიდრე სინამდვილეში იყო.

— დაჯექი, მამა, და ერთი ჭიქა კონიაკი დალიე.

იგი დაჯდა და თავით კონიაკის ბოთლზე მანიშნა. სერვანტიდან ჭიქა გამოვიღე და დაუხსნი. კონიაკი ისე დალია, რომ არც მადლობა უთქვამს და არც გაგიმარჯოსო.

— შენ ეს, ალბათ, არ გესმის, — მითხრა მან.

— არა, — ვუპასუხე მე.

— მაშინებს ყველა ახალგაზრდა კაცი, ვისაც ასეთი რამ სწამს, — მითხრა მან. — ამიტომაც მომხვდა ასე მწარედ გულში, მაგრამ მაინც შევეგუე... შევეგუე. რატომ მიყურებ ასე?

— შენთან ბოლიში მაქვს მოსახდელი, — ვუთხარი მე, — როცა ტელევიზორის ეკრანზე გხედავდი, ვფიქრობდი, დიდებული მსახიობი იქნებოდა, კლოუნისაც კი სცნია რაღაც-მეთქი.

მან უნდობლად შემომხედა, ცოტათი შეურაცხყოფილიც კი მოქრევენა და ამიტომ სწრაფად დაუძინე:

— არა, მამი, მართლა სწორუბოვარი იყავი.

მიხაროდა, რომ კვლავ ვიპოვე „მამი“.

— უბრალოდ, მათ თავს მომახვიეს ეს როლი, — მითხრა მან.

— შენზეა ზედგამოჭრილი, — ვუთხარი მე, — დიდებულად თამაშობ.

— მე არასოდეს ვთამაშობ, — მითხრა მან სერიოზულად, — არასოდეს, არ მჭირდება თამაში.

— იკითხონ შენმა მტრებმა, — ვუთხარი მე.

— მტრები არ მყავს, — მითხრა მან აღშფოთებით.

— მით უარესი შენი მტრებისათვის, — ვუთხარი მე.

კვლავ უნდობლად შემომხედა, მაგრამ შემდეგ გაეცინა და მითხრა:

— მე მართლა არ ვთვლი მათ მტრებად.

— კიდევ უფრო ცუდად ყოფილა საქმე, ვიდრე ვფიქრობდი, — ვუპასუხე მე. — განა იმათ, ვისაც მხოლოდ ფულზე ელაპარაკები, არ იციან, რომ ყველაზე მნიშვნელოვანს მაღავთ, ან, იქნებ, ეკრანზე გამოჩენამდე წინასწარ უთანხმდებით ერთმანეთს?

მან კონიაკი დაისხა და გაკვირვებულმა შემომხედა.

— მინდოდა შენთან მომავალზე მელაპარაკა.

— ერთი წამით მომიტმინე, — შევაჩერე მე, — უბრალოდ მაინტერესებს, როგორ ახერხებთ ამას. ყოველთვის ასახელებთ პროცენტებს — ხუთი, ათი, ოცი, ორმოცდაათი პროცენტი, მაგრამ არასოდეს ამბობთ, რა თანხის პროცენტებია ეს.

მან ჭიქა ასწია, კონიაკი დალია და შემომხედა. საკმაოდ ბრიყვული გამომეტყველება ჰქონდა.

— არითმეტიკაში დიდად განსწავლული არა ვარ, — განვაგრძე მე, — მაგრამ ვიცი, რომ ნახევარი პფენიგის ასი პროცენტი ნახევარი პფენიგია, ხოლო ერთი მილიარდის ხუთი პროცენტი — ორმოცდაათი მილიონი... გესმის?

— ღმერთო ჩემო, — მითხრა მან, — ნუთუ შენ იმდენი დრო გაქვს, რომ ტელევიზორს უყურებ?

— დიახ, — ვუპასუხე მე, — იმ ამბის შემდეგ, როგორც შენ უწოდებ, ხშირად ვუყურებ ტელევიზორს, დიდებულად მაცარიელებს, მთლიანად მაცარიელებს... თანაც, როცა საკუთარ მამას სამ წელიწადში ერთხელ ხედავ, გიხარია, ტელევიზორის ეკრანზე მაინც რომ დაინახე. ამ დროს სადღაც ნახევრად ბნელ ლუდხანაში ვზივარ და ლუდს ვწრუპავ... ზოგჯერ მართლაც ვამაყობ შენით. რა მარჯვედ არილებ თავს იმას, უეცრად რომ ვინმემ გკითხოს, რა თანხიდანო...

— ცდები, — მითხრა მან ცივად, — მე არაფერს ვარიდებ თავს.

— განა მოსაწყენი არ არის, კაცს რომ სულ არ ჰყავს მტრები?

იგი წამოდგა და გაბრაზებით შემომხედა. მეც წამოვდექი. ჩვენ-ჩვენი სავარძლების უკან გაგჩერდით და ხელები საზურგეზე დავაწყვეთ. მე გამეცინა:

— რა გასაკვირია, — ვუთხარი მე, — რომ, როგორც კლოუნს, პანტომიმის თანამედროვე ფორმები მაინტერესებს. ერთხელ, როცა ლუდხანის უკანა ოთახში მარტო ვიჯექი, ტელევიზორმა ხმა დაკარგა, დიდებული რამ ვიხილე: *l'art pour l'art*¹-ის შეჭრა ხელფასის პოლიტიკასა და ეკონომიკაში. სამწუხაროა, რომ არასოდეს გინახავს ჩემი ნომერი „სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა“.

— აი, რა უნდა გითხრა, — დაიწყო მან, — შენ შესახებ გენე-

¹ *l'art pour l'art* (ფრ.) — ხელოვნება ხელოვნებისათვის.

ჰოლმს ველაპარაკე. ვთხოვე შენი რამდენიმე ნომერი ენახა და ჩემთვის ერთგვარი რეცენზია წარმოედგინა.

უეცრად დამამთქნარა. უზრდელობა იყო, მაგრამ რა გაეწყობოდა. კარგად მესმოდა, როგორი საჩოთირო მდგომარეობა შეიქმნა. ღამე ცუდად მეძინა, დღეც მძიმე მქონდა. მაგრამ როცა სამი წლის უნახავ მამას პირველად ხვდები და ცხოვრებაში პირველად ელაპარაკები სერიოზულად, მთქნარება ვერაფერი თავაზიანობაა. მე ძალიან ვღელავდი, ამავე დროს, საშინლად დაღლილი ვიყავი და ვნანობდი, რომ მაინცდამაინც ახლა ამიტყდა მთქნარება. გენეჰოლმის გვარმა დასაძინებელი წამალივით იმოქმედა ჩემზე. მამაჩემისთანა ადამიანები ფიქრობენ, რომ ყველაფერი საუკეთესო ამქვეყნად მათი წილხვედრია: გულის საუკეთესო ექიმი მსოფლიოში — დრომერთი, ფედერაციული რესპუბლიკის საუკეთესო კრიტიკოსი — გენეჰოლმი, საუკეთესო მკურავი, საუკეთესო შამპანური, საუკეთესო სასტუმრო, საუკეთესო მწერალი... რა მოსაწყენია. ჩემი მთქნარება კრუნჩხვებში გადაიზარდა, ყბებს ტკაცანი გაჰქონდა. გენეჰოლმი ჰომოსექსუალისტი იყო, მაგრამ ეს ფაქტი არაფერს ცვლიდა. მისი გვარი მაინც მოწყენილობას იწვევდა ჩემში. არიან შემაქცევარი ჰომოსექსუალისტებიც, მაგრამ მე სწორედ ასეთები მიმაჩნია მოსაწყენ ადამიანებად, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი ექსცენტრიკულნიც არიან. გენეჰოლმი კი ჰომოსექსუალისტიც იყო და ექსცენტრიკულიც. იგი დედაჩემის თითქმის ყველა წვეულებას ესწრებოდა და მოსაუბრეს ისე ეტმასნებოდა, რომ ძალაუვნებურად მის ამონასუნთქს სუნთქავდი და იცოდი, რა ჭამა იმ დღეს. ოთხი წლის წინათ, როცა უკანასკნელად შევხვდი, კარტოფილის სალათის სუნი უდიოდა და ამ სუნის გამო მისი მოიისფრო-წითელი ჟილეტი და თაფლისფერი მეფისტოფელური უღვაშები ექსტრავაგანტური აღარ მეჩვენებოდა. გენეჰოლმი ენამოსწრებელი კაცი იყო და, რადგან ეს ყველამ იცოდა, იძულებული იყო მუდამ ეხუმრა. ასე ცხოვრება დამქანცველია.

— მაპატიე, — ვუთხარი მამას, როცა დავრწმუნდი, რომ მკრუნჩხველი მთქნარება მომეშვა, — მაინც რას ამბობს გენეჰოლმი?

მამაჩემი შეურაცხყოფილი იყო. ასე ემართება ყოველთვის, როცა მისი თანდასწრებით ზედმეტის უფლებას აძლევენ თავს. ჩემმა მთქნარებამ სუბიექტურად კი არა, ობიექტურად ატკინა გული. თავი ისე გადააქნია, როგორც მაშინ, როცა ლობიოს სალაფავი დაინახა.

— გენეპოლში შენს ზრდას დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს, პირადად შენდამი კი ძალზე კეთილადაა განწყობილი.

— ჰომოსექსუალისტები არასოდეს კარგავენ იმედს, — ვუპასუხე მე, — ჯიუტი ხალხია.

— მოეშვი მაგას, — მითხრა მამაჩემმა უკმეხად, — გიხაროდეს, რომ ასეთი გავლენიანი და კომპეტენტური მფარველი გყავს.

— დიდად ბედნიერი ვარ, — ვთქვი მე.

— მაგას იმის საწინააღმდეგოც ბევრი რამ აქვს, რაც შენ აქამდე გიკეთებია. თუმცა არლეკინისათვის საჭირო ნიჭი არ გაკლია, საამისოდ მაინც არ ემეტები და ფიქრობს, ყველაფერ პიეროსეულს უნდა მოერიდო — როგორც კლოუნს არაფრად ვარგინხარ. მისი აზრით, დაუყოვნებლივ პანტომიმაზე გადასვლა შენი ერთადერთი საშველია. მისმენ? — მისი ხმა სულ უფრო და უფრო მკვეთრად ჟღერდა.

— როგორ არა, — მივუგე მე, — მესმის ყოველი შენი სიტყვა, ყოველი შენი ბრძნული და მართებული სიტყვა. ყურადღებას ნუ მიაქცევ, თვალები რომ მაქვს დახუჭული.

სანამ იგი გენეპოლმის სიტყვებს იმეორებდა, თვალები დახუჭული მქონდა. ამან ჩემზე დამამშვიდებლად იმოქმედა და მიხსნა მამაჩემის უკან, კედელთან დადგმული კომოდის ცქერისაგან. საზიზღარი ნივთი იყო და რაღაცით სკოლას მაგონებდა. მუქყავისფრად შეღებილ კომოდს შავი სახელურები და ზედა წახნაგთან ყვითელი დეკორატიული თამასა ჰქონდა. კომოდი მარის ოჯახიდან გვერგო წილად.

— განაგრძე, — ვთხოვე წყნარად, — ილაპარაკე.

დადლილობისაგან ცოცხალ-მკვდარი ვიყავი, მტკიოდა კუჭი, თავი და ისე დაძაბული ვიდექი სვარძლის უკან, რომ მუხლი კიდევ უფრო გამისივდა. დახუჭულ ქუთუთოებს მიღმა საკუთარ სახეს ვხედავდი, სწორედ ისეთს, როგორიც სარკიდან მიყურებდა ათასობით საათის ვარჯიშის დროს — სრულიად უმოძრაოს, თოვლივით თეთრი უმარილით დაფარულს. არც წამწამები იძვრიან, არც წარბები, მხოლოდ თვალებს ვამოძრაებ ნელა აქეთ-იქით შემკრთალი ბოცვერით და სწორედ ამით ვაღწევ იმ დიდ ეფექტს, რასაც გენეპოლმისთანა კრიტიკოსები „ანიმალური მელანქოლიის გამოხატვის საოცარ უნარს“ უწოდებენ. ახლა მკვდარი ვიყავი და ათასი საათის ვარჯიში ჩემს სახეში იყო გამოკეტილი, რადგან არავითარი შესაძლებლობა არ მქონდა მარის თვალებში ჩავძირულიყავი და თავი გადამერჩინა.

— ილაპარაკე, — ვთხოვე კვლავ.

— მირჩია, ერთ-ერთ საუკეთესო მასწავლებელს მიგაბარო ერთი ან ორი წლით, შეიძლება ნახევარი წლითაც. გენეპოლმის აზრით, შენტვის აუცილებელია ერთ რამეზე კონცენტრირება, სწავლა. თვითმგერძნების ისეთ დონეს უნდა მიაღწიო, რომ უშუალობა დაგიბრუნდეს... და ვარჯიში, ვარჯიში, ვარჯიში... მისმენ?

მადლობა ღმერთს, ამჯერად მისი ხმა უფრო რბილად ჟღერდა.

— დიახ, — ვუთხარი მე.

— მე მზად ვარ, ხელი გაგიმართო.

ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მუხლი გაზომეტრეით მრგვალი და სქელი გამიხდა. საუარძლის ირგვლივ ხელები ისე მოვაფათურე, რომ თვალები არ გამიხელა, საუარძელში ჩავჯექი და მაგიდაზე დადებული სიგარეტის კოლოფი ბრმასავით ხელის ფათურით მოვძებნე. მამაჩემს საზარელი ყვირილი აღმოხდა. მე ისე კარგად ვბაძავ ბრმას, რომ მართლაც ჰგონიათ, თითქოს მოულოდნელად დავბრმავდი. ჩემი სიბრძნე მვეე დავიჯერე და ვიფიქრე, იქნებ, მართლაც ბრმად დავრჩე-მეთქი. ბრმა კაცს კი არ განვასახიერებდი, არამედ კაცს, რომელიც ეს წუთია დაბრმავდა. როცა სიგარეტი პირში ჩავიდე, ვიგრძენი მამას სანთებლის ალი და ისიც, თუ როგორ თრთოდა.

— ჩემო ბიჭო, — მითხრა შეშინებულმა, — ავად ხარ?

— დიახ, — ვუპასუხე წყნარად, სიგარეტი მოვქაჩე და კვამლი ღრმად ჩავისუნთქე. — სასიკვდილოდ გადადებული ავადმყოფი ვარ, მაგრამ არა ბრმა. მტკივა კუჭი, თავი, მუხლი, მჭამს შავი მელანქოლია, მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ გენეპოლმი მართალია დაახლოებით სამოცდათხუთმეტი პროცენტით. მე ისიც კი ვიცი, კიდევ რა გითხრა. კლაისტზე ჩამოგიგდო სიტყვა, არა?

— მართალია, — მითხრა მამამ.

— ისიც ხომ გითხრა, ჯერ სული უნდა დაკარგო, მთლიანად დაუცარიელდე, რათა შემდეგ კვლავ მოვიპოვო იგი. გითხრა თუ არა?

— კი, მითხრა, — მიპასუხა მამამ, — შენ საიდან იცი?

— ღმერთო ჩემო, — ვუპასუხე მე, — ყველა მის თეორიას ვიცნობ და ვიცი, ვისგანაც ისესხა. მაგრამ სულის დაკარგვის არაუითარო სურვილი არა მაქვს, მე მისი უკან დაბრუნება მინდა.

— კი მაგრამ, დაკარგე?

— დიახ.

— სად არის?

— რომში, — ვუპასუხე მე, თვალები გავახილე და გავიცინე.

მამას მართლაც შეეშინდა, ერთიანად გაფითრდა და დაბერდა. მის სიტყვებში შვებასთან ერთად სიბრაზე იგრძნობოდა.

— ლაწირაკო, — მითხრა მან, — გამათამაშე?

— სამწუხაროდ, არა ბოლომდე და არც ისე ოსტატურად, — ვუპასუხე მე, — გენეპოლში იტყოდა: „ჯერ კიდევ მეტიმეტად ნატურალისტურია“, და მართალიც იქნებოდა. ჰომოსექსუალისტები მეტწილად მართალს ამბობენ, რადგან მდიდარი ინტუიცია აქვთ, მაგრამ მეტი არაფერი გააჩნიათ. რა გაეწყობა.

— ლაწირაკო, — გაიმეორა მამაჩემმა. — როგორ გამაცურე.

— არა, — ვუპასუხე მე, — არა, ნამდვილ ბრმაზე მეტად არ გამიცურებიხარ. აუცილებელი არ არის, ხელები აფათურო და საყრდენი ეძებო. ზოგი მართლა ბრმაა და მაინც ბრმას თამაშობს. გინდა აი, ახლა, შენ თვალწინ კოჭლობით მივალ კარამდე და შენ ტკივილისა და თანაგრძნობისაგან აყვირდები, მაშინვე დაურეკავ მსოფლიოში საუკეთესო ქირურგს, ფრეთცერს. დავიწყო? — მე უკვე ფეხზე წამოვდექი.

— არ მინდა, მოეშვი, — მითხრა გაწამებულმა და ისევ დავჯექი.

— შენც დაჯექი, — ვთხოვე მე, — ვერ ვისვენებ, როცა ფეხზე დგახარ.

მამა დაჯდა, მინერალური წყალი დაისხა და დაბნეულმა შემომხედა.

— შენსას კაცი ვერაფერს გაიგებს, — მითხრა მან, — გამაგებინე მაინც, რა გინდა? სად გირჩევნია გაემგზავრო სასწავლებლად — ლონდონში, პარიზში თუ ბრიუსელში, სწავლის ფულს გადავიხდი. საუკეთესოს თუ ავირჩევთ, კარგია.

— არა, — ვუპასუხე დაღლილმა, — სწორედ ეს იქნებოდა ცუდი, სწავლა ვერაფერს სარგებლობას ვეღარ მომიტანს. ჩემთვის მხოლოდ მუშაობაა საჭირო. ვსწავლობდი ცამეტი წლისა, თოთხმეტისა, ვსწავლობდი ოცდაერთ წლამდე. მხოლოდ თქვენ არ შეგიძინებიათ ეს. გენეპოლში თუ მართლა ფიქრობს, რომ მე კიდევ შემიძლია რამე ახალი ვისწავლო, უფრო ბრძივი ყოფილა, ვიდრე მეგონა.

— გენეპოლში სპეციალისტია, — მითხრა მამამ, — ყველაზე კარგი სპეციალისტი იმათ შორის, ვისაც კი აქ ვიცნობ.

— მართალია, ასეთი სპეციალისტი ჩვენ არ გვყავს, — ვუპასუხე მე, — მაგრამ იგი მაინც სპეციალისტია და მეტი არაფერი. გვარიანად იცნობს თეატრს, ერკვევა ტრაგედიაში, კომედიაში, *Commedia dell'arte*¹-ში, პანტომიმაში, მაგრამ, აბა, შეხედე, რას ჰგავს მისი კომედიანტური ცდები, როცა უეცრად იისფერ პერანგში გამოწყობილი და შავი აბრეშუმის ბაფთით ყელდამშვენებული გამოგვეცხადება. ასეთი რამისა დილეტანტსაც კი შერცხვებოდა. ყველაზე უარესი ის კი არ არის, კრიტიკოსები რომ კრიტიკულად არიან განწყობილნი, არამედ ის, რომ საკუთარი თავის მიმართ არც კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენენ და არც იუმორის გრძნობა გააჩნიათ, რაც საუბალლოა. რა თქმა უნდა, გენეპოლმი კარგი სპეციალისტია, მაგრამ თუ ჰკონია, სცენაზე გატარებული ექვსი წლის შემდეგ კიდევ სწავლას უნდა შეეუდგე — სულელი ყოფილა.

— მაშ, ფული არ გჭირდება? — მკითხა მან.

მის ხმაში რაღაც შეების მაგვარი იგრძნობოდა და ამან ეჭვი აღმიძრა.

— როგორ არა, — ვუპასუხე მე, — ფული ძალიან მჭირდება.

— რაში უნდა გამოიყენო. ასეთ ვითარებაში კვლავ აპირებ სცენაზე გამოსვლას?

— რა ვითარებაში? — ვკითხე მე.

— რა და, — მითხრა ოდნავ დარცხვენილმა, — ხომ იცი, რასაც წერენ შენზე გაზეთები.

— გაზეთები? — ვკითხე მე. — სამი თვეა მხოლოდ პროვინციის სცენაზე გამოვდივარ.

— მე ყველა გაზეთს მოუყარე თავი და გენეპოლმთან ერთად შევისწავლე.

— დასწყევლოს ეშმაკმა, — ვთქვი მე, — რამდენი გადაუხადე ამაში?

მამა გაწითლდა.

— მოუშვათ ამ ამბავს, — მითხრა მან, — ამგვარად, რას აპირებ?

— ვარჯიშს, — ვუპასუხე მე, — ნახევარი წელი, ერთი წელი, ჯერჯერობით არ ვიცი.

— სად?

¹ *Commedia dell'arte* (იტალ.) — ნიღბების კომედია.

— სად და აქ, — ვუთხარი მე, — აბა, სხვაგან კიდევ სად?

მან თავს ძალა დაატანა, რომ შიში არ გამოემჟღავნებინა.

— არც შეგაწუხებთ და არც შეგარცხვენთ, თქვენს ჟურფიქსზეც კი არ მოვალ, — ვუთხარი მე.

იგი გაწითლდა. რამდენჯერმე მათ ჟურფიქსზე, შინაურულად კი არა, უცხოსავით გამოვცხადდი. სტუმარივით ვსვამდი კოქტეილს, ვატანდი ზეთისხილს, ვსვამდი ჩაის, ხოლო გამომშვიდობებისას სიგარეტებს ისე მოურიდებლად ვიტენიდი ჯიბეში, რომ მოსამსახურეები ამას ხედავდნენ, წითლდებოდნენ და პირს მარიდებდნენ.

— აჰ, — თქვა მამაჩემმა და სავარძელში შეტრიალდა. ყველაფერს ერჩია ამდგარიყო და ფანჯარასთან გაჩერებულიყო, მაგრამ ამის ნაცვლად თვალები დახარა და მითხრა:

— მერჩია უფრო საიმედო გზას დასდგომოდი, იმ გზას, გენეპოლ-ში რომ გირჩევს. საეჭვო საქმის დაფინანსება მიჭირს. ნუთუ შენ არაფერი დაზოგე? ბოლო წლებში მგონი, კარგი შემოსავალი გქონდა.

— პფენიგი არ დამიზოგავს. ჯიბეში მხოლოდ ერთი მარკა მიდევს.

ჯიბიდან მარკა ამოვიღე და მამას ვუჩვენე. იგი მართლა დაიხარა და ისე დაუწყო თვალთვლება მარკას, როგორც უცნაურ მწერს.

— დაჯერება მიჭირს, — მითხრა მან, — ყოველ შემთხვევაში, მფლანგველად მე არ გამიზრდიხარ. რა თანხა დაგჭირდება ყოველთვიურად, როგორა გაქვს მთელი ეს ამბავი წარმოდგენილი?

გული ძლიერ ამიჩქროლდა. არ მეგონა, ასე პირდაპირ თუ შემომთავაზებდა დახმარებას. დავფიქრდი, არც ძალიან ბევრი უნდა მომეთხოვა და არც ძალიან ცოტა. ერთი სიტყვით, იმდენი, რომ საცხოვრებლად მყოფნოდა. მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა, რამდენი დამიჯდებოდა. ისე ავღელდი, ოფლმა დამასხა.

— უპირველეს ყოვლისა, — ვთქვი მე, — მჭირდება რეზინის სქელი ლეიბი, დაახლოებით ამ ოთახის სიგრძე-სიგანისა, შვიდი მეტრი ხუთზე. შეგიძლია უფრო იაფად შეიძინო რეზინის დამამზადებელი ფაბრიკიდან, რაინზე რომ გაქვთ.

— კეთილი, — მითხრა მან ღიმილით, — შემომიწირავს ლეიბი — შვიდი მეტრი ხუთზე, მაგრამ გენეპოლში ფიქრობს, რომ აკრობატიკაზე არ უნდა დახურდავდე.

— არც ვაპირებ, მამი, — ვუთხარი მე, — ლეიბის გარდა, თვეში ათასი მარკა დამჭირდება.

— ათასი მარკა, — გაიკვირვა მან და წამოდგა. მამაჩემს მართლა შეეშინდა, ტუჩები უკანკალებდა.

— ჰო, კარგი, — ვუთხარი მე, — შენ რამდენს ვარაუდობდი?

წარმოდგენა არ მქონდა, სინამდვილეში რამდენი ფული ჰქონდა მამაჩემს. იმდენი ანგარიში კი ვიცოდი, თვეში ათასი მარკა წელიწადში რომ თორმეტი ათას მარკამდე ავიდოდა, მაგრამ ასეთი თანხა მას არ გააკოტრებდა. იგი მართლაც მილიონერი იყო. ეს მარის მამამ ერთხელ მიანგარიშა და დაწვრილებითაც ამიხსნა. ახლა ზუსტად აღარ მახსოვს, მაგრამ მამაჩემს აქციები ყველგან ჰქონდა და ყველაფერში „ერია ხელი“, საბანაო ფხვნილებებისა და სითხეების ფაბრიკაშიც კი.

მამა თავისი სავარძლის უკან სრულიად მშვიდად სცემდა ბოლთას და ტუჩებს ისე ამოდრავებდა, თითქოს რაღაცას ანგარიშობსო. იქნებ, მართლაც ანგარიშობდა, მაგრამ ეს ძალიან დიდხანს გაგრძელდა.

კვლავ გამახსენდა, როგორ იძუნწეს ჩემმა მშობლებმა, როცა მე და მარი ბონიდან გაუიქცეთ. მამამ მომწერა, მორალური მოსაზრებების გამო ვერაფრით დაგეხმარებით, ვიმედოვნებ, საკუთარ თავს და „შენ მიერ შეცდენილ წესიერ, გაუბედურებულ ქალიშვილს გამრჯე მარჯვენით შეინახავ“. როგორც იცი, მე ყოველთვის ვაფასებდი მოხუც ღერკუმს, როგორც მოწინააღმდეგეს და როგორც ადამიანს, და ამიტომ შენი საქციელი სამარცხვინოდ მიმაჩნიაო.

ჩვენ კიოლნის ერთ-ერთი რაიონის, ერენფელდის პანსიონატში ვცხოვრობდით. ის შეიდასი მარკა, მარიმ რომ დედისგან მიიღო მე-მკვიდრეობით, ერთ თვეში გაქრა. მე კი მეგონა, დიდ მომჭირნეობას ვიჩენდი და ძალზე გონივრულად ვხარჯავდი ფულს.

პანსიონატი ერენფელდის სადგურის მახლობლად მდებარეობდა. ჩვენი ოთახის ფანჯრიდან რკინიგზის მიწაყრილი და აგურის წითელი კედელი მოჩანდა. ქალაქში მურა ნახშირით დატვირთული მატარებლები შემოდისოდნენ და უკან ცარიელი ბრუნდებოდნენ. სანუგემო სანახაობა იყო, ბორბლები გულის ამაჩუყებლად რახრახებდნენ. მოდი და ნუ იფიქრებდი ჩვენი ოჯახის გაწონასწორებულ ქონებრივ მდგომარეობაზე. სააბაზანოდან თუთიის ტაშტები და თოკზე გაკიდებული სარეცხი მოჩანდა. ზოგჯერ სიბნელეში მესმოდა, როგორ ისროდნენ ფანჯრიდან ეზოში მალულად კონსერვის

კლოფს ან ნაგვით სავსე პარკს. აბაზანაში ჩაწოლილი, ხშირად ვმღეროდი ლიტურგიულ სიმღერებს. დიასახლისმა ჯერ სიმღერა ამიკრძალა: ხალხი იფიქრებს, გაკრეჭილ მღვდლებს ვმალავო, შემდეგ კი — აბაზანით სარგებლობაც. მისი აზრით, მეტისმეტად ხშირად ვბანაობდი, რასაც ზედმეტ ფუფუნებად თვლიდა. ზოგჯერ დიასახლისი ეზოში ჩადიოდა და ნაგვის გადმომყრელის ვინაობა რომ დაედგინა, ნაგვით სავსე პარკებს ქექავდა: ხახვის ნაფცქვენები, ყავის ნალექი, დაბეგვილი კატლეტების ძვლები დიდძალ მასალას აძლევდა ფიქრისა და ვარაუდისათვის, საყასბოებსა და ბოსტნეულის ღუქნებშიც გამოიკითხავდა ხოლმე, იქნებ, რამე საგულისხმო დასცდეთო, მაგრამ უშედეგოდ.

ნასუფრალით ვერც ერთხელ ვერ მიაკვლია, ვინ იყო ეს ინდივიდი. ამიტომ წყევლა-კრულვა, რომელსაც იგი სარეცხით დაფარულ ზეცას უგზავნიდა, ისე იყო ჩამოყალიბებული, რომ ყველას ეგონა, პირადად მე მგულისხმობსო.

— ვერაინ მობატყუებს, ღდინში ჩავყვები და მაინც გავიგებ.

დიღდიღობით ფანჯრის რაფაზე გადაყუდებულნი ვუღარაჯებდით ფოსტალიონს, რომელსაც ჩვენთვის ზოგჯერ მარის მეგობარი ქალების, ლეოსა და ანას ამანათები მოჰქონდა. დროდადრო, ძალზე არარეგულარულად, ბაბუაჩემიც გვიგზავნიდა ჩეკს. ჩემი მშობლები კი მხოლოდ იმას მოითხოვდნენ, რომ ჩემი ბედის გამგებელი თავად ვყოფილიყავი და საკუთარი ძალ-ღონით გავძლავებული გაჭირვებას.

მოგვიანებით დედამ ისიც კი მომწერა, შვილად არ გცნობო. მისი უგემოვნობა ზოგჯერ იდიოტურ უკიდურესობამდე მიდიოდა. წერილში ჩაჩხირა ციტატა შნიცლერის რომანიდან „გაორებული გული“. ამ რომანში მშობლები არ ცნობენ თავიანთ ქალიშვილს, რომელმაც უარი თქვა გაეჩინა შვილი „კეთილშობილი, მაგრამ უვარგისი ხელოვანისაგან“, მგონი, მსახიობისაგან. დედამ სიტყვასიტყვით ამოწერა ციტატა რომანის მერვე თავიდან: „სინდისი მკარნახობს, არ გცნო“. დედაჩემის აზრით, ეს ციტატა ზუსტად გამოხატავდა ჩემდამი მის დამოკიდებულებას. ასეა თუ ისე, „შვილად აღარ მცნობდა“.

დარწმუნებული ვარ, დედაჩემმა ეს იმიტომ გააკეთა, რომ „არცნობა“ ზედმეტ უსიამოვნებას აარიდებდა როგორც მის სინდისს, ასევე მის პირად ანგარიშზე ჩარიცხულ ფულსაც. ჩემიანები მოელოდნენ,

რომ მე გმირული ცხოვრების გზას დაუდგებოდი: ფაბრიკაში ან მშენებლობაზე დაფიწყებდი მუშაობას, რათა სატროფო მერჩინა, მაგრამ ასე არ მოვიქეცი და ყველას იმედი გაუცრუვდა. ლეომ და ანამაც აშკარად მაგრძნობინეს, როგორ გაუცრუე მათ იმედები. ფიქრებში ისინი უკვე მხედავდნენ, როგორ გამოვდიოდი უთენია სახლიდან ილ-ლიაში ამოჩრილი თუნუქათი და ბუტერბროდებით, როგორ ვუგზავნიდი ხელით მარის ოთხას კოცნას და საღამოობით როგორ ვბრუნდებოდი შინ „დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი“, როგორ ვკითხულობდი გაზეთებს და შვეცქეროდი ქსოვით გართულ მარის. მაგრამ მე ოდნავადაც არ ვცდილვარ, მათი ეს წარმოდგენა რეალობად მექცია. სულ მარისთან ვიყავი და მარისაც ერჩია, მის გვერდით ვყოფილიყავი. თავს „ხელოვნად“ ვგრძნობდი (გაცილებით მეტად, ვიდრე ოდესმე მიგრძნია შემდეგ) და ორივენი ხორცს ვასხამდით ჩვენს ბავშვურ ოცნებას ბოჰემაზე: ოთახში „კიანტის“ ბოთლები გვედგა, კედლებს ჯვალოთი და აჭრელბუქი ხის ქერქებით ვრთავდით. როცა კიოლნში გატარებულ წელს ვიგონებ, ისე მიჩუყდება გული, რომ დღესაც ვწითლდები. კვირის ბოლოს მარი დიასახლისს ესტუმრებოდა და როგორც კი ბინის ქირის გადავადებას სთხოვდა, დიასახლისი ერთ ქოთქოთს ატეხდა, ჩემზე ეუბნებოდა, რატომ არ იწყებს მუშაობასო.

— ჩემი ქმარი ხელოვანია, დიახ, ხელოვანი, — ეუბნებოდა მარი დიდებული პათოსით.

ერთხელ გავიგონე, როგორ შესძახა ჭუჭყიან კიბეზე გაჩერებულმა მარიმ დიასახლისს კარდია ოთახში:

— დიახ, ხელოვანი!

დიასახლისმა კი პასუხად ხრინწიანი ხმით მიაყვირა:

— რაო, ხელოვანი? თანაც ქმარია? რას გაიხარებენ ქორწინების სარეგისტრაციო ბიუროში!

ყველაზე უფრო დიასახლისს ის ახელებდა, რომ ჩვენ თითქმის ყოველდღე ათ ან თორმეტ საათამდე ლოგინში ვიწექით. აბა, სად ჰქონდა ამ ქალს იმდენი ფანტაზია, მიმხვდარიყო, რომ ამ გზით ყველაზე მოხერხებულად ვზოგავდით ერთი საუზმისა და რეფლექტორისათვის საჭირო დენის ფულს, არც ის იცოდა, თორმეტ საათამდე რომ არ მიშვებდნენ საჰარჯიშოდ სამრევლოს პატარა დარბაზში, რადგან იმ დარბაზში შუადღემდე ყოველთვის რაღაც ღონისძიება იმართებოდა: კონსულტაცია დედებისათვის, მეცადინეობა იმათ-

ვის, ვინც პირველი ზიარებისათვის ემზადებოდა და მზარეულთა მოსამზადებელი კურსების ანდა სადაბო კათოლიკური კოოპერატივის კრება. ჩვენ იმ ეკლესიის მახლობლად ვცხოვრობდით, რომლის კაპელანი ჰაინრიჰ ბელენი იყო. სწორედ მან მიმოვა ოთახი პანსონატში და პატარა სცენიანი დარბაზიც დამითმო სავარჯიშოდ. მაშინ ბევრი კათოლიკე გულთბილად გვეპყრობოდა. ქალი, რომელიც მზარეულთა მოსამზადებელ კურსებზე მეცადინეობას ატარებდა, ყოველთვის გვიმასპინძლდებოდა მორჩენილი კერძებით, უმეტეს შემთხვევაში წვნიანითა და პუდინგით, ზოგჯერ ხორცსაც გვიმატებდა, ხოლო როცა მარი დალაგებაში ეხმარებოდა, ერთ შეკვრა კარაქს ან ერთ პარკ შაქარს იმეტებდა. ზოგჯერ დარბაზში ჩემი ვარჯიშის დაწყებამდე რჩებოდა, სიცილით კვდებოდა და ნასადილევს ყავას გვიდუღებდა. ჩვენ მაშინაც კარგად გვეპყრობოდა, როცა გაიგო, რომ ჯვარდაწერილები არ ვიყავით. მე მგონი, ის სულაც არ ფიქრობს, რომ ხელოვანი „წესიერად ქორწინდება“. ცივ დღეებში უფრო ადრე მივდიოდით სამრეგლო სახლში. მარი მზარეულობას სწავლობდა, მე კი გარდერობში ვიჯექი ელექტრორეფლექტორთან და ვკითხულობდი. თხელი კედლის მიღმა ჯერ ხითხითი ისმოდა დარბაზში, შემდეგ კი სერიოზული მოხსენებები კალორიებზე, ვიტამინებსა და კალკულაციაზე. ერთი სიტყვით, მთელი ეს ამბავი ძალიან მართობდა.

ჩვენ მხოლოდ დედათა კონსულტაციის დღეს გვიკრძალავდნენ იქ მისვლას, სანამ ყველაფერი არ მოთავდებოდა. ახალგაზრდა ექიმი ქალი, რომელიც კონსულტაციას ატარებდა, ძალზე კორექტული და თავაზიანი იყო, მაგრამ თუ რამეს დაიჩემებდა, თავისას გაიტანდა. სცენაზე რომ დაესტოდი, მტერის ბუდი ღებოდა და შიშით გული უსკდებოდა. იმასაც ამტკიცებდა, მტერის კორიანტელი მეორე დღესაც ტრიალებს დარბაზში და ჩვილ ბავშვებს ვნებსო. ბოლოს იმას მიაღწია, რომ კონსულტაციამდე ოცდაოთხი საათის განმავლობაში არ მქონდა უფლება, სცენაზე ფეხი შექედვა. ამის გამო ჰაინრიჰ ბელენს შელაპარაკებაც კი მოუვიდა მღვდელთან. მღვდელმა არ იცოდა, მე რომ ყოველდღე ვვარჯიშობდი დარბაზში და ჰაინრიჰს მოსთხოვა: მოყვასისადმი სიყვარულში მაინცდამაინც შორს ნუ შესტოპავო. ზოგჯერ მარის ეკლესიაშიც დაყვებოდი, იქ ძალიან თბილოდა, რადიატორს გადავჯდებოდი ხოლმე, ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. ქუ-

ჩის ხმაური საიდანღაც შორიდან ისმოდა. ცარიელი ეკლესია გულს ესაღებუნებოდა: შვიდი-რვა კაცი თუ ჩანდა აქა-იქ. ზოგჯერ ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს მეც ვეკუთვნიდი ამ წყნარ, სვედიან საკრებულოს, რომელიც მისტიროდა ისეთ საქმეს, უძლურებაშიც კი დიდებულ შთაბეჭდილებას რომ ახდენდა. ჩემსა და მარის გარდა ეკლესიაში მხოლოდ დედაბრები დადიოდნენ. წირავდა ჰაინრიჰ ბელენი და მისი არაპათეტიკური ხმა კარგად ეხამებოდა ბნელ, უსახურ ეკლესიას. ერთხელ დიაკონი არ მოვიდა და ჰაინრიჰს წირვის დამთავრებაშიც კი დავეხმარე, სწორედ მაშინ, როცა სახარება მარჯვნიდან მარცხნივ გადააქვთ. შევამჩნიე, უეცრად ჰაინრიჰი დაიბნა, რიტმი დაკარგა, იმწამსვე წამოვხტი, მარჯვენა მხარეს დადებული სახარება ავიღე, შუა საკურთხეველთან დავიჩოქე და სახარება მარცხენა მხარეს დავდე. იმ დღეს რომ ჰაინრიჰს არ დავეხმარებოდი და უხერხული მდგომარეობიდან არ გამომეყვანა, ჩემს თავს უზრდელად ჩავთვლიდი. მარი უსაშველოდ გაწითლდა, ჰაინრიჰს კი გაელიმა. ერთმანეთს დიდი ხანია ვიცნობდით, რამდენიმე წლით ჩემზე უფროსია, ინტერნატში ფეხბურთის გუნდის კაპიტანი იყო. წირვის შემდეგ ჰაინრიჰს საეკლესიო სამოსელის საცაფთან ველოდი. იგი ჩვეულებრივ საუზნემზე გვპატიჟებდა. საწვრილმანო დუქანში ნისიად ყიდულობდა კვერცხს, ლორს, ყავას, სიგარეტებს და ბავშვივით უხაროდა, როცა მისი ეკონომი ქალი ავად ხდებოდა.

მომაგონდა ყველა ადამიანი, ვინც მაშინ დავეხმარა, ამ დროს კი ჩვენები ჭუჭყიან მილიონებს გადაეფოფრნენ, ხელი მკრეს და თავიანთი მორალური საფუძვლებით ტკბებოდნენ.

მამაჩემი ისევ ბოლთას სცემდა სავარძლის უკან და, ანგარიშით გართული, ტუჩებს აცმაცუნებდა. ერთი პირობა დავაპირე მეთქვა მისთვის, არ მჭირდება შენი ფული-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე — მგონი, მქონდა უფლება, რამე მიმელო მისგან, თანაც ჯიბეში ერთი მარკა მელო და არ მინდოდა, ისეთი გპირობა გამომეჩინა, შემდეგ სანანებლად რომ გამიხდებოდა. ფული მართლაც მჭირდებოდა, უსაშველოდ მჭირდებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც სახლიდან წამოვედი, მამას ჩემთვის პფენიგიც არ მოუცია. ლეომ მთელი თავისი ჯიბის ფული მოგვცა, ანა ზოგჯერ საკუთარი ხელით გამომცხვარ თეთრ პურს გვიგზავნიდა, მოგვიანებით ბაბუაჩემიც გვიგზავნიდა

დროდადრო ფულს, თხუთმეტ, ოცმარკიან ჩეკს, ხოლო ერთხელ რატომღაც ოცდორმარკიანი ჩეკი მივიღეთ და დღემდე ვერ მივმზვ-დარვარ, რა იყო ამის მიზეზი. ამ ჩეკების გამო ყოველთვის ნამდვილი სპექტაკლები იმართებოდა. არც ჩვენს დიასახლისს და არც ჰაინ-რიჰს ბანკში ანგარიში არ ჰქონდათ გახსნილი. საერთოდაც, ჩვენი არ იყო, ვერც ჰაინრიხი ერკვეოდა ჩეკებში. პირველი ჩეკი თავი-სი მრევლის საქველმოქმედო ფონდის ანგარიშზე ჩარიცხა, მერე კი შემნახველ სალაროს მიაკითხა და იქ აუხსნეს საჩეკო ოპერაციების მიზანი და ნაირსახეობა. ამის შემდეგ თავის მღვდელთან გამოცხად-და და მოსთხოვა თხუთმეტი მარკის ჩეკი. მღვდელი ლამის გაგიჟდა, ვერავითარ ჩეკს ვერ მოგცემო, განუცხადა ჰაინრიჰს, მერე მომი-თხავენ, რა მიზნით გაეციო. საქველმოქმედო ფონდი საჩოთირო სა-ქმეა, ხშირად ამოწმებენო. თუ ჩავწერე: „მიეცა სესხად კაპელანბე-ლენს კერძო ანგარიშსწორება ჩეკის საკომპენსაციოდ“, შემომედა-ვებიან, მრევლის საქველმოქმედო ფონდის ანგარიში შავი ბირჟა არ გახლავთ, სადაც „ბელი წარმოშობის“ ჩეკებს ახურდავენო. მხო-ლოდ ის შეუძლია, ანგარიშსწორების ჩეკი შემოსავალში ჩაწეროს გარკვეული შემოსაწირის სახით, როგორც შნირისაგან შნირისათ-ვის დახმარება, შემდეგ კი მომცეს ფული, როგორც საქველმოქმედო ფონდის დახმარება. მართალია, მთლად სწორი არაა, მაგრამ ასეთი რამ მაინც დასაშვებიაო, გვითხრა მან. ერთი სიტყვით, ამ თხუთმეტი მარკის მიღებას მთელი ათი დღე დასჭირდა. ჰაინრიჰს ათასი სხვა საქმეც ჰქონდა მოსაგვარებელი და ჩემი ჩეკის განაღდებას ხომ ვერ შესწირავდა ყველაფერს. მას შემდეგ შიში მიპყრობდა, როცა ბაბუა-ჩემისაგან ჩეკი მომდიოდა. ის დასაწვავი ჩეკი ფულიც იყო და არც იყო, არასოდეს არ იყო ის, რაც მართლა გვჭირდებოდა — ნაღდი ფული. იმისათვის, რომ ანგარიშსწორების ჩეკების ნაცვლად ჩვენთ-ვის გასანაღლებელი ჩეკები მოეცა, ბოლოს და ბოლოს, ჰაინრიჰ-მა ბანკში ანგარიში გახსნა, მაგრამ ხშირად იგი სამი-ოთხი დღით სადღაც მიემგზავრებოდა. მაშინ კი, როცა ოცდორმარკიანი ჩეკი მივიღეთ, სამკვირიან შვებულებაში იყო და მე რის ვაი-ვაგლახით მოვნახე კიოლნში ჩემი ერთადერთი ბავშვობის მეგობარი ედგარ ვინეკენი. მას რაღაც თანამდებობა ეჭირა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის აპარატში, მგონი, რეფერენტი იყო კულ-ტურის დარგში. მისამართი ტელეფონის წიგნში ვიპოვე, მაგრამ

რომ დამერეკა, ოცბფენიგიანი არ მქონდა. კიოლნ-ერენფელდიდან კიოლნ-კალკამდე ფეხით ვიარე, ედგარი შირ არ დამხვდა. სალამოს რვა საათამდე სახლთან ველოდე, რადგან დიასახლისმა არ ისურვა, შევეშვი მის ბინაში. ედგარი ცხოვრობდა ძალიან დიდი და ძალიან ბნელი ეკლესიის მახლობლად, ენგელსის ქუჩაზე (დღემდე არ ვიცი, როგორც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ვალდებულად გრძნობდა თუ არა თავს, ენგელსის ქუჩაზე დასახლებულიყო). საშინლად გაეწვალდი, ძალზე დავიღალე, მშობიოდა, სიგარეუტი არ მქონდა, თანაც ვიცოდი, რომ მარი შინ იჯდა და წუხდა. მელანქოლიით დააფადებული კაცისათვის ვერაფერი სამკურნალო სანახაობაა კიოლნი-კალკი, ენგელსის ქუჩა და მახლობლად მდებარე ქიმიური ქარხანა. ბოლოს საფუნთუშეში შევედი და გამყიდველ ქალს ვთხოვე, ფუნთუშა მაჩუქეთ-მეთქი. ქალი ახალგაზრდა იყო, მაგრამ გონჯი. დაველოდე იმ წუთს, როცა საფუნთუშე ერთი წამით დაცარიელდა, სწრაფად შევადე კარი და გამყიდველს ისე მიემართე, რომ სალამო მშვიდობისაც კი არ მითქვამს:

— მაჩუქეთ ერთი ფუნთუშა.

მეშინოდა, არაგინ შემომსწრებოდა. ქალმა შემომხედა, ისედაც თხელი, უქმური ტუჩები ჯერ უფრო გაუთხეღდა, შემდეგ დაუძრავა და ამოეხურცა, ბოლოს პარკში სამი ფუნთუშა და ნახუქი ჩადო და უხმოდ მომაწოდა. მგონი, მადლობაც კი არ მითქვამს, პარკს ხელი დაუტაცე და გარეთ გამოვვარდი. შემდეგ იმ კარის ზღურბლზე ჩამოვჯექი, სადაც ედგარი ცხოვრობდა, ფუნთუშასა და ნახუქს ვთქვავდი და დროდადრო იმ ჯიბეს ვისინჯავდი, სადაც ოცდაორმარკიანი ჩეკი მედო. ოცდაორი უცნაური რიცხვი იყო, საიდან გაჩნდა, იქნებ, რომელიმე საბანკო ანგარიშის ნაშთია-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის. იქნებ, გამეხუმრა ან შემთხვევის ბრალია, მაგრამ უცნაური ის იყო, რომ 22 რიცხვითაც ეწერა და სიტყვიერადაც და როცა წერდა, ბაბუა უთუოდ რაღაცას ფიქრობდა. რას — ვერაფრით მივხვდი. შემდეგ აღმოჩნდა, რომ კალკის რაიონში, ენგელსის ქუჩაზე ედგარს მხოლოდ საათ-ნახევარი ველოდი, მე კი ეს დროს მჭმუნვარებით აღსავსე უსასრულობად მომეჩვენა. მთრეუნავდა ჩარიგებული ბნელი სახლები და ქიმიური ქარხნის კვამლი. ედგარს ისე გაუხარდა ჩემი დანახვა, რომ სახე გაუბრწყინდა. მხარზე ხელი დამკრა და ოთახში შემეყვანა. კედელზე ბრეხტის დიდი სურათი ეკიდა,

მის ქვეშ — გიტარა. საკუთარი ხელით შეკოწიწებულ თაროზე ჯიბის გამოცემები ელაგა. გავიგონე, გარეთ გასული როგორ გაუწყრა დიასახლისის იმისათვის, რომ ოთახში არ შემომიშვა. შემდეგ არაყი მოიტანა და სახეგაბრწყინებულმა მიაგებო, როგორ მოუგო ბრძოლა თეატრალურ საქმეთა კომიტეტში ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის აქოთებულ ძალებს. მერე მთხოვა, მეამბნა ყველაფერი, რაც თავს გადამხდა ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ. ბავშვობაში სულ ერთად ვთამაშობდით. მამამისი ჯერ საცურაო აუზის ზედამხედველი იყო, შემდეგ კი ჩვენი სახლის მახლობლად მდებარე სპორტული მოედნის დარაჯი. მოყოლის თავი არ მქონდა, შევეხვეწე, მომეშვი-მეთქი. ორიოდ სიტყვით გავაცანი ჩემი მდგომარეობა და ჩემი სანაცვლოდ ფული ვთხოვე. მან ყველაფერი გაიგო, დიდი კეთილშობილება გამოიჩინა და მაშინვე ოცდაათი მარკა ნაღდი ფული მომცა. არაფრით არ უნდოდა ჩემი აღება, მაგრამ თითქმის ცრემლმორეული შევეხვეწე, გამომართვი-მეთქი. ბოლოს, როცა დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ჩემი გამომართვა, ცოტა ნაწყენი დარჩა. ვთხოვე, გეწვეოდა, ენახა, როგორ ვვარჯიშობდი. ბოლოს ფოსტასთან რომ ტრამვაის გაჩერებაა, იქამდე მიმაცილა, მაგრამ ამ დროს მოედანზე გაჩერებული თავისუფალი ტაქსი დავინახე, მისკენ გავქანდი და ჩავჯექი. როცა მანქანა დაიძრა, ედგარის გაოგნებულ, ნაწყენ, გაფითრებულ ფართო სახეს ძლივსღა მოგკარი თვალი. მაშინ პირველად მივეცი თავს ტაქსიში ჩაჯდომის უფლება და თუ ოდესმე რომელიმე ადამიანს ტაქსით მგზავრობა დაუმსახურებია, იმ საღამოს ასეთი კაცი მე ვიყავი. ვერ გავუძლებდი მთელ კიოლნში ტრამპით ჯაყჯაყს და კიდევ ერთი საათით მარის უნახაობას. ტაქსით მგზავრობა რვა მარკამდე დამიჯდა, მძღოლს ოცდაათი ჰფენიგი ვაჩუქე, და ჩვენი პანსიონატის კიბეზე ავირბინე. ატირებული მარი კისერზე ჩამომეკიდა და მეც ავტირდი. ორივემ დიდი შიში ვჭამეთ, მთელი საუკუნე ვიყავით დაშორებული ერთმანეთს და უზომოდ სასწარკვეთილებს ერთმანეთისათვის არც კი გვიკოცნია. მხოლოდ გაუთავებლად ვჩურჩულებდით, რომ აღარასოდეს, აღარასოდეს, აღარასოდეს დავეშორდებით ერთმანეთს. „სანამ სიკვდილი არ გაგვეყრის“, ჩამჩურჩულა მარიმ. შემდეგ მარიმ „წესრიგში მოიყვანა თავი“, — ასე უწოდებდა ამას, — ტუჩები შეიღება, ლოყები შეიფერადა და ჩვენ დასანაყრებლად ვენლოემტრასეს ერთ-ერთ ბუდრუგანაში შევედით.

ორ-ორი ულუფა გულიაში გეახელით, შემდეგ ერთი ბოთლი წითელი ღვინო ვიყიდეთ და შინ დავბრუნდით.

ელგარმა ტაქსით მგზავრობა ბოლომდე ვერაფრით მაპატია. მას შემდეგ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ხოლო როცა მარის მუცელი მოეშალა, კიდევ ერთხელ დაგვეხმარა ფულით. მართალია, ჩემს იმდღევანდელ ტაქსით გამგზავრებაზე არაფერი უთქვამს, მაგრამ ერთგვარი უნდობლობა ჩემ მიმართ მაინც გაუჩნდა და დღემდე ვერ მოიშორა.

— ო, ღმერთო, — თქვა მამაჩემმა ხმამაღლა და იმგვარი ტონით, რომ ძალზე მეუცხნოვა, — გაახილე თვალები და ხმამაღლა ილაპარაკე. მსგავსი ფანდები ჩემთან აღარ გაგივა.

თვალები გაახილე და მამას შევხედე. გაბრაზებული იყო.

— განა ვლაპარაკობდი? — ვკითხე მე.

— დიახ, — მითხრა მან, — რაღაცას ლულულულებდი შენთვის, მაგრამ მე ვერაფერი გავიგე, გარდა „ჭუჭყიანი მილიონებისა“.

— ეს არის ერთადერთი რამ, რისი გაგებაც შეგიძლია და გესმის კიდევ.

— კიდევ გავიგონე „ანგარიშსწორების ჩეკი“.

— დიახ, დიახ, — ვუთხარი მე, — ახლა კი ჩამოჯექი და მითხარი, რა თანხას ვარაუდობდი, როცა ერთი წლის განმავლობაში ყოველთვიურ დახმარებას მპირდებოდი?

მამას მიუუახლოვდი, ხელი ფრთხილად მოვიკიდე მხრებში და საუარძელში ჩავსვი. იგი მაშინვე წამოდგა და ჩვენ ძალიან ახლოს აღმოჩნდით ერთმანეთის პირისპირ.

— ეს საქმე ყოველმხრივ აუწონ-დაუწონე, — მითხრა მან, — თუ არ მოგწონს ჩემი პირობა, თუ არ გინდა კონტროლს დაქვემდებარებული სოლიდური განათლება მიიღო და აქ გსურს მუშაობა... მაშინ, ასე ვთქვათ, თვეში ორასი მარკა საკმარისი იქნება.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ორას ორმოცდაათის ან სამასის შემოთავაზებას აპირებდა, მაგრამ სულ ბოლო წაშში ორასი თქვა. ეტყობა, ჩემმა გამომეტყველებამ შეაშინა, რადგან ისე სწრაფად დაიწყო ლაპარაკი, მის დარბაისლურ გარეგნობას სულ რომ არ შეეფერებოდა.

— გენეპოლმი ამბობს, პანტომიმის საფუძველი ასკეტიზმიაო.

ხმა არც ამჯერად ამომიღია. მამას კლასიკის თოჯინასავით „ცარიელი თვალებით“ ვუცქეროდი. გულიც კი არ მომდიოდა, იმდენად გაცოცხლებული ვიყავი, რომ ცარიელი თვალები, რის მიღწევაც ვარჯიშის დროს ძალიან მიჭირდა, ახლა ბუნებრივ გამომეტყველებად მექცა. მამა ნერვიულობდა, ზედა ტუჩი ოფლმა დაუნამა. პირველ წუთებში არც გაბრაზებას ვგრძნობდი და არც სიძულვილს. ცარიელი თვალები ნელ-ნელა თანაგრძნობით ამეკსო.

— ძვირფასო მამი, — დაუიწყე წყნარად, — ორასი მარკა სულაც არ არის ისეთი ცოტა, როგორც შენ გგონია, საკმაოდ მოზრდილი თანხაა, ამაზე არ მინდა გედაუო, მაგრამ იცი კი, რომ ასკეტიზმი საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნებაა, ყოველ შემთხვევაში, ასკეტიზმის ის სახე, გენეპოლმს რომ აქვს მხედველობაში. ასეთი ასკეტიზმის საფუძველი მკაცრი დიეტაა... საჭიროა ბევრი მჭლე ხორცი, ნაირ-ნაირი სალათები. ასკეტიზმის ყველაზე იაფი ფორმა შიმშილია, მაგრამ მშვიერი კლოუნი... თუმცა მთვრალ კლოუნს ისევე მშვიერი სჯობია.

უკან დავიხიე. არ მსიამოვნებდა მასთან ისე ახლოს დგომა, რომ დამენახა, როგორ უმსხვილდებოდა ტუჩებზე ოფლის წვეთები.

— მისმინე, — ვუთხარი მე, — ფულზე ნუდარ ვილაპარაკებო, ვილაპარაკოთ სხვა რამეზე, როგორც ჯენტლმენებს შეშვენიით.

— მე მართლა მსურს დაგეხმარო, — მითხრა სასოწარკვეთილი ხმით, — სიამოვნებით მოგცემ სამას მარკას.

— ფულზე სიტყვის გაგონება აღარ მინდა. მირჩევნია ის გითხრა, რის აღმოჩენამ გამაკვირვა ყველაზე მეტად ბავშვობაში.

— მაინც? — მკითხა მან და ისე შემომხედა, თითქოს სასიკვდილო განაჩენს ელოდა. დარწმუნებული იყო, სიტყვას ჩამოუგდებდი მის საყვარელზე, რომელსაც გოდესბერგში ვილა აუშენა.

— დამშვიდდი, დამშვიდდი, — ვუთხარი მე, — შეიძლება გაგიკვირდეს, მაგრამ ბავშვობაში ყველაზე მეტად ის გვაკვირვებდა, რომ სახლში სახეთქი არასოდეს გვეოფნიდა.

სიტყვა „სახეთქის“ გაგონებაზე შეკრთა, ნერწყვი გადაყლაპა, ხრინწიანად გაიცინა და მითხრა:

— ალბათ, იმის თქმა გინდა, რომ საჭმელი არ გქონდათ საძლომად.

— ზუსტად, — ვუპასუხე მშვიდად, — საჭმელი არასოდეს გქონ-

და საძლომად, ყოველ შემთხვევაში, სახლში — არასოდეს. დღემდე არ ვიცი, რა იყო ამის მიზეზი — პრინციპი თუ სიძუნწე. ნეტავ, თუ იცი, რას გრძნობს ბავშვი, რომელმაც ნახევარი დღე ველოსიპედით იწავარდა, ფეხბურთი ითამაშა და რაინში იცურავა?

— ალბათ, მგლის მადა ეღვიძება, — მითხრა მან.

— არა, — ვუპასუხე მე, — მშვიდია. დასწყევლოს ეშმაკმა, ბავშვობიდანვე ვიცოდით, რომ მდიდრები ვიყავით, ძალიან მდიდრები, მაგრამ ამ სიმდიდრიდან ჩვენ არაფერი გვხდომია წილად, რიგიანად ვერც კი ვჭამდით.

— გაკლდათ რამე?

— დიახ, — ვუპასუხე მე. — ხომ გითხარი, საჭმელი-მეთქი. გარდა ამისა, ჯიბის ფული. იცი, რა მენატრებოდა ბავშვობაში?

— ღმერთო ჩემო, — წამოიძახა შეშინებულმა, — რა?

— კარტოფილი, — ვუპასუხე მე, — მაგრამ დედა მაშინ გახდომის მანიამ შეიპყრო, — ხომ იცი, მუდამ უსწრებდა დროს, — ჩვენს სახლში ყოველთვის ფუთფუთებდნენ უგუნური ყბედები, თითოეულს განსხვავებული კვების თეორია ჰქონდა და, სამწუხაროდ, ამ თეორიებში კარტოფილი არავითარ დიდებით როლს არ თამაშობდა. როცა შინ არ იყავით, მოახლეები საშხარეულოში კარტოფილს იხარშავდნენ, კანიანად ხარშავდნენ და შემდეგ კარაქით, მარილითა და ხახვით კანზავდნენ. ზოგჯერ ჩვენც გვაღვიძებდნენ, უფლებას გვაძლევდნენ პიჭამებიანი ჩავსულიყავით დაბლა და მუცელი კარტოფილით ამოგვეყორა. ასეთი გამასპინძლებისათვის ერთი პირობა უნდა დაგვეცვა: კრინტი არ უნდა დაგვეძრა არავისთან. პარასკეობით ვინეკენებთან დავდიოდით. მათ ყოველთვის ჰქონდათ კარტოფილის სალათა და ფრაუ ვინეკენი საგანგებოდ გვივსებდა თეფშებს. გარდა ამისა, ჩვენს ოჯახში ყოველთვის ცოტა პური გამოჰქონდათ სუფრაზე, მხედველობაში მაქვს ჩვენი პურის კალათი, ო, ის დაწყველილი ჭვავის კვერები, პირში რომ ზრამახრუში გაჰქონდა, ანდა თითქოსდა „ჯანმრთელობისათვის სასარგებლო“ ნახევრად გამხმარი პურის ნაჭრები... ვინეკენებს კი ყოველთვის ჰქონდათ ახალი პური, ედგარს თვითონ მოჰქონდა საფუნთუშიდან. ფრაუ ვინეკენი მარცხენა ხელით მთელ პურს გვერდზე მიიდებდა, მარჯვნივ კი დიდ, გაფუძფულებულ ნაჭრებს გვიჭრდა. ჩვენ მათ ვიტაცებდით და ზემოდან ვაძლის ფაფას ვუსვამდით.

დადლილი მამა თავს მიქნევდა. სიგარეტები გავუწოდე, ერთი ცალი აიღო და მე ცეცხლი მოუკიდე. მეცოდებოდა. მამისათვის, ალბათ, ძნელია პირველად ესაუბროს გულახდილად შვილს, რომელიც ოცდარვა წელსაა მიტანებული.

— და კიდევ ათასი სხვა რამ გვაკლდა, — განვაგრძე მე, — მაგალითად, ძირტკბილა ან საჰაერო ბუშტები. დედას საჰაერო ბუშტების ყიდვა მფლანგველობად მიაჩნდა. სწორია, მართლაც, ნამდვილი მფლანგველობაა, მაგრამ მთელი თქვენი ჭუჭყიანი მილიონების საჰაერო ბუშტებით ცაში გასაფრენად ჩვენი მფლანგველობისადმი ლტოლვა არ იკმარებდა. ან თუნდაც იაფფასიანი საწუწნი კანფეტები. ამაზე დედას ყოვლად შემზარავი გონივრული თეორიები ჰქონდა, რომელთა მიხედვითაც ეს კანფეტები შხამია, ნამდვილი შხამი. მაგრამ შხამიანის ნაცვლად უკეთეს კანფეტებს არ გვირიგებდა და, საერთოდ, არანაირს არ ყიდულობდა. ინტერნატში ყველას უკვირდა, — განვაგრძე წყნარად, — ერთადერთი მოწაფე მე ვიყავი, რომელიც არაფერს იწუნებდა, რასაც მაძლევდნენ, ყველაფერს ვნთქავდი, თანაც გემრიელი მეჩვენებოდა.

— ხომ ხედავ, — მითხრა მამამ გულგრილად, — თავისი კარგი მხარე თურმე ამასაც ჰქონია. — მისი სიტყვები არც დამაჯერებლად ჟღერდა და არც ხალისიანად.

— რა თქმა უნდა, — ვუპასუხე მე, — ჩემთვის საესკებით გასაგებია ამგვარი აღზრდის თეორიულ-პედაგოგიური მნიშვნელობა, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ თეორია, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, ქიმია იყო და მომაკვდინებელი უხამსობა. მე ვიცოდი, როდის იღებდნენ ფულს ვინეკენები — პარასკეობით, შნაივინდებს და ჰოლარეთებს ყოველი თვის პირველსა და თხუთმეტ რიცხვებში უჩნდებოდათ ფული — ოჯახის ყოველ წევრს რაღაც განსაკუთრებით გემრიელი ერგებოდა ხოლმე, ძეხვის დიდი ნაჭერი ან ნამცხვარი. ფრაუ ვინეკენი პარასკევ დილას ყოველთვის პარიკმახერთან მიდიოდა, რადგან სალამოს... შენ, ალბათ, იტყობი, ვენერას მსხვერპლს სწირავდნენ.

— რა თქვი? — წამოიძახა მან, — შენ იმას ხომ არ გულისხმობ...

— დიახ, — ვუპასუხე მე, — სწორედ იმას ვგულისხმობ...

პარასკეობით, ნაშუადღევს, ბავშვებს კინოში უშვებდნენ, მანამდე იმის უფლებასაც კი აძლევდნენ, ნაყინი ეჭამათ. ასე რომ, სულ ცოტა სამ-ნახევარი საათი არ იყვნენ შინ. ამ დროისათვის ედგარის დედა

საპარიკმახეროდან ბრუნდებოდა, მამა კი სამუშაოდან და ჯიბეშიც ხელფასიანი კონვერტი ელო. ხომ იცი, მუშებს მაინცდამაინც ფართო ბინები არა აქვთ.

— მაშ, — თქვა მამაჩემმა, — თქვენ იცოდით, რატომ გზაენიღენ ბავშვებს კინოში?

— ზუსტად, ცხადია, არ ვიცოდი, — ვუპასუხე მე, — ბევრ რამეს მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი, მაშინ, როცა ამ ამბებზე დავიწყე ფიქრი. კიდევ უფრო მოგვიანებით მივხვდი, რატომ წითლდებოდა გულის ამაჩუყებლად ფრაუ ვინეკენი, როცა კინოდან ვბრუნდებოდი და კარტოფილის სალათას შევექცეოდით. შემდეგ კი, როცა მისი ქმარი სპორტული მოედნის დარაჯი გახდა, ყველაფერი შეიცვალა, უფრო ხშირად იყო სახლში. ბავშვები მხოლოდ იმას ვამჩნევდით, რომ იმ დღეს ქალი როგორღაც უხერხულად გრძნობდა თავს და მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი — რატომ. პატარა ბინა ჰქონდათ, — ერთი დიდი ოთახი და სამზარეულო, — თან სამი ბავშვი ჰყავდათ, ჰოდა, ცოლ-ქმარსაც სხვა გზა არ ჰქონდა.

მამაჩემი ისეთი თავზარდაცემული იყო, რომ შემეშინდა, ყოველივე ამის შემდეგ ფულზე ლაპარაკი უადგილოდ არ მიეჩნია. ჩვენს შეხვედრას იგი ტრაგიკულად აღიქვამდა, მაგრამ ცოტათი უკვე ტკბებოდა ამ ტრაგიზმითაც და თავისი კეთილშობილური ტანჯვითაც. ერთი სიტყვით, ყოველივე ეს მოსწონდა და ამიტომ გაჭირდებოდა მისი შემობრუნება სამასი მარკისაკენ, რომლის ყოველთვიურად მოცემასაც დამპირდა. ფულზე ლაპარაკი ისევე საჩოთიროა, როგორც „ხორციელ ჟინზე“. ფულზე არავინ ლაპარაკობს ისე, როგორც საჭიროა, არავინ ფიქრობს ისე, როგორც საჭიროა. ფულს — როგორც მარიმ თქვა მღვდლების ხორციელ ჟინზე — ან „სუბლიმირებულად“ აღიქვამენ, ან ვულგარულად და არასოდეს ესმით, რომ ამა თუ იმ წუთში ის არის: საჭმელი, ტაქსი, ერთი კოლოფი სიგარეტი თუ აბაზანიანი ოთახი.

აშკარად ჩანდა, რომ მამაჩემი იტანჯებოდა და ეს შემაძრწუნებლად მოქმედებდა ჩემზე. ფანჯრისაკენ შემობრუნებულმა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ორიოდე ცრემლი შეიმშრალა. ატირებული მამა აქამდე არასოდეს მენახა, არც ის მინახავს, ცხვირსახოცი დანიშნულებიანამებრ გამოეყენებინა ოდესმე. ორ სუფთა ცხვირსახოცს ყოველ დილით მიართმევდნენ, ხოლო სადამოს

ოდნავ დაჭმუჭუნულსა და თითქმის გაჭუჭყიანებულს სააბაზანოში დადგმულ სარეცხის კალათში ყრიდა. იყო დრო, როცა სარეცხი ფხვნილების შოვნა ჭირდა და ხელმომჭირნე დედაჩემი დიდხანს ედავებოდა, ნუთუ არ შეგიძლია ცხვირსახოცები ორ-სამ დღეს მაინც ატარო.

— შენ ხომ მათ არ სვრი, უბრალოდ, ჯიბეში გიდევს. ნუ ივიწყებ მოვალეობას ერის წინაშე. — დედას მხედველობაში ჰქონდა ორი მოწოდება: „გამოუცხადოთ ბრძოლა ყოველგვარ უყაირათობას“ და „წყალში ნუ გადაყრი ნურც ერთ პფენიგს“. მაგრამ მამამ — რამდენადაც მახსოვს, ერთადერთხელ — გამოიჩინა ცხოვრებაში სიმტკიცე და თავისი გაიტანა. ყოველ დილით ორ გაქათქათებულ ცხვირსახოცს მიართმევდნენ.

მის სახეზე არც მტვერი მინახავს არასოდეს, არც რისიმე წვეთი და არც არაფერი ისეთი, ცხვირსახოცით რომ უნდა მოიწმინდო. ახლა კი ფანჯარასთან იდგა და მარტო ცრემლს კი არა, ისეთ ვულგარულ რაღაცასაც იწმენდა, როგორც არის ზედა ტუჩზე გამოსული ოფლი. მე სამზარეულოში გავედი, რადგან მამა ისევ ტირილობდა, ზღუქუნიც კი გავიგონე. ამქვეყნად ცოტაა ისეთი ადამიანი, ვისი თანდასწრებითაც ტირილის არ მოგერიდება და მე გავიფიქრე, საკუთარი ვაჟიშვილი, რომელსაც რიგიანად არც კი იცნობ, ამ დროს ყველაზე შეუფერებელი მოწმეა-მეთქი. პირადად მე მხოლოდ ერთ ადამიანს ვიცნობდი, ვისი თანდასწრებითაც შემძლო მეტიორა — ეს იყო მარი. სამაგიეროდ, წარმოდგენა არა მქონდა, იყო თუ არა მამაჩემის საყვარელი იმ ყაიდისა, რომ მისი თანდასწრებით მამას ტირილი შესძლებოდა. ის ქალი მხოლოდ ერთხელ ვნახე — ლამაზი, მომხიბვლელი და სასიამოვნოდ სულელი აღმოჩნდა, თუმცა მასზე მანამდეც ბევრი რამ გამეგონა. ნათესავები ამბობდნენ, ფულს დახარბებული ქალიაო, მაგრამ ჩვენს ნათესავებს ფულს დახარბებულ ადამიანებად მიაჩნდათ ყველა, ვინც უტიფრობას გამოიჩინდა და შეგვახსენებდა, რომ ადამიანს დროდადრო ჭამა, სმა და ფეხსაცმლის ყიდვა სჭირდება. ხოლო თუ ვინმე განაცხადებს, სიგარეტი, ცხელი აბაზანა, ყვავილები და არაფი ჩემთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი რამ არისო, გიჟად გამოაცხადებენ და შნირების ოჯახის ქრონიკაში „მფლანგველი მანიაკის“ სახელს დაიმკვიდრებს. მშვენიერად წარმომიდგენია, საყვარლის ყოლა რომ ძვირად

ღირებული სიამოვნებაა — უნდა იყიდოს წინდები, კაბები, გადაიხადოს ბინის ქირა და მუდამ კარგ ხასიათზე იყოს, რაც მამაჩემის თქმით, მხოლოდ „სრულიად გაწონასწორებული ფინანსური მდგომარეობის დროს“ ხერხდება. როცა მამა სამეთვალყურეო საბჭოს მომაკვდინებლად მოსაწყენი სხდომების შემდეგ მასთან მიდიოდა, ქალი ხალისიანი, პარიკმახერთან თმადავარცხნილი და სურნელოვანი უნდა დახვედროდა. არა მგონია, ის ქალი ანგარებიანი იყოს, უბრალოდ, საყვარლის შენახვა ძვირი უჯდება მამაჩემს, მაგრამ ჩვენი ნათესავებისათვის იგი მაინც ფულს დახარბებული ქალია. ერთხელ მებაღე ჰენკელსმა, რომელიც ზოგჯერ მოხუც მეეტლეს ეხმარებოდა, ძალზე მოკრძალებით განაცხადა, დამხმარე მუშების ხელფასი „აგერ უკვე სამი წელია“ გაიზარდა, თქვენ კი ისევ ძველებურად ცოტას მიხდითო. დედაჩემმა წიკინ-წიკინით წაიკითხა სამსაათიანი მოხსენება „ზოგიერთი ადამიანის სიხარბეზე“. ისიც მახსოვს, დედამ ფოსტალიონს საახალწლო მისალოცი ბარათების მოტანისათვის ჯილდოდ ოცდახუთი პფენიგი მისცა, ხოლო მეორე დღეს ის ფული საფოსტო ყუთში იპოვა. ფოსტალიონს კონვერტში ფულთან ერთად ბარათიც ჩაედო, სადაც სწერდა: „მოწყალეო ქალბატონო, თავს ნებას ვერ მივცემ, გაგძარცვოთ“. დედაჩემი საშინლად აღშფოთდა. იგი, რა თქმა უნდა, იცნობდა კავშირგაბმულობის სამინისტროს რომელიღაც მდივანს და სწორედ მასთან უჩივლა ამ „ანგარებიანსა და უტიფარ კაცს“.

სამხარეულოში გასულმა ყავის შავ გუბეს სწრაფად შემოეუარე, დერეფანში გავიარე და სააბაზანოში შევედი. როცა აბაზანას საცობს ვაძრობდი, უეცრად გამახსენდა, მრავალი წლის განმავლობაში პირველად ვინებოვრე აბაზანაში ისე, რომ „ლიტანია ლაურეტანაც“ კი არ მიმღერია. აბაზანა წყლისაგან იცლებოდა. სანამ შხაპით აბაზანის კედლებზე დარჩენილ ქაფს ვრეცხავდი, ღიღინით *Tantum Ergo* წამოვიწყე, შემდეგ „ლიტანია ლაურეტანაც“ წავიმღერე. ყოველთვის მიყვარდა ეს ებრაელი ქალწული მირიამი და ზოგჯერ მწამდა კიდევ მისი. მაგრამ შვება ვერც „ლიტანია ლაურეტანამ“ მომგვარა. ალბათ იმიტომ, რომ მეტისმეტად კათოლიკური იყო, მე კი გაბრაზებული ვიყავი კათოლიციზმზეც და კათოლიკეებზეც. გადაეწყვიტე, ჰაინრიჰ ბელენისა და კარლ ემონდისათვის დამერეკა. კარლ ემონდს არ

დავლაპარაკებოდა იმ საშინელი ჩხუბის შემდეგ, ორი წლის წინათ რომ მოგვივიდა, მიწერ-მოწერა კი ერთმანეთთან არასოდეს გვექონია. რაღაც სულელური მიზეზის გამო იგი საშინლად მომექცა. კარლი და საბინე კინოში წავიდნენ, მარი თავის „წრის“ სხდომაზე იყო, ცოლქმარმა თავიანთი უმცროსი ვაჟის, ერთი წლის გრეგორის მოვლა მე მომანდეს, მე კი რძეში უმი კვერცხი ჩავუხალე. საბინემ დამიბარა, ათ საათზე რძე გაათბე, ბოთლში ჩაასხი და გრეგორს მიეციო, მაგრამ მე ბავშვი ძალიან ფერმკრთალი და დაუძლურებული მომეჩვენა (ტირილის თავიც კი არ ჰქონდა, საცოდავად ღნაოდა), ამიტომ ვიფიქრე, რძეში ჩახლილი უმი კვერცხი არგებს-მეთქი. სანამ რძე შეთბებოდა, ხელში ავიყვანე, სამზარეულოში აქეთ-იქით ვატარებდი და თან ველაპარაკებოდი:

— აბა, მიხვდი, რას მიირთმევს ახლა ჩვენი ბიჭუნა, რას და კვერცხს, — და ასე შემდეგ. მერე კვერცხი გაუტყე, მიქსერში ავთქვიფე და რძეში გაუურიე. კარლის უფროს შვილებს მაგრად ეძინათ, ბავშვთან ერთად სამზარეულოში მშვიდად ვგრძნობდი თავს. გრეგორს რძიანი ბოთლი მივაწოდე. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ კვერცხიანი რძე ბავშვმა კარგად შეირგო, მან გამიღიმა და ისე დაიძინა იმწამსვე, აღარ უღნავლია. როცა კინოდან დაბრუნებულმა კარლმა სამზარეულოში კვერცხის ნატყუტები აღმოაჩინა, საერთო ოთახში გამოვიდა, სადაც საბინესთან ერთად ვიჯექი, და მითხრა:

— გონივრულად მოქცეულხარ, შენთვის რომ კვერცხი მოგიხარშავს.

მე ვუთხარი, კვერცხი ჩემთვის კი არ მოეხარშე, გრეგორს ვაჭამემეთქი. იმწამსვე ატყდა ჯოჯოხეთური ვაი-უშველებელი და ლანძღვა-გინება. საბინეს ნამდვილი ისტერიკა დაემართა და „მკვლელს“ მეძახდა, კარლი მიყვიროდა: „შე მაწანწალა, შე კახაპების კურო“. ამ სიტყვებმა ისე გამაცოფა, რომ კარლს ვუყვირე, „შე დაკრუნხხულო მასწავლებლო“-მეთქი, შემდეგ პალტოს ხელი დავტაცე და მათი ბინიდან განრისხებული გამოვარდი. კარლმა ესეც არ მაკმარა და კიბეზე ჩამომძახა:

— უპასუხისმგებლო ვიგინდარაუ!

მე კი ქვემოდან აუძახე:

— ისტერიკით შეპყრობილო ფილისტერო, ტვინგახევებულო ბატო!

ბავშვები მართლა მთელი სულითა და გულით მიყვარს, ისიც ვიცი, როგორ უნდა მოვეპყრა, განსაკუთრებით ჩვილებს. ვერაფრით წარმომედგინა, რომ ერთი წლის ბავშვს კვერცხი აწყენდა, მაგრამ კარლმა უფრო შეურაცხმყო, ვიდრე საბინეს „მკვლელმა“. საბინეს აღშფოთება გასაგები იყო, რას არ აპატიებ და რას არ მოუთმენ აღელვებულ დედას, მაგრამ კარლმა კარგად იცის, რომ „კახპების კურო“ არა ვარ. საერთოდ ჩვენი ურთიერთობა თავიდანვე როგორღაც იდიოტურად დაიბაბა. გულის სიღრმეში მას ჩემი თავისუფალი ცხოვრება „დიდებული“ ეჩვენებოდა, მე კი გულის სიღრმეში მისი ფილისტერული ცხოვრება მიზიდავდა. ვერაფრით გაუგებინე, როგორი აწონილ-დაწონილი ცხოვრება მქონდა, ხოლო ქალაქიდან ქალაქში მატარებლით მოგზაურობა, სასტუმროები, ვარჯიში, სცენაზე გამოსვლა, რიჩ-რაჩის თამაში და ლუდის სმა რა მომაკვდინებლად მოსაწყენი იყო... და რომ მე მიზიდავდა ისეთი ცხოვრება, როგორითაც იგი ცხოვრობდა, სწორედ ფილისტერული არსის გამო. იგი კი, რა თქმა უნდა, სხვებივით ფიქრობდა, რომ ჩვენ განზრახ არ ვაჩენდით შვილებს და მარის მუცლის მოშლა მუდამ „საეჭვოდ“ მიაჩნდა. ნეტავ, სცოდნოდა, რა სიამოვნებით ვიყოლიებდით ბავშვებს.

მიუხედავად ამისა, მაინც გავუგზავნე დეპეშა, დაერეკა ჩემთვის, მაგრამ არა იმიტომ, რომ ფულს დაუსესხებოდი. ახლა მათ უკვე ოთხი შვილი ჰყავდათ და ფული არ ჰყოფნიდათ.

აბაზანა კიდევ ერთხელ გავრეცხე, შემდეგ აუჩქარებლად გავედი დერეფანში და კარდია საერთო ოთახში შევიხედე. მამაჩემი ისევ მაგიდისაკენ იყო პირშექცეული, მაგრამ აღარ ტიროდა. გაწითლებული ცხვირი და სველი, დანაოჭებული ლოყები უცხო ბერიკაცის იერს აძლევდა — სიცვიისაგან აკანკალებული, საოცრად დაცარიელებული, თითქმის ბრიყვი ბერიკაცის იერს. კონიაკი დაუუსხი და ჭიქა მივაწოდე. გამომართვა და დალია. საოცრად ბრიყვული გამომეტყველება მაინც არ ჩამოსცილდა მის სახეს, რაღაც შტერული იყო იმაშიც, ჭიქა როგორ დაცალა და მომაწოდა მუდარით სავსე თვალებით, რაც აქამდე არასოდეს შემიმჩნევია. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს კრიმინალური რომანების, გარკვეული მარკის ღვინისა და სულელური ანეკდოტების მეტი მართლაც არაფერი აინტერესებდა ამქვეყნად. სველი და დაჭმუჭნილი ცხვირსახოცი

მაგიდაზე უბრალოდ დააგდო და სტილის ეს გასაოცარი დარღვევა ისე აღვიქვი, როგორც გაუგონარი ბავშვის სიჯიუტე, ათასჯერ რომ ეუბნებიან, ცხვირსახოცის მაგიდაზე დადება არ შეიძლებაო და მაინც დებს. კიდევ დაუუსხი ცოტა კონიაკი. მან დალია და ხელი ისეთნაირად გაიქნია, ამ მოძრაობას მხოლოდ ასე თუ აუხსნიდი: „გეთაყვა, პალტო მომაწოდე“. მაგრამ მე თითქოს ვერაფერი დავინახე. რაღაც უნდა მეღონა, რომ მას კვლავ ჩამოეგდო ფულზე სიტყვა. ჯიბიდან მარკა ამოვიღე და მონეტით ჟონგლიორობა დავიწყე. ჯერ ზევით აშვერილ მარჯვენა მკლავზე ჩამოვიგორე, შემდეგ იმავე გზით უკანვე დავაბრუნე. ამგვარმა ჯამბაზობამ ხასიათზე ვერ მოიყვანა, გაწამებული სახე ჰქონდა. შემდეგ მონეტა თითქმის ჭერამდე ავისროლე და ისევ დავიჭირე. მან განმეორებით მანიშნა: „გეთაყვა, მომაწოდე პალტო“. მარკა კიდევ ერთხელ ავაგდე ზევით, მარჯვენა ფეხის ცერით დავიჭირე, მალლა ავწიე, თითქმის ცხვირთან მივუტანე, რის გამოც, გაჯავრებულმა, ხელი ჩაიქნია და ბუზღუნით მითხრა: „მოეშვი ამას!“

მხრები ავიჩიჩე, წინკარში გავედი და საკიდიდან პალტო და ქუდი ჩამოეხსენი. იგი უკვე ჩემ გვერდით იდგა. ჯერ პალტოს ჩაცმაში დავუბმარე, შემდეგ ქუდიდან ამოვარდნილ, იატაკზე დაცვენილ ხელთათმანებს დავაუღე ხელი და მივაწოდე. ცხვირი და ტუჩები ისე საცოდავად მოეღრიცა, რომ ატირებას აღარაფერი აკლდა.

— ნუთუ კარგს არაფერს მეტყვი? — წამწურჩულა მან.

— როგორ არა, — ვუთხარი ჩუმად, — ძალიან კარგი იყო, მხარზე რომ ხელი დამადე, როცა ის იდიოტები მასამართლებდნენ, ხოლო განსაკუთრებით კარგი ის იყო, ფრაუ ვინეკენი რომ იხსენი, როცა ჭკუანაღრძობი მაიორი დახვრეტას უპირებდა.

— აჰ, მე თითქმის დამავიწყდა ეს ამბები, — თქვა მან.

— ძალიან კარგია, რომ დაგავიწყდა, მე კი არაფერი დამვიწყებია, — ვუთხარი მე.

მან შემომხედა და უხმოდ შემევედრა, ჰენრიეთეს სახელი არ ახსენოო. არც მიხსენებია, თუმცა განზრახული მქონდა მეკითხა, რატომ არ მოიქცა მაშინ კარვად და რატომ არ აუკრძალა ჰენრიეთეს სკოლიდან სამხედრო ნაწილში ექსკურსიაზე წასვლა. თავი დავუქინე მხოლოდ და იგი მიხვდა, რომ ჰენრიეთეზე არაფერს ვიტყვოდი. რაღა თქმა უნდა, როცა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე იჯდა

და მოწყენილობისაგან ქაღალდზე კაცუნებს ჯღაბნიდა, ზოგჯერ ალბათ ასო „პ“-ც გამოჰყავდა. ერთხელ, მეორედ, ხანდახან, ალბათ, სრული სახელიც: „ჰენრიეთე“. იგი არ იყო დამნაშავე, რალაცნაირი უგუნური კაცი იყო, რასაც ტრაგიზმთან არაფერი აქვს საერთო ანდა, პირიქით, ტრაგიზმის წინა პირობას ქმნის. არ ვიცი, რა როგორაა. მამაჩემი ზრდილი, დახვეწილი, თმაშევერცხლილი კაცია და უაღრესად კეთილი გამომეტყველება აქვს, მაგრამ როცა მარისთან ერთად კიოლნში ვცხოვრობდი, ჩემთვის ერთი გროშიც კი არ გამოუგზავნია. რა მატებდა მამაჩემს, ამ ხათრიან ბერიკაცს ამდენ ძალასა და სიმტკიცეს? რატომ ლაპარაკობდა ტელევიზორის ეკრანიდან საზოგადოებრივ ვალდებულებაზე, მამულიშვილობაზე, გერმანიასა და ქრისტიანობაზეც კი, რაც მისი პირადი აღიარებით, ოდნავადაც არ სწამდა, თანაც ლაპარაკობდა ისე, რომ შეუძლებელი იყო, არ დაგეჟერებინა? ყოველივე ამას საფუძვლად ედო ფული, მაგრამ არა კონკრეტული ფული, რითაც რძეს ყიდულობ, ტაქსის ქირაობ, საყვარელს ინახავ ან კინოში დადიხარ, არამედ აბსტრაქტული ფული. მე მისი მეშინოდა, მას კი ჩემი, რადგან ორივემ ვიცოდით, რომ რეალისტები არ ვიყავით, ორივეს გვეზინებოდა ისინი, ვინც „რეალურ პოლიტიკაზე“ ლაყბობენ. ამ ამბავს გაცილებით ღრმა ფესვები ჰქონდა — ის ბრიყვები ამას ვერასდროს მიხვდებოდნენ. მამაჩემის თვალეში ცხადად ამოვიკითხე: ფულს ვერ მისცემდა კლოუნს, რომლისთვისაც ფული იმიტომ არსებობს, რომ დახარჯოს, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ფულის დანიშნულებას. წინასწარ ვიცოდი, ერთი მილიონიც რომ მოეცა, იმასაც დაეხარჯავდი, მისთვის კი ფულის ყოველგვარი ხარჯვა მფლანგველობა იყო.

სანამ სამზარეულოსა და სააბაზანოში ვიცდიდი, — მინდოდა, მამაჩემს მართო გამოეტირა გამოსატირებელი, — იმედი მქონდა, ამგვარი შეძრწუნების შემდეგ საკმაოდ დიდ თანხას გამოიმეტებდა ყოველგვარი სულელური პირობის გარეშე, მაგრამ ახლა მის თვალეში ცხადად ამოვიკითხე, რომ ასე ვერ მოიქცეოდა. რეალისტი არც ის იყო და არც მე და ორივემ ვიცოდით, რომ სხვები მთელი თავიანთი უხამსობით მხოლოდ რეალისტები იყვნენ, ბრიყვი თოჯინებით ათასჯერ იკიდებდნენ საყელოზე ხელს და მაინც ვერ ამჩნევდნენ ძაფს, რომელზედაც ფართხალებდნენ.

საბოლოოდ რომ დამემშვიდებინა, — ფულსა და ჰენრიეთზე ლაპარაკს არ ჩამოვაგდებ-მეთქი, — კიდევ ერთხელ დაუქნიე თავი, მაგრამ პირადად მე ჰენრიეთზე სულ სხვა რამ გავიფიქრე, რაც უმართებულო მომეჩვენა. წარმოვიდგინე, როგორი იქნებოდა ახლა იგი: ოცდაცამეტი წლის ქალი, ალბათ, რომელიღაც მრეწველის ნაცოლარი იქნებოდა უკვე. ვერ წარმომედგინა, რომ ჰენრიეთე ჩაბმულიყო იაფფასიან ფერხულში, გაება ფლირტი, გაემართა წვეულებები, „ჩაბლაუჭებოდა ქრისტიანობას“, უსაქმოდ მჯდარიყო კომიტეტებში და ზედმეტი გულთბილობა გამოეჩინა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრების მიმართ, რათა არ გამძაფრებულიყო მათი კომპლექსები. ჰენრიეთე წარმომედგინა მხოლოდ შეუპოვარ ქალად, რომელიც რაღაც ისეთს ჩაიდენდა, რასაც ფანტაზიას მოკლებული რეალისტები სწობიზმად მიიჩნევენ. მას შეეძლო რომელიმე საზოგადოების პრეზიდენტისათვის, ბოლო დროს რომ ასე მომრავლდნენ, კოქტეილი ჩაესხა საყელოში ანდა კბილებდაკრეჭილი ზეთვალთმაქცის მერსედესისათვის მანქანა დაეჯახებინა. სხვა რა უნდა ეკეთებინა, პეიზაჟების ხატვას ან კერამიკის საკარაქების გაკეთებას თუ არ ასწავლიდნენ. ალბათ, იმასვე იგრძნობდა, რასაც მე ვგრძნობ ყველგან, სადაც ცხოვრება ჩქეფს — უხილავ კედელს, რომლის მიღმა ფული იმისათვის კი არ არსებობს, რომ ხარჯო, არამედ სხვა დანიშნულება აქვს: ხელი არ უნდა ახლო და ციფრების სახით სკივრებში შეინახო.

მამაჩემს გზა დაუთმე. სახეზე ისევ დაასხა ოფლმა და შემეცოდა. სწრაფად შეგვარდი საერთო ოთახში, მაგიდაზე დადებულ ჭუჭყიან ცხვირსახოცს ხელი დავაუღე და პალტოს ჯიბეში ჩაუღე. დედაჩემი ყოველთვის თეთრეულს რომ გადათვლიდა, თუ თვალში რამე დააკლდებოდა, ერთ ამბავს ატეხდა ხოლმე, მოახლეებს ქურდობას ან დაუღვერობას აბრალებდა.

— ტაქსი ზომ არ გამოგიძახო? — ვკითხე მამას.

— არა, — მიპასუხა მან, — ცოტას ფეხით გავივლი, ფურმანი სადგურის მახლობლად მელიოდება.

მან გვერდი ამიარა. კარი გაუღე, ლიფტამდე მივაცილე და ღილაკს ხელი დავაჭირე. ჯიბიდან კიდევ ერთხელ ამოვიღე მარკა. გამლილ მარცხენა ხელისგულზე დავიდე და დავხედე: მამაჩემმა ზიზღით გაიხედა გვერდზე და თავი გააქნია. მეგონა, საფულეს ამოიღებდა და

ორმოცდაათ ან ას მარკას მაინც დამიტოვებდა, მაგრამ ტკივილმა, კეთილშობილებამ და ტრაგიკული სიტუაციის შეგნებამ იგი სუბლიმაციის იმ დონემდე აიყვანა, სადაც ფულზე გაფიქრებაც კი ამაზრზენად მიაჩნდა, ხოლო ჩემი ცდები, კვლავ შემეხსენებინა ფული — მკრეხელობად. როცა ლიფტის კარი გაუღლე, გადამეხვია, შემდეგ აქშუტუნდა, ჩაიხითხითა და მითხრა:

— ნამდვილად ყავის სუნი აგდის, დასანანია, სიამოვნებით მოგიხარშავდი საუცხოო ყავას — ეს მართლა ვიცი.

ხელი გამიშვა, ლიფტში შევიდა და სანამ ლიფტი დაიძვრებოდა, სწორედ მაშინ, როცა დილაკს თითს აჭერდა, მის ეშმაკურ ღიმილს მოკარი თვალი. ლიფტი დაიძრა, მე კი ვიდექი და ციფრების ანთებაჩაქრობას თვალს ვადევნებდი. ოთხი, სამი, ორი, ერთი... და ბოლოს შუქი გამოირთო.

16

როცა ბინაში შევბრუნდი და კარი დაგკეტე, მივხვდი, რომ სულელი ვარ — რატომ არ მოვადულებინე ყავა და ცოტა ხანს კიდევ არ დაეტოვე აქ. გადამწყვეტ წამში, სწორედ მაშინ, როცა ყავას შემოიტანდა და ამაყად დამისხამდა, ვეტყოდი, „აბა, დაყაჭე ფულები“ ანდა „აბა, ამოალაგე ფული“. გადამწყვეტ წამში ყველაფერი პრიმიტიულად, ბარბაროსულად ხდება. ამ დროს ამბობენ: „თქვენ გერგებათ ნახევარი პოლონეთი, ჩვენ — ნახევარი რუმინეთი, სილენზიის ორ მესამედს ისურვებთ თუ ნახევარს? თქვენ მიიღებთ ოთხ სამინისტრო საგარძელს, ჩვენ ჭაპანტრანსპორტის კონცერნს დაეპატრონებით“.

სისულელე ჩავიდინე, რომ ჩემსა და მის განწყობილებას აყვევი და ჯიბეზე ხელი არ გავაკრეფინე. თავიდანვე ფულზე უნდა დამეწყო ლაპარაკი, უნდა მემსჯელა ამ მკვდარ, აბსტრაქტულ, ბორკილდადებულ ფულზე, მრავალი ადამიანისათვის სიკვდილს ან სიცოცხლეს რომ უდრის. „სულ ფული და ფული“, აღმოხდებოდა ხოლმე შეძრწუნებულ დედაჩემს, როცა რვეულისათვის ოცდაათ პფენიგს ვთხოვდი. მარადიული ფული. მარადიული სიყვარული.

სამზარეულოში შევედი, პური მოვიჭერი, კარაქი წაუუსვი, ისევ საერთო ოთახში დაებრუნდი და ბელა ბროზენის ნომერი აკრიფე. იმის იმედი მქონდა, რომ თავზარდაცემული და აკანკალებული

მამაჩემი შინ კი არა, საყვარელთან წავიდოდა, ქალი მას უთუოდ საწოლში ჩააწვენდა, სათბურს ჩაუდებდა და თაფლიან ცხელ რძეს დაალევინებდა. დედაჩემს საზიზღარი ჩვეულება ჰქონდა: როცა ვინმე შეუძლოდ იყო, მაშინვე ჭირთათმენასა და ნებისყოფაზე მოჰყვებოდა ლაპარაკს, ამ ბოლო დროს კი „ერთადერთ სამკურნალო საშუალებად“ ცივი წყალი მიაჩნია.

— ბროზენი გისმენთ, — მითხრა მან და მესიამოვნა. ცხვირში არაფრითარი სუნის რომ არ მეცა. საოცარი ხმა ჰქონდა — თბილი, სასიამოვნო ალტი.

— შინი გახლავართ, ჰანსი, გახსოვართ?

— მახსოვხართ, — მითხრა მან გულთბილად — და ისე... ისე თანაგიგრძობთ...

ვერ მივხვდი, რისი თქმა უნდოდა, მერე გავიგე, როცა ლაპარაკი განაგრძო.

— დამიჯერეთ, ყველა კრიტიკოსი ბრიყვი, პატივმოყვარე და ეგოისტია.

მე ამოვიოხრე.

— ამის დაჯერება რომ შემიძლოს, ცოტა უკეთ ვიგრძობდი თავს.

— ჰოდა, დაიჯერეთ, დაიჯერეთ, მეტი არაფერი გინდათ. თქვენ, ალბათ, არ იცით, როგორ შველის ადამიანს ძლიერი სურვილი, რომ რაღაც სჯეროდეს.

— ვთქვით და, რომელიმე კრიტიკოსმა შემაქო, მაშინ რაღა ვქნა?

— ოჰ, — გაეცინა მას, ბგერა „ო“-ში მშვენიერი კოლორატურა ჟღერდა, — მაშინ უნდა დაიჯერო, რომ კრიტიკოსი ერთხელ შემთხვევით პატიოსნების გზას დაადგა და ეგოიზმი დაივიწყა.

მე გამეცინა. არ ვიცოდი, როგორ მიმემართა — ბელა დამეძახა თუ ქალბატონი ბროზენი. ჩვენ ერთმანეთს თითქმის არ ვიცნობდით. ისეთი ცნობარი კი, რომელსაც გადაშლი და ამოიკითხავ, როგორ უნდა მიმართო მამის საყვარელს, ჯერ არ არსებობს. ბოლოს „ფრაუ ბელაზე“ შევჩერდი, თუმცა ეს სასცენო სახელი მეტისმეტად სულელური მეჩვენებოდა.

— ფრაუ ბელა, — ვუთხარი მე, — შავ დღეში ვარ. მამა იყო ჩემთან, ათას რაღაცაზე ვისაუბრეთ, მაგრამ ვერ მოვახერხე, კვლავ ფულზე ჩამომეგდო სიტყვა, თუმცა...

ვიგრძენი, გაწითლდა. მე იგი ძალიან კეთილსინდისიერად მიმაჩნ-

და, მჯეროდა, რომ მამაჩემისადმი მისი დამოკიდებულება „ჭეშმარიტ სიყვარულს“ ემყარებოდა და „ფულთან დაკავშირებულ საქმეებზე“ ლაპარაკი ეჩოთირებოდა.

— გთხოვთ, მისმინოთ, — განვაგრძე მე, — დაივიწყეთ ყველაფერი, რამაც ახლა თავში გაგიელვათ. ნუ გრცხვენიათ. მე მხოლოდ იმას გთხოვთ, როცა მამა თქვენთან ჩემზე ჩამოაგდებს სიტყვას... იქნებ, შეაგნებინოთ, რომ უსიკვდილოდ მჭირდება ფული, ნაღდი ფული და თანაც ახლავე. უსახსროდ დავრჩი. მისმენთ?

— დიახ, — მიპასუხა მან ისე ჩუმად, რომ შიშმა შემიპყრო, შემდეგ მომეჩვენა რაღაც სრუტუნის მაგვარი.

— თქვენ, ცხადია, ცუდი ქალი გგონივართ, ჰანს, — მითხრა მან, ახლა უკვე აშკარად ტიროდა, — სხეულით მოვაჭრე არსება. ჩვენს დროში ასეთი უამრავია. თქვენ უნდა მთვლიდეთ ასეთ ქალად, ოჰ!

— როგორ გეკადრებათ, — ვუპასუხე ხმამაღლა, — მე არასოდეს მიმაჩნდით ასეთ არსებად, მართლა არასოდეს.

მეშინოდა საკუთარ და მამაჩემის გრძნობებზე არ დაეწყო ლაპარაკი. ზღუქუნის მიხედვით, იგი საკმაოდ სენტემენტალური ჩანდა. არც ის იყო გამორიცხული, რომ მარიზე ჩამოაგდებდა სიტყვას.

— მართალს გეუბნებით, — განვაგრძე მე არც ისე მტკიცედ, რადგან საეჭვოდ მომეჩვენა, სხეულით მოვაჭრე ქალები რომ ზინლით მოიხსენია, — მართალს გეუბნებით, ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი თქვენს კეთილგანწყობაში და გულში ცუდი არასოდეს არაფერი გამიფლია. — და ეს მართლაც ასე იყო. — გარდა ამისა, — განვაგრძე მე და სიამოვნებით მიემართავდი კიდევ ერთხელ სახელით, მაგრამ ეს საშინელი სახელი ბელა ვერ ამოვლერდე, — გარდა ამისა, მე თითქმის ოცდაათი წლის ვარ. მისმენთ?

— დიახ, — იგი იქ, გოდესბერგში, თავის ვილაში ისე ოხრავდა და ზღუქუნებდა, თითქოს სააღსარებოში იყო მუხლმოყრილი.

— თქვენ მხოლოდ ის შთააგონეთ, რომ უსაშველოდ მჭირდება ფული.

— ჩემი აზრით, — მითხრა უხალისოდ, — არ ივარგებს ამ საკითხზე პირდაპირ დაველაპარაკო... ყველაფერი, რაც მის ოჯახს ეხება... გესმით, რას ვამბობ, ჩვენთვის ტაბუა... მაგრამ არსებობს სხვა გზა.

ხმა არ ამომიღია. ქალი აღარ ზღუქუნებდა, ჩუმად ქსუტუნებდა მხოლოდ.

— დროდადრო იგი ფულს მაძლევს გაჭირვებული კოლეგების დასახმარებლად, — მითხრა მან, — ამ ფულს მე თვითონ ვანაწილებ და იგი საქმეში არ ერევა. როგორ ფიქრობთ, მართებული ხომ არ იქნებოდა, ეს მცირე თანხა გადმოგცემთ, როგორც გაჭირვებულ კოლეგას?

— მე მართლაც გაჭირვებული კოლეგა ვარ და არა მართო ამჟამად, სულ მცირე ნახევარი წლით მაინც. მითხარი, გეთაყვა, რას გულისხმობთ მცირე თანხაში?

მან ჩაახველა, კიდევ ერთხელ აღმოხდა „ო“, მაგრამ ამას კოლორატურასთან საერთო აღარაფერი ჰქონდა, და მითხრა:

— ამ ფულს, ჩვეულებრივ, ვიყენებთ კონკრეტული გაჭირვების შემთხვევაში, როცა ვინმე კვდება, აუად ხდება ან ქალს ბავშვი უჩნდება. მე იმის თქმა მინდა, რომ საქმე ეხება არა ხანგრძლივ დახმარებას, არამედ ერთგვარ ხელის გამართვას.

— მაინც რამდენია ეს თანხა? — ვკითხე მე.

პასუხი მაშინვე არ გაუცია და ვცადე წარმომედგინა, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო იმწამს. ბელა ბროზენი ხუთი წლის წინათ ვნახე პირველად, როცა მარიმ მანამდე არ მოისვენა, სანამ ოპერაში არ შემათრია. ფრაუ ბროზენი მღეროდა გრაფის მიერ შეცდენილი გლეჭი გოგონას პარტიას და მე გამაოცა მამაჩემის გემოვნებამ. ბელა საშუალო ტანის, საკმაოდ ჯანიანი ქერა ქალი აღმოჩნდა, მკერდი ისე უღელავდა, როგორც ჯერ არს. ხან ქონის კედელს, ხან ფორანს მიყრდნობილი, ბოლოს კი ფიწალზე დაყრდნობილი ბელა ლამაზი, ძლიერი ხმით მღეროდა და ყველაზე უკეთ უმარტივეს სულიერ განცდებს გამოხატავდა.

— ალო, — ვიყვირე მე, — ალო!

— ო, — აღმოხდა მას. ამჯერად ბგერა ისევ კოლორატურულად ჟღერდა, მაგრამ ოდნავ სუსტად. — თქვენ ისევ პირდაპირ დამისვით კითხვა.

— ისეთ დღეში ვარ, ესლა დამრჩენია, — ვუთხარი მე და შიშმა შემიპყრო. ვიცოდი, რაც უფრო დიდხანს დუმდა, მით უფრო მცირე თანხას დაასახელებდა.

— რა გაეწყობა, — მითხრა მან ბოლოს, — თანხა ათიდან დაახლოებით ოცდაათ მარკამდე მერყეობს.

— ვთქვით და რომელიმე თქვენი კოლეგა უადრესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგალითად, კატასტროფაში მოყვა და რამდე-

ნიმე თვის განმავლობაში ას-ასი მარკა სჭირდება ფულადი დახმარების სახით?

— ჩემო კარგო, — მითხრა მან ჩუმად, — ნუთუ გგონიათ, რომ ტყუილს ვიკადრებ?

— არა, — ვუპასუხე მე, — მაგრამ მე მართლა მომივიდა მარცხი და, ბოლოს და ბოლოს, განა ჩვენ კოლეგები არა ვართ, მსახიობები?

— შევეცდები, — მითხრა მან, — მაგრამ არა მგონია, ანკესს წამოვეგოს.

— რაო? — ვიყვირე მე.

— არ ვიცი, შევძლებ თუ არა, ისე დაგუსურათო საქმე, რომ დამიჯეროს. მე არც ისე მდიდარი ფანტაზია მაქვს.

ამის თქმა საჭირო არ იყო. მე უკვე ვფიქრობდი, იგი ყველაზე ბრიყვი დედაკაცია, ვისთანაც კი ოდესმე საქმე მქონია-მეთქი.

— რა მოხდება, — ვუთხარი მე, — სცადოთ და აქაურ თეატრში ანგაჟემენტი მომიწყოთ. ცხადია, მეორეხარისხოვან როლებს ვგულისხმობ, პატარა, სახასიათო როლებს კარგად ვასრულებ.

— არა, არა, ძვირფასო ჰანს, — მიპასუხა მან, — მე ისედაც ცუდად ვგრძნობ თავს იმის გამო, რომ ამ ინტრიგანულ თამაშში ვებმები.

— კეთილი, — ვუპასუხე მე, — ბოლოს ისიც მინდა გითხრათ, რომ სულ მცირე თანხაზეც არ ვიტყვოდი უარს. ნახვამდის და დიდი მადლობა.

სანამ რამის თქმას მოახერხებდა, ყურმილი დავკიდე.

გუმანით ვგრძნობდი, ამ წყაროდან არაფერი გამოდინებოდა. ქალი უადრესად ბრიყვი აღმოჩნდა. ჩემი უნდობლობა გამოიწვია კილომ, როცა თქვა „ანკესს წამოვეგოს“. რატომ იყო შეუძლებელი „გაჭირვებული კოლეგებისათვის გაღებული თანხა“ ჯიბეში ჩაედო. მამაჩემი შემეცოდა. მე მისთვის ლამაზ და ინტელიგენტ საყვარელს ვინატრებდი. კვლავ მწყდებოდა გული, რომ ყავა არ მოვადულებინე. ეს ბრიყვი დედაკაცი, ალბათ, იღიმებოდა და მალულად თავს აქნევდა მასწავლებელივით, — აქაოდა, ხელი შემიშალეო — როცა მამა ყავის მოსახარმად მის სამზარეულოში გადიოდა, შემდეგ კი ფარისეველურად სახეგაბრწყინებული ყავას ისე უქებდა, როგორც ძაღლს შეაქებენ ქვის მოტანისათვის. გაცოფებული მოვშორდი ტელეფონს, ფანჯარასთან მივედი, გამოვადე და ქუჩაში გადავიხედე. შემეშინდა, ვაითუ, ისე გამიჭირდეს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ზო-

მერვილდს მივადგე დახმარებისათვის. უეცრად ჯიბიდან მარკიანი ამოვიღე, ქუჩაში გადავაგდე და იმწამსვე ვინანე. თვალი გაუყოლე, მაგრამ ვეღარ დავინახე. მხოლოდ მომეჩვენა, თითქოს გავიგონე, როგორ დაეცა ჩავლილი ტრამვაის სახურავზე. მაგიდიდან ბუტერბროდი ავიღე და, სანამ ქუჩაში ვიყურებოდი, შევჭამე. რვას აღარაფერი აკლდა, თითქმის ორი საათი ვიყავი ბონში, ექვს ვერეთ წოდებულ მეგობარს დაუურეკე, დედასა და მამას ველაპარაკე და ჯიბეში არათუ მეტი, ერთი მარკით ნაკლები მეღო იმასთან შედარებით, რაც ჩამოსვლისას მებადა. სიამოვნებით ჩავირბენდი დაბლა და ჩემს მარკას ქუჩაში დაუწყვებდი ძებნას, მაგრამ დრო ცხრის ნახვერისკენ მიიწვედა და ლეოს ყოველ წამს შეეძლო დაერეკა ან მოსულიყო.

მარის რა უჭირდა, რომში იყო, თავისი ეკლესიის წიაღში და ახლა, ალბათ, იმაზე ფიქრობდა, რა ჩაეცვა პაპთან აუდიენციის დროს. ციუპფენერი ჟაკლინ კენედის სურათს უმოვიდა, ესპანურ მანტილიასა და რიდესაც აუცილებლად უყიდდა, რადგან, კარგად თუ ჩაეუკვირდებით, ამჟამად მარი გერმანული კათოლიციზმის ერთგვარი „First Lady“ იყო. გადავწყვიტე მეც გავმზავრებულიყავი რომში და პაპისათვის აუდიენცია მეთხოვა. ალბათ, პაპსაც სცხია რაღაც ბებერი, ბრძენი კლოუნის და, ბოლოს და ბოლოს, არლეკინის სახეც ბერგამოში ჩაისახა. ამის დადასტურება შეუძლია გენეპოლმსაც. მან ხომ ყველაფერი იცის. პაპს აგუსტინიდი, ჩემი და მარის ცოლქმრობა იმიტომ ჩაიშალა, რომ ოფიციალურად ხელმოწერილნი არ ვიყავით, და ვთხოვდი, ჰენრიჰ მერვეს ერთგვარ ანტიპოდად მივეჩნიე: ჰენრიჰ მერვე პოლიგამი და მორწმუნე კაცი იყო, მე კი მონოგამი და ურწმუნო. უუამბობდი, რა ქედმაღალნი და უხამსნი არიან გერმანული კათოლიციზმის „მესვეურები“ და ვურჩევდი, თავი არ მოეტყუებინა. ვურჩვენებდი რამდენიმე ნომერს, ლამაზ, მსუბუქ სცენებს, როგორიცაა „სკოლაში წასვლა და შინ დაბრუნება“, „კარდინალს“ კი — არა. ამან შეიძლება გული ატკინოს, ერთ დროს ხომ თვითონაც კარდინალი იყო. ყველა-ყველა და, სწორედ მისთვის არ მინდოდა დამეშაუებინა რამე.

მუდამ საკუთარი ფანტაზიის მსხვერპლი ვხდები. ცხადად წარმოვიდგინე პაპთან აუდიენცია: აი, უკვე მუხლმოდრეკილი ვდგავარ

მის წინ და ვთხოვ, მაკურთხოს ურწმუნო კაცი. კართან გამეშებული შვეიცარიელი გვარდიელი დგას, ხოლო იქვე რომელიღაც მონსინიორი შემწყნარებლურად, მაგრამ მრუდედ იღიმება. ყველაფერი ეს ისე ნათლად დამიდგა თვალწინ, რომ მართლაც დავიჯერე, თითქოს უკვე ვიყავი პაპთან. ვიცოდი, ცდუნებას ვერ გავუძლებდი და ლეოს ვუამბობდი, პაპის სანახაუდ გავემგზავრე და აუდიენცია მქონდა მასთან-მეთქი. იმ წუთში მართლაც პაპთან ვიყავი, ვხედავდი მის ღიმილს, ვისმენდი მის სასიამოვნო, გლქხურ ხმას, ვუამბობდი, როგორ გახდა ჭკუასუსტი ბერგამოელი არლეკინი. მაგრამ ლეოს ასეთი ხუმრობა არ უყვარდა, მუდამ მატყუარას მეძახდა, ცოფდებოდა, როცა შეხვედრის დროს ვკითხავდი:

— გახსოვს, როგორ გადავხერხეთ ერთად მორი?

— მორი ჩვენ ერთად არ გადაგვიხერხავს, — ყვიროდა იგი.

ლეო მართალს ამბობდა, მაგრამ მისი სიმართლე ჩირად არ ღირდა. იგი ექვსი-შვიდი წლისა იქნებოდა, მე კი რვისა თუ ცხრის, როცა მან საჯინიბოში ღობის მონარჩენი მორი იპოვა, იქვე ჟანგმოკიდებული ხერხიც გამოჩნრიკა და მთხოვა, მორი ერთად გადავხერხოთო. მე ვკითხე, რა საჭიროა ასეთი უსარგებლო მორის გადახერხვა-მეთქი. მიზეზი ვერ დამისახელა, უბრალოდ, ხერხვა მოუნდა, რაც მე სრულ უაზრობად მომეჩვენა. ლეო მთელი ნახევარი საათი ტირიდა. მე მხოლოდ დიდი ხნის, თითქმის ათი წლის შემდეგ — პატერ ვუნიალდის გერმანული ენის გაკვეთილზე, როცა ლესინგს გავდიოდით — ყოველგვარი ასოციაციის გარეშე მივხვდი, თუ რას მთხოვდა ლეო: უნდოდა ეხერხა, იმ წუთში სხვა არაფერი უნდოდა ისე, როგორც ჩემთან ერთად ხერხვა. ყველაფერ ამას ათი წლის შემდეგ მივხვდი და ისე ძალუმაღ განვიცადე მისი სინარული, მოუთმენლობა, მდელვარება, რომ შუა გაკვეთილზე ხელები ისე ავამოძრავე, თითქოს მართლაც ვხერხავდი. თვალწინ მედგა ლეოს ბავშვური, გაბრწყინებული სახე. ჟანგმოკიდებულ ხერხს რიგრიგობით ვექაჩებოდით და ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ პატერ ვუნიალდმა თმაში არ წამავლო ხელი და „გონს არ მომიყვანა“. მას შემდეგ მგონია, თითქოს მე და ლეომ მართლა გადავხერხეთ მორი, მაგრამ ლეოს ამის გაგება არ შეუძლია. იგი რეალისტია და დღეს აღარ ესმის, რომ თუ რამე აგეკვიატა, თუნდაც სულელური, აუცილებლად უნდა გააკეთო. რაღაც წამიერი სურვილები დედა-

საც კი უჩნდებოდა, მაგალითად, ბუხრის წინ კარტის თამაში, სამ-ზარეულოში შესვლა და ვაშლის ყვავილის ჩაის საკუთარი ხელით დასხმა. უეცრად მოეპრიანებოდა ლამაზ, გაპრიალებულ, წითელი ხის მაგიდასთან დაჯდომა, კარტის თამაში, ბედნიერი ოჯახის დიასახლისობა, მაგრამ ყოველთვის, როცა მას ამგვარი რამ მოენატრებოდა, არც ერთ ჩვენგანს არ ჰქონდა ამის ხალისი. მაშინ ატყდებოდა ერთი ამბავი, დედაჩემი მანჭვა-გრებით გვისაყვედურებდა, ჩემი არ გესმითო, შემდეგ კი ჩვენგან მორჩილებას მოითხოვდა, მეოთხე მცნებას იშველიებდა. ბოლოს რწმუნდებოდა, რომ თუ შვილები მხოლოდ მორჩილების გრძნობის კარნახით ვეთამაშებიან კარტს, ვერაფერი გართობაა, და ატირებული თავის ოთახში მიდიოდა. ზოგჯერ ცდილობდა მოვექრთამეთ, გვპირდებოდა „განსაკუთრებით“ გემრიელ საჭმელს ან სასმელს, ბოლოს კი ისევ მორიგი უხვცრემლიანი საღამო დგებოდა. რამდენი ასეთი საღამო გაგვიტარებია დედას წყალობით. მას არ ესმოდა, რატომ ვეუბნებოდით ასე თავგამოდებით კარტის თამაშზე უარს — კარტში ჯერ კიდევ ერია გულის შვიდიანი და ყოველი თამაში ჰენრიეთეს გვაგონებდა. მაგრამ პირში ამას არაფერს ეუბნებოდა. მოგვიანებით, როცა ვიგონებდი მის ამას ცდებს, ბედნიერი ოჯახის გარემოცვაში მჯდარიყო ავიზგიზებულ ბუხართან, წარმოვიდგენდი, თითქოს მართლ ვეთამაშებოდი კარტს. თუმცა ყოველგვარი კარტის თამაში, როცა მასში მხოლოდ ორი მონაწილეობს, მოსაწყენია. მე მართლა ვეთამაშებოდი დედაჩემს „სამოცდაექვსს“ და „ომობანას“, ვსვამდი ვაშლის ყვავილის ჩაის, თანაც თაფლიანს, დედაჩემი კი ამ დროს ხუმრობით თითხ მიქნევდა და სიგარეტს მთავაზობდა, კედლის მიღმა ლეო ეტიუდებს უკრავდა და ამ დროს სახლში ყველამ, მოახლეებმაც კი იცოდნენ, რომ მამაჩემი „იმ ქალთან“ წავიდა. ეტყობა, მარიმ ვილაცისგან გაიგო, ამგვარი „ტყუილების“ მოგონება რომ მემარჯვება, და როცა რამეს ვუყვებოდი, მუდამ ეჭვის თვალით მიყურებდა. მაგრამ ოსნაბრიუქში ის ბიჭი ნამდვილად დავინახე ფანჯრიდან. ზოგჯერ პირიქითაც მემართება: ის, რაც ნამდვილად განვიცადე, არანამდვილი, არარეალური მგონია. ახლა არაფრით არ მჯერა, რომ ოდესღაც კიოლნიდან ბონში ჩავედი და მარის ჯგუფველ ქალიშვილებს ქალწულ მარიაშზე ვესაუბრე. ყველაფერი, რასაც სხვა ადამიანები რეალობად თვლიან, მე ფიქციად მეჩვენება.

საბოლოოდ ჩავიქნიე ხელი ქვემოთ, მტვერში გაგორებულ ერთ-მარკიანზე, ფანჯარას მოვცილდი და კიდევ ერთი ბუტერბროდის გასაკეთებლად სამზარეულოში გავედი. სანოვაგე ცოტაღა დამრჩა: კიდევ ერთი ქილა ლობიო, ერთი ქილა ქლიავი (ქლიავს ვერ ვიტან, მაგრამ მონიკამ ეს საიდან უნდა იცოდეს), ნახევარი პური, ნახევარი ბოთლი რძე, დაახლოებით მეოთხედი გირვანქა ყავა, ხუთი კვერცხი, სამი ნაჭერი ღონის ქონი და ერთი ტუბი მდოგვი. საერთო ოთახის მაგიდაზე დაგდებულ კოლოფში ოთხი სიგარეტიღა იყო. თავს ძალზე ცუდად ვგრძნობდი, ადარ მქონდა იმის იმედი, რომ კვლავ შევძლებდი ვარჯიშს. მუხლი გამისივდა, შარვალი ლამის მიჭერდა, თავის განუწყვეტელი, მბურღავი ტკივილი თითქმის ზემიწიერი გახდა, სულში უშავესმა სიბნელემ დაისადგურა. გარდა ამისა, მაწუხებდა „ხორციელი ჟინი“, მარი კი რომში იყო. უმისოდ მიჭირდა, მენატრებოდა მისი კანი, მინდოდა, მკერდზე მისი ხელები მეგრძნო. როგორც ერთხელ ზომერვილდმა თქვა, მეც მაქვს „ქმედითი და ჭეშმარიტი დამოკიდებულება ფიზიკური სილამაზისადმი“. მსიამოვნებს, როცა ჩემ ირგვლივ ლამაზი ქალები ტრიალებენ, მაგალითად, ისეთები, როგორიც ჩემი მეზობელი ფრაუ გრებელსია, მაგრამ ამ ქალებისადმი არავითარ „ხორციელ ჟინს“ არ ვგრძნობ. ამის გამო კი ბევრი მათგანი ნაწყენი რჩება, თუმცა მათ მიმართ რომ ამგვარი რამ მეგრძნო და ჩემი სურვილის დაკმაყოფილება მომეთხოვა, ალბათ, პოლიციას დაუძახებდნენ. რთული და საშინელია „ხორციელი ჟინი“, არამონოგამი მამაკაცებისათვის ეს, ალბათ, მუდმივი წამებაა, ჩემისთანა მონოგამებისათვის კი — ფარული უზრდელობის მუდმივი წყარო, რადგან ქალები, უმეტეს შემთხვევაში, შეურაცხყოფილნი რჩებიან, თუ არ გრძნობენ იმას, რასაც მათ ენაზე ეროსი ჰქვია. ფრაუ ბლოთერტიც კი, წესიერი და ღვთისმოსავი ქალი, მუდამ ცოტათი შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს. ზოჯერ იმ ავხორცი ადამიანებისაც კი მესმის, რომლებზედაც ამდენს წერენ გაზეთებში. როცა წარმოვიდგენ, რომ არსებობს რაღაც ისეთი, რასაც „ცოლქმრული მოვალეობა“ ჰქვია, შიში მიპყრობს. ამაზრხენი უნდა იყოს ცოლქმრობა, როცა ქალს სახელმწიფო და ეკლესია აიძულებს, „ის საქმე“ ხელშეკრულების თანახმად აკეთოს. არ შეიძლება ადამიანი იძულებით გახადო გულმონწყალე. შევეცდე-

ბი ამ საკითხზე რომის პაპს ველაპარაკო, მას, ალბათ, არასწორ ინფორმაციას აწვდიან.

კიდევ ერთი ბუტერბროდი გაუიკეთე, წინკარში გავედი და პალტოს ჯიბიდან საღამოს გაზეთები ამოვიღე, კიოლნში მატარებლის ფანჯრიდან რომ ვიყიდე. ზოგჯერ საღამოს გაზეთი შვებას მგვრის, ისევე მაცარიელებს, როგორც ტელევიზორის ყურება. გაზეთი გადავფურცლე და მანამდე ვათვლიერებდი მსხვილი ასოებით აწყობილ სათაურებს, სანამ არ წავაწყდი შენიშვნას, რომელმაც სიცილი მომგვარა. „ფედერალური რესპუბლიკის წინაშე დამსახურებისათვის დოქტორი ჰერბერტ ქალიკი დააჯილდოეს „ჯვრის ორდენით“. ქალიკი სწორედ ის ვაჟბატონი გახლდათ, რომელმაც დამასმინა, დეზერტირი მიწოდა და გასამართლების დროს სიმკაცრეს, ულმობელ სიმკაცრეს მოითხოვდა. მას დაებადა მაშინ გენიალური აზრი, მტერთან საბოლოო შებრძოლებისათვის ობოლთა თავშესაფრის მობილიზაცია მოეხდინათ. მე ვიცოდი, რომ ახლა იგი ინდაურით გაფხორილი „დიდი კაცი“ იყო. გაზეთში ქწერა: ჯვრის ორდენით დააჯილდოეს „ახალგაზრდებს შორის დემოკრატიული იდეების გავრცელებისათვის“.

ერთხელ, ორი წლის წინ, შინ დამპატიჟა, შერიგება უნდოდა. როგორ უნდა მეპატიებინა მისთვის, რომ ობოლი ბიჭი, გეორგი, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარის ტყორცნაში ვარჯიშის დროს სასიკვდილოდ დაიჭრა, ანდა ის, ათი წლის ბიჭს რომ დეზერტირობა დამაბრალა და სიმკაცრის, ულმობელი სიმკაცრის გამოიჩინა მოითხოვდა? მაგრამ მარი მარწმუნებდა, არ შეიძლება უარი უთხრა მიწვევაზე იმ კაცს, ვისი მიზანიც შერიგებააო. ჩვენ ყვავილები ვიყიდე და ქალიკს ვესტუმრეთ. იგი აღმოჩნდა მშვენიერი ვილის მფლობელი თითქმის ზედ ეიფელზე, ჰყავდა ლამაზი ცოლი და ბავშვი, რომელსაც ამაყად „ერთ ბავშვებს“ ეძახდნენ. მისი ცოლის სილამაზე იმგვარი იყო, რომ ვერ გაიგებდი, ცოცხალი ადამიანი იყო თუ მომართული თოჯინა. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მის გვერდით ვიჯექი, არ მასვენებდა სურვილი, მისთვის მკლავებში, მხრებში ან ფეხებში წამეველო ხელი, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ თოჯინა არ იყო. მისი მონაწილეობა საუბარში მხოლოდ ორი ფრაზით განისაზღვრებოდა: „ო, რა მშვენიერია“ და „ო, რა სისამაგლეა“. თავიდან მოსაწყენი ქალი მომიჩვენა, შემდეგ კი დავინტერესდი და ისე ვუყვებო-

დი ათასგვარ ამბავს, როგორც ავტომატში ყრიან ფულს — მინდოდა გამეგო, რა რეაქცია ექნებოდა. როცა ვაუწყე, ეს-ესაა ბებია გარდამცვალა-მეთქი, რაც სრულიად არ შეეფერებოდა სიმართლეს, რადგან ბებია თორმეტი წლის წინ გარდაიცვალა, მან წამოიძახა: „ო, რა სისადაგლეა“. ჩემი აზრით, როცა ადამიანი კვდება, ბევრ სისულელეს ამბობენ, მაგრამ „ო, რა სისადაგლეა“ არავის დასცდენია. შემდეგ მოუყევი, ვიღაც ჰუმელოს (რომელიც საერთოდ არ არსებობდა და იმისათვის მოვიგონე სასწრაფოდ, რომ ავტომატში რამე დადებითი ჩამეშვა) საპატიო დოქტორის ხარისხი მიანიჭეს-მეთქი. მან წამოიძახა: „ო, რა მშვენიერია!“, ხოლო როცა ვუამბე, ჩემმა ძმამ, ლეომ, რჯული შეიცვალა-მეთქი, ერთ წამს შეყოყმანდა. მე ეს ყოყმანი სიცოცხლის ნიშანწყლად მომეჩვენა, მაგრამ მან მეტისმეტად დიდი, თოჯინას ცარიელი თვალებით შემომხედა და ცდილობდა მიმხვდარიყო, პირადად მე როგორ კატეგორიას ვაკუთვნებდი ამ ამბავს. მერე კი თქვა: „სისადაგლეა, არა?“. ის მაინც მოვახერხე, რომ გამოთქმის ცოტათი განსხვავებული ვარიანტი დავაცდენინე, ვურჩიე, „ო, რა“ გამოეუტოვებინა და მართო „მშვენიერია“ და „სისადაგლეა“ ეთქვა. ჩაიკისკისა, კიდევ გადმომიღო სატაცური და მხოლოდ ამის შემდეგ თქვა: „ო, რა მშვენიერია“. იმ საღამოს მიწურულს ის „ერთი ბავშვებიც“ გავიცანით, მათი ხუთი წლის ლაწირაკი. მისთვის შეიძლებოდა ვგრევე დაველოთ ხელი და ტელევიზიის სარეკლამო გადაცემებში გამოეყვანათ, როგორც ბავშვი. ბიჭუნამ კბილის პასტის სარეკლამო ღიმილით გაიღიმა და თქვა: „ღამე მშვიდობისა, მამიკო, ღამე მშვიდობისა, დედიკო“, შემდეგ მარის დაუკრა თავი, ბოლოს კი მე. გამიკვირდა, აქამდე როგორ ვერ აღმოაჩინა ეს ბიჭი ტელევიზიის სარეკლამო განყოფილებამ. მოგვიანებით, როცა ბუხართან ყავასა და კონიაკს შევექცეოდით, ჰერბერთმა ლაპარაკი გააბა იმ დიად დროზე, ჩვენ რომ ვცხოვრობთ, შემდეგ შამპანური მოიტანა, პათეტიკურად მომიხადა ბოდიში, მუხლიც კი მოიყარა ჩემ წინაშე და მთხოვა, „უეკლესიოდ შემენდო მისთვის ცოდვები“. შხად ვიყავი პანჩური ამომეკრა, მაგრამ ნაცვლად ამისა, მაგიდიდან ყველის დასაჭრელი დანა ავიღე და საზეიმოდ ვაკურთხე დემოკრატად. „ო, რა მშვენიერია!“ — წამოიძახა მისმა ცოლმა. როცა გულაჩყვებული ჰერბერთი დაჯდა, მე მთელი მოხსენება წავიკითხე „ებრაელ იანკებზე“.

— დიდხანს ვგონათ, — ვთქვი მე, — რომ ჩემი გვარი შინი რამოდგება სიტყვისაგან „შნორენ“¹, მაგრამ ბოლოს დამტკიცდა, რომ მას არაფერი აქვს საერთო ამ სიტყვასთან. ის წარმოიშვა გვარისაგან შნიდერი, რომლის ძირი არის სიტყვა „შნაიდერ“². ასე რომ, მე არც ებრაელი ვარ და არც იანკი, მაგრამ... — უეცრად ჰერბერტის სილა გააწანა, რადგან გამახსენდა, როგორ მოსთხოვა ერთ ჩვენს სკოლის ამხანაგს, გიოც ბუხელს, ცნობა არიული წარმოშობის შესახებ. გიოცი მძიმე დღეში ჩავარდა. დედამისი სამხრეთ იტალიის რომელიღაც სოფლიდან იყო და იქიდან რაიმე ცნობის მიღება, რაც ცოტათი მაინც დაასაბუთებდა დედამისის არიულ წარმოშობას, შეუძლებელი აღმოჩნდა. ის სოფელი, სადაც გიოცის დედა დაიბადა, ამ დროს უკვე ებრაელი იანკების ხელში იყო. გიოცი და დედამისი რამდენიმე კვირა საშინელ დღეში იყვნენ, მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, სანამ გიოცის მასწავლებელს აზრად არ მოუვიდა, ბიჭი ბონის უნივერსიტეტის რასიზმის ერთ-ერთ სპეციალისტს შეემოწმებინა და დასკვნა დაეწერა. პროფესორმა დაადგინა, რომ გიოცი „არიელია“, „წმინდა წყლის არიელი“. ჰერბერტ ქალიკმა რაღაც სისულელე მოჩმანა, ყველა იტალიელი მოლაღატეაო, და გიოცს ომის დამთავრებამდე ერთი მშვიდი წუთი აღარ ჰქონია. ყველაფერი ეს მაშინ გამახსენდა, როცა ვცადე „ებრაელი იანკების“ შესახებ მოხსენება წამეკითხა. ჰერბერტის ერთი გვარიანი სილა გააწანა, შამპანურის ჭიქა ბუხარში შევაგდე, ზედ ყველის საჭრელი დანაც მივაყოლე, მარის მკლავში ხელი ჩავავლე და იქიდან წამოვართიე. ზევით, ეიფელზე, ტაქსი ვერ ვიშოვეთ და ავტობუსის გაჩერებამდე საკმაოდ დიდი მანძილი ფეხით გავიარეთ. მარი ტიროდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში მიმტკიცებდა, არაქრისტიანულად და არაადამიანურად მოიქეციო. მე ვუპასუხე, ქრისტიანი არა ვარ და ჩემი სააღსარებო ჯერ ღია არ არის-მეთქი. მარიმ მკითხა, ნუთუ ეჭვი გეპარება, რომ ჰერბერტი ახლა სხვა კაცი გახდა, დემოკრატიაო?

— არა, არა, — ვუპასუხე მე, — სრულიად არ მეპარება ეჭვი, პირიქით; უბრალოდ, არ მიყვარს ეს კაცი და არც არასოდეს შემეყვარდება.

¹ Schnorren (გერმ.) — მათხოვრობა.

² Schneider (გერმ.) — მკერავი.

ტელეფონის წიგნი გადავშალე და ქალიკის ნომერი მოვძებნე. ისეთ გუნებაზე ვიყავი, რომ სწორედ მასთან მინდოდა ტელეფონით მესაუბრა. გამახსენდა, მოგვიანებით კიდევ ერთხელ შევხვდი ჩვენს სახლში, ჟურფიქსზე. მან მუდარით შემომხედა და თავის გადააქნ-გადმოაქნია, რადგან ამ დროს ერთ რაბინს „ებრაელთა ინტელექტზე“ ელაპარაკებოდა. რაბინი შემეცოდა. ძლიერ მოხუცებული იყო და თეთრი წვერი და კეთილი გამომეტყველება ჰქონდა. მისმა გულუბრყვილობამ შემაშფოთა. ცხადია, ჰერბერთი ყველას, ვისაც კი გაიცნობდა, არწმუნებდა, ნაცისტები და ანტისემიტი ვიყავი, მაგრამ „ისტორიამ თვალი ამიხილაო“. არადა, ამერიკელების ბონში შემოსვლამდე ერთი დღით ადრე, თავის ბიჭებს პარკში წვრთნიდა და ეუბნებოდა: „როგორც კი პირველ ებრაელ ღორს დაინახავთ, მაშინვე ესროლეთ ხელყუმბარა“. დედაჩემის ჟურფიქსზე ყველაზე მეტად სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტების გულუბრყვილობა მაღელვებდა. საყოველთაო მონანიება და დემოკრატიის საქვეყნოდ აღიარება მათ ისე უჩუყებდა გულს, რომ დაძმობილებასა და გულში ჩაკვრას ბოლო არ უჩანდა. მათ არ ესმოდათ, უკეთურობის საიდუმლოება რომ წვრილმანებშია ჩაქსოვილი. ადვილზე ადვილია მოინანიო რაღაც დიდი პოლიტიკური შეცდომა, ცოლქმრული ღალატი, მკვლელობა, ანტისემიტიზმი, მაგრამ ვინ შეუნდობს ადამიანს, ვინ ერკვევა წვრილმანებში? რა დამავიწყებს იმას, როგორ შეხედეს ბრიულმა და ჰერბერთ ქალიკმა მამაჩემს, როცა მხარზე ხელი დამადო; როგორ აკაკუნებდა გაცოფებული ქალიკი მოკაკულ თითებს მაგიდაზე, მიყურებდა მკვდარი თვალებით და გაიძახოდა: „სიმკაცრე, უღმობელი სიმკაცრეა საჭირო“; ანდა როგორ სწვდა საყელოში გიოც ბუხელს, მიუხედავად მასწავლებლის ჩუმი პროტესტისა, მთელი კლასის წინ დააყენა და წამოიძახა: „აბა, შეხედეთ, რით არ არის ებრაელი?“

ჩემს მქსიერებაში უამრავი ამგვარი წამი, უამრავი დეტალი და წვრილმანი აღიბეჭდა... და ჰერბერთს თვალები არ შესცვლია. შემეშინდა, როცა დავინახე, როგორ იდგა იგი მოხუცი, ცოტა გამოჩერჩეტებული, მშვიდობიანად განწყობილი რაბინის გვერდით, როგორ უმასპინძლდებოდა კოქტილით და ებრაელთა ინტელექტზე ელაპარაკებოდა. ემიგრანტებმა არც ის იცინან, რომ ფრონტზე ნაცისტებს ისე იშვიათად გზავნიდნენ და, ამგვარად, ილუპებოდნენ არა ისინი, არა-

მედ სხვები, ისეთები, როგორც იყო ჰუბერთ ქნიპსი, ვინეკენების მეზობელ სახლში რომ ცხოვრობდა, და ხაბაზის შვილი გიუნთერ ქრემერი. თუმცა ისინი ჰიტლერიუგენდის ხელმძღვანელები იყვნენ, მაინც გაგზავნეს იმ ფრონტზე, რადგან „პოლიტიკური ალლო აკლ-დათ“, მთელ იმ ბინძურ თვალთვალში არ მონაწილეობდნენ. ქალიკს არასოდეს გაგზავნიდნენ ფრონტზე, რადგან პოლიტიკური ალლო ჰქონდა, ისევე, როგორც დღეს აქვს. დაბადებითვე სწორი ალლო დაჰყვა. ყველაფერი სულ სხვაგვარად ხდებოდა, ვიდრე ემიგრანტებს ჰგონიათ. მათ მხოლოდ ამგვარი კატეგორიებით შეუძლიათ აზროვნება: დამნაშავე — უდანაშაულო, ნაცისტი — არანაცისტი.

გაულაითერი¹ ქირენჰანი ზოგჯერ მარის მამის დუქანში შედიოდა, სიგარეტის კოლოფს დაუკითხავად იღებდა ყუთიდან, არც ტალონს ტოვებდა და არც ფულს, შემდეგ მარის მამის ცხვირწინ, დახლზე ჯდებოდა და ეუბნებოდა:

— მარტინ, რა მოხდება, პატარა, არც ისე საშინელ საკონცენტრაციო ბანაკში რომ გიკრა თავი?

მარის მამა უპასუხებდა:

— ღორი ღორობას ვერ მოიშლის, შენ კი ყოველთვის ღორი იყავი.

ისინი ერთმანეთს ექვსი წლის ასაკიდან იცნობდნენ. გაცოფებული ქირენჰანი აფრთხილებდა:

— თავს ნუ გადიხარ, მარტინ, მეტისმეტად შორს ნუ შეტოპავ.

მარის მამა ეუბნებოდა:

— თუ დამჭირდა, უფრო შორსაც შეეტოპავ, აბა, გაეთრიე აქედან!

— ვეცდები, კარგში კი არა, ყველაზე საშინელ საკონცენტრაციო ბანაკში ამოგაყოფინო თავი.

ასე დავობდნენ დაუსრულებლად. მარის მამას უსათუოდ დაიჭერდნენ, გაულაითერს რაღაც გაუგებარი მიზეზის გამო მისთვის „მფარველი ხელი“ რომ არ გადაეფარებინა. მაგრამ ყველას როდი აფარებდა ამ მფარველ ხელს. მან არც ტყავით მოგაჭრე მარქსი დაიცვა და არც კომუნისტი კრუპე. ორივე მოკლეს. დღეს ყოფილი გაულაითერი მშვენიერად ცხოვრობს, სამშენებლო მასალების მაღაზია აქვს გახსნილი. ერთხელ ქირენჰანი მარის შეხვდა და უთხრა: საწუწუნო არაფერი მაქვსო.

¹ გაულაითერი (Gauleiter — გერმ.) — ოლქის ნაცისტი ხელმძღვანელი ფაშისტურ გერმანიაში.

— რა საშინელი იყო ნაციისტების ბატონობის ხანა, იქიდანაც ჩანს, რომ სიცოცხლეს უნდა ვუმაძღლოდე ისეთ ღორს, როგორიც ყოფილი გაულაითურია. თან ეს წერილობითაც უნდა დავადასტურო, — გვეუბნებოდა ხშირად მარის მამა.

ამასობაში ქალიკის ტელეფონის ნომერი ვიპოვე, მაგრამ ვყოყმანობდი, დამერეკა თუ არა. გამახსენდა, რომ ხვალ დედაჩემს ჟურფიქსი აქვს, შემეძლო შინ მივსულიყავი, ჯიბეები ჩემი შშობლების ფულით ნაყიდი სიგარეტებითა და მარილიანი ნუშით გამომეტენა, პარკში ჩაყრილი ზეთისხილი და ყველის კვერები მომემარაგებინა, შემდეგ სტუმრებისათვის ქუდით ხელში ჩამომეგლო და „ოჯახის გაჭირვებული წევრისათვის“ ფული შემეგროვებინა. ერთხელ, თხუთმეტი წლისამ, ამგვარი რამ უკვე გავაკეთე. „განსაკუთრებული საჭიროებისათვის“ ფული ვიმათხოვრე და ას მარკაზე მეტი შევაგროვე. ეს ფული თვითონ მოვიხმარე ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე და, თუ ხვალ „ოჯახის გაჭირვებული წევრისათვის“ ფულს შევაგროვებ, ეს არ იქნება ტყუილი: მე მართლაც ვარ ოჯახის გაჭირვებული წერი. წამოსვლის წინ კი სამზარეულოში შევალ, ანას მკერდზე ავტირდები და ძეხვის ნარჩენებს გამოვტყუებ. დედაჩემის ჟურფიქსზე თავმოყრილი იდიოტები ჩემს საქციელს დიდებულ ხუმრობად მიიჩნევენ. დედაჩემიც იძულებული იქნება, ნაძალადევი ღიმილით ჩემს საქციელს ხუმრობის ხასიათი მიანიჭოს და არავის ეცოდინება, რომ ეს მომაკვდინებლად სერიოზული სიმართლეა. იმ ხალხს არაფერი ესმის. თითოეულმა მათგანმა იცის, რომ კლოუნი მელანქოლიკი უნდა იყოს, თორემ კარგი კლოუნი ვერ იქნება. მაგრამ არ იციან, რომ მისთვის მელანქოლია მომაკვდინებლად სერიოზული რამ არის. დედაჩემის ჟურფიქსზე შევხვდები ყველას: ზომერვილდს და ქალიკს, ლიბერალებს და სოციალდემოკრატებს, ექვს სხვადასხვა ჯურის პრეზიდენტს და ატომური ყუმბარის მოწინააღმდეგეებსაც კი (ერთხელ დედაჩემი სამი დღე მონაწილეობდა ანტიატომურ მოძრაობაში, მაგრამ როცა რომელიღაც ფირმის პრეზიდენტმა განუმარტა, თანამიმდევრული ანტიატომური მოძრაობა აქციების რადიკალურ დაცემას გამოიწვევსო, მაშინვე მიიბრინა ტელეფონთან და კომიტეტს დაურეკა, მოძრაობას „ვეთიშებო“). ბოლოს, როცა ყველას ქუდით ხელში ჩამოვუვლი, ქალიკს საჯაროდ სილას გავაწნავ, ზომერვილდს გამოვლანძღავ, მლიქვნელ

მღვდელს ვუწოდებ, ხოლო კათოლიკეთა ცენტრალური კავშირის იქ მყოფ წარმომადგენლებს იმაში დაგადანაშაულებ, რომ გარყვნილებასა და მრუშობას უწყობენ ხელს.

დისკოს თითო მოვაცილე და ქალიკს აღარ დავურეკე. მისთვის მხოლოდ ის მინდოდა მეკითხა, ამ ხნის განმავლობაში წარსული თუ მოინელა, ისევ დაახლოებულია თუ არა ხელისუფლებასთან და ხომ არ შეუძლია გამანათლოს ებრაელთა ინტელექტის საკითხში. ერთხელ ქალიკმა ჰიტლერიუგენდის საღამოზე მოხსენება წაიკითხა თემაზე: „მაკიაველი, ანუ ხელისუფლებასთან დაახლოების ცდა“. მისი მოხსენებიდან ვერაფერი გავიგე, გარდა იმისა, რომ იგი აშკარად ემხრობოდა ხელისუფლებას და ეს პირდაპირ განაცხადა. ჰიტლერიუგენდის მესვეურთ სახეზე შეეტყოთ, რომ მან გადაამლაშა. მაკიაველიზე თითქმის არაფერი უთქვამს, ლაპარაკობდა მხოლოდ საკუთარ თავზე, ანუ ქალიკზე, და სხვა ხელმძღვანელებს სახეზე ეწერათ, რომ მისი მოხსენება საჯაროდ გამოტანილ უტიფრობად მიაჩნდათ. ხომ არსებობენ ისეთი ვაუბატონები, რომელთა შესახებ გაზეთები წერენ, ნამუსგარეცხილებიო. ქალიკი პირწავარდნილი ნამუსგარეცხილი პოლიტიკოსი იყო და სადაც უნდა გამოსულიყო, ყველა სირცხვილით იწვოდა.

ხვალინდელი ჟურფიქსი სიხარულს მგვრიდა. ჩემი მშობლების ქონებიდან ცოტა რამ მეც მხვდებოდა წილად: ზეთისხილი, მარილიანი ნუში, სიგარეტები... სიგარეტების რამდენიმე შეკვრასაც წამოვიღებ და შემდეგ ფასდაკლებით გაეყიდი, ქალიკს მკერდიდან ორდენს ჩამოეგლეჯ და სილას გაეაწნავ. მასთან შედარებით დედაჩემიც კი ადამიანად მეჩვენება. როცა ჩემი მშობლების საგარდერობოში უკანასკნელად შევხვდი, ნაღვლიანად შემომხედა და მითხრა:

— ყველა ადამიანს აქვს ერთი შანსი. ქრისტიანები ამას შენდობას უწოდებენ.

პასუხი არ გამიცია. მე ხომ ქრისტიანი არა ვარ. გამახსენდა, იმ მოხსენებაში ქალიკი „სისასტიკის ეროტიკულობასა“ და „სექსუალურ მაკიაველიზმზე“ რომ ლაპარაკობდა. როცა მის სექსუალურ მაკიაველიზმზე ვფიქრობდი, ისევე მეცოდებოდნენ მეძაგები, ვისთანაც იგი დადიოდა, როგორც ცოლები, რომლებიც ხელშეკრულების თანახმად იძულებულნი არიან, რომელიმე ნადირს ეკუთვნოდნენ. ვფიქრობდი უამრავ ლამაზ ყმაწვილქალზე, რომელთაც ან ფულის გამო

უნდა ეკეთებინათ „ის საქმე“ ქალიკისთანა ვაჟბატონებთან, ანდა უფულოდ და უხალისოდ — საკუთარ მეუღლეებთან.

18

იმის მაგონრად, რომ ქალიკის ნომერი ამეკრიფა, ისევ იმ დაწესებულებაში დავრეკე, სადაც ლეო ცხოვრობს. ოდესმე ზომ უნდა დაემთავრებინათ ვაზში, შთაენთქათ თავიანთი ვნებების დამთრგუნველი სალათები. გამიხარდა, ისევ იმ ტიპმა რომ მიპასუხა, ბერიკაცი ახლა სიგარას ქწეოდა და კომბოსტოს სუნი ისე მძაფრად აღარ იგრძნობოდა.

— შნირი გახლავართ, — ვუთხარი მე, — გახსოვართ?

— რა თქმა უნდა, — მიპასუხა მან, — იმედი მაქვს, ჩემი სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით არ გაიგეთ და თქვენი ავგუსტინე არ დაწვით.

— როგორ არა, — ვუპასუხე მე, — ზუსტად ასე მოვიქეცი, წიგნი დავხიე და ფურცელ-ფურცელ ცეცხლს მივეცი.

ერთ წუთს ხმა არ ამოუღია.

— ხუმრობთ, — მითხრა ხრინწიანი ხმით.

— სრულიადაც არა, — ვუთხარი მე, — ასეთ საქმეში თანამიმდევრობას ვიჩენ.

— ღმერთო ჩემო, ნუთუ თქვენ მართლაც ნათლად დაინახეთ დიალექტიკური საწყისები ჩემს ნათქვამში?

— ვერა, ვერ დავინახე. მე უბრალო, პატიოსანი კაცი ვარ. რას შერება ჩემი ძმა? — ვკითხე მე, — როდის ინებებენ ბატონები ვაზშმის დამთავრებას?

— ეს წუთია მათ ჩაროზი მიართვეს, — მითხრა მან, — დიდხანს აღარ გაგრძელდება.

— რას მიერთმევენ? — ვკითხე მე.

— ჩაროზად?

— დიახ.

— ამის თქმის უფლება არა მაქვს, მაგრამ თქვენ გეტყვი: ქლიავის კომპოტს ნალებით. კარგი რამაა, გიყვართ ქლიავი?

— არა, — ვუპასუხე მე, — ქლიავის მიმართ ყოვლად გაუგებარი და დაუძლეველი ზიზღი მაქვს.

— უნდა წაიკითხოთ ჰობერერის შრომა იდიოსინკრაზიის შესახებ.

ყველაფერი დაკავშირებულია ადრეულ, ხშირად დაბადებამდე განცდებთან, საინტერესოა. ჰობერერმა რეაასი შემთხვევა ზუსტად გამოიკვლია. მელანქოლიკი ბრძანდებით.

— თქვენ რა იცით?

— ხმაზე გეტყობათ. ილოცეთ და აბაზანა მიიღეთ.

— აბაზანა უკვე მივიღე, ლოცვა კი არ შემიძლია, — ვუპასუხე მე.

— სამწუხაროა, — მითხრა მან. — ახალ ავგუსტინეს შემოგწირავთ ან კიერკგორს.

— კიერკგორი ჯერჯერობით მაქვს, — ვუთხარი მე, — შეგიძლიათ ჩემს ძმას კიდევ ერთი რამ გადასცეთ?

— სიამოვნებით, — მიპასუხა მან.

— უთხარით, ფული წამომიღოს, რამდენსაც იშოვის.

მან რაღაც ჩაიბურტყუნა, შემდეგ კი ხმამაღლა მითხრა:

— მხოლოდ ჩავინიშნავ, იმდენი ფული წამოიღოს, რამდენსაც იშოვის. სხვათა შორის, თქვენ მართლაც უნდა წაიკითხოთ ბონავენტურა. დიდებული საკითხავია. მეტისმეტად ნუ აიგდებთ მეცხრამეტე საუკუნეს. თქვენი ხმა ისე ჟღერს, თითქოს მეცხრამეტე საუკუნე გძულთ.

— მართალია, — ვუპასუხე მე, — მძულს.

— ცდებით, — მითხრა მან, — სისულელეა. არქიტექტურაც კი არ იყო ისეთი ცუდი, როგორც ლაპარაკობენ. — მას გაეცინა. — დაელოდეთ მეოცე საუკუნის დამლევს, სანამ მეცხრამეტეს შეიძულდებდეთ. წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, თქვენც გელაპარაკოთ და ჩაროზიც მივირთვა?

— ქლიავი? — ვკითხე მე.

— არა, — მიპასუხა მან და ოდნავ ჩაიცინა: — ჩემზე გამწყრალნი არიან და ბატონების კერძებით არ მიმასპინძლდებიან. მხოლოდ მსახურთა კერძს იმეტებენ. დღეს ჩაროზად მოხალული შაქრიანი პუდინგია. თუმცა, — ეტყობა მან კიდევ ერთი კოვზი პუდინგი ჩაიდო პირში, გადაყლაპა და ხითხითით განაგრძო: — თუმცა მე მათ სამაგიეროს ვუხდი, საათობით ველაპარაკები ტელეფონით ჩემს ყოფილ თანამომძეს მიუნხენში, ისიც შელერის მოწაფე იყო. ზოგჯერ კი ჰამბურგში ვრეკავ, კინოს ცნობათა ბიუროში, ანდა ბერლინის ამინდის ბიუროს ვუკავშირდები და ამას ვაკეთებ მხოლოდ შურისძიების მიზნით. ახლანდელ სატელეფონო ქსელში, როცა საქალაქთაშორისო

ნომერს თვითონ კრეფ, ვინ რას მიხვდება. — მან ისევ დაიწყო ღეჭვა, შემდეგ ჩაიხიბნითა და ჩამჩურჩულა: — ეკლესია ხომ მდიდარია, შემზარავად მდიდარი, ისე ყარს ფულით, როგორც მდიდარი კაცის გვამი. იცით, ღარიბი კაცის გვამს რომ კარგი სუნი უდის?

— არა, — ვუპასუხე მე და ვიგრძენი, რომ თავის ტკივილი ცოტათი მომეშვა. სასწავლებლის ტელეფონის ნომერი წითელი წრით შემოუხანჯე.

— თქვენ ურწმუნო კაცი ხართ, ხომ მართალია? არ მითხრათ, არაო, ხმაზე გატყობთ, რომ ურწმუნო კაცი ხართ. ხომ ასეა?

— დიახ, — ვუპასუხე მე.

— ეს არაფერს ნიშნავს, სრულიად არაფერს, — მითხრა მან. — წინასწარმეტყველ ესაიას წიგნში არის ერთი ადგილი, რომელიც მოციქულ პავლეს რომაელთა მიმართ ეპისტოლედან მომაქვს. მისმინეთ ყურადღებით: „რომელთა არა მიეთხრა მისთვის, იხილონ და, რომელთა არა ესმა, გულისხმა-ყონ“. — მან ბოროტად ჩაიხიბნითა. — მიხვდით?

— დიახ, — ვუპასუხე უხალისოდ.

უეცრად მომესმა ხმამალლა ნათქვამი სიტყვები:

— საღამო მშვიდობისა, ბატონო დირექტორო, საღამო მშვიდობისა, — და მან ყურმილი დადო. მის ხმაში გაგულისებული მათემატიკა იგრძნობოდა.

ფანჯარასთან მივედი და საათს შევხედე, ქუჩის კუთხეში რომ ეკიდა. ცხრის ნახევარი ხდებოდა. ჩემთვის გავიფიქრე, საკმაოდ ბევრს ჭამენ-მეთქი. სიამოვნებით დაველაპარაკებოდი ლეოს, მაგრამ ახლა მხოლოდ იმ ფულის დარდი მქონდა, მას რომ უნდა ესესხებინა ჩემთვის. ნელ-ნელა ვხვდებოდი, რა სერიოზულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ზოგჯერ თავად არ ვიცი, რა უფრო მართალია — ის, რაც ასე ცხადად, ასე ხელშესახებად წარმოვიდგინე, თუ ის, რაც სინამდვილეში განვიცადე. ყველაფერი ერთმანეთში მერევა. დაფიცებით ვერ დავიფიცებდი, მართლა დავინახე ის ბიჭი ოსნაბრიუქში თუ არა, მაგრამ იმის დაფიცება კი შემიძლო, რომ ლეოსთან ერთად მორს ვხერხავდი. ვერც იმაზე ვაგებ პასუხს, მართლა ფეხით წავედი ედგარ ვინეკენთან კალკში, ბაბუაჩემის ოცდამარცხიანი ჩეკი რომ ნაღდ ფულად მექცია, თუ არა. მართალია, დეტალები ზუსტად მახსოვს, იმ ქალის მწვანე კოფთაც, ფუნთუშები რომ მა-

ჩუქა, ახალგაზრდა მუშის დაგლეჯილი წინდებიც — მუშამ წინ ჩამიარა, როცა ედგარის კარის ზღურბლზე ვიჯექი და ველოდებოდი, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ბოლომდე დარწმუნებული ვარ, რომ როცა მორს ვხერხავდით, ლეოს ზედა ტუჩი ოფლით დაენამა, საკუთარი თვალით დავინახე. ზუსტად მახსოვს, აგრეთვე, იმ ღამის ყოველი წვრილმანი, როცა მარის კიოლნში პირველად მოეშალა მუცელი. ჰაინრიჰ ბელენმა მომიხერხა, რომ რამდენიმე საღამო გამემართა ახალგაზრდებისათვის — ყოველ გამოსვლაში ოც მარკას მიხდიდნენ. მარი მეტწილად თან მიმყვებოდა, მაგრამ იმ საღამოს შინ დარჩა, რადგან არ იყო კარგად. გვიან საღამოს, როცა ჯიბეში ცხრამეტი მარკა მელო და შინ დავბრუნდი, ოთახი ცარიელი დამხვდა. არეულ საწოლზე სისხლიანი ზეწარი დავინახე, კომოდზე კი ბარათი ვიპოვე: „სააუადმყოფოში ვარ, საშიში არაფერია, ჰაინრიჰმა ყველაფერი იცის“. იმწამსვე გავიქეცი ჰაინრიჰთან და პირქუშ ეკონომ ქალს ვათქმევინე, რომელ სააუადმყოფოში იწვა მარი. შემდეგ სააუადმყოფოს მივაშურე, მაგრამ შიგნით არ შემიშვეს. მონაზონმა ქალმა მანამდე არ გამიღო ჭიშკარი, სანამ ჰაინრიჰი არ მოვაძებნინე სააუადმყოფოში და ტელეფონით არ გამოვაძახებინე. ბოლოს, ღამის თორმეტის ნახევარზე, როგორც იქნა, შემიშვეს მარისთან, მაგრამ ყველაფერი უკვე დამთავრებული იყო. გაფითრებული მარი ლოგინში იწვა და ტიროდა. მის გვერდით ჩამოძვდარი მონაზონი ლოცულობდა და კრიალოსანს მარცვლადა. სანამ მე მარის ხელი მეჭირა და ჰაინრიჰი ჩუმად უხსნიდა, რა მოუვა იმ არსების სულს, რომელიც მან ვერ გააჩინა, მონაზონი მშვიდად განაგრძობდა ლოცვას. მარი, ეტყობა, მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ბავშვი — ასე ეძახდა მას — ვერასოდეს მოხვდებოდა ზეცაში, რადგან არ მონათლულა. მარი დაუსრულებლად იმეორებდა, ბავშვი განსაწმენდელში დარჩებაო, და იმ ღამეს პირველად მივხვდი, რა საშინელ აბდაუბდას ასწავლიან კათოლიკეებს საღმრთო რჯულის გაკვეთილებზე. ჰაინრიჰი სრულიად უმწეო აღმოჩნდა, ვერ განუქარვა მარის შიში და სწორედ ის, რომ იგი ასეთი უმწეო იყო, მე სანუგეშოდ მივიჩინე. ჰაინრიჰი ლაპარაკობდა ღვთის მოწყალებაზე, რაც „უფრო ყოვლისმომცველია, ვიდრე თეოლოგების იურიდიული მოსაზრებები“. მთელი ამ ხნის განმავლობაში მონაზონი ლოცულობდა და კრიალოსანს მარცვლადა. რელიგიის საკითხებში მარი

უკიდურესად ჯიუტი იყო — ჰაინრიჰს ეკითხებოდა, სად არის გავლებული დიაგნოზი კანონსა და ღვთის მოწყალებას შორისო. მე სიტყვა დიაგნოზი დამამახსოვრდა. ბოლოს ოთახიდან გავედი და თავი სრულიად ზედმეტ, გარიყულ ადამიანად ვიგრძენი. დერეფანში ფანჯარასთან გაჩერდი, სიგარეტს მოუუკიდე და კედლის მიღმა მდებარე ავტომობილების სასაფლაოს მივაჩერდი. კედელი თითქმის მთლიანად საარჩევნო პლაკატებით იყო დაფარული. „გამოუცხადე ნდობა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას“, „ხმა მიეცი თქვენი ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირს“. მათ აშკარად უნდოდათ, ამ აუწერელი სიბრყვიით გული დაემძიმებინათ ავადმყოფებისათვის, რომლებსაც, იქნებ, თავიანთი პლაკატებიდან კედლისათვის შეეხებოდათ. „გამოუცხადე ნდობა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას“. პირდაპირ გენიალურია! თითქმის ლიტერატურულ მოწოდებასავით ვდერდა იმ სიჩლუნგესთან შედარებით, მეორე პლაკატზე რომ ეწერა: „ხმა მიეცი თქვენი ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირს“. ღამის ორი საათი ხდებოდა. მოგვიანებით მე და მარი ვკამათობდით, მართლა მოხდა თუ არა ის, რაც დავინახე. მარცხნიდან გამოჩნდა უპატრონო ძაღლი, რომელმაც ჯერ ფარანი დაეხოსა, შემდეგ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პლაკატი, მერე ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პლაკატი და სწორედ ამ პლაკატს მიაშარდა. ამის შემდეგ ქუჩას ძუნძულით გაჰყვა მარჯვნივ, იქითკენ, სადაც ქუჩა მთლიანად იკარგებოდა სიბნელეში. ყოველთვის, როცა ამ სავალალო ღამეს მოვიგონებდით, მარის ან ის არ სჯეროდა, რომ მართლა დავინახე ძაღლი, ან — თუ ძაღლის არსებობაში მეტანხმებოდა — არ სჯეროდა, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პლაკატს მიაშარდა. მარი მეუბნებოდა, მამაჩემმა ისეთი დიდი გავლენა მოახდინა შენზე, რომ ქვეცნობიერად იცრუებდი, ჭეშმარიტებას უღალატებდი და, ძაღლს რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის პლაკატი წაებოდა, ეცდებოდი დაგერწმუნებინე, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პლაკატი წაებოდა. ამავე დროს, მამამისს სოციალ-დემოკრატიული პარტია უფრო სძულდა, ვიდრე ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი. ასეც რომ არ იყოს, რაც ვნახე, ვნახე, მორჩა და გათავდა.

ხუთი საათი იქნებოდა, როცა ჰაინრიჰი სახლამდე მივააცილე. სანამ ერენფელდს მივყვებოდით, იგი ყოველი სახლის კარზე მანიშნებ-

და და ლულულებდა: „აქ ჩემი სამწყსოს ცხვრები ცხოვრობენ“. ჰაინრიხის ბუზლუნა, ყვითელწველებიანმა ეკონომმა ქალმა ანჩხლად მოგვაძახა: „რას ნიშნავს ეს?“ მე სახლში წავედი, დიასახლისის რომ არ დაენახა, სააბაზანოში შვეიპარე და ზეწარი ცივი წყლით გავრეცხე.

ერენფელდი, მურა ნახშირით დატვირთული მატარებლები, სარეცხის თოკები, აბაზანა, რომლითაც სარგებლობა აგვიკრძალეს... ღამე ჩვენი ფანჯრის წინ ზოგჯერ ყუმბარასავით ჩაიქროლებს ნავით საესე პარკი, მაგრამ აფეთქების მაგიერ ტყაპუნი ისმის, დიდი დიდი გამსკდარი პარკიდან კვერცხის ნაჭუჭი გადმოცვივდეს და ირგვლივ გაიფანტოს.

ჰაინრიხი ჩვენ გამო ისევ წაეჩხუბა მღვდელს, რადგან უნდოდა საქველმოქმედო ფონდიდან ჩვენთვის ფული ესესხებინა. მე ისევ ედგარ ვინეიკის მივაკითხე. ამავე დროს, ლეომ საათი გამოგვიგზავნა დასაგირაუებლად. ედგარმა ცოტაოდენი ფული გამოგვიტანა მუშათა სოციალური დაზღვევის სალაროდან. ერთი სიტყვით, ჩვენ შევძელით წამლისა და ტაქსის ფულის გადახდა და სამკურნალო ხარჯების სანახევროდ დაფარვა.

გამახსენდა მარი, მონაზონი, რომელიც ლოცულობდა და კრიალოსანს მარცვლავდა, სიტყვა „დიაგონალი“, ძალდი, საარჩევნო პლაკატები, ავტომობილების სასაფლაო და ჩემი ცივი ხელები, ზეწარს რომ ვრეცხავდი. მიუხედავად ამისა, დანამდვილებით მაინც ვერ ვიტყვოდი, რომ ყველაფერი მართლაც ასე მოხდა. ვერც იმის მტკიცებას დავიწყებდი, თითქოს ის ბერიკაცი, ლეოს ინტერნატიდან რომ მელაპარაკებოდა, მართლა ურეკავდა ბერლინის ამინდის ბიუროს იმ მიზნით, რომ ეკლესიისათვის ფინანსური ზარალი მიეყენებინა. მაგრამ მე ხომ მართლა გავიგონე ეს სიტყვები, ისევე, როგორც მისი პირის წკლაპუნი და ლუკმის გადაყლაპვა, როცა შაქრიან პუდინგს მიირთმევდა.

19

ისე აკრიფე მონიკა ზილვსის ნომერი, დიდხანს არ მიფიქრია. ისიც კი არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა. ზარი ჯერ კიდევ რეკავდა, როცა მან ყურმილი აიღო და თქვა:

— ალო.

მისი ხმის გაგონება მესიამოვნა. მონიკას ძლიერი და ჭკვიანი ხმა აქვს.

— ჰანსი ვარ, მინდოდა...

მაგრამ მონიკამ სიტყვა შემაწყვეტინა და მითხრა:

— აჰ, თქვენა ხართ... — მისი ხმა შეურაცხყოფელად ან უსიამოვნოდ არ ჟღერდა, ოღონდ აშკარად იგრძნობოდა, რომ სხვის ზარს ელოდა და არა ჩემსას. იქნებ, მეგობარ ქალს უნდა დაერეკა ან დედამისს... მაგრამ მაინც გული დამწყდა.

— მხოლოდ მადლობის გადახდა მინდოდა, — ვუთხარი მე, — ისეთი გულკეთილობა გამოიჩინეთ. — აშკარად მცემდა მისი სუნამოს სუნი, — ტაიგა თუ რაც ჰქვია, — მისთვის მეტისმეტად მძაფრი რომ არის.

— მწყინს, რომ ყველაფერი ასე მოხდა, — მითხრა მან, — ალბათ, ძალიან გიჭირთ. — ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა: ქოსთერთის კრიტიკულ წერილს, რომელიც, ალბათ, მთელ ბონს ჰქონდა წაკითხული, მარის დაქორწინებას თუ ორივეს ერთად.

— ხომ არ შემიძლია რითიმე დაგეხმაროთ? — მკითხა მან ჩუმად.

— დიახ, — ვუპასუხე მე, — მესტუმრეთ და ჩემი სული შეიბრალებთ, აგრეთვე, მუხლიც, რომელიც გვარიანად გამისივდა.

მონიკა ღუძღა. მეგონა, მაშინვე მეტყოდა „კარგიო“, მალეღვებდა იმის გაფიქრება, ვაითუ, მართლა მოვიდეს-მეთქი, მაგრამ მონიკამ უბრალოდ მითხრა:

— დღეს ვერა, სტუმარს ველოდები.

შეეძლო ეუწყებინა, ვის ელოდებოდა, ანდა უბრალოდ ეთქვა, მეგობარ ქალს ან მამაკაცსო. სიტყვა „სტუმარმა“ ცუდ გუნებაზე დამაყენა.

— კარგი, ზვალ იყოს. მე, ალბათ, სულ ცოტა, ერთი კვირა მაინც მომიწევს ლოგინში წოლა.

— იქნებ, შემიძლია სხვა რამით დაგეხმაროთ, მე ვგულისხმობ ისეთ რამეს, რისი მოგვარებაც ტელეფონით ხერხდება.

ეს სიტყვები ისეთი ხმით წარმოთქვა, რომ იმედი მომეცა — ხომ შეიძლება, მეგობარ ქალს ელოდებოდეს.

— დიახ, — ვუპასუხე მე, — დამიკარით შოპენის მაზურკა სიბემოლ მაჟორი, მეშვიდე ოპუსი.

მონიკას გაეცინა და მითხრა:

— რა არ მოგვით აზრად. შოპენის დიდი მოყვარული არა ვარ. გარდა ამისა, მის ნაწარმოებებს ცუდად ვუკრავ. — მისი ხმის გაგონებამ მონოგამიისადმი ჩამი მიდრეკილება პირველად შეარყია.

— ო, ღმერთო, — ვუთხარი მე, — ამას რა მნიშვნელობა აქვს, ნოტები გაქვთ?

— სადღაც მაქვს, — მითხრა მან, — ერთი წუთით...

ყურმილი მაგიდაზე დადო და გაეიგონე, როგორ გაიარა ოთახში. რამდენიმე წუთი გავიდა, სანამ ტელეფონთან დაბრუნდებოდა და მე გამახსენდა, რომ ერთხელ მარიმ მითხრა, მეგობარი ქალი ზოგიერთ წმინდანსაც კი ჰყავდაო. ცხადია, მხოლოდ სულიერი მეგობარი, მაგრამ ეტყობა, იმ წმინდანებს ყველაფერი ჰქონდათ, რასაც ქალი სულიერად იძლევა, მე კი ესეც არ მქონდა.

მონიკამ ისევ აიღო ყურმილი.

— მაზურკები, აი, აგერაა, — მითხრა მან ოხვრით.

— ჩემო კარგო, — ვუთხარი მე, — დამიკარით მაზურკა სიბემოლ მაჟორი, ოპუსი მეშვიდე, ნომერი პირველი.

— საუკუნეა შოპენი არ დამიკრავს, ცოტა უნდა წავიფარჯიშო.

— იქნებ, არ გინდათ, თქვენმა სტუმარმა გაიგონოს, შოპენს რომ უკრავთ?

— ო, — თქვა მან სიცილით, — გაიგონოს თუ უნდა, რა მენაღვლებათ.

— ზომერვილდმა? — ვკითხე ძალიან ჩუმად. გაცემისაგან მონიკას ყვირილი აღმოხდა, მე კი განვაგრძე: — თუ მართლა ის არის, როიალის სახურავი თავში ჩასცხეთ.

— მას ეს არ დაუმსახურებია, — მითხრა მან, — თქვენ ძალიან უყვარხართ.

— ვიცი, — ვუპასუხე მე, — მჯერა კიდევ, მაგრამ მე მაინც მირჩენია, იმის ვაჟკაცობა მეყოს, რომ სიცოცხლეს გამოვსალმო.

— ცოტას წავიფარჯიშებ და მაზურკას დაგიკრავთ, — მითხრა მან სწრაფად, — დაგირეკავთ.

— კუთილი, — ვუპასუხე მე, მაგრამ ყურმილი არც ერთს არ დაგვიდვია. ცხადად მესმოდა მონიკას სუნთქვა, არ ვიცი, რამდენ ხანს, მაგრამ მესმოდა. ბოლოს მან ყურმილი დადო. მე კი დიდხანს არ გაეუმეებდი ყურმილს ხელიდან, ოღონდ მისი სუნთქვა გამეგონა. ღმერთო ჩემო, თუნდაც ქალის სუნთქვა...

ლობიო ჯერაც მიიმედ მაწვა კუჭზე და ჩემს მელანქოლიას ამ-
დაფრებდა. მიუხედავად ამისა, მაინც გავედი სამზარეულოში, მეორე
ქილა გავხსენი, ლობიო იმავე ქვაბში ჩავასხი, რაშიც პირველი ულუ-
ფა გავაცხელე და გაზქურა ავანთე. შემდეგ ყავისნალექიანი ქაღალ-
დის ფილტრი სანაგვე ვედროში ჩავაგდე, სუფთა ფილტრი ავიღე,
შიგ ოთხი კოვზი ყავა ჩავყარე, წყალი ცეცხლზე შევდგი და შევეცადე
სამზარეულო დამელაგებინა. იატაკის საწმენდი ჩვარი ყავის გუბებზე
დავაგდე, კონსერვის ცარიელი ქილები და კვერცხის ნაჭუჭები ვე-
დროში ჩავყარე. მძულს დაულაგებელი ოთახები, მაგრამ მე თვითონ
დალაგების თავი არა მაქვს. შემდეგ საერთო ოთახში გავედი, ჭუჭყი-
ანი ჭიქები გამოვიტანე და სამზარეულოში წყლის ბაკანში ჩავყარე.
ბინა თითქოს დაულაგე, მაგრამ მაინც დაულაგებელი ჩანდა. მარი
სწრაფად და მარჯვედ ახერხებდა, ოთახი დალაგებულს დამსგავსე-
ბოდა. თუმცა ამისათვის არაფერს განსაკუთრებულს, თვალნათლივ
დასანახს არ აკეთებდა. ეს ყველაფერი, ეტყობა, მის ხელებზე იყო
დამოკიდებული. მარის ხელების გახსენებამ — მხოლოდ იმის წარ-
მოდგენამ, რომ შეუძლო ხელები ციუპფენერისათვის მხრებზე დაეწყო
— ჩემი მელანქოლია სასოწარკვეთილებამდე გაამძაფრა. ქალის ხე-
ლებს იმდენი რამ შეუძლათ გამოხატონ ან მოგაჩვენონ, რომ მათთან
შედარებით მამაკაცის ხელები მხრებზე მიწებებულ ჯირკვებად
მეჩვენება. მამაკაცის ხელები ხელის ჩამორთმევისა და ცემა-ტყეპის,
სროლისა და ხელის მოწერის ხელებია. ხელის ჩამორთმევა, ცემა-
ტყეპა, სროლა და ანგარიშსწორების ჩეკებზე ხელის მოწერა — აი,
ყველაფერი, რისი გაკეთებაც მამაკაცის ხელებს შეუძლიათ, ცხადია,
შრომაც. ქალის ხელები კი თითქოს ხელებადაც კი არ მიმაჩნია, მა-
შინაც კი, როცა პურზე კარაქს უსვამენ ან შუბლიდან თმას იყრიან.
არც ერთ თეოლოგს არ მოსვლია აზრად, ექადაგა სახარებაში ნახ-
სენები ქალების ხელებზე: ვერონიკასა და მაგდალინას, მარიამი-
სა და მართას ხელებზე. რამდენი ქალის ხელია სახარებაში და რა
სათუთად ეფერებოდნენ ისინი ქრისტეს. ნაცვლად ამისა, სულიერი
მამები ქადაგებენ კანონებზე, წესრიგის პრინციპებზე, ხელოვნებასა
და სახელმწიფოზე. სინამდვილეში კი, ასე ვთქვათ, პირადად ქრის-
ტეს თითქმის მხოლოდ ქალებთან ჰქონდა საქმე. რა თქმა უნდა,
მამაკაცებიც სჭირდებოდა, რადგან ისინი ქალიკვიით ხელისუფლე-
ბასთან არიან დაკავშირებულნი, ერკვევიან ორგანიზაციებსა და სხვა

ამგვარ სისულელეებში. ქრისტეს მამაკაცები მძიმე სამუშაოსათვის სჭირდებოდა, როგორც ბინის გამოცვლის დროს ავეჯის შეძფუთველები სჭირდებოდათ უხეში სამუშაოს შესასრულებლად. პეტრე და იოანე ისეთი ხათრიანები იყვნენ, რომ ვაჟკაცობის თითქმის არაფერი ეცხოთ, სამაგიეროდ, პავლე ისეთი ვაჟკაცი იყო, რომაელს რომ შეეფერებოდა. სახლში, როგორც კი დროს იხელთებდნენ, ხმამაღლა გვიკითხავდნენ ბიბლიას. ჩვენს ნათესაობაში უამრავი პასტორია, მაგრამ არც ერთს არასოდეს ულაპარაკია სახარებაში ნახსენებ ქალებზე ანდა ისეთ გაუგებარ ამბავზე, როგორიცაა არაკი უსამართლო მამონაზე. უსამართლო მამონაზე კათოლიკურ „წრეშიც“ კი არავის სურდა ლაპარაკი, როცა ამაზე სიტყვას ჩამოვაგდებდი. კინკელი და ზომერვილდი ისე მორცხვად იღიმებოდნენ, თითქოს ქრისტე რაღაც საჩოთირო ლაფსუსში გამოიჭირეს, ფრედებოილი კი ამბობდა, ისტორიის მსვლელობაში ეს გამოთქმა გაცვდაო. თურმე ნუ იტყვით და, მას არ მოსწონდა ამ გამოთქმის „ირაციონალურობა“. ისე გამოდიოდა, თითქოს ფული რაღაც რაციონალური იყოს. თუცა მარის ხელში ფულიც კი კარგავდა საეჭვო შინაარსს, რადგან მარის ერთი საოცარი თვისება ჰქონდა — ფულის ხარჯვაში უყაირათობასაც იჩენდა და დიდ ყაირათიანობასაც. პირადად მე პრინციპულად უარვყოფ როგორც ჩეკებს, ასევე „უნადლო ანგარიშსწორების“ სხვა საშუალებებსაც. ჰონორარს ყოველთვის ნაღდი ფულით ვიღებდი ადგილზე და ამიტომ ხარჯების წინასწარი დაგეგმვა ორ ან სამ დღეზე მეტი ხნით არ გვჭირდებოდა. მარი ყველას აძლევდა ფულს, ვინც კი სთხოვდა, ზოგჯერ კი იმასაც, ვინც არ სთხოვდა. საუბარში თუ ვინმეს დასცდებოდა, ვიღაცას უჭირსო, იგი მზად იყო, დახმარებოდა.

გიოთინგენში ერთ ოფიციანტს, რომლის შვილი იმ წელს სკოლაში უნდა წასულიყო, ბავშვისათვის ზამთრის პალტოს საყიდელი ფული აჩუქა. მატარებელში ყოველთვის იხდიდა დამატებით თანხას იმ დაბნეული ბებიების ნაცვლად, რომლებიც დაკრძალვაზე მიემგზავრებოდნენ და შემთხვევით პირველი კლასის ვაგონში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. ქვეყანაზე უამრავი ბებიია, მატარებლით შვილების, შვილიშვილების, რძლებისა და სძიეების დასაფლავებაზე რომ მიემგზავრება. ზოგჯერ ისინი თავიანთი ბებრული უძწყობით კეკლუცობენ, დიდის ამბით ჩაბარგდებიან პირველი კლასის

ვაგონში შებოლილი ძეხვით, ღორის ქონითა და ნამცხვრებით გამოტენილი მძიმე ჩანთებით და პარკებით. თუმცა კუბეში ყველამ იცოდა, რომ ბებიას ჯიბეში მეორე კლასის ბილეთი ედო, მარი მაინც მაიძულებდა, მძიმე ჩემოდნები და პარკები საბარგო ბადეში მომეთავსებინა. შემდეგ დერეფანში გადიოდა და ამ საქმეს ვაგონის გამყოლთან „აგვარებდა“, სანამ ბებიას შეცდომაზე მიუთითებდნენ. ზედმეტი თანხა რომ არ გადაეხადა, მარი წინასწარ ჰკითხავდა მოხუცს, სად მიემგზავრებოდა და ვის დასაფლავებაზე. მაღლიერების გრძნობას ბებიები შემდეგი თავაზიანი სიტყვებით გამოხატავდნენ: „არც ისე ცუდი ახალგაზრდობა გვყავს, როგორც ლაპარაკობენ“ და გასამრჯელოდ მარის უშველებელ ღორიან ბუტყებროდს აწვდიდნენ. ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ყველაზე მეტი ბებია დორთმუნდსა და ჰანოვერს შორის მიემგზავრებოდა დასაფლავებაზე. მარის რცხვენოდა ხოლმე, ჩვენ რომ პირველი კლასის ვაგონით ვმგზავრობდით, და ვერ აიტანდა ჩვენი კუბედან ვინმე გაეძევიანათ მხოლოდ იმის გამო, რომ მეორე კლასის ბილეთი ჰქონდა. უზომო მოთმინებით ისმენდა გაჭიანურებულ ახსნა-განმარტებას, ვინ ვისთან რა ნათესაურ კავშირშია და ათვალერებდა სრულიად უცხო ადამიანების ფოტოსურათებს. ერთხელ მთელი ორი საათი ვისხედით ბიუკერბერგელი ხნიერი გლეხი ქალის გვერდით, რომელსაც ოცდასამი შვილიშვილი ჰყავდა და თითოეულის ფოტოსურათს თან ატარებდა. ჩვენ მოვისმინეთ ოცდასამი ბიოგრაფია, ოცდასამი ახალგაზრდა მამაკაცისა და ქალის სურათი ვნახეთ. ოცდასამივემ რაღაცას მიაღწია ცხოვრებაში. ერთი მიუნსტერში ქალაქის ინსპექტორი იყო, მეორე რკინიგზის მოსამსახურის ცოლი, მესამე სახერხი ქარხნის გამგე, მეოთხეს იმ პარტიაში ეკავა თანამდებობა, რომელსაც ყოველთვის ვირჩევთ — თავად იცითო, ხოლო იმ შვილიშვილზე, რომელიც ბუნდესვერში მსახურობდა, დედაბერმა გვითხრა: „ყოველთვის მყარი მდგომარეობის მომხრე იყო“. მარი დიდი ყურადღებით ისმენდა ამ ამბებს. საინტერესოდ მიაჩნდა და მარწმუნებდა, „ნამდვილი ცხოვრება“ ეს არისო. მე კი მდლიდა ეს ერთფეროვანი ამბები. დორთმუნდსა და ჰანოვერს შორის უამრავი ბებია მგზავრობს, რომელთა შვილიშვილები რკინიგზის მომსახურენი არიან და რომელთა რძლები ნაადრევედ იხოცებიან იმის გამო, რომ „ახლანდელ ქალებს ბავშვების შობა არ უნდათ... ასეა ეს“.

მარი მეტიხმეტად ხათრიანი და გულთბილი იყო ყველა მოხუცის მიმართ, ვისაც დახმარება სჭირდებოდა. თუ საჭირო იყო, იგი მათ ტელეფონით დარეკვაშიც კი ეხმარებოდა. ერთხელ ვუთხარი, კარგი იქნებოდა, სადგურის ქრისტიანულ მისიაში დაგეწყო სამსახური-მეთქი, რაზედაც მან ოდნავ გესლიანად მომახალა:

— რატომაც არა?

ეს რომ ვუთხარი, არც ბოროტი ზრახვა მელო გულში და არც მისი აბუჩად აგდება მინდოდა. ახლა კი მარი რაღაცნაირად მაინც აღმოჩნდა სადგურის ქრისტიანულ მისიაში. ჩემი აზრით, ციუპფენერმა იმიტომ შეირთო მარი, რომ „გადაერჩინა“, მარიც იმიტომ გაჰყვა ციუპფენერს, რომ „გადაერჩინა“. მაგრამ არა მგონია, ციუპფენერი დასთანხმებოდა მარის, ბებიების მაგფერად გადაეხადა მისი ფული ჩქარი მატარებლით მგზავრობისა და პირველი კლასის ვაგონში გადაყვანისათვის. ციუპფენერი ნამდვილად არ იყო ძუნწი, მაგრამ ლეოსავით ისიც გულის გამაწყალებლად მცირედით კმაყოფილდებოდა. იგი არ ჰგავდა ფრანცისკ ასიზელს, რომელიც მცირედით კმაყოფილდებოდა, მაგრამ, ამავე დროს, კარგად ესმოდა იმათი, ვინც მცირეს არ სჯერდება. იმის წარმოდგენა, რომ ახლა მარის საფულეში ციუპფენერის ფული ედო, აუტანელი მეჩვენებოდა. ასევე აუტანელი მეჩვენებოდა სიტყვები „თაფლობის თვე“ და იდეა, რომ მარისათვის უნდა მებრძოლა. ბრძოლა ხომ მხოლოდ ფიზიკურ მხარეს გულისხმობს. ისეთ ცუდად ნავარჯიშებ კლოუნსაც კი, როგორც მე ვიყავი, დიდი უპირატესობა მქონდა როგორც ციუპფენერთან, ასევე ზომიერეილდთან შედარებით. სანამ ისინი საბრძოლო პოზიციას მიიღებდნენ, მე სამჯერ გადავიდოდი ყირაზე, მათ ზურგში მოვექცეოდი, ძირს დაუცემდი და ყელში ხელებს წავუჭერდი. ვინ იცის, იქნებ, ისინი ნამდვილ ჩხუბს გულისხმობდნენ. მათგან ყველაფერია მოსალოდნელი, „ნიბელუნგებზე თქმულების“ ასეთი გაუკუღმართებული ვარიანტებიც კი. ან, იქნებ, სულიერ ბრძოლას გულისხმობდნენ? მე არც ამ შემთხვევაში მეშინოდა მათი. რატომ არ მისცეს მარის უფლება, პასუხი გაეცა ჩემს წერილზე, რაც ერთგვარი სულიერი ბრძოლის გამოცხადებას უდრიდა? თვითონ უსირცხვილოდ წარმოთქვამენ ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა „თაფლობის თვე“, „საქორწინო მოგზაურობა“, მე კი უზნეობაში მდებენ ბრალს. ფარისევლები არიან, აბა რა. ნეტავ, ერთი მოასმენინათ, რას ჰყვებიან ოფიციალტები და

მოახლეები „თაფლობის თვეზე“ და „საქორწინო მოგზაურობაზე“. სადაც უნდა გამოჩნდეს წყვილი — მატარებელში თუ სასტუმროში, — ყველა ვიგინდარა ჩურჩულებს „თაფლობის თვე“ აქვთო და ყოველმა ბავშვმა იცის, რომ ისინი დაუსრულებლად „იმ საქმეს“ აკეთებენ. თანაც ვილაცა ხომ უცვლის მათ თეთრეულს და რეცხავს. როცა მარი ციუპფენერს მხრებზე ხელებს დაადებს, ნუთუ არ გაახსენდება, ყინულივით გათოშილ ხელებს რომ ილღიებქვეშ ვუთბობდი.

მარის ხელები სახლის კარს ადებენ, ზევით მიძინარე პატარა მარის საბანს უსწორებენ, ქვევით, სამზარეულოში, ტოსტერს რთავენ, წყალს ასადულებლად ცეცხლზე დგამენ, კოლოფიდან სიგარეტს იღებენ. მოახლის ბარათი ამჯერად სამზარეულოს მაგიდაზე კი არა, მაცივარზე ხედება: „წავედი კინოში, ათზე დაებრუნდები“. საერთო ოთახში ტელევიზორზე ციუპფენერის ბარათი დევს: „სასწრაფოდ მომიხდა ფ-სთან წასვლა. გოცნი ბევრს. ჰერიბერთი“. სამზარეულოს მაგიდის ნაცვლად — მაცივარი, „გოცნის“ ნაცვლად — „გოცნი ბევრს“. სამზარეულოში დაბრაწულ პურს სქლად უსვამ კარაქს და ზემოდან ღვიძლის ძხვის სქელ ნაჭრებს ადებ, ფინჯანში ორის ნაცვლად სამ კოვზ შოკოლადის ფხვნილს ყრი და პირველად გრძნობ, რა გამაღიზიანებელია გასახდომი დიეტა. გაგონდება, ფრაუ ბლოთერტმა როგორ დაიწრიპინა, როცა მეორე ნაჭერი ნამცხვარი გადაიღე!

— საბოლოო ჯამში ეს ხომ ათას ხუთას კალორიაზე მეტია, ნუთუ შეგიძლიათ ამის უფლება მისცეთ თავს?

შემდეგ შენს წელს ყასბის თვალი შეავლო და ამ მზერაში ძნელი არ იყო უთქმელი დასკვნის ამოკითხვა: „არა, თქვენ არ გაქვთ ამის უფლება“.

ო, უწმინდესო „კა-კა-კა“, „შენ — ნცლერო და — თოლონო!“ დიახ, დიახ, თანდათან სუქდება. ქალაქში ჩურჩულებენ, ჭორიკანათა ქალაქში ჭორიკანობენ, რატომ ვერ ისვენებ, რატომ ეძებ მარტოობას სიბნელეში, კინოებსა და ეკლესიებში, რატომ მიირთმევ შოკოლადსა და დაბრაწულ პურს ჩაბნელებულ საერთო ოთახში? რა უპასუხე იმ ყმაწვილს, ცეკვის დროს რომ სწრაფად გკითხა: „ჩქარა მითხარით, მოწყალეო ქალბატონო, რა გიყვართ ამ ქვეყანაზე, ჩქარა!“ შენც სიმართლე უთხარი:

— ბავშვები, სააღსარებო, კინო, გრეგორიანული ქორალები და კლოუნები.

— კაცი არ გიყვართ, მოწყალეო ქალბატონო?

— როგორ არა, მაგრამ მხოლოდ ერთი, — უპასუხე შენ, — სხვა კაცი ჩემთვის არ არსებობს, ისინი ბრიყვები არიან.

— მომცემთ ნებას, თქვენი პასუხი გამოვაქვეყნო?

— არა, არა, ღვთის გულისათვის, არა!

რაკი თქვი, ერთი კაციო, რატომ არ დაამატე, ჩემიო? როცა ერთი კაცი გიყვარს და ამბობ ერთიო, შეუძლებელია მხოლოდ შენს კანონიერ ქმარს გულისხმობდე. ო, რა მნიშვნელოვანია ეს პატარა, დავიწყებული, უთქმელი სიტყვა „ჩემი“.

მოახლე შინ ბრუნდება. გასაღებს ბუდეში აჩხაკუნებს, კარს ადებს, შემდეგ კეტავს და კვლავ ისმის გასაღების ჩხაკუნი. წინკარში სინათლე ინთება და ისევ ქრება. შემდეგ სინათლეს სამზარეულოში ანთებს, მაცფრის კარს ადებს და კეტავს. ბოლოს სამზარეულოშიც ქრება სინათლე და შენს კარზე მორიდებით აკაკუნებს:

— ღამე მშვიდობისა, ქალბატონო.

— ღამე მშვიდობისა, პატარა მარი კარგად იქცეოდა?

— დიახ, ძალიან კარგად.

დერეფანში სინათლე ქრება. ისმის კიბეზე ამავალი ნაბიჯების ხმა (მაშასადამე, მარი სრულიად მარტო იჯდა ბნელ ოთახში და საეკლესიო მუსიკას ისმენდა).

იმ ხელებით, ზეწარი რომ გარეცხე და შემდეგ ილღიებქვეშ გაგითბე, ახლა ყველაფერს ეხები: ფირსაკრავს, ფირფიტებს, სახელურს, ღილაკს, ფინჯანს, პურს, ბავშვის თმას და ჩოგბურთის ჩოგანს.

— ჰო, მართლა, რატომ აღარ დადიხარ ჩოგბურთის სათამაშოდ?

მხრებს იჩეჩ, არ გეხალისება, უბრალოდ, აღარ გეხალისება. არადა, ჩოგბურთი ზომ პოლიტიკოსებისა და ხელმძღვანელ კათოლიკეთა ცოლების შესაფერისი თამაშია. არა, არა, ეს ცნებები ჯერჯერობით მთლად იდენტური როდია. ჩოგბურთის თამაშით ინარჩუნებენ ფორმას, მოქნილობასა და მიმზიდველობას.

— ფ-ს ძალიან უყვარს შენთან ჩოგბურთის თამაში, შენ კი იგი არ მოგწონს.

— როგორ არა, როგორ არა!

— ფ... გულთბილი კაცია. თუმცა მასზე ამბობენ, მინისტრის პოსტს ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკით და მუშტი-კრივით მიაღწიაო. მას არაშხადად და ინტრიგანად თვლიან, მაგრამ ჰერობერთის მიმართ მართლაც კეთილადაა განწყობილი. უნამუსოებსა და მოსყიდულებს ზოგჯერ უყვართ ნამუსიანი და მოუსყიდველი ადამიანები. ჰერობერთმა ისე კეთილსინდისიერად აიშენა სახლი, კაცს გული აუჩუყდება, არც საგანგებო კრედიტით უსარგებლია და არც დახმარება უთხოვია სამშენებლო საქმეში გამოცდილი პარტიული და ერთმორწმუნე კათოლიკეებისათვის. ერთი კია — ბაღის გაშენება მოინდომა ფერდობზე. აი, აქ კი ზედმეტი ფულის გადახდა დასჭირდა, რაც „თავისთავად“ უზნეო საქციელად მიაჩნია. ახლა კი რა გამოვიდა, ბაღი ფერდობზე მოუხერხებელი რამ ყოფილა.

ვინც ბაღს ფერდობზე აშენებს, ორი ვარიანტიდან შეუძლია აირჩიოს ერთ-ერთი — ან აღმაგული, ან დაღმაგული: ჰერობერთმა დაღმაგული აირჩია. სწორედ ეს ქმნის უხერხულობას. მალე პატარა მარი ბურთის თამაშს დაიწყებს და ბურთი ყოველთვის მეზობლის ბაღის მესერამდე ჩაგორდება, ზოგჯერ კი ღობეშიც გაძვრება, ტოტებს დაამტკვრევს, ყვავილებს გათელავს, ნაზ, ძვირფასი ჯიშის ხავსს გააოხრებს, რაც, ბოლოს და ბოლოს, დაძაბულ, საბოდიშო სიტუაციას შექმნის. „როგორ შეიძლება გაუბრაზდე ასეთ პატარა, მომნიბვლელ გოგონას“. არ შეიძლება. მხიარული, წკრიალა ხმები ვითომც უდარდებლობას გამოხატავენ, გასახდომი დიეტისაგან დამანჭული ტუჩები — სიხარულს, დაძაგრული, ძარღვებდაჭიმული კისრები — სიხალისეს. არადა, ერთი რიგიანი ჩხუბი და მაგარი ლანძღვა-გინება პირდაპირ ცხონება იქნებოდა მათთვის. რაღაც გარკვეულ დრომდე როგორღაც ახერხებენ გრძნობების დაოკებას, კეთილმეზობლური ღიმილის მიღმა დამალვას, მაგრამ როდისმე, ზაფხულის ერთ წყნარ საღამოს, გაიგონებთ, ჩაკეტილი კარებისა და ჩამოშვებული ჟალუზების უკან რა ლაწალუწი აუტყდება ფაიფურის ძვირფას ჭურჭელს, ემბრიონის ლანდებს რომ უშენენ: „მე კი მინდოდა შეილი მყოლოდა, შენ, შენ არ გინდოდა“. ძვირფასი ჭურჭელი იაფფასიანი ხმაურით მიეფშვნება სამხარეულოს კედლებს. სასწრაფო დახმარების მანქანა ყურისწამლები წივილით აუყვება აღმართს. გადატეხილა კროკუსი, გათელილა ხავსი, ბავშვის ხელით ნასროლი ბურთი მეზობლის ბაღ-

ში მიგორავს. მანქანის ყურისწამლები წვილი ხალხს გამოუცხადებელი ომის დაწყებას აუწყებს. ოი, ნეტავ სხვანაირად გაგვეშენებინა ბალი.

ტელეფონის ზარმა შემაკრთო. ყურმილი ავიღე და გავწითლდი, მონიკა ზილვსი სულ გადამავიწყდა.

— ალო, ჰანს, — მითხრა მონიკამ.

— დიახ, — ვუპასუხე მე, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მომესაზრებინა, რისთვის დამირეკა. მასურკა მხოლოდ მაშინ გამახსენდა, როცა მითხრა, „იმედი გაგიცრუვდებათ“. უკან დასახვევი გზა მოჭრილი მქონდა, ვერ ვეტყოდი, გადავიფიქრე-მეთქი, ძალაუნებურად იმ საშინელი მასურკისათვის უნდა გაგვეძლო. გავიგონე, როგორ დადო მონიკამ ყურმილი როიალზე და დაიწყო დაკვრა. უკრავდა შესანიშნავად, ბგერა დიდებული იყო, მაგრამ მოსმენისას ისე ცუდად გავხდი, რომ ავტირდი. როგორ გავბედე და ვცადე იმ წამის განმეორება, მარისაგან წამოსული შინ რომ დაებრუნდი და სამუსიკო ოთახში ლეო ამ მასურკას უკრავდა. არა, არ შეიძლება განცდილი წამის განმეორება და მისი სხვისთვის გაზიარება. შემოდგომის ერთ საღამოს ჩვენს პარკში ედგარ ვინეკენმა 100 მეტრი 10,1 წამში გაირბინა. თავად გავზომე მანძილი, მევე ვაკვირდებოდი წამმზომს. იმ საღამოს მან მართლა გაირბინა 100 მეტრი 10,1 წამში. მაშინ საუკეთესო ფორმაში იყო, ერთგვარ აღმაფრენას განიცდიდა, მაგრამ ჩვენ, რა თქმა უნდა, არავინ დაგვიჯერა. შევცდით, რომ ყოველივე ეს სხვებს ვუამბეთ და იმ წამის განანგრძლივება მოვინდომეთ. ნუთუ არ შეიძლებოდა დაუმტკბარიყავით იმის შეგნებით, რომ მან 100 მეტრი 10,1 წამში გაირბინა. შემდეგ ედგარი ამ მანძილს ძველებურად 10,9 და 11,0 წამში ფრავდა და ჩვენი, რა თქმა უნდა, არავის სჯეროდა, მასხრად გვიგდებდნენ. ასეთ მომენტებზე ლაპარაკი თავისთავადაა შეცდომა, მათი განმეორების ცდა კი — თვითმკვლელობა. ცხადია, ერთგვარი თვითმკვლელობა იყო მონიკას დაკრული შოპენის მასურკის მოსმენა. არსებობს განმეორებაზე დაფუძნებული რიტუალური მომენტები, თუნდაც ვინეკენების ოჯახში პურის დაჭრა. ერთხელ გადავწყვიტე, ეს რიტუალი გამემეორებინა, მარის ვთხოვე, პური დაეჭრა ფრაუ ვინეკენივით, მაგრამ მუშის ოჯახის სამზარეულო არაფრით ჰგავს სასტუმროს ოთახს, ხოლო მარი არ იყო ფრაუ ვინეკენი — დანა ხელიდან გაუსხლტა, მარცხენა მკლავი

გაიჭრა და ამ შემთხვევამ სამი კვირით ამოგვაგდო კალაპოტიდან. ასეთი უკუღმართი შედეგი შეიძლება მოჰყვეს სენტიმენტალობას. უნდა შეაშფოთო გარდასული წამები, არასოდეს არ უნდა სცადო მათი განმეორება.

როდესაც მონიკამ დაკვრა დაამთავრა, ისე ცუდად ვიყავი, ტირილის თავიც აღარ მქონდა. ეტყობა, მან ეს იგრძნო, როცა ყურმილი აიღო, და ჩუმად მითხრა:

— აი, ხომ ხედავთ.

— ჩემი ბრალია და არა თქვენი, — ვუპასუხე მე, — მაპატიეთ.

ასე მეგონა, თითქოს გაღეშილი, აქოთებული, საკუთარ ნარწყევში ამოგანგლული ვეგდე წუმპეში, უწმაწურად ვიგინებოდი და ვიღაც, ჩემ მიერვე დაბარებული, სურათს მიღებდა, რათა შემდეგ ფოტო მონიკასათვის გამეგზავნა.

— შეიძლება კიდევ ერთხელ დაგირეკოთ? — ვკითხე ჩუმად, — თუნდაც რამდენიმე დღის შემდეგ. საძაგლად ვიქცევი და გასამართლებლად მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გითხრათ: ისე ცუდად ვარ, ვერც კი გადმოგცემთ.

რამდენიმე წამს მისი სუნთქვის მეტი არაფერი მესმოდა, ბოლოს მითხრა;

— ორი კვირით სხვაგან მივემგზავრები.

— სად? — ვკითხე მე.

— მინდა ღვთისმეტყველებაში წავიმეცადინო, ცოტაც ვხატო.

— როდის მესტუმრებით? — ვკითხე მე, — როდის გამიკეთებთ სოკოიან ომლეტს და თქვენებურ სალათას?

— ვერ მოვალ, — მითხრა მან, — ახლა ვერ მოვალ.

— მერე?

— მერე კი, — მითხრა მონიკამ და, სანამ ყურმილს დადებდა, მისი ტირილი გავიგონე.

20

გავიფიქრე, აბაზანა თუ მიშველის-მეთქი. ისეთი გაბინძურებული მიჩვენებოდა საკუთარი თავი, მეგონა, ლაზარესავით¹ ვყარდი. არა-

¹ ლაზარე — ქრისტეს მიერ მკვლრებით აღდგენილი მარიამისა და მართას ძმა, ავადმყოფთა მფარველი. აქედან — სახელწოდება ლაზარეთი.

და, სრულიად სუფთა ვიყავი და არც არაფრის სუნი მდიოდა. სამ-ზარეულოში შეველასლასდი, გამოვრთე ქურა, რომელზეც წყალი და ლობიო ცხელდებოდა, შემდეგ ისევ საერთო ოთახში დავბრუნდი და კონიაკი პირდაპირ ბოთლიდან მოვსვი — ვერაფერმა მიშველა. ტელეფონის ზარმაც კი ვერ გამომიყვანა გაოგნებიდან, ყურმილი ავიღე და ვთქვი:

— დიახ.

საბინე ემონდსი აღმოჩნდა.

— ჰანს, რა გემართება? — მე ვღუმი, მან განაგრძო: — დეპეშებს გვიგზავნი, ეს ისეთ დრამატულ შთაბეჭდილებას ახდენს, მართლაც ასე ცუდად გაქვს საქმე?

— საკმაოდ ცუდად, — ვუბასუხე დაღლილმა.

— ბავშვებს ვასეირნებდი, — თქვა მან, — კარლმა კი თავისი კლასი სოფლის სკოლა-ინტერნატში წაიყვანა ერთი კვირით. შენ-თან რომ დამერეკა, ვინმე უნდა დამეტოვებინა ბავშვებთან. — ხმაზე ეტყობოდა, გასავათებული და ცოტათი გაღიზიანებულიც კი იყო, თუმცა მისი ხმა ყოველთვის ასე ჟღერდა. ვერაფრით მოვახერხე, ფული მეთხოვა მისთვის. მას შემდეგ, რაც კარლმა ცოლი შეირთო, მუდამ საარსებო მინიმუმის გამოანგარიშებაში იყო. როცა მასთან ჩხუბი მომივიდა, უკვე სამი შვილი ჰყავდა და მეოთხეს ელოდებოდა. ვერ გავბედე, მეკითხა საბინესათვის, მეოთხე თუ დაიბადამეთქი. მათ ოჯახში ყოველთვის სუფევდა შეუნიღბავი, გამაღიზიანებელი დაძაბულობა. ყველგან ეყარა კარლის დაწყევლილი უბის წიგნაკები, სადაც ანგარიშობდა, როგორ გაეტანა თავი ხელფასით. როცა მარტონი ვრჩებოდით, კარლი შემზარავად მიხსნიდა გულს, იწყებდა მამაკაცურ საუბარს ბავშვების გაჩენაზე, საყვედურობდა კათოლიკურ ეკლესიას (საამისოდ რაღა მე ამირჩია) და ბოლოს დგებოდა წუთი, როცა აყმუვლებული ძაღლივით შემომხედავდა და უმეტეს შემთხვევაში სწორედ ამ დროს შემოდებოდა ოთახში საბინე და კარლს გაბოროტებული მიაჩერდებოდა, რადგან ფეხმძიმედ იყო. ჩემთვის იმაზე საშინელი არაფერია, როცა ცოლი ქმარს იმის გამო უყურებს გაბოროტებით, რომ ფეხმძიმედაა. ბოლოს ერთად ჩამოსხდებოდნენ და წყვილად იწყებდნენ ყმუილს, რადგან მათ მართლა უყვარდათ ერთმანეთი, კედლის მიღმა კი ბავშვებს ერთი ჟივილ-ხივილი ჰქონდათ, სიამოვნებით აყირავებდნენ ღამის ქოთ-

ნებს და სველ ჩრებს ახალშპალერგაკრულ კედლებს უშენდნენ. ამ დროს კარლი დაუღალაუად გაიძახოდა „დისციპლინა“ და „აბსოლუტური, უსიტყვო მორჩილება!“. მე იძულებული ვხდებოდი, ბავშვების ოთახში გავსულიყავი და პატარების დასაწყენარებლად რამდენიმე ფოკუსი მეჩვენებინა, მაგრამ დაწყენარების ნაცვლად სიამოვნებისაგან წიოდნენ და ფოკუსების გამეორებას ლამობდნენ. ყველაფერი ეს იმით თავდებოდა, რომ ყველანი მივუსხდებოდით მაგიდას, ბავშვებს სათითაოდ შევისვამდით მუხლზე და ნებას ვაძლევდით, ჩვენი ჭიქიდან ცოტაოდენი ღვინო მათაც მოეწრუპათ. კარლი და საბინე იმ წიგნებსა და კალენდრებზე იწყებდნენ საუბარს, სადაც წერია, როდის არ უჩნდება ქალს ბავშვი. მიუხედავად ამისა, ბავშვები მაინც უჩნდებოდნენ და მათ აზრად არ მოსდიოდათ, რომ ამგვარი საუბარი განსაკუთრებით გამაწამებელი იყო ჩემთვის და მარისათვის, რადგან ბავშვები არ გვყავდა. მოგვიანებით, როცა კარლი შეზარხომდებოდა, წყველა-კრულვას უთვლიდა რომს, ქოქოლას აყრიდა კარდინალებს და პაპებს. ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ პაპის დაცვა მე მიხდებოდა. მარი ამ ამბებში გაცილებით უკეთ ერკვეოდა და ცდილობდა, აეხსნა კარლისა და საბინესათვის, რომ რომს არ შეუძლია ამ საკითხს სხვაგვარად მიუდგეს. მაშინ კარლი და საბინე ეშმაკურად გადახედავდნენ ერთმანეთს და ამით თითქოს ამბობდნენ: „ვიცი, რა შვილებიც ხართ... რა უებარ საშუალებას არ მიმართავთ, ალბათ, იმისათვის, რომ შვილი არ გეყოლოთ“. ბოლოს უძილობისაგან დაღლილი რომელიმე ბავშვი მარის, მე, კარლს ან საბინეს ხელიდან ჭიქას გამოგვტაცებდა და ღვინოს საკლასო სამუშაოების რვეულებზე გადაასხამდა. რვეულები ყოველთვის დასტებად ეწყო კარლის საწერ მაგიდაზე. კარლი ცოფდებოდა, რადგან მოწაფეებს მუდამ დისციპლინასა და წესრიგზე ელაპარაკებოდა და, ამავე დროს, იძულებული იყო მათთვის ღვინით დასვრილი რვეულები დაებრუნებინა. დამნაშავეს მიტყეპდნენ, იწყებოდა ღრიალი, საბინე კი ისე დაგვეკვლავდა მზერით, თითქოს ამბობდა: „რის მაქნისები ხართ მამაკაცები“ და მარისთან ერთად გავიდოდა სამზარეულოში ყავის მოსახარშად. აქ ისინი დედაკაცურ საუბარს გააბამდნენ, რასაც მარი ისევე ვერ იტანს, როგორც მე მამაკაცურ საუბარს. ამასობაში კარლი და მე მართო ვრჩებოდით და იგი ისევე იწყებდა ლაპარაკს ფულზე, ხან-

დახან საყვედურსაც გამოურევდა, რაც ნიშნავდა: გულს იმიტომ გიხსნი, რომ კარგი ბიჭი ხარ, თორემ შენ ჩემსას რას გაიგებო.

— საბინე, — ვუთხარი ოხვრით, — სრულიად გაკოტრებული ვარ — სულიერადაც, ფიზიკურადაც, პროფესიონალურადაც და ფინანსურადაც.

— თუ მართლა გშია, — მითხრა მან, — იმედია იცი, რომ ქურაზე ყოველთვის დაგხვდება ქვაბი წვნიანით.

ხმა ვერ ამოვიღე. მისი სიტყვები ისე გულწრფელად და საქმიანად ჟღერდა, რომ გული ამიჩუყდა.

— გესმის? — მკითხა მან.

— მესმის, — ვუპასუხე მე, — და არა უგვიანეს ხვალისა, მოვალ სადილად და ჩემს წილ წვნიანს შევხვრებ. აი, კიდევ რა, თუ ოდესმე დაგჭირდებათ ვინმე, ვინც ბავშვებს უნდა მიხედოს, მე... მე... მე... — ენა ღამება: აბა, რას ემგვანებოდა, ახლა რომ ფული მეთხოვა იმის სანაცვლოდ, რაც მუდამ უფასოდ გამიკეთებია მათთვის, თანაც ის იდიოტური შემთხვევა გამახსენდა, გრეგორს რომ კვერცხი ვაჭამე. საბინემ გაიცინა და მითხრა:

— თქვი, თქვი, რა გინდა?

— მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, — ვუთხარი მე, — იქნებ, შეგიძლიათ თქვენს ნაცნობებთან რეკომენდაცია გამიწიოთ. ტელეფონი მაქვს და საფასურს სხვებზე მეტს არ გამოვართმევ.

საბინე ღუძღა და მე ვიგრძენი, თუ რა ძლიერ იყო აღელვებული.

— მისმინე, — მითხრა მან, — დიდხანს ლაპარაკის დრო არ მაქვს, გამაგებინე, რა მოხდა?

ეტყობა, საბინე ერთადერთი ადამიანი იყო მთელ ბონში, რომელსაც ქოსთერთის კრიტიკული წერილი წაკითხული არ ჰქონდა. მივხვდი იმასაც, რომ მან არ იცოდა, რა მოხდა ჩემსა და მარის შორის. იმ „წრიდან“ ის არავის იცნობდა.

— საბინე, — ვუთხარი მე, — მარიმ მიმატოვა. ცოლად გაჰყვა ვიღაც ციუპფენერს.

— ღმერთო ჩემო, — წამოიძახა მან, — არ მჯერა.

— დაიჯერე, — ვუთხარი მე.

საბინე ღუძღა და მე გავიგონე, როგორ აკაკუნებდა ვიღაც ტელეფონის ჯიხურის კარზე. ეს, ალბათ, ერთი იმ იდიოტთაგანი იყო,

რომელსაც სურდა პარტნიორისათვის ემცნო, რომ შანსი ჰქონდა სკატში მოეგო პარტია გულის კოზირით უსამვალეტოდ.

— უნდა შეგერთო, — მითხრა საბინემ ჩუმად, — იმის თქმა მინდა... ოჰ, კარგად იცი, რის თქმაც მინდა.

— ვიცი, — ვუპასუხე მე, — ვაპირებდი კიდევ, მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ ხელთ უნდა მქონოდა ის წყეული მოწმობა ქორწინების სარეგისტრაციო ბიუროდან და უნდა დამეღო წერილობითი პირობა, გესმის, წერილობითი პირობა, რომ ბავშვებს კათოლიკურად აღვზრდიდი.

— კი მაგრამ, ამის გამო ხომ არ გაჩენილა თქვენ შორის ბზარი, — მითხრა მან. ტელეფონის ჯიხურზე კიდევ უფრო ძლიერ დააკაკუნეს.

— არ ვიცი, — ვუპასუხე მე, — მთავარი მიზეზი ეს იყო, მაგრამ ამას კიდევ ბევრი ისეთი რამ ერთვის, რაშიც ვერ გავრკვეულვარ. დაკიდე ყურმილი, საბინე, თორემ ეგ გაცოფებული გერმანელი ჯიხურის კართან ბოლოს მოგიღებს. ჩვენს ქვეყანაში ნადირები ჯერ კიდევ არ გადაშენებულან.

— დამპირდი, რომ გვესტუმრები, — მითხრა მან, — და იცოდე, შენი წილი წვნიანი ყოველთვის ცეცხლზე იქნება შედგმული. — უეცრად ხმას დაუწია და ჩურჩულით მითხრა: — რა სულმდაბლობაა, რა სულმდაბლობაა... — საბინე ისე იყო გაოგნებული, რომ ყურმილის დაკიდებაც კი დაავიწყდა და იმ თაროზე დადო, სადაც ტელეფონის წიგნი დევს. ამ დროს გავიგონე იმ იდიოტის სიტყვები: „როგორც იქნა“, მაგრამ საბინე, ეტყობა, უკვე გაეცალა იქაურობას. ყურმილში გამყინავი ხმით ჩაუძახე:

— მიშველეთ, მიშველეთ!

ახალგაზრდა კაცი ანკესზე წამოეგო, ყურმილი აიღო და მითხრა:

— რით შემიძლია დაგეხმაროთ? — მისი ხმა სერიოზულად, დარბაისლურად და ვაჟკაცურადაც კი ჟღერდა და მე ვიგრძენი, რომ რაღაც მჭაუვე ჰქონდა ნაჭამი, დამჭაუვებული ქაშაყი ან რაღაც ამდაგვარი.

— ალო, ალო, — მითხრა მან.

— გერმანელი ბრძანდებით? — ვკითხე მე, — პრინციპულად მხოლოდ გერმანელებს ველაპარაკები.

— მშვენიერი პრინციპია, — მითხრა მან, — რა გიჭირთ?

- ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ბედი მაწუხებს. თქვენც ხომ მხოლოდ ამ პარტიას აძლევთ ხმას?
- თავისთავად ცხადია, — მითხრა განაწყენებულმა.
- თუ ასეა, აღარაფერი მიჭირს, — ვუთხარი მე და ყურმილი დაუღე.

21

ის ვიგინდარა საკადრისად უნდა გამეღანძღა, უნდა მეკითხა, საკუთარი ცოლი თუ გააუპატიურა უკვე, სკატში პარტია თუ მოიგო ორი ვალეტით და ილაქლაქა თუ არა სამსახურში კოლეგებთან ორი საათი ომზე. ნამდვილი მეუღლისა და პატიოსანი გერმანელის ხმა ჰქონდა, ხოლო მისი „როგორც იქნა“ ისე ჟღერდა, თითქოს ბრძანებას იძლეოდა: „მიზანში ამოიღეთ“. საბინე ემონდისის ხმამ ცოტათი დამამშვიდა. მართალია, ხმაში დაღლილობა და ოდნავი გაღიზიანება იგრძნობოდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, მარის საქციელი მართლაც უნამუსობად მიაჩნდა და მის ქურაზე ჩემთვის ყოველთვის იდგებოდა ქვაბით ცხელი წვნიანი. საბინე გემრიელ კერძებს ამზადებდა. როცა ფეხმძიმედ არ იყო და როცა მამაკაცებს თვალებით არ გვეუბნებოდა, რის მაქნისები ხართო, უაღრესად მხიარული ქალიც იყო და უკეთესი კათოლიკეც, ვიდრე კარლი, რომელმაც „სექსზე“ თავისი უცნაური, სემინარისტული წარმოდგენა შეინარჩუნა. საბინეს მომდურავი მზერა სინამდვილეში მთელ საკაცეთს ეხებოდა, ხოლო როცა უყურებდა კარლს, რომლის მიზეზიტაც ამ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მისი თვალები არაჩვეულებრივად მუქდებოდნენ და მრისხანებას აკვესებდნენ. მე ყოველთვის ვცდილობდი, საბინე გამერთო, რომელიმე სცენას გავითამაშებდი და ისიც დიდხანს, გულიანად იცინოდა, სიცილისაგან ცრემლები სდიოდა, მერე კი ტირილს მორთავდა და სიცილი აღარ ახსოვდა. მარის საბინე გარეთ გაჰყავდა დასამშვიდებლად, კარლი კი, რომელსაც ამ დროს სახეზე დანაშაულის გრძნობა აღებეჭდებოდა, ერთხანს წარბშეკრული იჯდა ჩემ წინ და ბოლოს სასოწარკვეთილი იწყებდა რვეულების გასწორებას. ზოგჯერ რვეულების გასწორებაშიც ვებმარებოდი, შეცდომას წითელი ავტოკალმით ვუსვამდი ხაზს, მაგრამ კარლი არ მენდობოდა, ყველაფერს თავიდან გადახედავდა და ყველაზე მეტად ის აცოფებდა, რომ შეუმჩნეველი არც

ერთი შეცდომა არ მრჩებოდა, წითელი ხაზი ყოველთვის სწორად იყო გასმული. ვერ ვეუბოდა იმ აზრს, რომ ამგვარი სამუშაო მეც შემიძლია ნორმალურად შევასრულო და ამ საქმეში მას ტოლს არ ვუდებ. კარლს მხოლოდ ერთი პრობლემა აწუხებდა — ეს გახლდათ ფული. მას რომ შეიძლოთახიანი ბინა ჰქონოდა, არც გაღიზიანებული იქნებოდა და არც გასავათებული. ერთხელ კინკელს მისი ამოჩემებული ცნების „საარსებო მინიმუმის“ გამო შევეკამათე. კინკელს ამგვარი საკითხების ერთ-ერთ გენიალურ სპეციალისტად მიიჩნევდნენ. მგონი, სწორედ მან გამოიანგარიშა — დიდ ქალაქში მცხოვრები მარტოხელა მამაკაცის საარსებო მინიმუმი, ბინის ქირის გამოკლებით, ოთხმოცდაოთხ მარკას უდრისო. მოგვიანებით ცოტა წაამატა — ოთხმოცდაექვსსო. აღარ შეედავებოვარ, რადგან თუ იმ უხამსი ანეკდოტის მიხედვით ვიმსჯელებთ, მან რომ გვიამბო, თვითონ მას საკუთარ საარსებო მინიმუმად დასახელებულ თანხაზე ოცდათხუთმეტჯერ მეტი სჭირდებოდა. ასეთ გამოდავებას პირადი სიძულვილით ახსნიდნენ და უტაქტობაში ჩამითვლიდნენ, თუმცა იმაზე მეტი უტაქტობა რა შეიძლებოდა ყოფილიყო, როცა კინკელისთანა ადამიანები სხვების საარსებო მინიმუმს განსაზღვრავდნენ. ოთხმოცდაექვსი მარკა ითვალისწინებდა კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელ ხარჯებსაც, ალბათ, კინოს და გაზეთს გულისხმობდა. მე ვკითხე, ამ ფულით მარტოხელა კაცი კარგ, აღმზრდელიობითი ხასიათის ფილმს თუ ნახავს-მეთქი. ამ კითხვამ კინკელი გააცოფა. შემდეგ ვკითხე, როგორ უნდა გავიგოთ პუნქტი „თეთრეულის მარაგის განახლება“. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, სამინისტრომ საგანგებოდ იქირაოს ერთი გულკეთილი ბერიკაცი, რომელიც ბონში ირბენს იმისათვის, რომ ქვედა საცვალე გაცვეთოს და შემდეგ სამინისტროს მოახსენოს, რამდენი ხანი სჭირდება ნიფხვის გაცვეთას. აქ უკვე საქმეში კინკელის ცოლი ჩაერია და სახიფათო სუბიექტურობა დამწამა. ჩემთვის, ასე თუ ისე, გასაგებია, როცა კომუნისტები ადგენენ სურსათ-სანოვარის ათვისების ან ცხვირსახოცების გაცვეთის ნორმებს, რადგან ისინი არ პირფერობენ და ზებუნებრივ საწყისებს არ ეძებენ, მაგრამ როცა ასეთი ქრისტიანები, როგორიც თქვენი ქმარია, ასეთ უტიფარ სიგიჟემდე მიდიან, აღარ ვიცი, რა ვთქვა-მეთქი. კინკელის ცოლმა მითხრა, პირწავარდნილი მატერიალისტი ხართ და არაფერი გა-

გვეგებათ მსხვერპლის გაღების, ტანჯვის, ბედისწერისა და სილატაკის სიდიადისო. კარლ ემონდის ოჯახში არ იგრძნობა მსხვერპლის გაღების, ტანჯვის, ბედისწერისა და სილატაკის სიდიადე. კარლს საკმაოდ კარგი ხელფასი აქვს და თუ რამე ბედისწერისა და სილატაკის სიდიადის განცდას იწვევდა, ეს იყო მუდმივი უკმაყოფილება იმის გამო, რომ, მისი გამოანგარიშებით, არასოდეს ექნებოდა შესაფერისი ბინის დასაქირავებელი თანხა.

როცა დავრწმუნდი, რომ კარლ ემონდსი ერთადერთი კაცია, ვისაც შემძლია ფული დავესესხო, ცხადზე უცხადესად დამიღდა თვალწინ, რა დღეში ვიყავი, ჯიბეში ჰფენიგიც კი აღარ მეღო.

22

ვინასწარ ვიცოდი, არაფერს მოვიმოქმედებდი — არც რომში გავემგზავრებოდი და არც პაპთან მექნებოდა საუბარი, დედაჩემის ზვალინდელ ჟურფიქსზე არც სიგარეტებს მოვიპარავდი და არც მიწის თხილით ავოვსებდი ჯიბეებს. ძალა აღარ მქონდა, ყველაფერი ეს ისევე დამეჯერებინა, როგორც ის მჯეროდა, რომ მე და ლეომ მორი გაეხერხეთ. ყოველი ცდა, ისევე გამესკენა ძაფები და მარიონეტით ჩამოგკონწიალებულიყავი, ჩასაფუშავად იყო განწირული. ოდესმე, ალბათ, იქამდეც მივალ, რომ ფულს კინკელსაც დავესესხები, ზომერვილდსაც და იმ სადისტ ფრედებოილსაც, რომელიც ხუთმარკიან ქაღალდს ცხვირწინ ამიფრიალებს და მაიძულებს, აბა, შეხტი, თუ მისწვდებიო. გამიხარდება, მონიკა ზილვსი ყავაზე თუ დამპატიყებს და არა იმიტომ, რომ მონიკა ზილვსია, არამედ იმის გამო, რომ ყავას უფასოდ დავლევ. კიდევ ერთხელ დაუურეკავ იმ გონებაჩლუნგ ბელა ბროზენს, მიველაქუცები და აღარ დაუწყებ გამოკითხვას, რა თანხის გაღება შეუძლია. ვეტყვი, სულ მცირესაც სიხარულით მივიღებ-მეთქი. სულ ბოლოს კი, ერთ მშვენიერ დღეს, ვწვევი ზომერვილდს, „დამაჯერებლად“ დაუმტკიცებ, ვნანობ, რაც მოხდა, გონს მოვეგე, სარწმუნოების გამოსაცვლელად მოვმწიფდი-მეთქი. ყველაზე საზარელიც სწორედ ამ დროს მოხდება: ზომერვილდი მარისთან და ციუბენერთან ჩემი შემრიგებლის როლს გაითამაშებს. მაგრამ სარწმუნოების გამოცვლის შემდეგ მამაჩემი, ალბათ, სულ აიღებს ხელს ჩემზე — ეს ზომ მისთვის ყველაზე საშინელი რამაა. საჭირო იყო დაფიქრება. არჩევანი rouge

et noir-ს¹ შორის კი არ უნდა მომეხდინა, არამედ მუქყავისფერსა და შავს შორის: მურა ნახშირსა და ეკლესიას შორის. ბოლოს და ბოლოს, გავხდები ისეთი, როგორიც მათ უკვე დიდი ხანია სურთ, რომ ვიყო: სუბიექტივიზმისაგან თავისუფალი, ობიექტური, მოწიფული მამაკაცი, რომელსაც შეეძლება კეთილშობილთა კავშირში აზარტულად ჩაებას სკატის თამაშში. თუმცა შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ იყო ამოწურული. მრჩებოდნენ: ლეო, ჰაინრიჰ ბელენი, ბაბუაჩემი და ცონერერი, რომელსაც შეეძლო გიტარის აკომპანემენტზე სენტიმენტალური სიმღერების შემსრულებლად გადავექციე. ვიმღერებდი „როცა ქარი შენს თმას ეთამაშება, ვიცი, ჩემი ხარ“. ერთხელ ეს სიმღერა მარის ვუმღერე. მან ყურები დაიცო და მითხრა, უფრო საშინელი არაფერი მომისმენიაო. თუ ძალიან გამიჭირდება, უკანასკნელ ხერხს მივმართავ — წავალ და იმ ნომრებს, რომლებიც შეიძლება ანტიკაპიტალისტურად მიიჩნიონ, კომუნისტებს ვუჩვენებ.

ერთხელ ერფურტში გავემგზავრე, კულტურისათვის თავდადებულმა ტიპებმა მიმიწვიეს. მე და მარის დიდი ზეიმით შეგვხვდნენ სადგურზე, უზარმაზარი თაიგულები მოგვართვეს, სასტუმროში მოხარშული კალმახით, ხიზილალით, ნაყინიან-ნაღებიანი ტორტით და შამპანურით გავვიმასპინძლდნენ, გვკითხეს, რის ნახვას ისურვებთო ერფურტში. მე ვუპასუხე, სიამოვნებით ვნახავდი იმ ადგილს, სადაც ლუთერმა საღოქტორო დისერტაცია დაიცვა-მეთქი, მარიმ კი თქვა, გამიგონია ერფურტში კათოლიკურ-თეოლოგიური ფაკულტეტი არსებობს და მინდა აქაურ რელიგიურ ცხოვრებას გავეცნო. ჩვენი მასპინძლები მოიღუშნენ, მაგრამ რას იზამდნენ. ყველანი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდით: კულტურის ქომაგნიც, თეოლოგებიც და ჩვენც. თეოლოგები ფიქრობდნენ, თითქოს ჩვენ რაღაც საერთო გვქონდა იმ იდიოტებთან და გულახდილად არც ერთი არ ელაპარაკებოდა მარის, მაშინაც კი, როცა ერთ პროფესორს რწმენის საკითხებზე ესაუბრებოდა. პროფესორი როგორღაც მიხვდა, მე და მარი რომ ჯვარდაუწერელნი ვიყავით, და მარის პარტიული მუშაკების თანდასწრებით ჰკითხა:

— კი მაგრამ, თქვენ ხომ ნამდვილი კათოლიკე ხართ?

¹ rouge et noir (ფრ.) — წითელი და შავი.

მარი სირცხვილისაგან გაწითლდა და უპასუხა:

— დიახ, მაშინაც კი ვარ კათოლიკე, როცა ცოდვილ ცხოვრებას ვეწევი.

მდგომარეობა კიდევ უფრო გაამძაფრა იმან, რომ ჩვენი ჯვარდაუწერლობა, ჩანს, არც პარტიულ მუშაკებს მოეწონათ. მოგვიანებით, როცა ყავის დასალევად სასტუმროში დავბრუნდით, ერთმა მათგანმა ლაპარაკი წამოიწყო წვრილბურჟუაზიული ანარქიის გარკვეული ფორმების არსებობაზე, რაც არ მოსწონდა. შემდეგ მკითხეს, რის ჩვენებას ვაპირებდი ლაიფციგსა და როსტოკში, ხომ არ ვაპირებდი იქაურებისათვის „კარდინალის“, „ბონში ჩასვლის“ და „სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის“ ჩვენებას (ვერაფრით მიგზვდი, საიდან გაიგეს, კარდინალზე რომ პანტომიმა მქონდა შექმნილი. ამ ნომერზე ბევრი ვიმუშავე და, მარის გარდა, არავისთვის მიჩვენებია. მარიმ მთხოვა, ის მაინც არ მეჩვენებინა სცენაზე, კარდინალები ხომ ისედაც წამებულთა დარად სისხლივით წითელ მანტიაში არიან გახვეულნი). მე ჩვენს მასპინძლებს უარი ვუთხარი, ჯერ ცოტათი მაინც უნდა შევისწავლო აქაური ცხოვრების პირობები, კომიზმის აზრი ხომ ის არის, ადამიანებს აბსტრაქტული ფორმით წარმოვუდგინო მათი ცხოვრების სინამდვილიდან აღებული სიტუაციები და არა უცხო ცხოვრება. აქ არც ბონია, არც სამეთვალყურეო საბჭოები და არც კარდინალები-მეთქი. ჩვენი მასპინძლები მოუსვენრობამ შეიპყრო. ერთი გაფითრდა კიდევ და მითხრა, ჩვენ ეს ყველაფერი სხვაგვარად გვქონდა წარმოდგენილი. მეც-მეთქი, ვუთხარი. მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ამიტომაც ვთქვი, ცოტას მივიხედ-მოვიხედავ და შემდეგ წარმოგიდგინთ რომელიმე ნომერს: „სარაიონო კომიტეტის სხდომა“, „კულტურის საბჭოს შეკრება“, ან „პარტიის ყრილობა პრეზიდიუმს ირჩევს“, ანდა „ერფურტი ყავილების ქალაქია“. ამ დროს კი ერფურტის სადგურის ირგვლივ ყვაილების მეტს ყველაფერს დაინახავდა კაცი. მაშინ მათი უფროსი წამოდგა და მითხრა, ჩვენ ვერ ავიტანთ პროპაგანდას მუშათა კლასის წინააღმდეგო. იგი გაფითრებული კი აღარ იყო, არამედ მიწისფერი ედო. რამდენიმე მათგანს მაინც ეყო იმდენი ვაჟკაცობა, რომ იღრიჭებოდნენ. მე მათ ვუპასუხე, ვერავითარ პროპაგანდას ვერ ვხედავ მუშათა კლასის წინააღმდეგ იმაში, რომ წარმოვადგინო სახელდახელოდ დასწავლილი ნომერი „პარტიის ყრილობა

პრეზიდენტს ირჩევს“. სისულელე მომივიდა, „ბარდიის ყრილობა“ წამომცდა. ამის გაგონებაზე იმ ფანატიკოსმა, მიწისფერი რომ ელო, ისე მაგრად დაჰკრა ხელი მაგიდას, რომ ნამცხვრის ათქვეფილი ნაღები თეფშიდან ჩამომიციურდა, და თქვა:

— შევცდით, შევცდით, რომ მოგიწვიეთ.

— თუ ასეა, შემიძლია გავემგზავრო.

— დიახ, შეგიძლიათ პირველივე მატარებლით გაემგზავროთ.

მე მათ განვუცხადე, შემიძლია ჩემს ნომერს — „სამეთვალყურეო საბჭო“ — „რაიონული კომიტეტის სხდომა“ დავარქვა, რადგან იქაც, ალბათ, ისეთ საკითხებს წყვეტენ, ადრევე რომ იყო უკვე გადაწყვეტილი-მეთქი. ახლა კი სწორედ რომ უზრდელად მოიქცნენ, პატარა დარბაზი ისე დატოვეს, ჩვენი ყავის საფასურიც კი არ გადაიხადეს. მარი ტიროდა, მე მზად ვიყავი ვინმესათვის სილა გამეჩნა, ხოლო როცა სადგურის გზას დავადექით, რათა პირველივე მატარებლით გაემგზავრებულიყავით ერთ-ერთიდან, ვერც ბარგის წამლები ვიშოვეთ და ვერც მომხმარე ბიჭი. ჩემოდნების თრევა ჩვენ მოგვიხდა. ასეთი რამე კი ჭირივით მეხარება. საბედნიეროდ, სადგურის მოედანთან ერთ-ერთი იმ ახალგაზრდა თეოლოგთაგანი შეგვხვდა, ვისთანაც მარის დილით საუბარი ჰქონდა. ჩვენს დანახვაზე თეოლოგი გაწითლდა და ატირებულ მარის ხელიდან მძიმე ჩემოდანი გამოართვა. მარი მთელი გზა ეჩურჩულებოდა, ჩვენ გამო მძიმე მდგომარეობაში ნუ ჩაიგდებთ თავსო. ეს იყო საშინელება. ერთ-ერთში სულ ექვსი თუ შვიდი საათი დაყავით, მაგრამ ურთიერთობა ყველასთან გაგვიფუჭდა, თეოლოგებთანაც და პარტიულ მუშაკებთანაც.

ბოლოს ბებრაში ჩამოვხტით და სასტუმროს მივაშურეთ, მარი მთელი ღამე ტიროდა. დილით გრძელი წერილი მისწერა თეოლოგს, მაგრამ ჩვენ ვერაფრით გავიგეთ, მიიღო მან ეს წერილი თუ არა.

ვფიქრობდი, მარისთან და ციუპფენერთან შერიგებაზე უარესი რა იქნება-მეთქი, მაგრამ გაფითრებული ფანატიკოსის ზედამხედველობის ქვეშ ცხოვრება და იქაურებისათვის „კარდინალის“ ჩვენება კიდევ უფრო უარესი იქნებოდა. მთლად წყალწადებული ჯერ კიდევ არ ვიყავი; მყავდა ლეო, ჰაინრიჰ ბელენი, მონიკა ზილესი, ცონერერი, ბაბუაჩემი და საბინე ემონდსი, ვისთანაც ჩემი წილი წვნიანი მეგულებოდა. გარდა ამისა, ბავშვებს მივხედავდი და ცოტა ფულს ამ გზითაც ვიშოვიდი. ხელწერილს დავდებ, რომ ბავშვებს კვერცხს

აღარ ვაჭმევ. ეტყობა, გერმანელი დედისათვის ეს აუტანელია. ფეხებზე მკიდა, რასაც სხვები ხელოვნების ობიექტურ მნიშვნელობას უწოდებენ, მაგრამ იქ, სადაც არავითარი სამეთვალყურეო საბჭო არ არსებობს, სამეთვალყურეო საბჭოს მასხრად აგდება უხამსობად მიმაჩნია.

ერთხელ საკმაოდ გრძელი პანტომიმა „გენერალი“ შევთხზე. ნომერზე დიდხანს ვმუშაობდი და, როცა წარმოადგინე, იმას მივალწიე, რასაც ჩვენს წრეებში წარმატებას ეძახიან — ესე იგი, ხალხის ის ნაწილი იცინოდა, ვისაც უნდა ეცინა, და ის ნაწილი ბრაზობდა, ვინც უნდა გაგულისებულყო. წარმოდგენის შემდეგ ამაყად გავეშურე საპირფარეოსაკენ, სადაც ჩია დედაბერი დამხვდა. ამ დროს ყოველთვის გაღიზიანებული ვიყავი და მარის მეტს ვერავის ვიტანდი, მაგრამ დედაბერი სწორედ მარიმ შემოუშვა ჩემს საპირფარეოში. სანამ კარს ბოლომდე მივხურავდი, დედაბერმა ლაპარაკი დაიწყო. გამომიცხადა, ჩემი ქმარიც გენერალი იყო, ომში დაიღუპა და სიკვდილის წინ წერილი მომწერა, მთხოვა, პენსიაზე უარი თქვიო.

— თქვენ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხართ, მაგრამ საკმაოდ მოწიფული, რომ ეს გაიგოთ, — მითხრა დედაბერმა და საპირფარეოდან გავიდა. იმ დღიდან „გენერალი“ აღარ წარმომიდგენია. პრესა, რომელიც თავის თავს მემარცხენეს ეწოდებს, ამის შემდეგ წერდა, თითქოს რეაქციამ შემაშინა, ხოლო პრესა, თავის თავს მემარჯვენედ რომ მოიხსენიებს, წერდა, თითქოს მივხვდი, ამით აღმოსავლეთს რომ ვუწევდი სამსახურს. დამოუკიდებელი პრესა კი ყოველგვარ რადიკალიზმსა და ვალდებულებაზე ხელის ალებას მისაყვედურებდა. ყოველივე ეს წმინდა წყლის სისულელე იყო. ამ ნომრის წარმოდგენა იმიტომ ვეღარ შევძელი, რომ უნებურად მაგონდებოდა ის ჩია დედაბერი, გაჭირვებით რომ ირჩენდა თავს და რომელსაც, ალბათ, ყველა მასხრად იგდებდა და დასცინოდა. როცა ესა თუ ის საქმე სიამოვნებას აღარ მგვრის, თავს ვანებებ — ალბათ, ძალიან რთულია, ეს ჟურნალისტებს აუხსნა. ისინი მხოლოდ თავიანთ „აღლოს“ ენდობიან და ყველგან რაღაცის „სუნი სცემთ“. არსებობს გაბოროტებული ჟურნალისტის ფრიად გავრცელებული ნაირსახეობა, რომელიც ვერ ხვდება, რომ პირადად ის ხელოვანი არ არის და არც არავითარი მონაცემი გააჩნია საამისოდ; რაკი ასეა, რაღა

თქმა უნდა, ალლო ღალატობთ და სისულელეებს რომავენ, განსაკუთრებით, ახალგაზრდა, ლამაზი გოგოების თანდასწრებით, ჯერ კიდევ საკმაოდ მიაძინებები რომ არიან და ყველა მჯღაბნელისათვის ჭკუას კარგავენ, აქაოდა, რომელიღაც გაზეთში თავისი „ტრიბუნა“ აქვს და „ზეგავლენას“ ახდენსო. არსებობს პროსტიტუციის უცნაური, ჯერ კიდევ ამოუხსნელი ფორმები. მათთან შედარებით ჩვეულებრივი პროსტიტუცია კეთილსინდისიერი ხელობაა. ყოველ შემთხვევაში, ფულის საზღაურად რაღაცას მაინც იძლევიან.

მაგრამ ჩემთვის ხსნის ის გზაც დახშული იყო, სადაც გულმოწყალებე სიყვარულს ყიდიან. ფული არ მქონდა. ამ დროს კი, ალბათ, მარი რომის სასტუმროში ესპანურ მანტილიას ირგებს ტანზე — გერმანული კათოლიციზმის first lady-ს წარმომადგენლობითი იერი უნდა ჰქონდეს! ხოლო როცა ბონში დაბრუნდება, მივა ყველა სადამოხე, სადაც ჩაიხე დაპატიჟებენ, ყველას ღიმილით შეხვდება, გახდება ათასგვარი კომიტეტის წევრი, გახსნის „რელიგიური ხელოვნების“ გამოფენებს და დაიწყებს „რიგიანი მკერავის“ ძებნას. ყველა ქალი, ვინც ბონში ოფიციალურ პირზე თხოვდება, „რიგიანი მკერავის“ ძებნას იწყებს.

მარის, გერმანელი კათოლიციზმის first lady-ს, ხელში ჩაის ფინჯანი ან კოქტეილით საგსე ჭიქა უჭირავს და ამბობს: „თუ ნახეთ პატარა, მომხიბვლელი კარდინალი, რომელიც ზვალ კრიოგერთის მიერ დაპროექტებულ მარიამის სვეტს აკურთხებს? აჰ, იტალიაში კარდინალებიც კი კავალრები არიან. საოცრად მომხიბვლელი კაცია“.

მე უკვე წესიერად კოჭლობაც კი აღარ შემეძლო. ხოხვას უკეთ ვახერხებდი და ასე, ხოხვა-ხოხვით, გავედი აივანზე მშობლიური ქალაქის სუფთა ჰაერის შესასუნთქად, მაგრამ ვერც ამან მიშველა. ბონში უკვე დიდხანს დაგყავი, თითქმის ორი საათი, ბონის ჰაერი კი ამდენი ხნის შემდეგ თავის კეთილისმყოფელ გავლენას კარგავს.

მარი რომ კათოლიკე დარჩა, ამას ისინი მე უნდა მიმადლოდნენ, გავიფიქრე უეცრად. მისმა რწმენამ რამდენიმე მძიმე კრიზისი გადაიტანა, რადგან კინკლმა და ზომერვილდმა იმედი გაუცრუეს, ხოლო რაც შეეხება ბლოთერტისთანა ტიპს, იგი წმინდა ფრანცისკსაც კი ათვისტად გადააქცევდა. მარიმ ერთხანს ეკლესიაში სიარულიც კი მიატოვა, თავში აღარ გაუვლია, ეკლესიაში ჯვარი დაგვქწერა. მაშინ იგი რაღაცნაირმა სიჯიუტემ შეიპყრო და, თუმცა განუწყვეტლოვ

ეპატიჟებოდნენ, მათ წრეს მხოლოდ ბონიდან ჩვენი წამოსვლიდან სამი წლის შემდეგ დაუბრუნდა. მაშინ მე მარის ვუთხარი: იმედგაცრუება ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. თუ ეს საქმე ჭეშმარიტებად მიგაჩნია, ათასი ფრედებილიც კი ვერ აქცევს მას საეჭვოდ. დაბოლოს, ხომ არსებობს ციუპფენერი. მართალია, ამგვარი ტიპები მე არ მომწონს, ცოტა უცხვირპირია, მაგრამ როგორც კათოლიკე, ნდობას იმსახურებს. მათ შორის უთუოდ მოიძებნება ბევრი ისეთი კათოლიკე, ნდობას რომ იმსახურებს-მეთქი, და ჩამოვუთვალე ყველა პასტორი, ვისი ქადაგებაც ერთად მოგვისმენია, მოუგონე პაპი, ჰარი კუპერი, ალექ გინესი. მარი ზვიარასავით ჩაეჭიდა პაპ იოანესა და ციუპფენერს და კვლავ იგრძნო ფეხქვეშ ნიადაგი. გასაოცარია, იმ დროს ჰაინრიხ ბელენი აღარ მოსწონდა, პირიქით, მარწმუნებდა, ბინძურიაო, და როცა მასზე ჩამოვაგდებდი სიტყვას, ისე შეცბუნდებოდა, ეჭვი მეპარებოდა, მარის რამე ხომ არ „გაუბედა“-მეთქი. ცხადია, მარისთვის ეს არასოდეს მიკითხავს, მაგრამ საფუძვლიანი ეჭვი მქონდა. საკმარისი იყო, კაცს ჰაინრიხის ეკონომი ქალი წარმოედგინა, რომ მიმხვდარიყო — ახალგაზრდა ქალებისათვის შეეძლო მართლაც „გაებედა“ რამე. ამის გაფიქრებაც კი შხარავდა, მაგრამ გაგებით კი ისევე მესმოდა, როგორც მრავალი სისაძაგლე, რაც ჩვენს ინტერნატში ხდებოდა.

მხოლოდ ახლა გამიელვა ფიქრმა, რომ მე ვიყავი ის კაცი, რომელმაც მარის რელიგიური ეჭვების გასაფანტავად პაპი და ციუპფენერი შესთავაზა. კათოლიციზმს უაღრესად წესიერად მოვექეცი, რაც შეცდომად მიმაჩნია, მაგრამ მარის კათოლიკობა იმდენად ბუნებრივი მეჩვენებოდა, რომ მიხდოდა ეს ბუნებრიობა შეენარჩუნებინა. ამიტომ, როცა ძილს თავს ვერ ართმევდა და ეკლესიაში აგვიანდებოდა, ვაღვიძებდი. წირვისთვის რომ მიესწრო, ხშირად ტაქსით ვისტუმრებდი. როცა ისეთ მხარეში ვხვდებოდი, სადაც პროტესტანტიზმია ფეხმოკიდებული, ტელეფონით ვრეკავდი ყველგან, რომ წმინდა მესა აღმოქმენა მისთვის. ასეთ შემთხვევებში მეუბნებოდა, „საოცრად“ მიხარია, ამას რომ აკეთებო, მაგრამ შემდეგ მომთხოვა, ხელი მომეწერა იმ წყვეულ ქაღალდზე და წერილობითი პირობა დამედო, რომ შვილებს კათოლიკეებად აღვაზრდევინებდი. შვილებზე ხშირად გვილაპარაკია. მიხაროდა, რომ ბავშვები გვეყოლებოდა. ბევრჯერ შვილებთანაც მისაუბრია, ხელში ამიყვანია, მათთვის რძეში

უმი კვერცხი ჩამიხლია. მხოლოდ ის მაწუხებდა, რომ სასტუმროში ვცხოვრობდით, სადაც კარგად მხოლოდ მილიონერებისა და მეფეების შვილებს ეპყრობიან, ხოლო იმათ შვილებს, ვინც არც მილიონერია და არც მეფე, განსაკუთრებით კი ბიჭებს, იმთავითვე უყვირიან: „აქ შენი სახლი ნუ გგონია“. ეს კი აღზრდის თვალსაზრისით სამმაგად მცდარია: ჯერ ერთი, იგულისხმება, რომ ბავშვი თავის სახლში ღორივით იქცევა; მეორე, ბავშვი მხოლოდ მაშინ გრძნობს თავს კარგად, როცა ღორივით იქცევა და მესამეც, ბავშვმა არასოდეს უნდა იგრძნოს თავი კარგად. გოგონებს ხშირად ბედი სწყალობთ, „მომხიბვლელ“ არსებებად მიაჩნიათ და კარგადაც ეპყრობიან, მაგრამ ბიჭებს, თუ მშობლები იქვე არ ტრიალებენ, ყოველთვის უყვირიან. გერმანელებისათვის ყველა ბიჭი უზრდელია. ზედსართავს „უზრდელი“ ხმამაღლა არც კი წარმოთქვამენ — ის უბრალოდ ამ არსებით სახელთანაა შერწყმული. ვინმეს რომ მოაფიქრდეს და ჩაუკვირდეს, რა სიტყვებს ხმარობს მშობელთა უმეტესობა შვილებთან საუბარში, დარწმუნდება, რომ მათ ლექსიკასთან შედარებით ილუსტრირებული გაზეთის ლექსიკა ლამის ძმები გრიძების ლექსიკონს უტოლდება. არ გაიფიქროს დიდი დრო და გერმანელი მშობლები თავიანთ ბავშვებს ქალბატონი ქალიკის ენით დაელაპარაკებიან: „ო, რა მშვენიერია“, „ო, რა სისაბაგლეა“. შეიძლება ზოგჯერ უფრო დახვეწილი აზრიც წამოსცდეთ, მაგალითად: „კრინტი არ დაძრა!“ ანდა „ამისი არაფერი გაგეგება!“¹ მე და მარი იმაზეც ვლაპარაკობდით, რას ჩავაცმევდით ბავშვებს. მარის „ღია ფერის ლაბალები“ მოსწონდა. მე ანორაკების¹ მომხრე ვიყავი. ჩემი აზრით, თუ ბავშვს ელეგანტური ლაბადა აცვია, გუბეში ვერ ითამაშებს, ხოლო სპორტული კურტაკი ამ საქმისათვის ზედამოჭრილია. გარდა ამისა, თბილად ჩაცმულ ბავშვს — მე ყოველთვის გოგონა მყავდა მხედველობაში — მხოლოდ ფეხები ექნებოდა დაუფარავი. როცა გუბეში ქვებს ჩაყრიდა, შხეფები მხოლოდ კანჭებს დაუსველებდა და ანორაკს არ მოხვდებოდა, ხოლო როცა თუნუქის კოლოფით გუბიდან ჭუჭყიან წყალს ამოხაპავდა და პირამდე გავსებული კოლოფიდან წყალს გადმოღვრიდა, აუცილებელი არ იყო ანორაკზე გადაესხა, ყოველ შემთხვევაში, უფრო სავარაუდოა, რომ ფეხებს დაისველებდა. მარის აზრით კი, როცა გოგონა ღია ფე-

¹ ანორაკი (გერმ.) — ქარში ჩასაცმელი კაპიუშონიანი კურტაკი.

რის ლაბადაში იქნებოდა გამოწყობილი, მეტ სიფრთხილეს გამოიჩინდა. გადაუწყვეტელი მხოლოდ ის საკითხი დარჩა, მივცემდით თუ არა შვილებს გუბეში თამაშის უფლებას. მარის მხოლოდ ელიმებოდა, პასუხს თავს არიდებდა და მეუბნებოდა, ჯობია დავიცადოთო.

თუ მარის ციუპფენერისაგან ეყოლება შვილები, ვერც ანორაკს ჩაცმევს და ვერც ღია ფერის ელევანტურ ლაბადას, რადგან მე და მარიმ დაწვრილებით ვისაუბრეთ უკვე ბავშვის ყოველგვარ ზედა ტანსაცმელზე. ამიტომ მისი შვილები უპალტოოდ და უკურტაკოდ ირბენენ. ვილაპარაკეთ, აგრეთვე, გრძელ და მოკლე შარვლებზე, საცვლებზე, წინდებზე, ფქსსაცმელზე და, თუ სურდა თავი არც მეძაფად ვერძო და არც მოღალატედ, ბავშვები ტიტლიკანა უნდა ეტარებინა ბონში. არც ის ვიცოდი, რა უნდა ეჭმია ბავშვებისათვის: ჩვენ დაწვრილებით ვმსჯელობდით ყოველგვარ სურსათზე, კვების ყველა მეთოდზე და ამ დასკვნამდე მივედით: არ ჩავსხამდით ბავშვებს პირში ფაფას და არ გაეჭყეპდით რძით. არავითარი სურვილი არ მქონდა ბავშვებისათვის საჭმელი დაგვეძალებინა. გული მერეოდა, როცა ვუყურებდი, როგორ ატენიდა საბინე ემონდსი საჭმელს პირველ ორ შვილს, განსაკუთრებით უფროსს, რომელსაც კარლმა საოცარი სახელი ედელთრუდი დაარქვა. იმ დაწყველილი კვერცხის გამო მარისაც კი შევეკამათე. მარი კვერცხის წინააღმდეგი იყო და, როცა ვკამათობდით, უეცრად წამოსცდა, კვერცხი მდიდარი ხალხის საჭმელიაო. შემდეგ გაწითლდა და მევე მომიხდა მისი დამშვიდება. მიჩვეული ვიყავი იმას, რომ ადამიანები სხვაგვარად მეპყრობოდნენ — სხვაგვარად მიყურებდნენ იმის გამო, რომ მურა ნახშირის მრეწველთა შთამომავალი ვიყავი. მარიმ მხოლოდ ორჯერ ვერ შეიკავა თავი და ამის შესახებ რაღაც სისულელეები თქვა: პირველად იმ დღეს, როცა სამხარეულოში შევედი, და მეორედ, როცა კვერცხის გამო ვღაობდით. საშინელებაა, როცა მდიდარი მშობლები გყავს, მაგრამ კიდევ უფრო მეტი საშინელებაა, როცა ამ სიმდიდრეში წილი არ გიდევს. კვერცხებს სახლში იშვიათად გვაჭმევდნენ — დედაჩემი მათ „უადრესად მაგნებელ პროდუქტად“ თვლიდა. ედგარ ვინეკენი კი, პირიქით, იმის გამო გრძნობდა უხერხულობას, რომ ყველგან დაჰყავდათ და ყველას აცნობდნენ, როგორც მუშის შვილს, ის კი არადა, ზოგიერთი მღვდელიც კი ასე აცნობდა ედგარს ხალხს: ნამდვილზე ნამდვილი მუშის შვილიაო. მათ სიტყვებში ფარული

აზრი იღო: შეხედეთ ამ ბიჭს, არც რქები აქვს და ინტელიგენტურადაც გამოიყურებაო. ეს ამბავიც რასობრივ საკითხს განეკუთვნება და მის გადასაწყვეტად დედაჩემის ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა იმტვირიოს თავი. ამ მხრივ ჩემ მიმართ მხოლოდ ვინეკენები და მარის მამა იჩენდნენ მიუკერძოებლობას, არასოდეს მაყვედრიდნენ, მურა ნახშირის მწარმოებელი შნირების შთამომავალი რომ ვიყავი და არც გვირგვინით მამკობდნენ ამის გამო.

23

ბოლოს მივხვდი, ისევ აივანზე ვიდექი და ბონს გადავყურებდი. მუხლი ისე ძლიერ მტკიოდა, რომ მოაჯირს მაგრად ჩავეჭიდე, მაგრამ იმ ერთი მარკის დარდი, ფანჯრიდან რომ გადავისროლე, მაინც არ მასვენებდა. სიამოვნებით მოეძებნიდი, მაგრამ ახლა ძირს ვერ ჩავიდოდი. ლეოს ყოველ წამს შეეძლო მოსულიყო, ოდესმე ხომ უნდა მოედოთ ბოლო ქლიავის, ათქვეფილი ნაღებისა და სუფრაზე ღმერთის ხსენებისათვის. ვერ იქნა და ვერ დავინახე ჩემი მარკა ქუჩაში. ტროტუარიდან საკმაოდ დიდი მანძილით ვიყავი დაშორებული, მონეტები კი მხოლოდ ზღაპრებში ბრწყინავენ ისე საგანგებოდ, რომ მათი პოვნა შეეძლო. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მენანებოდა რაღაც ისეთი, რაც ფულთანაა დაკავშირებული. მენანებოდა დაკარგული მარკა — თორმეტი სიგარეტი, ტრამვაის ორი ბილეთი ან სოსისიანი პურის ნაჭერი. ამავე დროს, უსინანულოდ, მაგრამ ერთგვარი გულის ტკივილით ვფიქრობდი, რამდენი ფული გადაგვიხდია ქვემოსაქსონელი დედაბრების მაგივრად პირველი კლასის ვაგონებსა და ჩქარ მატარებლებში. ალბათ, ამგვარი გულისტკივილით ფიქრობს კაცი იმ გოგონაზე, რომელსაც უამრავი კოცნა მიუძღვნა, ის კი სხვაზე გათხოვდა. ლეოს იმედით ვერ ვიქნებოდი, მას უცნაური წარმოდგენა ჰქონდა ფულზე, დაახლოებით ისეთი, როგორიც მონაზონს აქვს „ცოლქმრულ სიყვარულზე“.

თუმცა ირგვლივ ყველაფერი გაკაშკაშებული იყო, ქუჩაში არაფერი ბრწყინავდა, არავითარი ვარსკვლავა ტალერი. ვხედავდი მხოლოდ ავტომანქანებს, ტრამვაის, ავტობუსებს და ბონელ მოქალაქეებს. ვიმედოვნებდი, რომ ჩემი მარკა ტრამვაის სახურავზე დაეცა და დეპოში ვინმე იპოვის.

ცხადია, შემეძლო ვვანგელისტური ეკლესიის კალთას ამოფარე-

ბოდი, მაგრამ როცა ეს კალთა წარმოვიდგინე, გამაჟრჟოლა. ლუთერის კალთას სიამოვნებით ამოვეფარებოდი, „ვეანგელისტური ეკლესიის კალთას“ კი ვერა. თუ მლიქვნელი გავხდები, ჯობია, ამ მლიქვნელობისაგან რაიმე სარგებლობა ვნახო და რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მივიღო. ნასიამოვნები კი მაშინ ვიქნები, როცა სხვებს კათოლიკედ მოვაჩვენებ თავს. ექვსი თვე „არაფის დავენახვები“, შემდეგ კი საღამოობით ზომერვილდის ქადაგებებზე დავიწყებ სიარულს და ჩემში ისევე აფუთფუთდებიან კათოლონები, როგორც იარაში მატლები. მაგრამ ამით მამაჩემის გულის მოგების უკანასკნელ შესაძლებლობას და მურა ნახშირის ტრესტის რომელიმე ფილიალში ჩეკზე ხელის მოწერის უფლებას დაუკარგავ. იქნებ დედაჩემმა თავის ცენტრალურ კომიტეტში მომაწყოს, სადაც შესაძლებლობა მექნება ჩემი რასობრივი თეორიები დავიცვა. გავემგზავრები ამერიკაში, ქალთა კლუბებს გამოვეცხადები, როგორც გერმანელი ახალგაზრდობის მონანიების ცოცხალი მაგალითი და მოხსენებებს წავიკითხავ. მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს: პირადად მე მოსანანიებელი არაფერი მაქვს, სრულიად არაფერი და ამიტომ იძულებული ვიქნები, ვითვალთმაქცო. თუმცა შემძლია მოვეყვე, როგორ შევყარე ჩოგბურთის კორტზე ჰერბერთ ქალიკს სახეში მთელი მუჭა ნაცარი, როგორ ჩამკეტეს ტირში და როგორ წარვდექი სასამართლოს წინაშე, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ქალიკი, ბრიული და ლიოვენცი. მაგრამ ამის მოყოლაც თვალთმაქცობა იქნება. არ შეიძლება ამგვარი მომენტების აღწერა და კისერზე ორდენივით ჩამოკიდება. ყველა ცდილობს, თავისი ცხოვრების გმირული მომენტები ორდენივით ატაროს. წარსულს რომ ჩაებლაუჭები, ესეც ფარისევლობაა, რადგან კაციშვილმა არ უწყის ის მომენტები: აბა, ვის ეცოდინება, ლურჯქუდიანი ჰენრიეთე ტრამვაიში რომ ჩაჯდა და ლევერკუზენში გაემგზავრა წმინდა გერმანული მიწის ებრაელი იანკებისაგან დასაცავად.

არა, ყველაზე საიმედო ფარისევლობა, თანაც ფრიად რომ გამართობდა, მაინც „კათოლიკური კარტით თამაშია“. აქ ნაღდი მოგება გაქვს ხელში.

კიდევ ერთხელ გადავხედე უნივერსიტეტის სახურავებს და სასახლის პარკის ხეივნებს: მარი იცხოვრებს მათ მიღმა, მთის ფერდობზე, ბონსა და გოდესბერგს შორის. კეთილი და პატიოსანი. ამიტომ

ჯობს, აქ ვიყო. არ არის საჭირო, გავუადვილო ცხოვრება. რატომ უნდა ფიქრობდეს, თითქოს მუდამ გზაში ვარ? ჯობს ახსოვდეს, რომ ყოველ წუთს შეიძლება შემხვდეს. დაე, დაიწვას სირცხვილისაგან იმის გაფიქრებაზე, რომ მთელი მისი ცხოვრება უზნეობა და ქმრის ღალატია. ხოლო თუ ბავშვებთან ერთად შემხვდება და ბავშვებს ანორაკები და ლოდენის პალტოები ეცმევათ, საკუთარი ბავშვები მაშინვე შიშვლები მოეჩვენება.

მოწყალეო ქალბატონო, ქალაქში ხმები დადის, თითქოს თქვენს ბავშვებს დედიშობილა არბენინებთ. ეს უკვე მეტისმეტია. გარდა ამისა, ერთი დიდი შეცდომაც დაუშვით, გადამწყვეტ წუთში სიტყვა „ჩემი“ გამოგრჩათ. როცა ამბობთ, მხოლოდ ერთი კაცი მიყვარსო, უნდა თქვათ „ჩემი კაცი“. ისეთი ხმებიც დადის, რომ თქვენ გედიმებათ იმ ყრუ სიძულვილზე, ყველანი რომ გრძობენ იმისადმი, ვისაც მოხუცს ეძახიან. თქვენი აზრით, ყველანი ამაზრზენად ჰგვანან მას. ბოლოს და ბოლოს, იმ მოხუცი კანცლერივით მათაც ჰგონიათ, რომ შეუცვლელნი არიან, და თანაც ყველანი ხომ კრიმინალურ რომანებს კითხულობენ. რა თქმა უნდა, კრიმინალური რომანების ყდები არ შეეფერება გემოვნებით მოწყობილ ბინებს. დანიელებს დაავიწყდათ, თავიანთი სტილი კრიმინალური რომანების ყდებზეც გაეკრცელებინათ. ფინელებს კი, ალბათ, ეყოფათ იმდენი ეშმაკობა, რომ ყდები სკამებს, სავარძლებს, მინასა და კერამიკას შეუფარდონ. კრიმინალური რომანები ბლოთერტსაც კი უყრია სახლში. იმ საღამოს, მის ბინას რომ კათვალიერებდი, ლამის თვალში გვეჩხირებოდნენ უტიფრად.

მუდამ სიბნელეს ეფარებით, მოწყალეო ქალბატონო, კინოებსა და ეკლესიებში დადიხართ, ჩაბნელებულ ოთახში საეკლესიო მუსიკას ისმენთ, ხოლო დღის სინათლეს, ისეთს, როგორიც ჩოგბურთის კორტებზეა, უფრთხით. დიდი მითქმა-მოთქმაა. ტაძარში აღსარება ოცდაათ, ორმოცდაათ წუთს გრძელდება. მომლოდინეთა თვალებში აღმფოთება იგრძნობა: „ღმერთო ჩემო, რა აქვს ამდენი მოსანანიებელი ამ ქალს: ჰყავს ულამაზესი, უსათნოესი და უწესიერესი მეუღლე, ნამდვილად ზნემადალი ადამიანი და მშვენიერი გოგონა, აქვს ორი ავტომანქანა“.

სააღსარებოს მიღმა მდგარი, მოუთმენლობით შეპყრობილი ხალხი გაღიზიანებულია, ორი ხმა კი დაუსრულებლად ჩურჩულებს

სიყვარულზე, ქორწინებაზე, მოვალეობაზე, ისევ სიყვარულზე და ბოლოს ისმის ასეთი კითხვა.

— რწმენაში არასოდეს დაეჭვებულხართ, მაშ, რაღა გინდათ, შვილო ჩემო?

შენ ხმამაღლა არ შეგიძლია იმის თქმა, გაფიქრებაც კი გიჭირს იმისი, რაც შე ვიცის. შენ გინდა კლოუნი, ოფიციალურად: პროფესიონალი კომიკოსი მსახიობი, არც ერთ ეკლესიას რომ არ უხდის ხარკს.

სახეზე რომ გრიმი დამედო, აივნიდან სააბაზანოში კოჭლობით გავედი.

შეცდომა დაუშვი, მამას რომ უგრძობად დავხვდი, მაგრამ მის სტუმრობას არაფრით ველოდი. ლეო ყოველთვის მოწადინებულა, ჩემი ნამდვილი ფიქრი, ჩემი ნამდვილი სახე, ჩემი ნამდვილი „მე“ დაინახოს. დაე, დაინახოს. მაგრამ როცა სახეზე გრიმი არ მედო, ლეოს ყოველთვის ეშინოდა ჩემი „ნიღბების“, თამაშის, ყოველფეხ იმისა, რასაც იგი „ფუქსავატურს“ ეძახის. იმ წუთებში კი ჩემი ჩემოდანი გრიმით სადღაც ბოხუმსა და ბონს შორის მიხრივნიებდა. სააბაზანოში კედლის პატარა, თეთრი კარადა გამოვადე და შევეკრთი, მაგრამ გვიანდა იყო. როგორ დამაფიწყდა, რომ ნივთებს მომაკვდინებელი სენტიმენტალობა ახასიათებთ. კარადაში აღარ იყო მარის ტუბები, ქილები, შუშები, აღარაფერი... კარადაში რომ აღარაფერი დამხვდა, ამან ისე ამაფორიაქა, თითქოს მისი რომელიმე ტუბი ან ქილა დამენახოს. ყველაფერი თან წაუღია. იქნებ, მონიკა ზილვსმა გამოიჩინა გულკეთილობა, ყველაფერს თავი მოუყარა და აქაურობას მოაშორა. სარკეში ჩემი თავი შევათვალიერე: თვალები სრულიად ცარიელი მქონდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, თვალების დაცარიელება რომ არ დამჭირვებია. აღრე ამისათვის ნახევარი საათი ვაშტერდებოდი საკუთარ თავს და სახის კუნთებს ვავარჯიშებდი. სარკიდან თვითმკვლელის სახე მიყურებდა, ხოლო როცა გრიმის დადება დავიწყე, სახე მკვდრის სახედ მექცა. კანი ჯერ ვახელინით დავიზილე, შემდეგ ნახევრად გამხმარ უმარილის ტუბს თავი მოვაგლიჯე და სახე ისე გავითეთრე, რომ არც ერთი შავი ხაზი, არც ერთი წითელი წერტილი არ დამიმატებია. სახე ერთიანად თეთრი მქონდა, წარბებზეც კი გადავისვი უმარილი. თმა პარიკით მედო თავზე, შეუღებავი

ტუჩები ჩამუქებული, თითქმის ლურჯი ფერისა იყო, თვალები გაქვავებულ ცასავით ცისფერი და იმ კარდინალის თვალებივით ცარიელი, რომელმაც დიდი ხანია დაკარგა რწმენა და ეს ამბავი საკუთარი თავისთვისაც კი ვერ გაუმხელია. ჩემი ანარეკლისა აღარ მეშინოდა. ასეთი სახის პატრონისათვის ძნელი არ არის „კარიერის გაკეთება“, ასეთი სახით იმ საქმის დაცვაც შეიძლება ფარისევლურად, რომელიც, მიუხედავად მთელი მისი აბსურდულობისა და უაზრობისა, შედარებით მიშხიდველია. იმ საქმეს გგულისხმობ, ედგარ ვინეკენს რომ სწამს. ყოველ შემთხვევაში, ამ საქმეს არაფრის გემო არ დაჰკრავს, ყველაზე პატიოსნურია საყოველთაო უპატიოსნებაში და ყველაზე მცირე ბოროტებაა უმცირეს ბოროტებათა შორის. ამგვარად, გარდა შავისა, მუქი ყავისფრისა და ლურჯისა, არსებობს კიდევ ერთი შესაძლებლობა. წითელს ვერ ვუწოდებთ მას — მეტისმეტად ეფემისტური და ოპტიმისტური იქნებოდა. ესაა ნაცრისფერი, რომელსაც გარიჟრაჟის სხივი დაჰკრავს. მწუხარე ფერია, მწუხარე საქმის შესაფერისი, მაგრამ შეიძლება სწორედ აქ გამოინახოს ადგილი კლოუნისათვის, რომელმაც ყველაზე საშინელი ცოდვა ჩაიდინა: სხვებში სიბრალეულის გრძნობა გამოიწვია. ცუდი მხოლოდ ის იყო, რომ ყველაზე ნაკლებად ედგარის მოტყუება მინდოდა, ყველაზე მეტად მასთან მიჭირდა თვალთმაქცობა. მე ერთადერთი მოწმე ვიყავი იმისა, რომ მან მართლაც გაირბინა ასი მეტრი 10,1 წამში, ხოლო იგი ერთადერთი იყო იმ მცირერიცხოვან ადამიანთა შორის, ვინც ისეთად მიცნობდა, როგორიც ვიყავი, ისეთი ვეგონე, როგორიც ვარ. ედგარს არაფერი სწამდა, გარდა გარკვეული ადამიანებისა. სხვებს მეტი რამ სწამთ: ღმერთი, აბსტრაქტული ფული და ის, რასაც „სახელმწიფო“ და „გერმანია“ ჰქვია. ედგარს კი არაფერი ამდაგარი არ სწამდა. ამიტომაც დაეცა თავზარი, მე რომ მაშინ ტაქსი დავიქირავე. ახლა გული მწყედება, რატომ არ აუუხსენი ყველაფერი, თორემ ისე სულ არა ვარ ვალდებული, ვინმეს რამე აუუხსნა. სარკეს მოვცილდი. ძალიან მომეწონა ის სახე, სარკიდან რომ მიშხერდა. წუთითაც არ მომსვლია აზრად, რომ ის, ვისაც ვუმხერდი, მე ვიყავი. ეს კლოუნი კი არა, მკვდარი კაცი იყო, რომელიც მკვდარსავე განასახიერებდა.

საძინებელ ოთახში კოჭლობით შევლასლასდი. აქამდე ამ ოთახში ჯერ ფეხი არ შემიდგამს მარის კაბების შიშით. კაბებს მისთვის მეტწილად მე ვყიდულობდი და, თუ კაბა გადასაკეთებელი იყო, მკერა-

ვთანაც მე მივდიოდი მოსალაპარაკებლად. გარდა წითლისა და შავისა, თითქმის ყველა ფერი უხდებოდა, ნაცრისფერიც კი არ უკარგავდა იერს. განსაკუთრებით უხდებოდა ვარდისფერი და მწვანე. ქალების მოდის საქმეს რომ გავყოლოდი, ალბათ, ფულსაც გავაკეთებდი, მაგრამ ისეთი კაცისათვის, რომელიც მონოგამია და ჰომოსექსუალისტი არ არის, ეს საშინელი წამება იქნებოდა. მამაკაცთა უმრავლესობა ცოლს ჩეკს აძლევს და ურჩევს, „მოდის კარნახს“ დაემორჩილოს. როცა მოდაში იისფერი შემოდის, ჩეკით გამოკვებილი ცოლები იისფერს იცვამენ. და როცა ქალბატონები, რომელთაც „თავები მოაქვთ“, უკლებლივ ყველანი, რომელიმე წვეულებასზე იისფერ კაბებში გამოწყობილნი მიმოდინ, ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს მდებრობითი სქესის ეპისკოპოსების გენერალურ ასამბლეაზე აღმოჩნდი, იმ ეპისკოპოსებისა, რომელთა სხეულებში ძლივს ფეთქავს სიცოცხლე. მარი მათ რიცხვს არ ეკუთვნის. ჯერ კიდევ ჩემს სახლში ვცხოვრობდი, როცა მოდაში ტომარა-კაბები შემოვიდა და ყველა ბატისტვინა დედაკაცი, რომელთაც ქმრებმა „მდგომარეობის შესაბამისად“ შემოსვა უბრძანეს, ჩვენს ჟურფიქსებზე ტომარაში გახვეული დაძინებულბდა. ზოგი მართლა მეცოდებოდა, განსაკუთრებით, ერთერთი პრეზიდენტის (ჩვენს სახლში პრეზიდენტებს რა გამოლევდა) ძონძროხა ცოლი. სიამოვნებით მიუხალოვდებოდი იმ ქალს და ისე მოვანურავდი რამეს, სუფრას ან ფარდას, როგორც გულმწიყალეების მოსასხამს. მისი ბრიყვი და ხვადაგი ქმარი ვერაფერს ამჩნევდა, ყრუ და ბრმა იყო. შექძლო ცოლი ვარდისფერი ღამის პერანგით შემოსილი გაეგზავნა ბაზარში, თუკი რომელიმე ჰომოსექსუალისტი განაცხადებდა — ეს მოდაშიაო. მეორე დღეს კი ორმოცდაათ ევანგელისტ პასტორს ლექციას წაუკითხავდა თემაზე: „შეცნობის როლი ქორწინებაში“. მან, ალბათ, ისიც კი არ იცოდა, რომ მის ცოლს წვეუტიანი მუხლები ჰქონდა და მოკლე კაბა არ უხდებოდა.

სარკისათვის რომ თვალი ამერიდებინა, ტანსაცმლის კარადის კარი სწრაფად გამოვალე. მარის არაფერი, არაფერი დაეტოვებინა კარადაში, არც ფეხსაცმლის კალაპოტი და არც ქამარი, რაც ქალებს ხშირად რჩებათ ხოლმე. ჯერ არ გამქრალიყო მისი სუნამოს სუნი. შექძლო მეტი ლმობიერება გამოეჩინა, ჩემი ტანსაცმელიც თან წაელო ან ვიღაცებისთვის ეჩუქებინა, ანდა დაქვა, მაგრამ ჩემი ჩურები კარადაში ისევ ისე ეკიდა: მწვანე ველკეტის შარვალი, რომელიც

არასოდეს მცმია, ტვიდის შავი პიჯაკი და რამდენიმე ყელსახვევი. ქვევით კი, ფეხსაცმელების თაროზე, სამი წყვილი ფეხსაცმელი ელაგა. ალბათ, პატარა უჯრაშიც ყველაფერი თავის ადგილას იდო — მანუეტების საკინძეები, საყელოების თეთრი კუთხედები, წინდები და ცხვირსახოცები. წინასწარ უნდა მცოდნოდა, რომ კერძო საკუთრების მიმართ ქრისტიანები შეურიგებლად პატიოსნები არიან. უჯრების გამოღება საჭირო არ იყო: ყველაფერი, რაც მე მეკუთვნოდა, ადგილზე იდებოდა. არ იქნებოდა მხოლოდ ის, რაც მისი საკუთრება იყო. უდიდეს სულგრძელობას გამოიჩინდა, ჩემი ჩვრებიც რომ თან წაეღო, მაგრამ ტანსაცმლის კარადაში სამართლიანობა და მომაკვდინებელი კორექტულობა ბატონობდა. როცა მარის კარადიდან გამოჰქონდა ყველაფერი, რაც მის არსებობას მომაგონებდა, ალბათ, თანამიგრძნობდა, შეიძლება ტიროდა კიდევ იმ ქალებივით, ცოლქმრის გაყრის ამსახველ ფილმებში რომ ამბობენ: „შენთან გატარებული დღეები არასოდეს დამავიწყდება“.

ყველაზე ცუდი, რაც მარიმ დამიტოვა, ეს იყო სუფთა და დალაგებული კარადა (ვიდაცას მტვერიც კი გადაეწმინდა). მან ყველაფერი სამართლიანად გაყო, კარადაში ჩემი ტანსაცმელი ეკიდა, მისი კი არა. კარადა იმ საოპერაციოს ჰგავდა, სადაც ოპერაცია წარმატებით ჩაატარეს. მარისი აქ არსად არაფერი ჩანდა, კოფთაზე აწყვეტილი ღილიც კი. სარკეში რომ ჩემი თავი არ დამენახა, კარადის კარი ღია დავტოვე, საშხარეულოში კოჭლობით გავედი, კონიაკის ბოთლი პიჯაკის ჯიბეში ჩავიდე, საერთო ოთახში ტახტზე წამოვწექი და შარვლის ტოტი ავიკაპიწე. მუხლი კიდევ უფრო გამსივებოდა, მაგრამ წამოწოლილს ნაკლებად მტკიოდა. კოლოფში ოთხი სიგარეტიღა იყო. ერთს მოუუკიდე.

ვფიქრობდი, რა იქნებოდა უარესი — მარის რომ კაბები დაეტოვებინა, თუ ის, რაც გააკეთა: პირწმინდად გამოაცარიელა კარადა, დაასუფთავა და ბარათიც კი არ დამიტოვა: „შენთან გატარებული დღეები არასოდეს დამავიწყდება“. ალბათ, ასე ჯობდა, მაგრამ შეეძლო, აწყვეტილი ღილი ან ქამარი მაინც დაეტოვებინა, ანდა მთელი კარადა წაეღო თან და დაეწვა.

როცა ჰენრიეთეს დაღუპვის ცნობა მივიღეთ, სწორედ იმ დროს ჩვენს სახლში სუფრას შლიდნენ და ანამ ყვითელ სახელსახოცე

რგოლში გაყრილი ჰენრიეთეს ნახმარი ხელსახოცი სერვანტზე და-
ტოვა. ყველა მივაჩერდით ხელსახოცს — მას ცოტაოდენი მურაბა
ეცხო და წვნიანისა თუ საწებლის პატარა ყავისფერი ლაქები აჩნ-
და. პირველად ვიგრძენი, რა საშინელებაა იმ ადამიანის კუთვნილი
ნივთები, რომელიც სამუდამოდ მიდის სახლიდან ან კვდება. დედამ
არც აცია, არც აცხელა, ჭამას შეუდგა. ამით უნდოდა ეთქვა: ცხო-
ვრება გრძელდებაო ან რამე ამდაგვარი, მაგრამ მე ზუსტად ვიცოდი,
რომ ეს ასე არ იყო. ცხოვრება კი არა, სიკვდილი გრძელდებოდა.
დედას სუფრის კოვზი ხელიდან გაუგდებინე. ბაღში გაუვარდი, შე-
მდეგ უკანვე შემოვიჭერი სახლში, სადაც საშინელი წვილ-კივილი
და წყველა-კრულვა იყო ამტყდარი. დედაჩემს ცხელმა წვნიანმა სახე
დაუწვა. მე ჰენრიეთეს ოთახში ავვარდი, ფანჯარა ფართოდ გავალე
და ყველაფერი, რაც ხელში მომყვა, ბაღში გადავყარე: პატარა კო-
ლოფები, კაბები, თოჯინები, ქუდები, ფეხსაცმელები და ბერეტები.
გამოვალე უჯრები. შიგ თეთრეული ეწყო. თეთრეულს შორის უცნაუ-
რი, ალბათ, მისთვის ძვირფასი პატარა ნივთები ელაგა — ხორბლის
გამხმარი თავთავები, ქვები, ყვავილები, ქაღალდის ნაგლეჯები და
ვარდისფერი ბაფთით შეკრული წერილების მთელი დასტა. ხელის
ერთი მოსმით ბაღში გადავუძახე ჩოგბურთის ფეხსაცმელები, ჩოგ-
ნები, სპორტულ ჯილდოები. მოგვიანებით ლეომ მითხრა, „გიჟს“
ჰგავდიო. ყველაფერი ეს ისე სწრაფად მომიმოქმედებია, რომ ხელის
შეშლა ვერაფერს გაბედა. უჯრებს ერთიანად ვაპირქვავებდი ბაღში. შე-
მდეგ გარაჟში შევვარდი, ბენზინით სავსე მძიმე ბალონი გამოვიტანე,
ჰენრიეთეს ნივთებს გადავასხი და ცეცხლი წავუკიდე. ყველაფერი,
რაც ირგვლივ იყო მიმობნეული, ავარდნილ ალში ფეხით შევყარე.
შემდეგ მოვხვეტე ნაკუწები, ნაფლეტები, გამხმარი ყვავილები, წერი-
ლების დასტა და ისიც ცეცხლს მივეცი. ბოლოს სასადილო ოთახში
შევვარდი, სერვანტიდან ჰენრიეთეს რგოლში გაყრილი ხელსახოცი
ავიღე და ისიც ცეცხლში გადავუძახე. მოგვიანებით ლეომ მითხრა,
მთელი ეს ამბავი ხუთ წუთზე მეტხანს არ გაგრძელებულა და სა-
ნამ ვინმე მიხედებოდა, რა მოხდა, ცეცხლი უკვე გიზგიზებდა და
ყველაფერს ნთქავდაო. ამ დროს საიდანაც ამერიკელი ოფიცერი
გამოჩნდა. მას ეგონა, საიდუმლო მასალებს ვწვავდი, ღიდი გერმა-
ნიის „ვერვოლფის“ მასალებს, მაგრამ როცა ბაღში გავიდა, თითქმის
ყველაფერი დამწვარი დახვდა. გაშავებული მუეუზლები საზარლად

ყარდა. ამერიკელმა ოფიცერმა მოინდომა ცეცხლისთვის გამოეტაცა წერილების დასტა, მაგრამ ხელიდან გაუგდებინე და ბალონში დარჩენილი ბენზინი ცეცხლზე დაუასხი. ცოტა ხნის შემდეგ სახანძრო რაზმიც მოგრიალდა თავისი სასაცილო, დიდი შლანგებით, ბაღში კი ერთმა მეხანძრემ ხმამაღლა გასცა ყველაზე სასაცილო ბრძანება, როგორც კი ოდესმე მსმენია: „წყალო, იარ!“ ისინი უსირცხვილოდ ასხამდნენ შლანგებით წყალს ამ უბადრუკ კოცონს, ხოლო როცა ერთმა მეხანძრემ შეამჩნია, ცეცხლი ოდნავ ფანჯრის რაფასაც მოედო, შლანგი ფანჯრისაკენ მიმართა: ოთახში ყველაფერი ატივტივდა, პარკეტის იატაკი დაიბრიცა და დედაჩემმა წივილ-კივილი ატქნა. დაიწყო რეკვა ყველა დამზღვევ საზოგადოებაში, უნდოდა გაეგო, რა ერქვა ამას — ცეცხლისაგან დაზარალება, წყლისაგან დაზარალება თუ დაზღვეული ქონების დაზიანება.

ერთი ყლუპი კონიაკი პირდაპირ ბოთლიდან მოვსვი, შემდეგ ბოთლი ისევ ჯიბეში ჩავიდე და მუხლი მოვისინჯე. წამოწოლილს ფეხი ნაკლებად მტკიოდა. დამშვიდება თუ მოუახერხე და გონება მოვიკრიბე, მუხლი სწრაფად დამიცხრება და ტკივილი მომეშვება. სხვა თუ არაფერი, ერთი რამ მაინც შემიძლია: საღმე ცარიელ ფორთოხლის ყუთს ვიშოვი, საღგურის წინ ჩამოვჯდები, გიტარას დაუუკრავ და „ლიტანია ლაურეტანას“ ვიმღერებ. ქუდს ან კეპს, თითქოსდა შემთხვევით, გვერდით დავდებ საფეხურზე და თუ ვინმეს აზრად მოუვა ქუდში ფულის ჩაგდება, მაშინ სხვებზე გათამამდებიან და მას მიპაძავენ. ფული თუნდაც იმიტომ მჭირდებოდა, რომ სიგარეტი გამომეღია. ყველაზე უკეთესი იქნება, ქუდში ერთი ათბფენიგიანი და ორი ხუთბფენიგიანი ჩავაგდო. მეტს თუ არა, ამდენ ფულს მაინც იშოვის ლეო. ჩემს თავს უკვე ვხედავდი საღგურის კიბეზე ჩამომჯდარს, ვხედავდი ფერ-უმარილით დაფარულ ჩემს თეთრ სახეს საღგურის შავი ფასადის ფონზე — მაცვია ლურჯი ტრიკო, შავი ტვიდის პიჯაკი, მწვანე ველვეტის შარვალი და ქუჩის ხმაური რომ დაეფარო, ხმამაღლა ვიწყებ: „*Rosa mystica — ora pro nobis, turris Davidica — ora pro nobis, virgo fidelis — ora pro nobis*“¹. საღგურთან იმ საათებში

¹ *Rosa mystica — ora pro nobis, turris Davidica — ora pro nobis, virgo fidelis — ora pro nobis* (ლათ.) — ვარდო იღუმალო, ილოცე ჩვენთვის, დავითის სიმაგრე, ილოცე ჩვენთვის, ერთგულო ქალწულო, ილოცე ჩვენთვის — მიმართვა ქალწულ მარიამისადმი.

ჩამოვჯდები, როცა რომიდან მატარებლები ჩამოდის და ასე გაგრძელდება მანამდე, სანამ არ ჩამოვა ჩემი *coniux infidelis*¹ თავის კათოლიკე ქმართან ერთად. მათ ჯვრისწერას, ალბათ, უსიამო საზრუნავიც ახლდა თან: მარი არც ქვრივი იყო, არც ქმართან გაყრილი და (რაც შემთხვევით ზუსტად ვიცი) არც ქალწული. ზომერვილდი, ალბათ, თმას იგლეჯდა, პატარძალი საქორწილო ლეჩაქის გარეშე ამ საქმის მთელ ესთეტიკურ მხარეს აუფასურებდნენ, მაგრამ, შეიძლება, მათ საგანგებო ლიტურგიული მითითებებიც კი აქვთ ზნედაცემული ქალიშვილებისა და კლოუნების ყოფილი ხასებისათვის? ნეტავ, რა იფიქრა იმ ეპისკოპოსმა, მათ რომ ჯვარი დასწერა? ეპისკოპოსზე დაბლა მდგომ საეკლესიო პირს ისინი, რა თქმა უნდა, არ იკადრებდნენ. ერთხელ მარამ ეპისკოპოსის რეზიდენციაში შემათრია. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელმა იქ ატეხილმა ფუსფუსმა — მიტრის დახურვამ და მოხდამ, თეთრი ბაფთის შემოხვევამ და შემოხსნამ, კვერთხის აქეთ-იქით გადატანამ და თეთრი ბაფთის წითლით შეცვლამ... მე ხომ ხელოვანის მგრძობიარე სული მაქვს და განმეორების ესთეტიკური ფასი ვიცი.

ისევ დავიწყე ფიქრი ჩემს პანტომიმაზე „გასაღებები“. შემეძლო პლასტილინი მეშოვა, გასაღებების ანაბეჭდები ამელო, ან ყალიბებში წყალი ჩამესხა და მაცივარში რამდენიმე გასაღები „გამომეცხო“. ალბათ, პორტატული მაცივრის შოვნასაც შეეძლებ და ყოველ საღამოს, სცენაზე გასვლის წინ, იმდენ გასაღებს გამოვაცხობ, რამდენიც წარმოდგენის მსვლელობაში დადნება. შეიძლება ამ ჩანაფიქრიდან მართლაც გამოსულიყო რაღაც, მაგრამ ეს ვარაუდი იმავე წუთში უარეყავი, რადგან უადრესად რთული მომეჩვენა. გარდა ამისა, არ მინდოდა დამოკიდებული ვყოფილიყავი მეტისმეტად ბევრ რეკვიზიტზე და ტექნიკურ ფათურაკებზე: ხომ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ისეთი სცენის მუშა, რომელიც ერთხელ ომში რომელიმე რაინისპირელმა მოატყუა და ხომ შეეძლო იმ მუშას მაცივრის კარი გაეღო და ჩემთვის წარმოდგენა ჩაეშალა? პირველი აზრი უფრო მომწონდა. ჩამოვჯდები ბონის სადგურის კიბეზე ისეთი, როგორიც ვარ, ოღონდ სახეზე უმარილწასმული, და გიტარის აკომპანემენტზე „ლიტანია ლაურეტანას“ ვიმღერებ. გვერდით დავიდებ ქუდს, იმ დროს რომ

¹ *coniux fidelis* (ლათ.) — მოღალატე მეუღლე.

მეზურა, როცა ჩაპლინს ვბაძავდი. ახლა მხოლოდ მისატყუებელი მონეტები მაკლდა: უკიდურეს შემთხვევაში ათბფენიგიანიც იკმარებდა, უმჯობესი იქნებოდა ათ და ხუთბფენიგიანი, ხოლო ყველაფერს აჯობებდა, ქუდში რომ სამი მონეტა ეყაროს — ათბფენიგიანი, ხუთბფენიგიანი და ორბფენიგიანი. მაშინ გამვლელებს ეცოდინებოდათ, რომ მე რელიგიური ფანატიკოსი კი არა ვარ, რომელიც არაფრად აგლებს მცირე მოწყალებას, არამედ ის კაცი, რომლისთვისაც ყოველგვარი მოწყალება, შავი ფულიც კი სასურველია. შემდეგ დაუშვებ ვერცხლის ფულს. დაე, გამვლელებმა დაინახონ, დიდ მოწყალებას კი არ ვუფრთხი, ვიღებ კიდევ. ქუდში სიგარეტსაც ჩავდებ. ადამიანების უმრავლესობას საფულის გახსნას სიგარეტის კოლოფის გახსნა ურჩევნია.

ერთ მშვენიერ დღეს კი, ალბათ, ან წესრიგის დამცველი გამომეცხადება და ქუჩაში სიმღერის ნებართვას მომთხოვს, ანდა ღვთისმგმობლობის წინააღმდეგ მებრძოლი ცენტრალური კომიტეტის რომელიმე წევრი და ჩემს სიმღერას მკრეხელობად მიიჩნევს. იმ შემთხვევისთვის, თუ მოწმობას მომთხოვენ, გვერდით ყოველთვის მექნება ქვანახშირის ბრიკეტი წარწერით: „შინი გაგათბობთ“. ამ წარწერას ყველა ბავშვი იცნობს, მე კი წითელი ცარციით ხაზს გაუვსვამ შავი ასოებით დაწერილ „შინის“. შეიძლება წინ ჩემი ინიციალი „კ“ მივუწერო. ეს იქნება არაპრაქტიკული, მაგრამ არაორაზროვანი საეიზიტო ბარათი: ნება მომეცით გაგეცნოთ — შინი გახლავართ. მამაჩემს მართლა შეუძლია ერთ რამეში დამეხმაროს — და ეს არაფერი არ დაუჯდება — ქუჩის მომღერლის ნებართვა მიშოვოს. ამისათვის საკმარისია, ობერბურგომისტრს დაურეკოს ანდა პირადად მოელაპარაკოს კლუბში, სკატის თამაშის დროს.

მამა მოვალეა ამ საქმეში დამეხმაროს. მაშინ თავისუფლად ჩამოვჯდები სადგურის კიბეზე და დაუშვდი რომიდან მატარებლის ჩამოსვლას. თუ მარის ყოფა იმის ძალა, კიბეზე ჩაიაროს და არ გადამეხვიოს, თავის მოკვლის მეტი არაფერი დამრჩენია. ამაზე — მერუ. თვითმკვლელობაზე ფიქრს მხოლოდ ერთი მიზეზის გამო ვერ ვბედავ. შეიძლება სხვებს ეს ქედმაღლობად მოეჩვენოთ, პირადად მე კი მინდა, თავი მარისათვის შევინახო. ხომ შეიძლება ციუბფერს გაეყაროს? მაშინ ჩვენ ბენევიციით იდეალურ მდგომარეობაში აღმოჩნდებით — მარის შეეძლება სამუდამოდ დარჩეს ჩემი საყვარელი, რადგან, კა-

თოლიკური ეკლესიის კანონების თანახმად, ველარასოდეს გაეყრება ციუბუნერს. ამ შემთხვევაში ისღა დამჭირდება, ტელევიზიის ყურადღება მივიქციო, კვლავ მოვიხვეჭო სახელი და ჩვენს ერთად ცხოვრებაზე ეკლესია თვალს დახუჭავს. არავითარი სურვილი არა მაქვს, მარისთან ეკლესიაში დავიწერო ჯვარი და აღარც მათ დასჭირდებით მესროლონ თავიანთი გაცვეთილი ქვემეხი — ჰენრიხ მერვე.

თავს უკეთ ვგრძნობდი, მუხლი დამიცხრა, თითქმის აღარ მტკიოდა. მაწუხებდა მხოლოდ თავის ტკივილი და მელანქოლია, მაგრამ მათ ისე შევეჩვიე, როგორც სიკვდილზე ფიქრს. ნამდვილ ხელოვანს სიკვდილი ყოველთვის გვერდით უდგას და ისევე არ იშორებს მას, როგორც კარგი მღვდელი — ლოცვანს. ზუსტად ვიცი, რა მოხდება ჩემი სიკვდილის შემდეგ: შნირების საოჯახო აკლამას ვერ ავცდები, დედაჩემი ატირდება და იმის მტკიცებას დაიწყებს, რომ ერთდერთი ადამიანია, ვისაც ჩემი ესმოდა. ჩემი სიკვდილის შემდეგ ყველას მოუყვება, „როგორი იყო ჩვენი ჰანსი სინამდვილეში“. დღემდე ასე ფიქრობს და, ალბათ, დარწმუნებული იქნება უკუნითი უკუნისამდე, რომ მე „ვნებიანი“ და „ხარბი“ კაცი ვარ.

— დიახ, — იტყვის იგი, — ჩვენი ჰანსი ნიჭიერი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ძლიერ ვნებიანი და ხარბი. სამწუხაროდ, სრულიად უდისციპლინოც... თუმცა ნიჭიერი, უაღრესად ნიჭიერი.

ზომერვილდი იტყვის:

— დიდებული კაცი იყო ჩვენი კეთილი შნირი... სამწუხაროდ, კლერიკალებისადმი ზიზღი სისხლში ჰქონდა გამჯდარი და მეტაფიზიკისადმი გულგრილობას იჩენდა.

ბლოთერტს სანანებელი ის ექნება, რომ დროზე ვერ მიაღებინა კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ და საჯაროდ არ დამსაჯვს სიკვდილით.

ფრედებოილისათვის ვიქნები ის „განუმეორებელი ტიპი“, რომელსაც „არავითარი სოციოლოგიური თანამიმდევრობა არ გააჩნდა“.

კინკლი გულწრფელად, ცხარე ცრემლით ატირდება. მას მართლა დაეცემა თავზარი, მაგრამ ვაი რომ, მეტისმეტად გვიან.

მონიკა ზილვსი ისე აქვითინდება, თითქოს დამექვრივებინოს, და ინანებს, იმ საღამოს მაშინვე ჩემთან რომ არ გამოიქცა და ომლეტი არ გამიკეთა.

მარი, უბრალოდ, არ დაიჯერებს, რომ მოკვდი. იგი ციუპფენერს მიატოვებს. სასტუმროდან სასტუმროში ივლის და ყველგან მე მიკითხავს, მაგრამ ამაოდ.

მამაჩემი ბოლომდე დატკბება თავისი ტრაგიკული განცდით და დიდად ინანებს, იმ საღამოს რამდენიმე ქალაქის ფული რომ არ დადო მაღულად საკიდის ზემო თაროზე.

კარლი და საბინე ისე თავშეუკავებლად იტირებენ, რომ სამგლოვიარო პროცესიის ყველა მონაწილეს არაესთეტიკურადაც კი მოეჩვენება. საბინე მაღულად კარლის პალტოს ჯიბეში ჩაყოფს ხელს, რადგან თავისი ცხვირსახოცი ამჯერადაც შინ დარჩება.

ედგარი თავს მოვალედ ჩათვლის, ცრემლი არაუვის დაანახვოს. მაგრამ დაკრძალვის მერე შეიძლება კიდევ ერთხელ გაიაროს ჩვენს პარკში ის ასმეტრიანი მანძილი, შემდეგ ისევ სასაფლაოზე დაბრუნდეს და ჰენრიეთს მემორიალურ დაფასთან ვარდების დიდი თაიგული დადოს. ჩემ გარდა, არც ერთმა სულიერმა არ იცის, ედგარს რომ ჰენრიეთე უყვარდა, არც ის იცის ვინმემ, რომ იმ წერილების დასტაზე, ცეცხლში რომ დაწვი, ორი ასო ეწერა, წერილების გამომგზავნის ინიციალები: ე. ვ. მე კიდევ ერთ საიდუმლოებას ჩავიტანდი საფლავეში: ერთხელ შევესწარი, როგორ ჩავიდა დედა სარდაფში, საკუჭნაოში შეიპარა, ჩამოკიდებულ ღორს დიდი ნაჭერი ჩამოაჭრა და იქვე, ზეზეურად, უდანაჩანგლოდ, ხარბად შეჭამა. ჩემში ამან ზიზღის ნაცვლად განცვიფრება გამოიწვია და მე გულაჩუყებული უფრო ვიყავი, ვიდრე შეძრწუნებული. ჩვენ სარდაფში ჩასვლას გვიკრძალავდნენ, მაგრამ მე მინდოდა იქ, სადაც ჩემოდნები ელაგა, ჩოგბურთის ძველი ბურთები მომენახა. როცა ფეხის ხმა გავიგონე, სინათლე ჩავაქრე. საკუთარი თვალით დავინახე, როგორ აიღო თაროდან ვაშლისმურაბიანი ქილა, შემდეგ ისევ ადგილზე დადო და სწორედ იმ ღროს შევატყვევ იდაყვებზე, რომ რაღაცას ჭრიდა. შემდეგ ღორის დახვეული ნაჭერი პირში ჩაიტენა. ეს ამბავი არაუისთვის მომიყოლია და არც არაუის მოგუყვები. ჩემი საიდუმლო შნირების აკლდამის მარმარილოს ფილის ქვეშ დაიმარხება. უცნაურია, მაგრამ მიყვარს იმ ჯიშის სულდგმულები, მე რომ ვეკუთვნი — მიყვარს ადამიანები.

როცა ჩემი ჯიშის სულდგმული კვდება, მწუხარება მიპყრობს. დედაჩემის საფლავეზეც ვიტირებდი. მოხუცი დერკუმის დასაფლავე-

ბის ღროს თავი ვერ შევიკავე — ვაყრიდი და ვაყრიდი კუბოს შიშველ ფიცრებს ნიჩბით მიწას და გავიგონე, როგორ ჩურჩულებდა ვიღაც ჩემ უკან: „ასე არ იქცევია“¹. მაგრამ მე მაინც მანამდე ვაყრიდი მიწას, სანამ მარიმ ნიჩაბი არ გამომტაცა ხელიდან. არაფრის დანახვა არ მინდოდა — აღარც მისი სახლის, აღარც მისი ღუქნის, არაფრის, რაც მას მომაგონებდა. მარი უფრო გონიერულად მოიქცა, ღუქანი გაყიდა და ფული „ჩვენი შეილებისათვის“ გადაინახა.

როცა წინკარში გიტარის გამოსატანად გავედი, აღარ ეკოჭლობდი. გიტარა შალითიდან ამოვიღე, საერთო ოთახში ორი საყარძელი ერთმანეთის პირისპირ დავდგი, ტელეფონი ჩემკენ გადმოვიტანე, საყარძელში ჩავწექი და გიტარა ავაწვეე. გულს პირველივე ბგერები ესალბუნა, ხოლო როცა სიმღერა დავიწყე, თავს თითქმის კარგად ვგრძნობდი: *Mater amabilis, Mater admirabilis!*; სიტყვებს *opa pro nobis* გიტარის აკორდები შევუწყვე და მომწონა, მშვენივრად გამომდიოდა. აი, ასე, ახლა როგორიც ვარ, ისეთი დაველოდები რომიდან ჩამოსულ მატარებელს — გიტარით ხელში და გვერდზე დადებული ქუდით. *Mater boni consilii*². როცა ედგარ ვინეკენისაგან ფულიანი დაუბრუნდი, მარიმ ხომ მითხრა: აღარასოდეს, აღარასოდეს დაუმორღებთ ერთმანეთს, „სანამ სიკვდილი არ გაგყვრის“. მე ჯერ კიდევ არ ვიყავი მკვდარი. ფრაუ ვინეკენი ყოველთვის ამბობდა: „ვინც მღერის, ის ჯერ კიდევ ცოცხალია“ და „ვისაც საჭმელი ეგემრიელება, ჯერ კიდევ არ დაღუპულა“. მე კი კიდევ ვმღეროდი და კიდევ მშობოდა. ვერაფრით წარმომედგინა, რომ მარი მუდმივად სადმე იცხოვრებდა. ჩვენ მუდამ ერთად დაეხეტილებოდით ქალაქიდან ქალაქში, სასტუმროდან სასტუმროში და, თუ სადმე რამდენიმე დღე შევეყოვნებოდით, მეუბნებოდა:

— ღია ჩემოდნები ხახადაფჩენილნი მომჩერებიან და საზრდოს მთხოვენ.

და ჩვენც მაშინვე ამოუტენილთ დაფჩენილ ხახებს ჩემოდნებს, ხოლო, როცა მე რამდენიმე კვირით მიხდებოდა სადმე დარჩენა, მარი ისე დაბორილებდა ქუჩებში, როგორც ნაქალაქევში. კინოები, ეკლესიები, ბულვარული გაზეთები, რიჩ-რაჩი... ნუთუ მარის მართლა

¹ *mater amabilis* – *mater admirabilis* (ლათ.) — ღირსო დედაო, საოცარო დედაო.

² *mater boni consilii* (ლათ.) — დედავ, კეთილო მრჩეველო.

სურს, მონაწილეობა მიიღოს დიდ საზეიმო ცერემონიაში, როცა ციუპენერს მალტის რაინდთა ორდენის წევრად აკურთხებენ! ნუთუ მართლა მოჰკვრის სიამოვნებას კანცლერებისა და კონცერნების პრეზიდენტების გვერდით ჯდომა, ხოლო შემდეგ სახლში ორდენის წევრის ანაფორაზე ცხელი უთოთი ცვილის ლაქების ამოყვანა. მართალია, ეს გემოვნების საკითხია, მარი, მაგრამ შენ რომ ასეთი გემოვნება არ გაქვს! უკეთესია მიენდო ურწმუნო კლოუნს, რომელიც ადრე გაგაღვიძებს, რათა ეკლესიაში არ დაგაგვიანდეს და, თუ საჭირო იქნება, ეკლესიაში გასამგზავრებლად ტაქსისაც დაგიქირავენ. არც ჩემი ლურჯი ტრიკოს გარეცხვა დაგჭირდება არასოდეს.

24

ტელეფონმა დარეკა და რამდენიმე წამს გონს ვერ მოვედი. მთელი ყურადღება იქითკენ მქონდა მიპყრობილი, ბინის ხარის დარეკვა არ გამომრჩენოდა და ლეოსათვის დროზე გამელო კარი. გიტარა გვერდზე გადავდე, მოწკრიალე ტელეფონს დავაჩერდი, შემდეგ ყურმილი ავიდე და ვთქვი:

— ალო.

— ჰანს, შენა ხარ? — მკითხა ლეომ.

— მე ვარ, რა კარგია, რომ მოხვალ.

ლეო გაჩუმდა და ჩაახველა. თავიდან მისი ხმა ვერ ვიცანი.

— შენთვის ფული მაქვს გადმოსაცემი, — მითხრა მან.

სიტყვა ფული უცნაურად ჟღერდა. საერთოდ, ლეოს უცნაური წარმოდგენა ჰქონდა ფულზე. პირადად მას თითქმის არაფითარი მოთხოვნილება არ ჰქონდა — თამბაქოს არ ეწეოდა, ღვინოს არ სვამდა, საღამოს გაზეთებს არ კითხულობდა და კინოში მხოლოდ მაშინ დადიოდა, როცა სურათს, სავსებით რომ ენდობოდა, ისეთი სულ ცოტა ხუთი კაცი მაინც ნახავდა და ამ სურათის ნახვას მასაც ურჩევდა. ასეთი რამ ორ-სამ წელიწადში ერთხელ ხდებოდა. ტრამპაით მგზავრობას ფეხით სიარული ერჩია და, როცა მან სიტყვა ფული წარმოთქვა, ისევ ცუდ ხასიათზე დავდექი. რომ ეთქვა, ცოტაოდენი ფული მაქვსო, მეცოდინებოდა, ეს იქნებოდა ორი ან სამი მარკა. როგორც იქნა, შიშს ვძლიე და ხმაჩახლეჩილმა ვკითხე:

— რამდენი?

— ო, — მიპასუხა მან, — ექვსი მარკა და სამოცდაათი ჰფენიგი.

მისთვის ეს დიდი თანხა იყო. ჩემი აზრით, იმისთვის, რასაც პირადი მოთხოვნები ეწოდება, ლეოს ეს თანხა ორ წელიწადს ეყოფოდა; ზოგჯერ ბაქანზე გასასვლელ ბილეთს და ერთ პარკ პიტნის კანფეტს იყიდის, ათი პფენიციც მათხოურისათვის. ასანთი რა არის, ასანთიც კი არ სჭირდება. ხოლო თუ ერთ კოლოფს იმისთვის იყიდდა, რომ „უფროსებისათვის“ სახელდახლოდ ცეცხლი მოეკიდებინა, ის ერთი კოლოფი მთელ წელიწადს ეყოფოდა და, რამდენიც უნდა ეტარებინა ჯიბით, მაინც ახალივით იქნებოდა. მართალია, დროდადრო სადალაქოში შესვლა სჭირდებოდა, მაგრამ თმის გასაკრეჭ ფულს იგი, ალბათ, მამაჩვენის მიერ სწავლისათვის დაწესებული „მომდინარე ანგარიშიდან“ იღებდა. ადრე ხანდახან კონცერტის ბილეთის შესაძენად ხარჯავდა ფულს, თუმცა მეტწილად დედაჩემი ხელში კონტრამარკებს აჩეჩებდა. მდიდრები ხომ ღარიბებზე ბევრად მეტ საჩუქარს იღებენ ყოველთვის და ყიდვითაც უფრო იაფად ყიდულობენ ყველაფერს. დედაჩემს ბითუმად მოვაჭრეთა მთელი სია ჰქონდა შედგენილი. ჩემი ვარაუდით, იგი საფოსტო მარკებსაც კი უფრო იაფად ყიდულობდა. ექვსი მარკა და სამოცდაათი პფენიცი ლეოსათვის დიდი თანხა იყო, თუმცა ამჯერად — ჩემთვისაც. მაგრამ ლეომ, ეტყობა, ჯერ არ იცოდა, რომ მე, როგორც ამას ჩვენს სახლში ამბობდნენ, „ამჟამად არსებობის ყველა წყარო მომსპარი მქონდა“.

— კარგი, ლეო, — უუთხარი მე, — დიდი მადლობელი ვარ, როცა აქეთ წამოხვალ, ერთი კოლოფი სიგარეტი წამომიღე.

ლეოს პასუხი არ გაუცია, მე კვლავ გავიგონე მისი ჩახველება და კკითხე:

— გესმის ჩემი თუ არა?

იქნებ, ის ეწყინა, რომ იმ ფულიდან მაშინვე სიგარეტის ყიდვა ვთხოვე.

— მესმის, მესმის, — მითხრა მან ენის ბორძიკით, — მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ მოსვლა არ შემიძლია.

— რაა? — ვიყვირე მე, — არ შეგიძლია?

— ახლა ცხრას თხუთმეტი წუთი უკლია, მე კი ცხრაზე სასწავლებელში უნდა ვიყო.

— გვიან რომ დაბრუნდე, რას გიზამენ, ეკლესიიდან მოგკვეთენ? — კკითხე მე.

— კარგი ერთი, — მითხრა ნაწყენმა.

— განა არ შეიძლება, მცირე ხნით დაეთხოვო ან რაიმე ასეთი მოახერხო?

— ამ დროს არა, ეს დღისით უნდა გამეკეთებინა.

— ვთქვათ და დაიგვიანე?

— მკაცრ გაფრთხილებას მივიღებ, — მითხრა ჩუმად.

— თუ ლათინური ჯერ კიდევ მახსოვს, ამას რაღაც კავშირი უნდა ჰქონდეს ბაღთან.

ლემომ ჩაიცინა.

— უფრო სწორად, ბაღის მაკრატელთან, — მითხრა მან. — საკმაოდ უსიამო რამეა.

— კარგი, — ვუთხარი მე, — არ მინდა ჩემ გამო უსიამო დაკითხვა მოგიწყონ, ლეო, მაგრამ ჩემთვის აუცილებელია თუნდაც ერთი ცოცხალი ადამიანი მყავდეს გვერდით.

— რთული საქმეა, — მითხრა მან, — უნდა გამიგო. მკაცრ გაფრთხილებას არ მოვერიდებოდი, მაგრამ ამ კვირაში რომ კიდევ ერთი მკაცრი გაფრთხილება მივიღო, ამას ჩემს პირად საქმეში შეიტანენ და იძულებული ვიქნები, სკრუტინიუმის¹ წინაშე წარვდგე ახსნა-განმარტებით.

— ვის წინაშე? — ვკითხე მე, — გაიმეორე, ჩემო კარგო, ეს სიტყვა ნელა.

ლემომ ამოიოხრა, რაღაც ჩაიბუზღუნა და ძალიან ნელა მითხრა:

— სკრუტინიუმი.

— დასწყევლოს ეშმაკმა, ლეო — ვუთხარი მე, — ეს ჭრიალა სიტყვა ისე ჟღერს, თითქოს მწერებს ნაწილ-ნაწილ კუწავენ. ხოლო, როცა შენი „პირადი საქმე“ ახსენე, ანას „მეცხრე პოლკი“ გამახსენდა. მათთანაც ყველაფერი ისე შეჰქონდათ პირად საქმეში, თითქოს ნასამართლობის მქონენი ყოფილიყვნენ.

— ღმერთო ჩემო, ჰანს, — მითხრა მან, — ნუთუ ეს რამდენიმე წუთი აღზრდის სისტემაზე კამათს უნდა მოვახმაროთ?

— თუ არ გსიამოვნებს, კი ბატონო, ნუ ვიკამათებთ, მაგრამ ხომ არსებობს სხვა გზებიც, მხედველობაში მაქვს არასწორი გზები, მაგალითად, კედელზე გადაძრომა და სხვა ამდაგვარი, როგორც ეს მე-

¹ სკრუტინიუმი (ლათ.) — სასულიერო სამსახურის კანდიდატთა ნიჭისა და უნარის შემოწმება, რომელიც ფარული კენჭისყრით მთავრდება.

ცხრე ქვეით პოლკში ხდებოდა. ჩემი აზრით, ყველა მკაცრ სისტემაში შეიძლება გასაძრომი ხვრელის აღმოჩენა.

— შეიძლება, ჩვენთანაც შეიძლება, — მითხრა მან, — ისევე, როგორც სამხედრო სამსახურში, მაგრამ მე მეზიზღება ამგვარი გზები, სწორი გზით მინდა ვიარო.

— ნუთუ არ შეგძლია, ჩემი გულისათვის ზიზღი დასძლიო და ერთხელ მაინც გადმოძვრე კედელზე.

მან ამოიოხრა და მე წარმოვიდგინე, როგორ გააქნია თავი.

— ნუთუ ხვალამდე დაცდა არ შეგძლია? ხვალ ლექციას გავაცდენ და ცხრა საათზე შენთან ვიქნები. ახლავე ხომ არ მიემგზავრები ბონიდან?

— არა, — ვუპასუხე მე, — ბონში კარგა ხანს დავრჩები. ჰაინრიჰ ბელენის მისამართი მაინც მომეცი, დავურეკავ. იქნებ, ჩამოვიდეს კიოლნიდან ან იქიდან, სადაც ახლა იმყოფება. საქმე ის არის, რომ მუხლი ვიტკინე, ჯიბეცარიელი ვარ, არაუისთან აღარ მაქვს დადებული კონტრაქტი და აღარც მარი მყავს. რა თქმა უნდა, ხვალამდე არც მუხლი მომირჩება, არც ფული გამიჩნდება, არც კონტრაქტს დამიდებს ვინმე და არც მარი დამიბრუნდება. მაგრამ, იქნებ, ამ ხნის განმავლობაში ჰაინრიჰი მღვდლად ეკურთხა და მოტოროლევი ან რამე ამდაგვარი შეიძინა. მისმენ?

— დიახ, — მითხრა მან უხალისოდ.

— გთხოვ, მომცე მისი მისამართი და ტელეფონის ნომერი.

ლეო დუმდა და მის ოხვრას ბოლო არ უჩანდა. შეიძლება კაცს ეფიქრა, ასე წელი სააღსარებოში იჯდა და ახლა ოხრაგდა იმ ცოდვებისა და სისულელეების გამო, რაც კაცობრიობამ ჩაიდინა.

— კარგი, გეტყვი, — მითხრა მან ბოლოს და შევატყვე, რომ თავს ძალას ატანდა. — ეტყობა, შენ ერთი რამ არ იცი.

— რა არ ვიცი, — ვიყვირე მე, — ღმერთო ჩემო, გარკვევით მითხარი, ლეო!

— ჰაინრიჰი სასულიერო პირი აღარ არის, — მითხრა მან ჩუმად.

— მე კი მეგონა, სასულიერო პირად მანამდე რჩებიან, სანამ პირში სული უდგათ.

— ეს ასეცაა, — მითხრა მან, — მე იმის თქმა მინდა, რომ ჰაინრიჰმა სასულიერო სამსახურს თავი დაანება და აგერ უკვე რამდენიმე თვეა, უკვალოდ გაქრა. — ლეომ ეს სიტყვები ძლივს ამოღერდა.

— ეგ არაფერი, — ვუთხარი მე, — ჰაინრიჰი ისევ გამოჩნდება.

უეცრად ერთმა აზრმა გამიელვა თავში და ვკითხე:

— მარტო გაიქცა?

— არა, ვიდაც ქალიშვილთან ერთად, — მიპასუხა ლეომ მკაცრად და ეს სიტყვები ისე ჟღერდა, თითქოს მეუბნებოდა: „ჰაინრიჰს შავი ჭირი შეეყარა“.

ქალიშვილი შემეცოდა. იგი, რა თქმა უნდა, კათოლიკეა და, ალბათ, ძალიან უჭირს გაკრეჭილ, ქონში თავშეფარებულ მღვდელთან ცხოვრება და „ხორციელ ჟინთან“ დაკავშირებული დეტალების ატანა — აქა-იქ მიმოყრილი თეთრეული, ქვედა საცვლები, საბეჭურები, სიგარეტის ნაშვავებით სავსე ლამბაქი, კინოს კონტროლმონხეული ბილეთები და შეგნება იმისა, თუ რა მალე ილევა ფული. ხოლო როცა ქალიშვილი პურის, სიგარეტის ან ღვინის საყიდლად კიბეზე ჩადის და ბუზლუნა დიასახლისი ფართოდ აღებს თავისი ოთახის კარს, მას ისიც კი არ შეუძლია, დიასახლისს ღია კარში შესძახოს: „ჩემი ქმარი ხელოვანია, დიახ, ხელოვანი!“ ორივე შემეცოდა, მაგრამ ქალიშვილი უფრო მეტად. როცა ჰაინრიჰისთანა კაპელანდი ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება, არა მარტო უბადრუკი ხდება, არამედ თავგზაც ერევა და ასეთების მიმართ საეკლესიო ხელისუფალნიც მეტ სიმკაცრეს იჩენენ. ამგვარი რამ რომ ზომერვილდს დაემართოს, ალბათ, თვალს დახუჭავენ, მაგრამ ზომერვილდს არც ეყოლება ყვითელკანჭებიანი ეკონომი ქალი. მისი ეკონომი ქალი, რომელსაც მადალენას ეძახის, ლამაზი, ფერხორციით სავსე, კარგად მოვლილი მხიარული დედაკაცია და, ამასთანავე, შესანიშნავი მზარეულიც.

— რას იზამ, — ვუთხარი ლეოს, — ამგვარად, დროებით იგი ჩემთვის გამოუსადეგარია.

— ღმერთო ჩემო, — მითხრა ლეომ, — რა გულცივად მიიღე ეს ამბავი.

— მე არც ჰაინრიჰის ეპარქიის ეპისკოპოსი ვარ და არც ამ საქმით სერიოზულად დაინტერესებული პირი, — ვუპასუხე მე, — მაწუხებს მხოლოდ დეტალები. ედგარის მისამართი ან ტელეფონის ნომერი მაინც თუ იცი?

— ვინეკენზე მეკითხები?

— დიახ, — ვუპასუხე მე, — ხომ გახსოვს ედგარი? კიოლნში ჩვენთან შეხვედრიხართ ერთმანეთს, ხოლო ბავშვობაში ყოველთვის ვინეკენებთან ვთამაშობდით და კარტოფილის სალათას ვჭამდით.

— როგორ არა, მახსოვს, — მიპასუხა მან, — კარგად მახსოვს, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ვინეკენი არ უნდა იყოს გერმანიაში. ვილაცამ მიაძხო, რომელიდაც კომისიას სამეცნიერო მივლინებაში გაჰყვა ინდოეთში თუ ტაილანდში, ზუსტად არ ვიცი.

— დარწმუნებული ხარ? — ვკითხე მე.

— თითქმის, — მიპასუხა მან, — ჰო, გამახსენდა, ჰერიბერტმა მითხრა.

— ვინ, ვინ გითხრა? — ვიყვირე მე.

ლემომ ისე ჩაიწყვიტა ხმა, რომ მისი ოხვრაც კი არ მესმოდა. ახლა კი მივხვდი, რატომ არ უნდოდა ჩემთან მოსვლა.

— ვინ გითხრა? — ვკითხე კიდევ ერთხელ, მაგრამ ლემომ პასუხი არ გაუცია. სააღსარებო ჩახველება უკვე ჩვევად ქცეოდა. ასეთი ჩახველება ხშირად გამიგონია, როცა ეკლესიაში მარის ველოდებოდი.

— უკეთესი იქნება, — ვუთხარი ჩუმად, — ხვალაც რომ არ მოხვიდე, არ ღირს ლექციის გაცდენა. ბარემ ისიც თქვი, რომ მარი ნახე. — ეტყობა, ამ ხნის განმავლობაში ოხვრისა და ჩახველების მეტი არაფერი ასწავლეს. დადუმებულმა კიდევ ერთხელ ამოიოხრა ღრმად, ხანგრძლივად და საწყალობლად.

— პასუხისათვის თავს ნუ შეიწუხებ, — ვუთხარი მე, — მხოლოდ მომიკითხე ის სასიამოვნო კაცი, დღეს რომ ორჯერ ველაპარაკე ტელეფონით.

— შთრიუდერი? — მკითხა მან ჩუმად.

— არ ვიცი, რა გვარია, მაგრამ მისი ხმა სასიამოვნოდ ჟღერს ტელეფონში.

— სათვალავში არავინ აგდებს, — მითხრა მან, — მას... მას ხომ სამადლოდ აჭმევენ პურს, — ლემომ რაღაც სიცილის მაგვარი დასტყუა საკუთარ თავს. — ზოგჯერ ტელეფონთან მიიპარება და სისულელეებს როშავს.

ფეხზე წამოვდექი და ოდნავ გადაწეული ფარდიდან მოედანზე დაკიდებულ საათს შევხედე. ცხრას სამი წუთი აკლდა.

— ახლა ჯობია მოვრჩეთ, — ვუთხარი მე, — თორემ პირად საქმეში რამეს ჩაგიწერენ. ნუ გააცდენ ხვალ ლექციას.

— გამიგე, როგორმე გამიგე, — შემევედრა იგი.

— დასწყევლოს ემშაკმა, — ვუთხარი მე, — მესმის, მესმის შენი, თანაც ძალიან კარგად.

— ბოლოს და ბოლოს, რა კაცი ხარ შენ? — მიყვირა მან.

— კლოუნი ვარ და წამებს ვაგროვებ. კარგად იყავი, — ვუპასუხე მე და ყურმილი დავეღე.

25

დამავიწყდა მეკითხა, როგორ მოეწონა ჯარში სამსახური, მაგრამ იმედი მქონდა, ამის საშუალება ოდესმე კიდევ მომეცემოდა. დარწმუნებული ვარ, საჭმელ-სასმელს ქებით მოიხსენიებდა — სახლში ასე კარგად არასოდეს კვებავდნენ. ყოველგვარ გაჭირვებას „აღმზრდელიობითი თვალსაზრისით უადრესად სასარგებლო გამოცდილებად“ ჩათვლიდა, ხოლო ხალხიდან გამოსულ ადამიანებთან ურთიერთობას „ფრიად ჭკუის სასწავლებლად“. თუმცა, შეიძლება არაფერიც არ ვკითხო. კონვიქტის საწოლში იგი დამეს თუთრად გაათენებს, სინდისის ქენჯნით შეწუხებული, თავს გაიწვალებს შეკითხვით, სწორად მოიქცა თუ არა, ჩემთან რომ არ მოვიდა. მე კი მისთვის იმდენი რამ მქონდა სათქმელი: ლეოსათვის უკეთესი იქნებოდა თეოლოგია სამხრეთ ამერიკაში, მოსკოვში ან მსოფლიოს ნებისმიერ მხარეში ესწავლა და არა ბონში. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა შეიგნოს, რომ ბონში არ არსებობს ის, რასაც იგი ჭეშმარიტ რწმენას ეძახის. აქ ზომერვილდსა და ბლოთერტს შორის გაჩხირულია რჯულშეცვლილი შინი, იგი პასტორიც კი გახდა და ლამის საიმისოდაც ვარგოდა, ბირჟის კურსი განემტკიცებინა. საჭირო იყო ამ საკითხზე ლეოს მოვლა-პარაკებოდი და უთუოდ ჩვენს სახლში, დედაჩემის ჟურფიქსზე. ოჯახის მოღალატე ორივე შვილი სამზარეულოში დავსხდებოდით ანასთან, ყავას დაუღვდით, ძველ ამბებს მოვიგონებდით, იმ დიად დროს, როცა პარკში ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარების ტყორცნაში ვვარჯიშობდით. ერთ დღეს კი ჩვენს ჭიშკართან ვერმახტის მანქანები გაჩერდნენ და სახლში სამხედროები ჩაგვიყენეს მდგომარეობად. მანქანებიდან გადმოვიდნენ ოფიცერი — მკონი მაიორი იყო, ფელდფებელი და ჯარისკაცები. ერთი მანქანით მოიტანეს დროშა. არც ოფიცერს და არც ჯარისკაცებს არაფერი აინტერესებდათ, გარდა ერბოკვერცხისა, კონიაკისა, მასხრობისა და სამზარეულოში მოახლეებთან ღლაბუცისა. ხანდახან კი ოფიციალური ხდებოდნენ, უფრო სწორად, იბღინებოდნენ. ჩვენი

სახლის წინ ჩამწკრივდებოდნენ. ოფიცერი გაიჯგიმებოდა, ხელს კიტელის ქვეშ იმ იაფფასიანი მოხეტიალე მსახიობებით ამოიდებდა, პოლკოვნიკის როლს რომ თამაშობს, და რაღაცას გაჰყვიროდა „საბოლოო გამარჯვებაზე“. მთელი ეს სანახაობა ყალბი, სასაცილო და უაზრო იყო. ერთხელ კი, როცა გამოაშკარავდა, რომ ფრაუ ვინეკენმა, ორ სხვა ქალთან ერთად, მალულად გაიარა ტყე-ტყე გერმანელებისა და ამერიკელების ფრონტის ხაზი მხოლოდ იმისათვის, ფრონტის ხაზს იქით მცხოვრები ძმისათვის — პურის საცხობის პატრონი რომ იყო — პური გამოერთმია, მათი გაბღენძილობა სიცოცხლისათვის სახიფათო გახდა. ოფიცერს უნდოდა ფრაუ ვინეკენი და ის ორი ქალი შპიონაჟისა და საბოტაჟისათვის დაეხვრიტა (დაკითხვაზე ფრაუ ვინეკენმა აღიარა, რომ ფრონტის ხაზს იქით ერთ ამერიკელ ჯარისკაცს ელაპარაკა), მაგრამ მამაჩემმა — თუ მეხსიერება არ მღალატობს, ეს უკვე მეორედ ცხოვრებაში — ვაჟკაცობა გამოიჩინა, ქალები იმპროვიზებული ციხიდან, პატარა საუთოებელი ოთახიდან, გამოიყვანა და ქვემოთ, მდინარის პირას, ნავების ფარდულში დამალა. მაშინ მან გამოიჩინა ნამდვილი სიმამაცე, უყვირა ოფიცერს, ოფიცერმაც უყვირა. ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ აღშფოთებისაგან ოფიცერს მკერდზე ორდენები უთამაშებდა, დედაჩემი კი ამ დროს ნაზი ხმით მამაჩემსაც ამშვიდებდა და ოფიცერსაც:

— ბატონებო, ბატონებო, ყველაფერს აქვს ზღვარი.

ამ ამბავში დედაჩემს ყველაზე მეტად ის ეჩოთიერებოდა, რომ ორი „ბატონი“ უყვიროდა ერთმანეთს.

— სანამ ამ ქალებზე ხელს აღმართავდეთ, მე უნდა დამხვრიტოთ... გთხოვთ... — განაცხადა მამაჩემმა, პიჯაკის ღილები მართლაც შეისხნა და ოფიცერს მკერდი მიუშვირა. მაგრამ ამ დროს ჯარისკაცები იქაურობას გაეცალნენ, რადგან რაინის გორაკებზე ამერიკელები გამოჩნდნენ და ქალებს უკვე თავისუფლად შეეძლოთ ნავების ფარდულიდან გამოსულიყვნენ. ყველაზე არასასიამოვნო, რაც ამ ოფიცერს, მგონი მაიორს, ჰქონდა, მისი ორდენები იყო. შეიძლება უორდენებოდ როგორმე შეენარჩუნებინა ცოტაოდენი ღირსება. როცა დედაჩემის ჟურფიქსზე აქა-იქ დაყუდებულ, ორდენებით მკერდდამშვენებულ, უბადრუკ ფილისტერებს ვხედავ, ყოველთვის ის ოფიცერი მაგონდება და მაშინ ზომერვილდის ორდენიც კი, Pro

Ecclesia¹ თუ რაღაც ამდაგვარი, ასატანი მეჩვენება. ზომერვილდი თავისი ეკლესიისათვის მაინც აკეთებს საშვილიშვილო საქმეს. ყველა თავისი „მსახიობი“ ხელში უჭირავს და იმდენი გემოვნება აქვს, რომ გულზე დაბნეული ორდენი ეჩოთიროს. ორდენს იგი მხოლოდ საეკლესიო პროცესებისა და ტელევიზიით გამოსვლის დროს იბნევს გულზე. ჩემი აზრით, ტელევიზია მასაც ართმევს სინდისის იმ ნატამალს, ჯერ კიდევ რომ შერჩენია. თუ ჩვენი საუკუნე განსაკუთრებულ სახელწოდებას იმსახურებს, მას პროსტიტუციის საუკუნე უნდა ეწოდოს. ხალხი უკვე ეჩვევა მეძავთა ლექსიკას. ერთხელ ზომერვილდს ტელედისკუსიის (შეიძლება თუ არა თანამედროვე ხელოვნება რელიგიური იყოს?) შემდეგ შეეხვდი და მან მკითხა:

— როგორ მოგეწონეთ, ვვარგოდი?

ზუსტად ასე ეკითხებიან მეძავეები თავიანთ კლიენტებს გასტუმრებისას. ისღა აკლდა ეთქვა:

— სხვებთანაც გამიწიეთ რეკომენდაცია.

მაშინ მე ვუთხარი:

— თქვენ მე საერთოდ არ მომწონხართ და, ცხადია, არც გუშინ მომეწონებოდით.

მართალია, ჩემი აზრი უაღრესად ფრთხილად გამოეთქვი, მაგრამ ზომერვილდს მაინც გულზე მოხვდა. ის საზიზღარი იყო. თავისი განათლება და ენამჭევრობა რომ სხვებისთვის დაენახებინა, მან „მოკლა“, „ყელი გამოსჭრა“ ან, რბილად რომ ვთქვათ, „გათელა“ მოწინააღმდეგე, ერთი უძმეო სოციალისტი, როცა მზაკვრულად ჰკითხა:

— მაშასადამე, ადრეული პიკასო თქვენ აბსტრაქციონისტად მიგაჩნიათ?

შემდეგ კი ათი მილიონი მაყურებლის წინაშე თმაგაჭადარავებული კაცი, რომელმაც რაღაც ჩაილულულა ვალდებულების შესახებ, ასეთი კითხვით მოსპო:

— აჰ, თქვენ, რა თქმა უნდა, სოციალისტურ ხელოვნებას გულისხმობთ... იქნებ, სოციალისტურ რეალიზმსაც?

მეორე დილით, ქუჩაში რომ შეეხვდი და ვუთხარი, არ მომეწონეთ-მეთქი, კაცი გათავდა. მისი პატფმოყვარეობა დიდად შელახა იმ ამ-

¹ Pro Ecclesia (ლათ.) — ეკლესიისათვის.

ბავშვმა, ათ მილიონ მაყურებელში ერთს რომ არ მოეწონა. მაგრამ ჩემი არმოწონება ასაკეცად აუნაზღაურა კათოლიკურ გაზეთებში ატეხილ-მა „ქების კორიანტელმა“. გაზეთები წერდნენ, გამარჯვება „კეთილი საქმისათვის“ მოიპოვაო.

დარჩენილი სამი სიგარეტიდან ერთს მოუჟიდე, ხელში გიტარა ავიდე და სიმებს ოდნავ ჩამოვკარი. გამახსენდა, რამდენი რამ მინდოდა მეამბნა ლეოსათვის, რამდენი რამ მქონდა საკითხავი. ყოველთვის, როცა მასთან სერიოზულად ვაპირებდი ლაპარაკს, ლეო გამოსაშვებ გამოცდებს აბარებდა ანდა თავისი სკრუტინიუმისა ეშინოდა. ვფიქრობდი აგრეთვე იმაზე, მართლა შემდგრა „ლიტანია ლაურეტანა“ თუ არა; რა საჭირო იყო; ვინმეს შეიძლება ჰგონებოდა, რომ კათოლიკე ვარ. შემდეგ ისინი „ერთ-ერთ ჩვენგანად“ გამომაცხადებდნენ და ამ ამბავს თავიანთი საქმის პროპაგანდისათვის გამოიყენებდნენ. ისინი ზომ ყოველთვის ყველაფერს თავიანთ სასარგებლოდ „იყენებენ“. ის, რომ მე კათოლიკე არ ვიყავი და „ლიტანია ლაურეტანა“ მომწონდა, ხალხში გაუგებრობასა და დაბნეულობას გამოიწვევდა. ისიც კი არ ეცოდინებოდათ, რომ მე იმ ებრაელ გოგონას თანაუგრძნობ, რომელსაც ეს ლიტანია მიუძღვნეს. კათოლიკეები რაღაცას მიკიბ-მოკიბავდნენ, ჩემში რამდენიმე მილიონ კათოლიკონს აღმოაჩენდნენ, შემდეგ ტელეეკრანზე გამომაცხვენებდნენ და თავიანთი აქციების კურსს კიდევ უფრო მაღლა ასწევდნენ. საჭირო იყო სხვა სიმღერის გამოჩახვა. სამწუხაროდ, ყველა სიმღერას მაინც „ლიტანია ლაურეტანა“ მერჩია. მაგრამ ამ სიმღერის წამოწევა ბონის სადგურის კიბეზე გაუგებრობას გამოიწვევს. მწყინდა. სიმღერას თითქმის დაუუფლვე, ხოლო სიტყვებს Ora pro nobis გიტარაზე მოხდენილი აკომპანემენტი შეუურჩიე.

ხალხის წინაშე გამოსასვლელად რომ მოემზადებუდიყავი, ფეხზე წამოვდექი. რა თქმა უნდა, როგორც კი ჩემი აგენტი ცონერერი გაიგებსა, რომ გიტარის აკომპანემენტზე ქუჩაში სიმღერებს ვმღერი, მაშინვე „ზურგს შემეპქცევს“. მაგრამ, ლიტანიები, Tantum Ergo და სხვა საეკლესიო სიმღერები რომ ვიმღერო, — მათ დიდი სიამოვნებით ვმღეროდი წლების განმავლობაში აბაზანაში, — შეიძლება „თამაშში ჩაებას“, რადგან ეს კარგი ანკესი იქნება, დაახლოებით ისეთი, როგორიც მადონების ჯღაბნაა. სხვათა შორის, დარწმუნებული ვიყავი, რომ ცონერერს ვუყვარდი, — მიწის შვილები უფრო გულკეთილნი

არიან, ვიდრე ზეცის შვილები, — მაგრამ საკმარისი იყო, ბონის სადგურის კიბეზე ჩამოემჯდარიყავი, რომ „ბიზნესის“ თვალსაზრისით მისთვის უკვე გათავებული კაცი ვიქნებოდი.

სიარულის დროს შესამჩნევად აღარ ვკოჭლობდი. ამიტომ ფორთოხლის ყუთი აუცილებელი აღარ იყო. მარცხენა ილღიაში ტახტის ბალიშს ამოვიჩრი, მარჯვენაში გიტარას და ასე წავალ სამუშაოზე. კოლოფში ჯერ კიდევ ორი სიგარეტი იღო. ერთს მოვწევ, მეორეს კი თან წავიღებ, შავ ქუდში ჩაგაგდებ და მისატყუებლად გამოვიყენებ. კარგი იქნებოდა, სიგარეტის გვერდით ერთი მონეტა მაინც დამეგდო. შარვლის ჯიბეები მოვისინჯე, გადმოვაბრუნე კიდევ: ჯიბეებში კინოთეატრის რამდენიმე ძველი ბილეთი, რიჩ-რაჩის პატარა წითელი ფიგურა და ქალაღლის ჭუჭყიანი ცხვირსახოცი აღმოჩნდა, ფული კი არა. ამის შემდეგ სწრაფად გამოვწიე საკიდრის ქვედა უჯრა. უჯრაში იყო ტანსაცმლის ჯაგრისი, ბონის საეკლესიო გაზეთის გამოწერის ქვითარი, ერთი ბოთლი ლუდის ტალონი, მაგრამ ფული არც ამ უჯრაში ჩანდა. სამზარეულოში ყველა უჯრა გადავაქოთე, შემდეგ საწოლ ოთახში გავვარდი, საყელოები, მანუეტების საკინძეები, წინდები და ცხვირსახოცები გადაუქექე, ხელი მწვანე ველვეტის შარვლის ჯიბეებშიც ვაფათურე. ვერაფერი აღმოვაჩინე. ამის შემდეგ მუქი შარვალი გავიხადე, გამოცვლილი კანივით იატაკზე დავტოვე, იქვე დაუგდე თეთრი პერანგიც, მომოლისფრო-მოციისფრო ტრიკო ჩაიცვი, კარადის სარკიანი კარი გამოვალე და საკუთარი თავი შევათვალიერე. დიდებულია, ასეთი კარგი არასოდეს ვყოფილვარ. ფერუმარილი მეტისმეტად სქლად მქონდა სახეზე დადებული — იმ ხნის განმავლობაში, რაც უქმად იღო, ცხიმი გამოსცლოდა და ახლა სარკეში დავინახე, რომ გრიმი ალაგ-ალაგ დამსკდარიყო. სახე მიწიდან ამოთხრილ ქანდაკებას მიმიგავდა. მუქი თმა პარიკივით მედო თავზე. სიმღერის ტექსტი, ამ დროს რომ მომივიდა თავში, ჩემთვის ჩავიდიდინე: „საწყალ პაპსა და იოანეს ქღპ-ს არ ვყურება, არც მიუღერის ვირია, არც მისი ძროხა სჭირდება“. დაწყება ამითაც შეიძლება, ღვთის გმობასთან მებრძოლი ცენტრალური კომიტეტი სიმღერის ტექსტში ვერ გამომედავება. ამგვარ სტროფს კიდევ ბევრს შევთხზავ და ბალადასავით ვიმღერებ. სიამოვნებით ვიტირებდი, მაგრამ ფერუმარილი ისე კარგად მქონდა წასმული სახეზე, ჩამოსარეცხად არ მეტეტებოდა, მომწონდა ბზარებიც, აქერცლილი ადგილებიც, ცრემლი

კი ყველაფერს გააფუჭებდა. ცრემლი შემდეგაც შემძლო მეღვარა, თავისუფალ დროს, თუკი ტირილი ისევ მომინდებოდა. პროფესიონალური ჰაბიტუსი საუკეთესო საფარველია, მწუხარება სამკვდროსასიცოცხლოდ მხოლოდ წმინდანებსა და დილეტანტებს გმირავს. საკუთარ თავს რომ უფრო ღრმად ჩაეწვდომოდი და, ამავე დროს, დაეშორებოდი, სარკეს მოეცილდი. თუ მარი ამ მდგომარეობაში მიხილავს და შემდეგ მაინც შეძლებს ციუპფენერის მალტის რაინდის ტანსაცმელზე ცვილის ლაქების უთოთი ამოყვანას, მაშინ ის ჩემთვის მკვდარი იქნება და ჩვენ გაყრილები ვიქნებით. მაშინ ისღა დამრჩება, მის საფლავეზე ვიგლოო. იმედია, ყველა მათგანს, ვინც წინ ჩამივლის, ჯიბეში ხურდა ფული ექნება: ლეოს ათ პფენიგზე ცოტა მეტი, ტაილანდიდან დაბრუნებულ ეღვარ ვინეკენს შეიძლება ძველი ოქროს ფულიც კი აღმოაჩნდეს, ბაბუაჩემი კი, როცა ისკიადან დაბრუნდება, ჩეკს მაინც გამომიწერს. ამასობაში ჩეკის განაღდება ვისწავლე. დედა ორ ან ხუთ პფენიგზე მეტს არ გაიმეტებს, მონიკა ზილვსი, ალბათ, დაიხრება და მაკოცებს, ზოლო ზომერვილდი, კინკელი და ფრედებოილი, აღშფოთებულნი ჩემი უგემოვნობით, სივარუტსაც კი არ ჩამიგდებენ ქულში. იმ საათებში, როცა სამხრეთიდან მატარებელი არ ჩამოდის, საბინე ემონდსთან გავემგზავრები ველოსიპედით ჩემი წილი წვნიანის შესახვერებად. შეიძლება ზომერვილდმა ციუპფენერს რომში დაურეკოს და ურჩიოს, მატარებლიდან გოდესბერგში ჩამოვიდეს. თუ ასე მოხდა, მაშინ მათი ვილისაკენ გავემგზავრები, ფერდობზე გაშენებული ბალის წინ ჩამოუჯდები და ჩემს სიმღერებს ვიმღერებ: მოვა მარი, შევხედავ და მივხვდები, მკვდარია თუ ცოცხალი. ერთადერთი ადამიანი, ვინც მეცოდებოდა, მამაჩემი იყო. დიდებულად მოიქცა, როცა ქალები დახვერტას გადაარჩინა, მაშინაც კარგად მოიქცა, როცა მხარზე ხელი დამადო. თუმცა სახეზე ფერ-უმარილი მელო, სარკეში ამკარად ჩანდა, რომ მაინც წავაგავდი მამას, კი არ წავაგავდი, საოცრად ვგავდი და მივხვდი იმასაც, რატომ ვერ შეურიგდა ვერაფრით ლეოს გაკათოლიკებას. ლეო არ მეცოდებოდა, მას რწმენა ასულდგმულებდა.

ათის ნახევარიც არ იყო, ლიფტით რომ ქვევით ჩავედი. გამახსენდა ქრისტიანი ვაჟბატონი ქოსთურთი, რომელსაც ჩემი ერთი ბოთლი არაყი და პირველ და მეორე კლასს შორის სამგზავრო ბილეთის ფასის სხვაობა ემართა. გადაწყვეტილი მქონდა, უმარკო წერილი გამეგ-

ზაენა მისთვის და სინდისზე შემეგდო. მას ჩემთვის ბარგის ქვითარიც უნდა გამოეგზავნა. გამიხარდა, ჩემი კარის მეზობელი, ლამაზი ფრაუ გრებსელი რომ არ შემხვდა, თორემ იძულებული ვიქნებოდი, მისთვის ყველაფერი ამეხსნა. იმ შემთხვევაში კი, თუ სადგურის კიბეზე დამინახვდა, არაფრის ახსნა არ დამჭირდებოდა. მაკლდა მხოლოდ ჩემი სავიზიტო ბარათი — ქვანახშირის ბრიკეტი.

გარეთ გრილოდა, ნამდვილი მარტის საღამო იდგა. პიჯაკის საყელო ავიწიე, ქუდი დავიხურე და ხელის ფათურით ჯიბეში ჩემი უკანასკნელი სიგარეტი მოვსინჯე. დამავიწყდა კონიაკის ბოთლი, ფრიად დეკორატიულ შთაბეჭდილებას მოახდენდა, მაგრამ მოწყალეების გამღებთ დააფრთხობდა, რადგან ძვირფასი მარკისა იყო, რაც საცობზეც კი ემჩნეოდა. მარცხენა იღლიაში ბალიშამოდებული, მარჯვენაში კი გიტარამოდებული, კვლავ სადგურისაკენ დავიძარი. მხოლოდ გზად მიმავალმა შევამჩნიე დროის დამახასიათებელი ნიშნები, აქ „ტაკიმასხრულს“ რომ უწოდებენ. ნასვამ ჭაბუკს, ფიდელ კასტროს რომ დამგვანებოდა, უნდოდა ჩხუბი აეტეხა ჩემთვის, მაგრამ გავერიდე. სადგურის კიბეზე ესპანელ მატადლორებად და სენიორიტებად გადაცმული ახალგაზრდები ტაქსის ელოდებოდნენ. სულ გადამავიწყდა, ქალაქში რომ კარნავალი ტარდებოდა. მეც სწორედ ეს მჭირდებოდა — მოყვარულთა ბრბოში ყველაზე საიმედოდ პროფესიონალი მსახიობია შენიღბული. ბალიში ქვემოდან მესამე საფეხურზე დაუდე, დაჯექი, ქუდი მოვიხადე, შიგ სიგარეტი ჩავაგდე, არც მთლად შუაში და არც მთლად კუთხეში, არამედ ისე, ქუდში ჩაგდებულს რომ დამსგავსებოდა, და სიმღერა დავიწყე: „საწყალ პაპსა იოანეს“. ყურადღებას არავინ მაქცევდა, მაგრამ ჯერჯერობით არც იყო საჭირო. გაივლიდა ორი-სამი საათი და ნელ-ნელა ყურადღებასაც მომაქცევდნენ. როცა სადგურის დიქტორის ხმა გაისმა, სიმღერა შევწყვიტე. მან გამოაცხადა, ჰამბურგიდან მატარებელი ჩამოვიდაო. ისევ განვაგრძე დაკვრა და უეცრად შევკრთი — ქუდში პირველი მონეტა ჩავარდა. ათჰფენიგიანი მონეტა სიგარეტს მოხვდა და გვერდზე გასწია. სიგარეტი გავასწორე და სიმღერა განვაგრძე.

50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ

„კვირის პალიტრის“ ბიბლიოთეკა

წიგნი 30

რედაქტორი მათა ალუდაური

კორექტორები: ნანა ანტონოვა-ილურიძე

მანანა დაუშვილი

ნატალია ჩიმაკაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა დათო მოსიაშვილი

ყდის დიზაინი ეთერ გზირიშვილი

პროექტის მენეჯერი თინათინ ასათიანი

გამომცემლობა პალიტრა L, 2012

მისამართი: იოსებძის ქ. 49, ტელ.: 238-38-71

E-mail: book@palitra.ge

www.50.kvirispalitra.ge

სერიის წინა წიგნები



წიგნი 1

ონორე დე ბალზაკი
შაბრენის ტყავი



წიგნი 2

ჯეკ ლონდონი
მარტინ იდენი




წიგნი 3

შოთა რუსთაველი
ვეფხისტყაოსანი



წიგნი 4

ალექსანდრე დიუმა
სამი მუშაპეტარი
ორ ტომად



წიგნი 5

უილიამ შექსპირი
ჰამლეტი



წიგნი 6

ფიულ ვერნი
80 000 კილომეტრი ფაქტორი



წიგნი 7

მიხაილ ბულგაკოვი
ოსტატი და მარბარიტა




წიგნი 8

ოსკარ უაილდი
დორიან გრეის პორტრეტი



წიგნი 9

ჩარლზ დიკენსი
ღვევიდ კოპერფილდი



წიგნი 10

ერიხ მარია რუმარკი
ტრიუმფალური თაღი



წიგნი 11

ფრედერიკ ბეგბედერი
99 ფრანკი



წიგნი 12

ედგარ პო
მითხრობები



წიგნი 13

ჰომეროსი
ოდიზეა



წიგნი 14

მან რიდი
უთავო მხედარი



წიგნი 15

თომას მანი
ბუდენბროკები
ორ ტომად



წიგნი 16

მარკ ტვენის
ტომ სოიერის თავგადასავალი



წიგნი 17

კონსტანტინე გამსახურდია
დიდოსტატის მარჯვენა




წიგნი 18

მიგელ და სერგანტესი
დონ კისოტი
ორ ტომად



წიგნი 19

ო' ჰენრი
მოთხრობები



წიგნი 20

შტეფან ცვაიგი
მარიამ სტიშარტი



წიგნი 21

მართო პიუზო
ნათელია




წიგნი 22

გუსტავ ფლობერი
მაღამ ბოგარი



წიგნი 23

ჯორჯ ორუელი
1984



წიგნი 24

სტენდალი
წითელი და შავი



წიგნი 25
ფილოლოგ დოსტოვესკი
ემეზი პარამაზოვი
ორ ტომად

წიგნი 26
ერნესტ ჰემინგუეი
მშვიდობით, იახლო!

წიგნი 27
გი დე მოპასანი
ღამაზი მეგობარი

წიგნი 28
რიუნოსკე აკუტაგავა
მითხრობები



წიგნი 29
უილიამ თუკერუი
ამაღობის ბაზარი
ორ ტომად

სერიის მომდევნო
წიგნები



დანტე ალიგიერი
ღვთისაგრიში კოველია



შარლოტა ბრონტე
ჯინ ეარი



ვაჟა-ფშაველა
პოემები